მაია კოპალეიშვილი
პაატა ტურავა
ირმა ხარშილაძე
ხათუნა ლორია
თამარ გვარამაძე
თამარ ღვამიჩავა

ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო

თბილისი, 2018
გამომცემლობა „ურისტების სამყარო“

ავტორები:
მაია კოპალეიშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი
თავი I. 1. ; თავი VI. 2. ; თავი VI. 4.
პაატა ტურავა
სამართლის დოქტორი, პროფესორი
თავი VI. 1. ; თავი VI. 3. ; თავი VI. 6.
ირმა ხარშილაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი
თავი II. ; თავი IV.
ხათუნა ლორია
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თავი III. 1.
თამარ გვარამაძე
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თავი I. 2,3,4,5.; თავი V.
თამარ ღვამიჩავა
სამართლის დოქტორი, ასისტენტი
თავი VII.

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. 2018
© მ. კოპალეიშვილი, პ. ტურავა, ი. ხარშილაძე, ხ. ლორია, თ. გვარამაძე, თ. ღვამიჩავა. 2018

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9561-7-1

შინაარსი

თავი I. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ზოგადი დებულებები....11
1. ადმინისტრაციული პროცესის ცნება 11
2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები....14
2.1. სამართლებრივი სახელმწიფო - კანონის უზენაესობა....15
2.2. დემოკრატიული სახელმწიფო....16
2.3. ხელისუფლების დანაწილება....16
3. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები 17
3.1. დისპოზიციურობის პრინციპი....20
3.2. შეჯიბრებითობა 22
3.3. ინკვიზიციურობის პრინციპი....24
3.4. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი....28
3.5. პროცესის ზეპირობა და საქმის განხილვის უშუალობა 29
3.6. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი....31
3.7. პროცესის საქვეყნოობა და სამართალწარმოების ენა....33
3.8. სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა. 34
4. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაციული მოწყობა 35
5. საჩივარი და სარჩელი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში....39
6. საპროცესო ვადები 43
7. პროცესის ხარჯები 48
თავი II. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა....53
1. შესავალი....53
2. ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო უწყებრივ ქვემდებარეობასა და სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული დავის არსებობის განმაპირობებელი სამართლებრივი გარემოებები 55
3. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება და არსი....60
4. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები....66
5. ადმინისტრაციული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის ან სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის შედეგად საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები....70
6. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა 75

7. განსჯადობა და მისი სახეები 91
7.1. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....91
7.2. ტერიტორიული განსჯადობა.....96
7.3. ინსტანციური განსჯადობა.....101
7.4. საგნობრივი განსჯადობა 103
8. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის თეორიები 107
9. დავა განსჯადობის შესახებ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ სასამართლოებს შორის.....120
10. განსჯადობის განსაზღვრის კრიტერიუმები 124
11. საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ქვემდებარეობის გამიჯვნა 127
12. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავათა გამიჯვნის სამართლებრივი კრიტერიუმები.....137
12.1. ადმინისტრაციული სახელშეკრულებო დავიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები.....149
12.2. დაცვის პოლიციის მიერ დაცვის თაობაზე კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.....151
13. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....157
13.1. საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავათა სამართლებრივი ბუნების დადგენა 169
13.2. აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესში. 180
14. დასკვნა 185
თავი III. მხარეები და მესამე პირები.....187
1. მხარეები 187
1.1 მოსარჩელე.....189
1.2 მოპასუხე 189
2. მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა 191
3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები.....192
4. საპროცესო თანამონაწილეობა.....194
5. მესამე პირები.....195
5.1 მესამე პირების სამართლებრივი დაცვა 197
5.2 საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა.....198

5.3 პროცესის ეკონომიურობა 199
5.4 სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზანი 199
5.5 მესამე პირის სახეები 200
6. სასამართლოს მეგობარი 202
7. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ პროცესში 205
8. პროცესის სხვა მონაწილეები 208
თავი IV. სასამართლოს მკიცებულებები 211
1.სასამართლო მტკიცებულებების ცნება და მტკიცების სუბიექტები 212
2. მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში 214
3. მტკიცები საგანი 216
თავი V. სარჩელის აღძვრა 218
1. სარჩელის ფორმა და შინაარსი 218
2. სარჩელების გაერთიანება, გამოყოფა, შეცვლა და დაზუსტება 220
3. გამარტივებული, დაჩქარებული სამართალწარმოება და სარჩელის ტრანსფორმაცია 221
3.1. გამარტივებული სამართალწარმოება 222
3.2. დაჩქარებული სამართალწარმოება 223
3.3. სარჩელის ტრანსფორმირება 225
თავი VI. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში 228
1. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე 228
1.1. შესავალი 228
1.2. ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების ცნებების ტერმინოლოგიური პრობლემა 229
1.3. სარჩელის დასაშვებობა 231
1.3.1. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა 231
1.3.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი 236
1.3.3 გასაჩივრების ვადები 238
1.4. სარჩელის დასაბუთებულობა 242
1.4.1. კანონიერების შემოწმება 243
1.4.1.1 სამართლებრივი საფუძვლის კანონიერება 245
1.4.1.2 კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა 245
1.4.1.3 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 246

1.4.1.4 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება 247
1.4.1.5 განუსაზღვრელი ცნებები 248
1.4.1.6. შეფასების თავისუფალი სივრცე 249
1.4.1.7 დისკრეციული უფლებამოსილება 250
1.4.1.8. სუბსიმციაში შეცდომის შემონმების მეთოდი....250
1.4.1.9. ადმინიტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამონმებისათვის მნიშნელოვანი დრო....253
1.4.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი....254
1.5. სასამართლო გადაწყვეტილება....254
2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე 256
2.1. შესავალი 256
2.2. დავის საგანი, სარჩელის მიზანი 257
2.3. სარჩელის დასაშვებობა. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა 260
2.3.1. ადმინისტრაციული ორგანოს უარი. უარის კანონიერების შემონმება 261
2.3.2. ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება 262
2.3.3. პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი, სასარჩელო უფლებამოსილება 263
2.3.4. გასაჩივრების ვადები 264
2.4. დისკრეციული უფლებამოსილება 266
2.5. სარჩელის დასაბუთებულობის დადგენა 267
2.5.1. ზოგადი 267
2.5.2.აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის კანონიერების შემონმება....269
2.5.3. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო 269
2.5.4. მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი 270
2.6. სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით 274
2.7. ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელთა სახეები 279
2.8. ფარგლები სარჩელთა სხვა სახეებთან 279
2.8.1. აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელთან ფარგლები279
2.8.1.1. ნანილობრივი მონესრიგების შესახებ სარჩელი 282
2.8.1.2. მესამე პირები 282

2.8.2. ფაქტობრივი მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელთან ფარგლები 282
3. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე 284
3.1. შესავალი....284
3.2. სარჩელის დასაშვებობა....285
3.2.1 საქმიანობის სამართლებრივი ფორმა....285
3.2.2 ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი ქმედების განხორციელების მოთხოვნით 287
3.2.3 პირდაპირი და უშუალო ზიანი....289
3.2.4 სარჩელის ხანდაზმულობის ვადები....290
3.3. სარჩელის დასაბუთებულობა....290
3.3.1 კანონიერების შემოწმება 291
3.3.2 პირდაპირი და უშუალო ზიანი 292
3.4. სასამართლო გადაწყვეტილება 293
4. აღიარებითი სარჩელი 293
4.1. შესავალი 293
4.2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ 301
4.2.1. დავის საგანი 301
4.2.2. სარჩელის დასაშვებობა....302
4.2.3. სასარჩელო უფლებამოსილება. კანონიერი ინტერესი....303
4.2.4. ხანდაზმულობის ვადა 304
4.3. აღიარებითი სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ (ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი). 306
4.3.1. დავის საგანი....306
4.3.2. სარჩელის დასაშვებობა....306
4.3.3. არსებული სამართლებრივი ურთიერთობა 307
4.3.4. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები 310
4.3.5.კანონიერი ინტერესი....310
4.4. პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელი, რომელიც მიმართულია მომავალში მოქმედებაზე პრევენციულ (წინასწარ) დაცვაზე 312
4.4.1. დასაშვებობა....312
4.4.2. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები 313
4.4.3. კანონიერი ინტერესი....314
4.4.4.სასარჩელო უფლებამოსილება....314
4.5. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი 315
4.5.1. დასაშვებობა....315
4.5.2.კანონიერი ინტერესი....319

4.5.3.სასარჩელო უფლებამოსილება.....321
4.5.4. ხანდაზმულობის ვადა.....321
4.6. აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობა 322
4.7. სასამართლოს გადაწყვეტილება 323
5. სახელშეკრულებო დავები 325
5.1 შესავალი 325
5.2 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოხატული ნების სამართლებრივი ბუნება და ფორმა.....327
5.2.1 სამართლებრივი ბუნება 327
5.2.2 ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი ფორმა...329
5.3 უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალებები 331
5.3.1 უფლების დაცვის რეპრესიული საშუალებები 331
5.3.2 უფლების დაცვის პრევენციული (დროებითი) საშუალებები 335
6. უფლების დაცვის დროებითი საშუალება 335
6.1.სასკ-ის 29-ე მუხლით განსზღვრული უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება 336
6.2.დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ 339
თავი VII. აპელაცია და კასაცია ადმინისტრაციულ პროცესში.....345
1. აპელაცია.....345
1.1 შესავალი 345
1.2 სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში.....348
1.2.1.აპელაციის სახეები.....350
1.2.2. ადმინისტრაციული სამართალწარმოება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 352
2. კასაცია 361
2.1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა) ...361
2.1.1შესავალი.....361
2.1.2.საკასაციო საჩივრის ობიექტი 366
2.1.3 საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები და მათი შემხებლობა დავის საგანთან.....367
2.1.4. მესამე პირების შემხებლობა დავის საგანთან.....370
2.1.5. საკასაციო საჩივარის შეტანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა 371

2.2. საკასაციო საჩივრის შინაარსი.....371
2.3. პროცესის ხარჯები.....373
2.4. საკასასაციო გასაჩივრებაზე ნერილობითი უარის არარსებობა.....375
2.5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები.....376
2.5.1 სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება 376
2.5.1.1. საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის 379
2.5.1.2. სამართლებრივი საკითხების სასამართლოსათვის ქვემდებარეობა და საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა...384
2.5.1.3. სამართლებრივი საკითხების გარკვევის საჭიროება.....385
2.5.1.3.1. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია.....387
2.5.1.3.2. საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.....389
2.5.2. დივერგენტული კასაცია.საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები 391
2.5.3. სამართაწარმოების თავისებურება ისეთ საქმეებზე, რომლებიც განხილულია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. 396
2.5.3.1. საპროცესო ხარვეზის/დარღვევის ცნება.....401
2.5.3.2. გამორიცხული საპროცესო ხარვეზი.....403
2.5.3.3. მიზეზ-შედეგობრიობა.....404
2.5.4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.....405
2.6. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში.....407
2.7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.....413
3. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის 417

თავი I. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ზოგადი დებულებები

1. ადმინისტრაციული პროცესის ცნება

ადმინისტრაციული პროცესი ესაა საქმის განმხილველი საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და შესაბამისი მატერიალური სამართლებრივი ნორმების შეფარდების/გამოყენების გზით იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა-გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პროცესი (მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - Procedere) განიმარტება როგორც სასამართლოში საქმის სასამართლო განხილვის წესი - სამართალწარმოება. შესაბამისად, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს არა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, არამედ, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს - ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. სხვაგვარად, ადმინისტრაციული პროცესი ესაა მატერიალური ნორმების რეალიზაციის საშუალება, თუმცა იგი ყოველთვის არ არის დაკავშირებული მატერიალური ნორმების შეფარდების პროცესთან, მაგალითად საქმის წარმოების შეწყვეტის გამო. ადმინისტრაციული სამართლის პროცესი და ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი ერთობლიობაში ქმნიან ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. ცნება - ადმინისტრაციული საქმე, ფართო მნიშვნელობისაა და მოიცავს როგორც კონკრეტული ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობიდან, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათ წინაშე მდგომი საჯარო სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებისას წარმოშობილ ადმინისტრაციულ დავებს, ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებსაც არ აქვთ სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის (პროცესუალურ

მხარეებს შორის კონფლიქტის) ხასიათი (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით), მაგრამ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ცნებათა ლეგალურ დეფინიციას მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის განმარტებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა. ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც მონაწილეობდეს. ურთიერთობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად რომ მივიჩნიოთ, ამისათვის, საჭიროა სხვადასხვა კრიტერიუმების განხილვა. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, საჯარო საქმიანობის სფერო, საჯარო ამოცანები, საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, სტრუქტურა, დაფინანსების წყარო, თანამდებობის დაკავების წესი, საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმა, საჯარო სამსახურის განხორციელება, ადმინისტრაციული კანონმდებლობა და სხვ. იმისათვის, რომ გაირკვეს კანონმდებლობა არის თუ არა ადმინისტრაციული, ყურადღება უნდა მიექცეს სამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ქცევის წესის/ნორმის ბუნებას - არის თუ არა ის ადმინისტრაციული. შესაბამისად, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს, ქმნიან ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სამართალწარმოება ორივე მიმართულია დაინტერესებული პირის განცხადების წარდგენის საფუძველზე საჯარო-სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტისკენ. ადმინისტრაციული საქმის განხილვა-გადაწყვეტა მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების მეშვეობით არ ხდება. დაინტერესებულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის წინააღმდეგობა/კონფლიქტი/უკმაყოფილება ყოველთვის არ მიუთითებს მათი განხილვა-გადაწყვეტის მიზნით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებათა გამოყენებაზე. მაგალითად, უფლებამოსილ

ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი დაინტერესებული პირი ასევე იმედოვნებს მისი დარღვეული უფლების აღდგენას, მხოლოდ ამ შემთხვევაში საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისად.

გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლო, ასევე იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის. შესაბამისად, ერთი და იგივე საკითხი თუ ორივე კოდექსითაა მოწესრიგებული, მოსამართლე იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმას.

სამართლებრივი დაცვის ფუნქცია ავალდებულებს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანოებს შეამონმონ ადმინისტრაციულ ორგანოთა მმართველობითი ფუნქციების კანონთან შესაბამისობა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განმხილველი სასამართლო ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების გამოტანის გზით ახორციელებს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლს. ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხორციელებული სასამართლო კონტროლი გარეგანი კონტროლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მისი მიზანია საჯარო-სამართლებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სასამართლო, ადმინისტრაციულ ორგანოთა წინააღმდეგ შეტანილი ადმინისტრაციული სარჩელების განხილვა-გადაწყვეტის გზით, ახდენს ადმინისტრაციულ ორგანოთა მმართველობითი ფუნქციების განხორციელების პროცესში წარმოშობილი/შექმნილი/განხორციელებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმების კანონიერების შემოწმებას და ამით, იმავდროულად, ახორციელებს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლს.

2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები

კონსტიტუციური სამართალი განსაზღვრავს იმ მიზნებსა და ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა სამართლის სხვა დარგები და, მათ შორის, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი. კონსტიტუციურ სამართალთან სხვადასხვა დარგების მჭიდრო კავშირი განსაკუთრებით საგულისხმოა საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია კონსტიტუციური (კონტინენტური) სამართლის მქონე სახელმწიფოებშიც.[1]

სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერთა შეფასებები ადმინისტრაციული სამართალის კონსტიტუციურ სამართალთან მიმართების თაობაზე. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში (1924წ.) თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის ცნობილი მეცნიერი ოტო მაიერი, გერმანიის კონსტიტუციის გახშირებული ცვლილებების ფონზე აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციური სამართალი ცვალებადია, თუმცა, მიუხედავად ურთიერთკავშირისა, უცვლელია ადმინისტრაციული სამართალი. მოგვიანებით, ასევე გერმანელი მეცნიერი აჩტერბერგი აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი ღირებულებები არის კონსტიტუციური სამართლის პრინციპები. [2]

დღესდღეობით თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალში ხაზგასმით არის აღნიშნული კონსტიტუციური სამართლის საწყისებზე. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლისთვისაც კონსტიტუციური სამართალი არის მისი ძირითადი პრინციპული ხასიათის იდეების განმსაზღვრელი.

ასეთ პრინციპულ იდეებად თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე უფრო ხშირად განიხილავენ სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპებს.

---

1 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 10

2 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 10

2.1. სამართლებრივი სახელმწიფო - კანონის უზენაესობა

საერთო სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი მიდგომებისგან განსხვავებით, კონტინენტური სამართლის სისტემაში კანონის უზენაესობის, როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ ასპექტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ორივე მათგანი მიიღება მხედველობაში. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ძალაუფლება ეფუძნება კონსტიტუციური სამართლის უცვლელ და ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს. ასეთ სისტემაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლებების დაცვის შესაბამისი მოდელების შექმნა, არამედ უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის რეალური შესაძლებლობების არსებობა. [3]

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში განმტკიცებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მატერიალური ადმინისტრაციული სამართლის მბოჭავ ღირებულებებს უნდა წარმოადგენდეს, რომელზეც აიგება ადმინისტრაციული სამართლის დებულებები. მმართველობის განხორციელების პროცესში, ამ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შემთხვევაში, პირებს გააჩნიათ შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაცვა. ეს მნიშვნელოვანი პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია და, ამ მხრივ, განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე მოქმედ კანონმდებლობაშიც.

ამასთან, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპის გამოვლინება ხდება ადმინისტრაციული სამართლის სხვადასხვა პრინციპებში, მათ შორის კანონიერების პრინციპი, რომელიც თავის თავში მოიცავს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს. განჭვრეტადობის, პროპორციულობის და თანაზომიერების პრინციპები, ასევე ამ ღირებულებათა გამომხატველია. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი თითოეული ამ პრინციპის გვერდით, განიხილე-

3 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 11

ბა დამოუკიდებელი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაც. ყველა პრინციპის განუხრელი დაცვა კი ერთობლიობაში ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის წინაპირობებს.[4]

2.2. დემოკრატიული სახელმწიფო

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. ამასთან, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

ამდენად, ნებისმიერი მოქმედება და გადაწყვეტილება, მიღებული მმართველობის განხორციელებისას, მოითხოვს ლეგიტიმაციას და მხოლოდ ლეგიტიმურ ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს მმართველობა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ამ ლეგიტიმაციის მქონე უნდა იყოს არა მხოლოდ ხალხის მიერ უშუალოდ არჩეული ხელისუფლების ორგანოები, არამედ ნებისმიერი დამოუკიდებელი და კანონის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება, რომლის საბოლოო ლეგიტიმაციის წყარო არის ხალხი, მათ აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები და იმოქმედონ მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.[5]

2.3. ხელისუფლების დანაწილება

კანონის უზენაესობის იდეის მსგავსად, ხელისუფლების დანაწილების იდეაც მნიშვნელოვან კონსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული პროცესისთვის. თუმცა, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების შემთხვევაში, მას შესაძლებელია განსხვავებული გავლენა ჰქონდეს.[6] თავისი არსით ხელისუფლების დანაწილების პრინციპი წარმოადგენს კონცეპ-

---

4 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 13

5 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 14

6 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 15

ციას, რომელიც ადგენს, განსაზღრავს და აწონასწორებს ხელისუფლებათა შორის ბალანსს.[7]

თავისთავად ასეთი ბალანსი არის უმნიშვნელოვანესი და გამოიხატება სხვადასხვა შტოებს შორის დაბალანსებული კონტროლის მექანიზმების არსებობაშიც და არამხოლოდ ხელისუფლების შტოებს შორის ხელოვნურად მიჯნის გავლებაში. თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამომდინარე ამ კონტროლის არარსებობა ფაქტიურად გამორიცხულია. [8]

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური პრინციპების გარდა, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში სხვა პრინციპებსაც ვხვდებით. მაგალითად, გერმანიის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი.

3. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები

სიტყვა "პრინციპი" - მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან Principium და ნიშნავს საწყისს, დასაწყისს, უტყუარს[9]. სამართლის სხვადასხვა დარგში პრინციპები წარმოადგენს მნიშვნელოვან საწყის იდეებს, რაც მთლიანად თან გასდევს შესაბამისი დარგის ნორმებს, განსაზღვრავს მათ შინაარსსა და მიმართულებას.[10]

სახელმწიფოში რომელიც კანონის უზენაესობას აღიარებს, პრინციპები ყოველთვის მაღალი სამართლებრივი კულტურის გათვალისწინებით ყალიბდება. კანონის უზენაესობიდან გამომდინარე პრინციპები გარანტიაა ისეთი წესების არსებობისა, რომლებიც ერთობლიობაში მაღალი დემოკრატიულობის ხარისხით განისაზღვრება. ამ პრინციპის მნიშვნელობას ხაზს უსვამს იერინგის ცნობილი სიტყვები: ფორმალური, კანონიერი წესები და პროცედურები არაობიექტური და მიკერძოებული

---

7 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 18

8 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 18

9 <https://en.oxforddictionaries.com/definition/principium> [27.08.2016]

10 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ. 19

გადაწყვეტილებების მოსისხლე მტერი და თავისუფლების ტყუპისცალია.[11]

სამართლის პრინციპები არსებობს როგორც ზოგადი, დამახასიათებელი სამართლის ყველა დარგისთვის, რომელიც სათავეს კონსტიტუციური სამართლიდან იღებს, და სპეციალური, რომლებიც კონკრეტული სამართლის დარგისთვის არის დამახასიათებელი.[12]

მატერიალური ადმინისტრაციული სამართალი მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირებისთვის წარმოადგენს სამართლებრივ საშუალებას, შეაფასონ მესამე პირთა ქმედებები, მაშინ როცა ადმინისტრაციული პროცესის ნორმები თავად მართლმსაჯულების განმახორციელებელთა ქმედებების განმსაზღვრელია.[13] ამდენად, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები წარმოადგენს იმ ძირითად იდეებს, რომლებიც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებას განსაზღვრავს. თავისთავად პრინციპების შინაარსი დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს ორგანიზაციულ წყობასა და დემოკრატიის ხარისხზე. შესაბამისად, პრინციპები წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რაც ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ძირითად შინაარსს განსაზღრავს.

ვინაიდან ადმინისტრაციული პროცესი დიდწილად ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს, პრინციპები რომლებიც წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საყრდენს მსგავსია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განმტკიცებული პრინციპებისა. თუმცა, ადმინისტრაციული პროცესის განსხვავებული ბუნება, სხვა მნიშვნელოვანი პრინციპების არსებობასაც განაპირობებს. ამ პრინციპებში ნათლად გამოიხატება ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებანი.

ადმინისტრაციული პროცესის პრინციპებია: დისპოზიციურობას, შეჯიბრებითობა, ინკვიზიციურობა, სასამართლოს გზით უფლების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ,

---

11 J. Schwarze, European Administrative Law, Sweet and Maxwell, 1992. pag. 1178

12 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ. 19

13 J. Schwarze, European Administrative Law, Sweet and Maxwell, 1992. pag. 1173.

პროცესის ზეპირობა და უშუალობა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, პროცესის საქვეყნოობა და სამართალწარმოების ენა, სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა.

თუმცა ეს პრინციპები არ არის ამომწურავი ან ერთგვაროვანი ყველა სამართლებრივი სისტემისათვის. სხვა სამართლებრივ სისტემებში, მათი თავისებურებებიდან და ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, სხვა პრინციპებსაც შეიძლება შევხვდეთ. მაგალითად, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი არის გერმანული ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრინციპი. წლების განმავლობაში, გერმანიაში ადმინისტრაციული დავების ხანგრძლივი განხილვა ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გერმანიის მიმართ უფლებათა დარღვევის დადგენის საფუძველზე, 1991 და 1997 წელს გატარებული რეფორმების შედეგად დავების განხილვის პერიოდები მნიშვნელოვნად შემცირდა. შესაბამისად, ეს პრინციპი გერმანულ ადმინისტრაციულ პროცესში ძალიან აქტუალურია.[14] ასევე, საინტერესოა პრინციპი, რომელიც გერმანიის კონსტიტუციით არის გარანტირებული და მოიაზრებს უფლებას- პირებმა მიმართონ სასამართლოს და სასამართლოს წინაშე წარადგინონ მოსაზრებები და არგუმენტები, ამასთან, მათ გარეშე სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა იმსჯელოს და გადაწყვიტოს საკითხი.[15] ასევე, საინტერესოა პრინციპი, რომელიც მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე დაყრდნობით იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და განმტკიცებულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება, რასაც უნდა ეყრდნობოდეს მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას. საინტერესოა, რომ საქმის სრულყოფილად განხილვის შედეგი უნდა იყოს ამავდროულად ასეთი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება. [16]

---

14 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 224

15 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 226

16 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 226 -227

3.1. დისპოზიციურობის პრინციპი

დისპოზიციურობის პრინციპი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით არის განმტკიცებული და თავის თავში მოიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის საფუძველზე დაცული და გარანტირებულია დაინტერესებული პირების უფლება - მიიღონ გადაწვეტილება და მიმართონ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით; თავად განსაზღვრონ დავის საგანი და ჩამოაყალიბონ მოთხოვნა. ადმინისტრაციულ პროცესში დისპოზიციურობის პრინციპი წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას პირებისთვის, რომ ისინი თავად იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით; თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს, იღებენ გადაწყვეტილებას დავის საგნის შემცირების ან გაზრდის შესახებ; თვითონ წყვეტენ საკითხს მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ.[17]

სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპი კერძო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლინების ერთგვარ საპროცესო-სამართლებრივ გაგრძელებას წარმოადგეს.[18] ეს პრინციპი მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას, თავისუფლად განკარგონ მათთვის მინიჭებული მატერიალური და საპროცესო უფლებები[19] და სამოქალაქო პროცესში ის ვლინდება შემდეგ ელემენტებში: პირის უფლება აღძრას სარჩელი, თავად განსაზღვროს სასარჩელო მოთხოვნათა მოცულობა და თავად გადაწყვიტოს, უარი თქვას თუ გამოიხმოს სარჩელი. ამ ელემენტების გათვალისწინებით, სასამართლოს არ აქვს უფლება გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაზარდოს სასარჩელო მო-

---

17 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ. 21

18 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2012 წ. გვ. 61

19 იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2007 წ. გვ. 4.

თხოვნა; ამ პრინციპის კიდევ ერთი ელემენტი საშუალებას აძლევს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის მონაწილეს, არა მხოლოდ აღძრას სარჩელი, არამედ განსაზღვროს მისი სამომავლო ბედი და უარი თქვას მასზე ან ნებისმიერ დროს მოურიგდეს მისთვის მისაღები და სასურველი პირობებით მოწინააღმდეგე მხარეს.[20] ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ მოუთხოვია. აღნიშნული დათქმაც დისპოზიციურობის ფარგლებში ნების გამოვლინებაა, ისევე როგორც მხარეთა უფლება თავად გადაწყვიტონ სურთ თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ადმინისტრაციულ პროცესში, დისპოზიციურობის პრინციპს, ისევე როგორც მის ელემენტებს სამოქალაქო პროცესის მსგავსი შინაარსი აქვს. თუმცა, ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებათა გათვალისწინებით, მისი ცალკეული ელემენტი განსხვავებულ შინაარს იძენს: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილია შეზღუდვები, რის გამოც ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, თუ რამდენად კანონშესაბამისია ადმინისტრაციული ორგანოს უარი სარჩელზე, მის მიერ სარჩელის ცნობა ან თანხმობა მორიგებით საქმის დამთავრებაზე.

სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით დადგენილ ამ შეზღუდვას განაპირობებს ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, როგორიცაა კანონიერების პრინციპი. ეს პრინციპი გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თავის ნება სურვილზე გადაწყვეტილებების მიღებას და შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს

20 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2012 წ. გვ. 62-63

მიერ სარჩელზე უარის თქმისას ან სარჩელის ცნობისა და მორიგების შემთხვევაში, ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი გადაწყვეტილება შეესაბამება თუ არა მისთვის კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, მისი საქმიანობის მიზნებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევაში, როცა დღის წესრიგში დგას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სარჩელის ცნობა, უარის თქმა ან მორიგება მხარესთან, სასამართლო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია დაადგინოს აქვს თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. ამასთან, მოსამართლის მიერ გარემოებათა დადგენისას ადმინისტრაციულ პროცესში ინკვიზიციურობის პრინციპის შინაარსიც მნიშვნელოვანია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში ამ პრინციპს განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა აქვს, დისპოზიციურობის პრინციპი თავის მნიშვნელობას არ კარგავს. შეჯიბრებითი სისხლის პროცესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული პროცესის დაწყება და ასევე დამთავრებაც სამოქალაქო პროცესის მსგავსად, როგორც წესი, მხარეთა ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული. თუმცა ცალკეულ სამართლებრივ სისტემებში ეს უფლებამოსილებაც შესაძლოა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდეს. მაგალითად, გერმანული სამართლის მიხედვით, ერთ ინსტანციაში დავის დასრულების შემდეგ, როგორც წესი მხარეები თავად წყვეტენ გასაჩივრებას და დავის გაგრძელება მათ ნებაზეა დამოკიდებული, გარდა იმ შემთხვევებისა როცა საჯარო ინტერესების სასარგებლოდ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე სპეციალური სუბიექტი (რომელიც არ არის მხარე) თავად არ წარმოადგენს საჩივარს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.[21]

3.2. შეჯიბრებითობა

მართალია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი შეჯიბრებითობისა და საქმის გარემოებების სასამართლოს მიერ გამოკვლევას (იგივე ინკვიზიციურობის პრინციპს)

21 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001, pag. 224

ერთიანად განიხილავს. ადმინისტრაციულ პროცესში ეს ორი პრინციპი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი პრინციპებია

შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციული მართლმსაჯულება უნდა მიმდინარეობდეს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ასევე მეორე მხარე, ადმინისტრაციულ პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და მათ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა შესაძლებლობა, თანაბრად ისარგებლონ საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით, ადმინისტარციულ პროცესისთვისაც რელევანტურია. მათ შორის, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და სხვა.

ამგვარად, ადმინისტრაციულ პროცესში მხარეები, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ფიზიკური თუ კერძო

სამართლის იურიდიული პირები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით ისარგებლონ სხვადასხვა უფლებებით, რაც ადმინისტრაციულ პროცესს შეჯიბრებითი პროცესის ხასიათს სძენს.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი, რომელიც თავის თავში სასამართლოს აქტიურ მოქმედებას მოიაზრებს, არ უარყოფს პროცესის მონაწილეთა თავისუფლებას განახორციელონ ზემოაღნიშნული მთელი რიგი მოქმედებები.

3.3. ინკვიზიციურობის პრინციპი

ინკვიზიციურობის პრინციპი განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში შეჯიბრებითობის პრინციპთან ერთად. თეორიაში ცნობილი ტერმინები: ინკვიზიციურობის და ფორმალობის პრინციპი, არ არის საკანონმდებლო ტერმინები და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ის მოხსენებულია, როგორც საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ.

აღნიშნული პრინციპი არის არსებითად განსხვავებული და შეიცავს შეჯიბრებითი პრინციპის საპირისპირო ხასიათის მატარებელ მნიშვნელობას. თუმცა, ამ ორი მნიშვნელოვანი პრინციპის დაბალანსებული თანაარსებობა განაპირობებს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განსაკუთრებულ ხასიათს სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებასთან შედარებით.

თუმცა, ინკვიზიციურობის პრინციპი არც სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებისთვის ყოფილა უცხო. 1964 წლის სსრკ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო ვერ დასჯერდებოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თვითონ იყო ვალდებული თავისი ინიციატივით შეეკრიბა მტკიცებულებები, განესაზღვრა მტკიცების საგანი, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად მიემართა შესაბამისი ზომებისთვის.[22]

თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ასევე ითვალისწინებს ინკვიზიციურობის პრინციპისთვის დამახა-

22 იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2007 წ. გვ. 7-8

სიათებელ ცალკეულ ელემენტებს, თუმცა თანამედროვე სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში ამ პრინციპების რეალიზაციას სხვაგვარი დატვირთვა და სრულიად განსხვავებული ფარგლები გააჩნია.

ინკვიზიციურობა, იგივე ფორმალობის პრინციპი, ნიშნავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აქტიურ სასამართლოს, რომელიც მასზე დაკისრებული ვალდებულებიდან გამომდინარე, თავისი ინიციატივით იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რა დროსაც იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი ინფორმაციისა თუ მტკიცებულებების წარმოსადგენად, ასევე საკუთარი ინიციატივით აგროვებს როგორც ფაქტობრივ გარემოებებს, ისე შესაბამის მტკიცებულებებს, საკუთარი შეხედულებით წყვეტს საკითხს, თუ რომელი მტკიცებულება მიიღოს და რომელი - არა. ეს პრინციპი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-16 და მე-19 მუხლებიდან გამომდინარეობს.

ადმინისტრაციული პროცესი მასში მონაწილე არათანაბარი შესაძლებლობებისა და სტატუსის მქონე მხარეების არსებობით ხასიათდება, მოსამართლის მიერ პროცესში აქტიური მონაწილეობა ერთგვარად ხელს უწყობს მხარეთა პროცესუალური შესაძლებლობების გათანაბრებას, ამავე დროს ამ პრინციპის მიზანია დაიცვას ადმინისტრაციული ორგანოს კანონის საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელებისადმი არსებული საჯარო ინტერესი. ამდენად, სასამართლო აღჭურვილია შესაძლებლობით საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაპირისპირებული პირის უფლებების ეფექტური რეალიზება,[23] ოღონდ ისე რომ ზიანი არ მიაყენოს შეჯიბრებითობის პრინციპს.

ამავე დროს ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ შეიძლება დაუშვას, რომ მოსარჩელის მიერ საკანონმდებლო ნორმების არცოდნამ გამოიწვიოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, არამედ ის ვალდებულია იმსჯელოს იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის და არ განხილულა არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც სამართლებრივი დავის მიმდინარეობის პრო-

23 პ. ტურავა, ნ. ნკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი 2013. გვ. 274

ცესში.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი კანონიერების პრინციპი, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციული დაცვის საჭიროება და სამართლებრივი შედეგის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი, ასევე განაპირობებს ინკვიზიციურობის პრინციპის ეფექტურად გამოყენების საჭიროებას. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონმდებლობის საფუძველზე მმართველობის ეფექტურად განხორციელება და ამ პრაქტიკის სასამართლო კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ინკვიზიციურობის პრინციპი ზუსტად ამ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე უნდა იდგეს, თუმცა ისე, რომ არ მოახდინოს შეჯიბრებითი პრინციპის - იგივე მხარეთა როლის დაკნინება, რამეთუ ამ ორი პრინციპის თანაარსებობა არის ეფექტური ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი წინაპირობა.

ინკვიზიციურობის პრინციპი არ არის დამახასიათებელი საერთო სამართლის სისტემებისთვის, სადაც მართლმსაჯულება ერთმნიშვნელოვნად არის შეჯიბრებითი ხასიათის და რომელშიც მოსამართლე არის შებოჭილი მხარეთა მიერ წარდგენილი ინფორმაციითა და მტკიცებულებებით. სრულიად საწინააღმდეგო მიდგომით ხასიათდება ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელიც გერმანული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მსგავსია.[24] მასში მოსამართლეები არ არიან შეზღუდულები მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობებითა და მტკიცებულებებით. უფრო მეტიც, ინკვიზიციურ გერმანულ ადმინისტრაციულ პროცესში მოსამართლეს შეუძლია შეაცვლევინოს მხარეს შუამდგომლობა. მოსამართლე უფლებამოსილია არა მხოლოდ დაავალოს მხარეებს წარმოადგინონ მტკიცებულებები გარემოებების დადგენის მიზნით, არამედ იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და თავად დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. თუმცა, მოსამართლეს გარემოებების გამოკვლევის პროცესში არ შეუძლია უკან დაუბრუნოს ადმინისტრაციულ ორგანოს შესასწავლად საკითხი, რაც გერმანელი მეცნიერების

24 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 223

აზრით იქნებოდა ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევა და ერთი ხელისუფლების მხრიდან მეორეს საქმიანობაში ჩარევა. ინკვიზიციური პროცესის მიზანია მოხდეს გარემოებების სრულყოფილი შესწავლა საკითხთან დაკავშირებით, შეფასება და ნორმების სწორი მისადაგება ფაქტობრივ გარემოებებთან. ინკვიზიციური პრინციპის არსი მნიშვნელოვნად გამომდინარეობს საჯარო ინტერესებიდანაც, რომელიც ყოველთვის არის ადმინისტრაციული დავის თანმდევი და როგორც წესი უპირისპირდება კერძო ინტერესებს. [25]

სასამართლო, ამ პრინციპის გათვალისწინებით, არ იზღუდება არც მოწმეების მოწვევის დროს და შეუძლია მოიწვიოს არა მხოლოდ ისინი რომლებზეც მხარეები უთითებენ, არამედ სხვა პირებიც, რომლებსაც თავად მიიჩნევს საჭიროდ.[26] ინკვიზიციურობის პრინციპი თავის გამოვლინებას პოვებს მესამე პირთა ჩართვის საკითხის განხილვის პროცესშიც, როცა სასამართლოს თავად აქვს უფლებამოსილება მხარეთა და დაინტერესებული პირების ინიციატივის გარეშე გადაწყვიტოს მესამე პირთა მოწვევის საკითხი და ის არ არის შეზღუდული ამ საკითხზე მხარეთა მოსაზრებებით.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს ფართო შესაძლებლობები აქვს და იქმნება შთაბეჭდილება რომ ასეთ ფართო უფლებამოსილებებით იზღუდება შეჯიბრებითი პრინციპის არსი[27] ამ ორი პრინციპის თანაარსებობა ადმინისტრაციულ საპროცესო ნორმებით არის უზრუნველყოფილი. ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია, ასევე, სასამართლომ შეძლოს შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების კანონმდებლობით განსაზღვრული თანაარსებობის დაცვა, ისე რომ არ დააკნინოს პროცესის მონაწილეთა აქტიური როლი და მეორე

---

25 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 223

26 Walter Leisner, Aldo Piras, Massimo Stipo, Administarive Law the problem of Justice. Vol III Western European Democracies Giuffre Milan 1997 p. 200-201

27 პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტარციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო თბილისი 2010 წელი გვ. 20

მხრივ არ დააზარალოს საჯარო ინტერესი. [28]

3.4. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

კანონის წინაშე თანასწორობა კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპია, რომლისგანაც უშუალოდ გამომდინარეობს პროცესის წინაშე თანასწორობის პრინციპი. კანონის წინაშე თანასწორობა წარმოადგენს საერთო თანასწორობის კონკრეტულ გამოვლინებას სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში [29]. გარდა კონსტიტუციური საწყისისა, ადმინისტრაციული პროცესისთვის ეს მნიშვნელოვანი პრინციპი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განმტკიცებულ პრინციპსაც ეფუძნება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე; დაუშვებელია პირის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათ განხორციელებაში ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების გამოყენება; საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, თავისი ხასიათით, კონსტიტუციური პრინციპია და არის საჯარო სამართლის ზოგადი, შეიძლება ითქვას, ფუძემდებლური პრინციპი. თანასწორობის პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ვლინდება ადმინისტრაციული პროცესის მიმდინარეობისას და მოიაზრებს მოსარჩელისა და მოპასუხის თანასწორუფლებიანობას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთო-

---

28 პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტარციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო თბილისი 2010 წელი გვ. 20-21

29 იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2007წ. გვ. 10

ბები და, შესაბამისად, მისგან გამომდინარე დავა წარიმართება ორ არათანაბარ საფეხურზე მდგომ სუბიექტს შორის. ამის მიუხედავად, კანონმა ადმინისტრაციული ორგანო და მოქალაქე ადმინისტრაციულ პროცესში თანასწორუფლებიან სუბიექტებად გამოაცხადა და საკუთარი ინტერესების დასაცავად მათ თანაბარი პროცესუალური საშუალებები მიანიჭა.[30] მეტად მნიშვნელოვანია ამ პრინციპით დეკლარირებული აკრძალვა, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში, სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების გამოტანის თაობაზე. ამასთან, თანასწორობის პრინციპი ადგენს საწინააღმდეგოსაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებული საქმეები უნდა გადაწყდეს განსხვავებულად, ანუ ნებისმიერი სადავო შემთხვევა სასამართლომ უნდა შეისწავლოს და გადაწყვიტოს ინდივიდუალურად.

3.5. პროცესის ზეპირობა და საქმის განხილვის უშუალობა

როგორც წესი ადმინისტრაციული საქმეები განიხილება ზეპირ სხდომაზე უშუალოდ მოსამართლის მიერ. მაგალითად გერმანული კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ ასეთი განხილვის პროცესში დგინდება შესაბამისი მტკიცებულებების გამოკვლევა და მხოლოდ ასეთი გზით გამოკვლეულ და მხარეთა მიერ შეფასებულ მტკიცებულებებს შეიძლება ეფუძნებოდეს მოსამართლის გადაწყვეტილება.[31]

ამდენად, ზოგადი სტანდარტის თანახმად, მოსამართლე უშუალოდ იხილავს საქმეს და ის თავად იღებს გადაწყვეტილებას. ანალოგიური მიდგომაა ქართულ სამართალშიც, ამავდროულად, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა გადაწყვეტილების მიღება, ამ მოთხოვნისა და პრინციპის დაცვის გარეშე არის შესაძლებელი, თუმცა ეს გამონაკლისები, ბუნებრივია, კონკრეტული სამართლის სისტემიდან გამომდინარეობს და

---

30 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ. 24

31 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 225

არ არის აუცილებელი ყველგან ერთნაირი იყოს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო პროცესი იცნობს შემთხვევებს, როცა უდაო წარმოების ცალკეულ საქმეებს იხილავს არა მოსამართლე, არამედ შესაბამისი მოხელე.[32] ამასთან, მსგავსი რამ არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პროცესში. გარდა ამისა, საქმის უშუალოდ განხილვის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ სასამართლოს შემადგენლობამ ან იმ მოსამართლემ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქმის განხილვის ზეპირ მოსმენაში, მტკიცებულებათა მოძიებისა და განხილვის პროცესში. უშუალობის პრინციპის დარღვევად ჩაითვლება სასამართლოს ისეთი ქმედება, როდესაც იგი გადაწყვეტილებას იმგვარ მტკიცებულებებსა და გარემოებებზე დააფუძნებს, რომლებიც ზეპირი მოსმენის დროს თავად არ განუხილავს. იგივე პრინციპი დარღვეულად ჩაითვლება მაშინაც, თუ საქმის განმხილველი მოსამართლე ზეპირი მოსმენის დროს არ მონაწილეობდა პროცესის მიმდინარეობაში. თუმცა აქაც, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები, რაც დაკავშირებულია სხვა სასამართლოს მიერ საქმის განმხილველი მოსამართლის დავალებების შესრულებასა და მტკიცებულებათა შეგროვებასთან.

საქართველოში, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებისას, სასამართლო შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ზეპირი განხილვის შედეგად გამოკვლეულ მტკიცებულებებს და მიიღოს გადაწყვეტილება, იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რაც ზეპირ სხდომაზე იქნება განხილული. [33]

ამდენად, კანონმდებლობიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობს ზეპირად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული პრინციპის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს იმ ფაქტებს, რომლებიც ზეპირი მოსმენის საგანს წარმოადგენს

---

32 იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 316 პრიმა, 321 პრიმა, 2016 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით.

33 Walter Leisner, Aldo Piras, Massimo Stipo, Administarive Law the problem of Justice. Vol III Western European Democracies Giuffre Milan 1997 pag. 203

და რომელთა შესახებაც მხარეებმა საკუთარი აზრი ზეპირად გამოხატეს. ადმინისტრაციული პროცესის ზეპირობის პრინციპი, ხელს უწყობს ადმინისტრაციულ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას, რამეთუ ზეპირი მოსმენის დროს მხარეებს კიდევ ერთხელ ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი არგუმენტები, წერილობითი დოკუმენტების წარდგენის პარალელურად, უშუალოდ ზეპირი გამოხატვის მეშვეობითაც გაამყარონ.[34]

ამ ზოგადი წესისგან საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლისებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია გამარტივებული წესით, როცა საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა გულისხმობს მხარეთა დაუსწრებლად, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამარტივებული სამართალწარმოება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, ყველა საქმეზე უნდა ჩატარდეს ზეპირი მოსმენა, გარდა მხარეთა მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე გამარტივებული სამართალწარმოებით საქმის განხილვის მოთხოვნისა.

3.6. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი ერთ-ერთი ძირითადი, პრიორიტეტული კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ადმინისტრაციული საქმის ობიექტურად განხილვასა და გადაწყვეტას ემსახურება. ეს პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლიდან.

უშუალოდ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, ასეთ დამოუკიდებლობის გარანტიას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლი წარმოადგენს, რომელიც სასამართ-

---

34 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ. 30

ლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის საფუძველს ქმნის. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის დროს იგი ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს, რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, დაუშვებელია და ისჯება კანონით. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს მეცნიერთა მოსაზრება, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი მორჩილება ფაქტობრივად ორი ურთიერთდამოკიდებული დებულების ერთობლიობაა, ერთი მხრივ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას შესაძლებლად ქმნის მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება და მეორეს მხრივ, მხოლოდ კანონისადმი მორჩილება შესაძლებელია მაშინ, როცა მოსამართლეები ნადვილად დამოუკიდებლები არიან.[35]

თუმცა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მხოლოდ მათი კანონისადმი მორჩილებაში არ უნდა გამოიხატებოდეს და, მართალია, ცალკე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ამას თავის თავად ვერ უზრუნველყოფს, თუმცა ნებისმიერი სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ამ პრინციპის აღსრულებისთვის, კომპლექსური ღონისძიებების გატარების გზით. კერძოდ, მოსამართლეთა რეალური დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსამართლეთა პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური დამოუკიდებლობით. აღნიშნული თავის თავში უნდა მოიაზრებდეს რეგულაციებს და გარანტიებს, რაც უკავშირდება მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლებას, მათ მიმართ დისციპლინური და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების, იმუნიტეტით სარგებლობის შესაძლებლობებს, მოსამართლეთა სხვა სასამართლოში გადაყვანის პროცედურას, მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილებისა და მოსამართლეთა საქმეების განხილვისგან ჩამოშორების, მათი შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიების და პოლიტიკურ საქმიანობაში მათი მონაწილეობისთვის დადგენილ შეზღუდვებს. ერთობლიობაში ეს რეგულაციები უნდა ქმნიდეს ზუსტად იმ პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივი გა-

35 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2012 წ. გვ. 45

რანტიებს, რომლებმაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა რეალური დამოუკიდებლობა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს უკავშირდება აცილების სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც მოსამართლე ვერ მიიღებს კონკრეტული ადმინისტრაციული საქმის განხილვაში მონაწილეობას თუ იგი ამავე საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ეს პრინციპი უზრუნველყოფს ზუსტად ისეთ ვითარებაში მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვას, რომელსაც შესაძლოა რაიმე დაინტერესება გააჩნდეს ამ საქმის მიმართ. ამდენად საპროცესო კანონმდებლობაში განმტკიცებული მოსამართლეთა აცილებისა და თვითაცილების პროცედურები, ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფს ობიექტური გადაწვეტილებების მიღებას ყოველგვარი ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად.

3.7. პროცესის საქვეყნოობა და სამართალწარმოების ენა

ადმინისტრაციული პროცესის საქვეყნოობის პრინციპის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე მიმდინარე ზეპირი მოსმენა უნდა წარიმართოს საჯაროდ, ღია სხდომაზე. ზეპირ მოსმენაში მონაწილე პირებთან ერთად, ადმინისტრაციული საქმის განხილვას შეიძლება დაესწრონ გარეშე პირებიც, ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქე. აღნიშნული პრინციპი ყოველი დემოკრატიული სამართლებრივი სისტემისათვის არის ცნობილი, თუმცა პროცესის საჯაროობა არ არის აბსოლუტური ხასიათის მოთხოვნა და შესაძლებელია სასამართლომ დახუროს სხდომები და საჯაროობის ხარისხი შეიზღუდოს[36]. ამასთანავე, პროცესის საჯაროობა არ ნიშნავს აბსოლუტურ საჯაროობას და ამავე დროს არ მოიაზრებს მხოლოდ სხდომებზე დასწრების შესაძლებლობის მიცემას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საქვეყნოობის პრინციპის შეზღუდვა შესაძლებელია სხვადასხვა საფუძვლების არსებობისას. ეს შესაძლებელია მოხდეს გარკვეული ობიექტური მიზეზების არსებობისას, მაგალითად,

---

36 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. pag. 225

თუ სასამართლო სხდომის დარბაზი ვერ იტევს პროცესზე დასწრების მსურველ ყველა მოქალაქეს, შესაძლოა შეიზღუდოს სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების უფლება. გარდა ამისა, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის განხილვისა თუ გადაწყვეტის შემთხვევაში. კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარის მოტივირებული შუამდგომლობით ადმინისტრაციული საქმის განხილვის შესაძლებლობას დახურულ სასამართლო სხდომაზე.

მიუხედავად შეზღუდვის შესაძლებლობისა, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც იზღუდება საქვეყნოობის პრინციპი, ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას სასამართლო მაინც საჯაროდ აცხადებს.

ამ პრინციპის დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც მისი უკანონოდ შეზღუდვის სამართლებრივ შედეგებშიც აისახება. მაგალითად, საჯაროობის წესის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო და მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.[37]

3.8. სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა.

სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს სახელით მიიღება და არის შესასრულებლად სავალდებულო. [38]

გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლიდან, ასევე, ის განმტკიცებულია საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში.

ადმინისტრაციულ პროცესში გადაწყვეტილებათა სავალდებულოობას აქვს იგივე დატვირთვა, რაც სამოქალაქო პროცესში. სავალდებულოობა ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის ვერც ერთი სახელმწიფო

---

37 იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2007 წ. გვ. 18

38 იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2007 წ. გვ. 16

თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, არც ერთ საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება არ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება ან/და განსახვავებული გადაწყვეტილება მიიღოს. გადაწყვეტილებათა შეცვლა ან გაუქმება თავად სასამართლოს მიერ ხდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

ამასთან, საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა თავის თავში მოიაზრებს არა საყოველთაო სავალდებულოობას, არამედ პირთა იმ წრისთვის, რომელსაც ეხება გადაწყვეტილება. ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა კონკრეტულ საქმეში ჩართული პირთათვის სავალდებულოობას ნიშნავს.

4. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაციული მოწყობა

მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფო სუვერენიტეტის განუყოფელი ნაწილია და მის განხორციელებაზე სახელმწიფოს აქვს სრული მონოპოლია. ამასთან, სასამართლო ხელისუფლება არის ხელისუფლების ზუსტად ის შტო, რომელიც მას ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლთან ერთად. მართლმსაჯულებას საქართველოში ახორციელებენ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი: პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები. საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორცილება სამი ფორმით წარმოებს: სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული.

ამდენად, ადმინისტარციული სამართალწარმოება საერთო სასამართლოების მიერ განხორცილებული მართლმსაჯულების ერთ-ერთი ფორმაა.

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების გარე მექანიზმად სასამართლოს მიერ უფლებების დაცვა მიიჩნევა. სასამართლო ორგანოების სისტემას, როგორც მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვის ერთგვარ გარანტს, ადმინისტრაციულ იუს-

ტიციასაც უწოდებენ.[39] სამეცნიერო ლიტერატურაში ადმინისტრაციული იუსტიციის სამ სისტემას განიხილავენ: ანგლო-ამერიკული, ავსტრიულ-გერმანული და ფრანგული.[40]

ისტორიული კუთხით საინტერესოა, რომ დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში შექმნილი იყო ადმინისტრაციული განყოფილება, რომელიც ადგილობრივი სასამართლოების ადმინისტრაციული განყოფილებებისთვის ზემდგომ ინსტანციას წარმოადგენდა და განიხილავდა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიმართ არსებულ საჩივრებს.[41]

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ადმინისტრაციული იუსტიცია და ადმინისტრაციული სამართალი მიიჩნეოდა ბურჟუაზიული სამართლის რეცეფციად, რომლის ფარგლებშიც წარმოუდგენელი იყო ბოლშევიკური დიქტატურის პარტიის მიერ შექმნილი ჩინოვნიკების მოქმედებების კანონიერებაში ეჭვის შეტანა.[42]

ზოგადად, სახელმწიფოს ორგანიზაციული მოწყობის შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების განხორციელება განსხვავებულია. საქართველოში კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების განხორციელების გზით.

საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მართლმსაჯულება კი ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ. კონსტიტუციის თანახმად, საერთო სასამართლოების სისტემაში საომარ პირობებში შეიძლება სამხედრო სასამართლოს შემოღება , ამავე დროს დაუშვებელია საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების განსახორციელე-

---

39 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 347

40 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 348

41 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 349-350

42 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 340

ბლად, არც კონსტიტუციით და არც საკანონმდებლო აქტებით, საქართველოში არ არის შექმნილი რაიმე სპეციალური ტიპის სასამართლოები, არამედ ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სამივე დონის საერთო სასამართლოების მიერ. რაიმე სახის სპეციალიზებული სასამართლოები ან სპეციალური საბჭოები, რომლებიც გერმანიის ან საფრანგეთის მსგავსად განიხილავდნენ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს სქართველოში არ ფუნქციონირებს.

რაიონულ სასამართლოებში, როგორც წესი, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის საქმეებს. ამდენად, ასეთ სასამართლოებში ადმინისტრაციული საქმეების ცალკე განმხილველი მოსამართლე არ არის. პირველი ინსტანციის ისეთ სასამართლოებში რომლებშიც საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით განსაკუთრებით მაღალია საქმეთა განხილვის ინტენსივობა, შესაძლებელია მოხდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია და შეიქმნას ე.წ. სასამართლო კოლეგიები. მაგალითისათვის, 2017 წლის აგვისტოს თვისთვის ასეთი კოლეგიები შექმნილია თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო სასამართლოებში, გორის და მცხეთის რაიონულ სასამართლოებში. ასეთ სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი კოლეგიები განიხილავენ ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციით დადგენილი წესით.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში შექმნილია - ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები, რომლებიც განიხილავენ ადმინისტრაციულ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ამდენად, საქართველოს სამართლებრივი სისტემის შესაბამისად, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განმახორციელებელი რაიმე ტიპის სასამართლოები ან ტრიბუნალები მსგავსად სხვა ბევრი ქვეყნისა, საქართველოში არ არსებობს. ამავე დროს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მხოლოდ პროფესიონალი იურისტი მოსამართლეები ახორციელებენ და ადმინისტრაციულ საქმეებს არამოსამართლე პირები ან არაიუ-

რისტები არ განიხილავენ, როგორც ეს სხვა სამართლებრივ სისტემებში გვხვდება.

როგორც აღინიშნა, განსხვავებული სამართლებრივი სისტემების შემთხვევაში, ადმინისტრაციული მართლმსაჯულება განსხვავებულად არის ორგანიზებული და ბუნებრივია ის ყველგან მსგავსი არ იქნება. ამ მხრივ საინტერესოა გერმანული მოდელი. მართლმსაჯულების სისტემა გერმანიის ფედერაციაში შედგება 5 ტიპის სასამართლოებისგან: 1. საერთო სასამართლოები (აერთიანებენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოებს); 2. ადმინისტრაციული სასამართლოები; 3. შრომის სამართლის სასამართლოები; 4. ფისკალური სასამართლოები და 5. სოციალური დაცვის სასამართლოები. განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემისგან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მიუხედავად ფედერაციული მოწყობისა, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ეს სასამართლოები არ არის დაყოფილი ფედერაციისა და მიწების დონეზე[43]. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლოები არის სამ საფეხუროვანი, ქვედა დონის მიწის ადმინისტარციულ საქმეთა სასამართლოები, ზედა ინსტანციის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოები და უმაღლესი, ფედერალური ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო[44]. გერმანიის შემთხვევაში თავად ადმინისტრაციულ სასამარლოებში არის თემატური სპეციალიზაცია მოსამართლეების სხვადასხვა თემატური საკითხების მიხედვით. საინტერესოა ისიც, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოებში, გარდა პროფესიონალი იურისტი მოსამართლეებისა, არიან ასევე, არაიურისტი მოსამართლეები, რომლებიც იურისტებთან ერთად განიხილავენ ადმინისტრაციულ დავებს.[45]

გერმანიის ფედერაციული სახელმწიფოს შემთხვევაში - თეორიაში არსებობს საინტერესო განმარტება ადმინისტრა-

---

43 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 184

44 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 188

45 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 189

ციული და საერთო იურისდიქციის სასამართლოების გამიჯვნის თაობაზე. გერმანელი მეცნიერები მიუთითებენ, რომ მსგავსი გამიჯვნა არანაირად არ არის დაკავშირებული ხელისუფლების დანაწილებასთან და ამ მიდგომის სათავეები ჯერ კიდევ რომის სამართალში იღებს საწყისს, რა დროიდანაც გამიჯნული იყო საჯარო და კერძო სამართალი.[46] ხშირად სხვადასხვა სასამართლოების არსებობის გამო წარმოიშობა განსჯადობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ცალკე სპეციალიზებული სასამართლოების არსებობის ნეგატიური მხარეა და ამასთან მიჯნის გავლება უფრო და უფრო რთული ხდება იმის გათვალისწინებით, რომ სამართლის სხვადასხვა დარგებს შორის მიჯნის გავლებაც საკმაოდ რთულია.

5. საჩივარი და სარჩელი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში

საჩივრის უფლება, მოქალაქეთა საყოველთაო უფლებაა, რომლითაც ისინი უზრუნველყოფენ საკუთარი ინტერესების დაცვას. საჩივარი გამოიყენება პირადი ინტერესების დასაცავად და ეხება უშუალოდ პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას და, როგორც წესი, არ მოიცავს მესამე პირის მიერ სხვისი სახელით საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას.[47] ლიტერატურაში, ფართო გაგებით, საჩივარში და გასაჩივრებაში მოიაზრებენ, როგორც გასაჩივრებას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე სასამართლოებში.[48]

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, თავისთავად არ არის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი და ის ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ნაწილია, თუმცა მას აქვს მნიშვნელოვანი პროცესუალური დატვირთვა.

კანონიერების უზრუნველყოფა სახელმწიფო მმართველობაში მიიღწევა, როგორც სახელმწიფო მმართველობის შიგნით,

---

46 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 191

47 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 172-174

48 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 174

ასევე მის გარედან კონტროლის მექანიზმების არსებობით.[49] მმართველობის აპარატის შიგნით კანონის უზენაესობის დაცვას ადმინისტრაციულ იურისდიქციულ კონტროლს უწოდებენ, ხოლო გარეთ, ადმინისტრაციულ იუსტიციას.[50] საინტერესოა, რომ სასამართლოში სამართალწარმოებასთან მსგავსების გამო, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას, ზოგჯერ კვაზისასამართლო პროცედურასაც კი უწოდებენ.[51]

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მაგალითად, ქართული სამართლებრივი სისტემისგან განსხვავებით, საჩივრის როგორც სარჩელის დასაშვებობის გამოყენება რიგ სისტემებში შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში, ერთი როცა მოთხოვნა ეხება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გაუქმებას და მეორე როცა გასაჩივრებულია ადმინისტრაციული ორგანოს უარი აქტის გამოცემაზე.[52] იტალიაში მოქმედებს საჩივრის გადაწყვეტის ტერიტორიული წესი და საჩივარი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს იმ ორგანომ სადაც დავის საგანია წარმოშობილი.[53] საქართველოში მოქმედი რეგულირება მსგავს შეზღუდვას არ ითვალისწინებს და მიუთითებს, რომ გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. გარდა ცალკეული კანონით გათვალისწინებისა, შემთხვევები, როცა საჩივრის ინსტიტუტის გამოყენება არ არის სავალდებულო, თა-

---

49 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 331

50 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 331

51 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ. 116

52 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. pag. 220

53 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობამერიდიანი, თბილისი 2002. გვ. 126

ვად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ადმინისტრაციული საჩივარი არ გამოიყენება დამოუკიდებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში, ასევე, საჩივრის ინსტიტუტი არ გამოიყენება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების დროს და ისეთ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰყავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, მაგალითად, ასეთი ზემდგომი ორგანო არ ჰყავს კოლეგიურ ადმინისტრაცულ ორგანოებს.[54]

ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რეგულირების მიუხედავად, თეორიაში საჩივრის ინსტიტუტის გამოყენება არ არის მიჩნეული მიზანშეწონილად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრასთან მიმართებით, რამეთუ მიიჩნევა, რომ ამ შემთხვევაში სარჩელის ეს ფორმა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული აქტის ბათილად ცნობის გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის სახეს მიიღებს.[55]

საქართველოში ადრე მოქმედი (2007 წლამდე) კანონმდებლობით პირს შეეძლო არ მიემართა ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ორგანოსათვის და სარჩელი პირდაპირ სასამართლოში წარედგინა. აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებული იყო მოსახლეობაში მმართველობითი აპარატის მიმართ არსებული ნდობის დაბალი ხარისხით.[56]

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სირთულის, სასამართლოში სამართალწარმოების ხანგრძლივობის გათვლისწინებით, საჩივრის ინსტიტუტი იძლევა პრევენციული ზომების მიღების და ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მართლზომიერების შეფასების საშუალებას

---

54 იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი XIII. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270> [30.08.2017ნ.]

55 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 ნ. გვ. 116-117

56 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 ნ. გვ.114

ზედმეტი დანახარჯების გარეშე. [57]

ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში არსებული ეს ინსტიტუტი ძალიან ჰგავს გერმანულ სისტემაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესებს. აღნიშნული მსგავსება რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხშიც პოვებს გამოვლინებას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის განხილვის შედეგად შესაძლებელია პირის მდგომარეობის გაუარესება, ადმინისტრაციულმა ორგანომ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირის მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლები მოიცავს ორივეს, როგორც გადაწყვეტილებათა კანონიერების, ასევე მიზანშეწონილობის შემოწმების ფარგლებს, რითაც სასამართლო კონტროლი მნიშვნელოვნად განსხვავდება, სისტემის შიგნით ადმინისტრაციული კონტროლისგან. ამავდროულად, საჩივრის განხილვის შედეგად საჩივრის ავტორის მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს. [58]

საინტერესოა იმ არგუმენტების მოსმენა, რაც მნიშვნელოვანია და განაპირობებს ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების აუცილებლობას და სავალდებულოობას. ეს ინსტიტუტი განიმარტება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების შესაძლებლობა, სისტემის შიგნით მოხდეს არა მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება, არამედ იმის დადგენა რამდენად სწორი, მიზანშეწონილი და პოლიტიკის თანამიმდევრულია ეს გადაწყვეტილებები აღმასრულებელ შტოში. მსგავსი შესაძლებლობა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის შანსია, თავადვე გამოასწორონ ხარვეზები მათი არსებობისას. აღნიშნული პოლიტიკური მიზანშეწონილობის შემოწმების განხორციელება სასამართლოების მხრიდან ფაქტობრივად გამორიცხულია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეკონომიურობის საკითხიც და, ასევე, სასამართლოების განტვირთვის თემაც, რაც წინაპირობაა იმის, რომ სასამართლოებს მძიმე ტვირთად არ დააწვეთ ყველა ადმინისტრაციული დავის განხილვა.

---

57 იხ. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა" 2008 წ. გვ.115

58 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 221

6. საპროცესო ვადები

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ვადები ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. კანონის თანახმად, საპროცესო ვადა ეს არის დროის ის მონაკვეთი, რომელსაც უკავშირდება გარკვეული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა. საპროცესო ვადები ადგენს, თუ დროის რა მანძილზეა შესაძლებელი პროცესის მონაწილე მხარეებისა თუ სასამართლოს მიერ საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს, რომ ყველა ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოში უფლების დაცვა ეფექტური იქნება მაშინ, თუ ის გონივრულ ვადებში იქნება მოქცეული. მართალია, ადმინისტრაციული სამართალწარმოების უპირველესი მიზანი პირის უფლების დაცვის უზრუნველყოფაა, მაგრამ, იმავდროულად, კანონი ამ უფლების განხორციელებას გარკვეულ ვადებს უკავშირებს, რაც ემსახურება მართლმსაჯულების ეფექტურ უზრუნველყოფას.

კანონით დადგენილი რიგი უფლებები იზღუდება ვადებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ვადის გაშვების შემთხვევაში, პირმა შეესაძლოა ამ უფლებით ვეღარ ისარგებლოს. მაგ., სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს უნდა წარედგინოს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ვადის დარღვევა გამოიწვევს სარჩელის განუხილველად დატოვებას.

კანონმდებლობით დადგენილი ვადები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად.

1. ვადა, რომლის დაცვა მხარეთა ვალდებულებაა (მხარეთათვის განსაზღვრული ვადები);

2. ვადა, რომლის დაცვა სასამართლოს ვალდებულებაა.

პირველს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგ., მხარის მიერ შუამდგომლობის წარდგენის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა და სხვ. ხოლო მეორეს მაგ., სარჩელის გავნხილვის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის, შუამდგომლობების განხილვის ვადა და ა. შ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციულ პროცესში ვადების დაცვასთან დაკავშირებით ერთგვარ კონტროლს სწორედ სასამართლო ახორციელებს. ვადები უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სწრაფი მართლმსაჯულების, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

ვადები შეიძლება იყოს კანონით გასაზღვრული (როცა თავად კანონი ადგენს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების ვადას) და კანონით განუსაზღვრელი. უკანასკნელ შემთხვევაში, როცა კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა ვადაში შეიძლება განხორციელდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, სასამართლო უფლებამოსილია, თავად დაადგინოს ეს ვადა. სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა უნდა იყოს გონივრული, რომ ეს დრო შესაბამისი იყოს იმ მოქმედების შესასრულებლად, რისთვისაც ის განისაზღვრა.[59]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეხუთე თავში საპროცესო ვადებზეა საუბარი. როგორც კანონი ადგენს, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. სასამართლო ვალდებულია, ზედმიწევნით დაიცვას გასაჩივრების უფლებაზე მითითების წესი. ეს მითითება კომპლექსურია, რომლის დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ვადა იზრდება ერთ წლამდე.

ვადების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ამ ვადის ათვლის საკითხია. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვადის დადგენა, არამედ იმის განსაზღვრაც, თუ საიდან მოხდება დადგენილი ვადის დინება. ამის გათვალისწინებით, კანონი ავალდებულებს სასამართლოს, ყველა საპროცესო დოკუმენტზე მიუთითოს მისი მიღების, გაგზავნის თუ ჩაბარების თარიღი. ვადების ათვლა, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება არა სასამართლო აქტებში მითითებულ ვადებს, არამედ იმ ვადებს, როდესაც მხარისთვის მისი გაცნობა მოხდა (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

59 იხ. თ.ლილუაშვილი, გ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014ნ., გვ.228.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულება განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საპროცესო ვადის დენა უწყვეტად მიმდინარეობს, მას არ გამოაკლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები, მაგრამ თუ ვადის დამთავრების მეორე დღე ემთხვევა უქმე ან არასამუშაო დღეს, მაშინ მოქმედება უნდა შესრულდეს მომდევნო სამუშაო დღეს. ასეთ შემთხვევაში ვადა დაცულად ჩაითვლება.

კანონმდებლობა ითვალისწინებს საპროცესო ვადების გაგრძელების და აღდგენის შესაძლებლობას. თუ სასამართლოს მიერ მხარისათვის განსაზღვრული ვადა არასაკმარისია იმ მოქმედების შესასრულებლად, რისთვისაც ის განისაზღვრა, მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ ვადის გაგრძელება. ასევე, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობას. მართალია, ვადების განსაზღვრა ემსახურება როგორც სწრაფი მართლმსაჯულების, ასევე, უფლების დაცვის ეფექტურობასა და სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფას, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია გაშვებული ვადის აღდგენა. გაშვებული ვადის აღდგენის წინაპირობაა ის გარემოება, რომ ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა ან სხვა ისეთი განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც დამოუკიდებელი მიზეზით არის გამოწვეული. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაგ., უბედური შემთხვევა, სტიქიური მოვლენები და სხვა, რაც ხელს უშლის პროცესის მონაწილეს, განახორციელოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება (გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, წარადგინოს შუამდგომლობა და სხვ.).

თითოეული ასეთი გარემოებების არსებობა უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლის წარდ-

გენაც უნდა უზრუნველყოს იმ მხარემ, ვის მიერაც მოხდა ვადის გაშვება. განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული (უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები იმ გარემოების არსებობის თაობაზე, რის გამოც მხარე ვადის აღდგენას ითხოვს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენილ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, ანუ სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, ჩაითვლება თუ არა ესა თუ ის გარემოება საპატიო მიზეზად. გადაწყვეტილებას ვადის აღდგენის ან მასზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო იღებს განჩინების სახით, რომელზეც შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა.

კანონმდებლობა ადგენს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას, რომელიც შეადგენს 14 დღეს და მისი დენა იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ამ ვადის გაგრძელებას და აღდგენას. ეს ნორმა იმპერატიულია. სსსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადების გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ეს ნორმა სასამართლოს შესაძლებლობას ართმევს, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გააგრძელოს ან აღადგინოს გაშვებული ვადა. ასევე სსსკ-ის 369-ე მუხლი ადგენს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღეა და მისი გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია, რაც სასამართლოს შესაძლებლობას ართმევს, თუნდაც კანონმდებლობით დადგენილი საპატიო მიზეზების არსებობის შემთხვევაშიც კი, მიიღოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ. როგორც აღინიშნა, ეს ნორმა იმპერატიულია და არ ითვალისწინებს ზოგადი წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიყვანოთ უზენაესი სასამართლოს განჩინება, რომლის მიხედვით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს.ი-ძემ ახალციხის რაიონული სასამართლოს 04.06.08წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით 04.09.08წ. გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გადაეცა 10.08.08წ. როდესაც

საომარი მდგომარეობის გამო შეუძლებელი იყო ქ. გორში მცხოვრებ მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთან დაკავშირება. აღნიშნულის გამო სასამართლოს მიერ დადგენილ გასაჩივრების ვადაში ვერ მოხერხდა სააპელაციო საჩივრის წარდგენა. აპელანტმა ვადის გაცდენის საპატიოდ ჩათვლა მოითხოვა. სააპელაციო პალატა თვლის, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს 04.06.08წ. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლას. ი-ძისათვის უნდა დაიწყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომდევნო დღიდან, 2008 წლის 11 აგვისტოდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს.ი-ძემ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში 04.09.08წ., გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით წარადგინა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმა სპეციალურია და განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი არ იყო ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ემუხლით და ემსჯელა გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლასა და აღდგენაზე.[60]

საპროცესო ვადის გამოთვლისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარისთვის საპროცესო დოკუმენტის ჩაბარებას კანონის მოთხოვნათა დაცვით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება, რომ ჩაიბაროს გადაწყვეტილება. დიდი პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება, ჩაიბაროს.გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. დიდი პალატის განმარტებით, გასაჩივრების წესს საფუძვლად უდევს სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი. გადაწყვეტილების ჩაბარებაში იგულისხმება როგორც მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება, ასევე ამ გა-

60 სუს, ბს-158-153(კს-09)

დაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმფცია.[61]

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. კანონი აქაც იმპერატიულ ნორმას ადგენს და უთითებს, რომ ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა არ შეიძლება.

7. პროცესის ხარჯები

ყველა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან გადავადების შესაძლებლობას მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი[62] სასამართლოს უფლებას ანიჭებს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალიწინებით, იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით[63] კი გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისთვის ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება, ანდა მათი ოდენობის შემცირება. აღნიშნული ნორმები ქმნის საფუძველს, რომ სახელწიფო ბაჟის წინასწარ, რიგ შემთხვევებში კი, საერთოდ გადაუხდელობამ, მატერიალური უსახსრობის გათვალისწინებით, არ შეაფერხოს და არ დააბრკოლოს მხარე და არ წაართვას მას დარღვეული უფლების აღდგენისა და პროცესუალური საშუალებებით დაცვის შესაძლებლობა. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლოს ხარჯებისგან გათავისუფლების, გადავადების ან შემცირების შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს ბაჟის გადახდის შეუძლებლობის შესახებ.

სასამართლოს კანცელარია ამოწმებს, ერთვის თუ არა საქ-

---

61 უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება, საქმე#ას-1161-1106-2014

62 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

63 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 48-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

მეს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ ერთვის, შუამდგომლობების გრაფაში მითითებული არის თუ არა შუამდგოლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების შესახებ. სასამართლოს კანცელარია ფორმალური უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ სარჩელი შემოტანილია სსსკ-ის 177-ე და 178-ე[64] მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით, ან სახელწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შეახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სახელწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.

სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ასევე ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი. აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებს ემატება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათი, თუ სარჩელი დაკავშირებულია საპენსიო უფლებასთან, სოციალური სახის დახმარებასათან, (სტიქიური უბედურების გამო) მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან, მრავალშვილიანი დედის დახმარებასთან, მარტოხელა დედის დახმარებასთან, უფასო სამედიცინო დახმარებასთან, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] და VII[9] თავით გათვალისწინებული საქმეებზე, კერძოდ: ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა

64 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 177-ე და 178-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით; ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სარჩელის განხილვისას სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება არცერთი ინსტანციის სასამართლოში. ეს ნორმა უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი პირებისათვის ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზე მართლმსაჯულების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას.

საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ბაჟის ოდენობა განახევრდება. სახელმწიფო ბაჟის განახევრებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ წესს. კერძოდ, ასკის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნებისმიერი საფუძვლით საქმის შეწყვეტის შემთხვევაში განახევრდება მხოლოდ სახელმწიფო ბაჟი.

საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლი ადგენს უფრო ფართო შეღავათებს და ითვალისწინებს მთლიანად სასამართლო ხარჯების ოდენობის განახევრებას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს, ან მხარეები მორიგდებიან.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს, ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე

ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფაებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიუხედავად, სასამართლო ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით შეაგროვებს ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს და არ ცნობს ბათილად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება საპროცესო ხარჯების წაგებული მხარის სასარგებლოდ ანაზღაურება. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ფინანსური სახის სანქციას, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, იმ შემთხვევაში თუ იგი არ ასრულებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებას, ადმინისტრაციული წარმოებისას არ იკვლევს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და გადაწყვეტილებას იღებს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მხარე, რომელიც ვალდებულია, გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე სასამართლო ხარჯებს ანაზღაურებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად და არა სოლიდარულად.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან, თუ მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად. პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასა-

მართლოს გარეშე ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში მორიგების დროს, როგორც წესი, მხარეები თანხმდებიან როგორც სასამართლო ხარჯების, ისე სასამართლოს გარეშე ხარჯების საკითხზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისთვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

შესაძლებელია, მხარეებმა ვერ ან არ მოილაპარაკონ ამ საკითხზე, რა დროსაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით და, მხარეთა მორიგების გამო, საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინებაში უნდა იმსჯელოს საპროცესო ხარჯების მხარეებს შორის თანაბრად განაწილებაზე. სასამართლოს გარეშე ხარჯების მხარეებს შორის განაწილება არ ხდება და თითოეული მხარე ასეთ ხარჯებს აანაზრაურებს დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად.

სახელმიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანულ კანონმდებლობაში მოქმედი წესი, რომლის თანახმად, მოქმედებს ე.წ. „პროცესის ხარჯების შემწეობის სისტემა". ამგავრი დახმარების მიღებისთვის არსებობს ორი წინაპირობა: 1. მოდავე მხარეს არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა, რათა ანარმოოს პროცესი და 2. სასამართლოს შეფასებით მხარეს უნდა ჰქონდეს წარმატების შანსები. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარე თავისუფლდება სასამართლო ბაჟისა და ადვოკატის ჰონორარის გადახდისგან. ორივე ხარჯი იფარება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მხარე წააგებს პროცესს, იგი, მართალია, თავისი ხარჯებისგან კვლავ თავისუფალია, მაგრამ ვალდებულია, მოწინააარმდეგე მხარეს

აუნაზრაუროს ყველა დანახარჯი.[65]

თავი II. სასამართლოს უნყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა

1. შესავალი

ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეროვნულ ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში, ისე სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს სასამართლოებს შორის ამ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებული დავათა სიმრავლე.

ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრობლემატიკას. დასავლეთის ქვეყნების იურისტ მეცნიერთა მიერ არაერთი თეორიის შემუშავების მიუხედავად, საკითხი კვლავ აქტუალური რჩება. არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ კონკრეტულ დავათა სამართლებრივი ბუნების დადგენისათვის საჭიროა დადგინდეს კერძო და საჯაროსამართლებრივ დავათა გამიჯვნის დამატებითი კრიტერიუმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ქართული ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზების შევსებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული დავის სასამართლოში განხილვის წესს, ადასტურებს ქართული ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისა და შესაბამისად, განსჯადობასთან დაკავშირებული დავთა არსებობის ფაქტს.

---

65 იხ. შ. პაპუაშვილი; სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, (მომხსენებელი ლადო ჭანტურია), ჟურნალი - „ქართული სამართლის მიმოხილვა" 6 №4 2003, გვ. 466.

მოქალაქეთა ძირითადი, ფუნდამენტური კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებები ადმინისტრაციულ სამართალში მათ უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობაში ასახვას ჰპოვებს. მათ შორის, განსაკუთრებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. საქართველოს კოსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. დაცვის უფლება გარანტირებულია".

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მოქალაქის საყოველთაო უფლებაა, რომლითაც ის უზრუნველყოფს საკუთარი ინტერესების დაცვას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება/უმოქმედობა ან გადაწყვეტილება ლახავს დაინტერესებული მხარის უფლებებს, მას აქვს გასაჩივრების უფლება.

სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლის დარგებად საყოველთაოდ არის აღიარებული დასავლურ ქვეყნებში, ასეთი დაყოფა პრაქტიკულად შემდგარ ფაქტად უნდა იქნას მიჩნეული საქართველოშიც. მართლმსაჯულების სისტემის სამოქალაქო და ამდინისტრაციული სამართლწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის განვითარების კვალდაკვალ, კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის საკითხმა წმინდა თეორიული მსჯელობათა სფეროდან გადაინაცვლა პრაქტიკულ სიბრტყეში. გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა ეხება ძირითადად იმას, თუ სამართლის რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში და რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს დავა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების არსებობა უცილობლად იწვევს სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებულ დავებს. საჯარო და კერძო სამართლის განსაზღვრის საჭიროებას. კერძო სამართლის ნორმები ყოველთვის როდი ფარავს ადმინისტრაციულ სამართაულრთიერთობებს, უკანასკნელთა რეგულირება სპეციალური ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და პროცედურების გარეშე შეუძლებელია. კერძო სამართლებვრივი დავები განიხილება შეჯიბრობითობის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, ხოლო საჯარო სამართლებრივი დავების განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ინკვიზიციურობის საფუძველ-

ზე მიმდინარეობს.[66]

განსჯადობის შესახებ დავების თავიდან აცილება საჯარო სამართალურთიერთობის განვითარების დინამიკურობის, იურისდიქციული სისტემის სირთულის, განსჯადობის კრიტერიუმების არასაკმარისი სიმკვეთრის გამო შეუძლებელია.[67]

2. ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო უწყებრივ ქვემდებარეობასა და სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული დავის არსებობის განმაპირობებელი სამართლებრივი გარემოებები

ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო უწყებრივ ქვემდებარეობასა და სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული დავის არსებობა მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები ძალიან მრავალფეროვანი, დინამიური და სწარაფად ცვალებადია, ვინაიდან იგი არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ სფეროებს. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, დაშვებულია დავა საქმის განსჯადობასთან დაკავშირებით (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თანამედროვე საჯარო მმართველობისათვის დამახასიათებელია ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საქმიანობის საჯაროსამართლებრივ ფორმასთან ერთად, იყენებს კერძოსამართლებრივ ფორმას. კერძოსამართლებრივი ფორმით მოწყობილი საჯარო მმართველობა თავის მხრივ, მოქმედებს როგორც კერძო სამართლებრივი ფორმის, ისე საჯაროსამართლებრივი ფორმის გამოყენებით. აღნიშნული-

66 ადმ. საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ). თბილისი 2008 წ. გვ. 33

67 ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ). თბილისი 2008 წ. გვ. 35

დან გამომდინარე, შეუძლებელია არ წარმოიშვას დავა საქმის განსჯადობასთან დაკავშირებით. საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს ეხება საქართველოს კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, საქარტველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ სა საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმარტველობის შესახებ. საკითხს ართულებს ის მდგომარეობა, რომ არ არსებობს ორგანიზაციული მოწყობის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც შემოიღებდა ორგანიზაციულ მოწყობასთან დაკავშირებულ წესებს და ხელს შეუწყობდა განსჯადობის საკითხის სწორ გადაწყვეტას.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურება არის ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო არის ამ ურთიერთობის აუცილებელი სუბიექტი. იგი თავის საქმიანობაში შებოჭილია კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის, დისკრეციული უფლებამოსილების, თანაზომიერების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპრციულობის, საჯაროობის, გამჭვირვალობისა და სხვა პრიციპებით, რაც მას განასხვავებს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩართული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, რომლებიც აღჭურვილნი არიან კერძო სამართლით გათვალისწინებული ნების ავტონომიურობის პრინციპით. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისათვის დგინდება სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კერძო და საჯაროსამართლებრივი დავების განხილვა სასამართლოში სხვადასხვა სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება.

კერძოსამართლებრივი დავა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სადაც დომინანტი და წარმართველია დისპიზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივი დავა მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესითა და ინკვიზიციურობის პრინციპის პრიმატით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

28[1] მუხლის თანახმად, პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო უფლებამოსილია მხარეს სასკ-ის 22-25 მუხლებით დადგენილი სარჩელის ერთი სახის მეორეთი შეცვლა ურჩიოს, თუკი თავდაპირველად აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესის რეალიზება ვერ მოხდება სრულად და, შესაბამისად, თუ თავდაპირველად არჩეული სარჩელის სახე არ იქნება პერსპექტიული. სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მსგავსი რამ ყოვლად დაუშვებელი და აკრძალულია.

სასკ-ი მართალია აღიარებს დისპოზიციურობის პრინციპს (მაგალითად, უშვებს მხარეთა მორიგებას, სარჩელზე უარის თქმასა და სარჩელის ცნობას), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სამოქალაქო სამართალწარმოების დროს კი, საქართველოს სამოქლაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეებს მორიგების უფლება აქვთ ნებისმიერ დროს.

სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებითაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა სამოქალაქო სამართლაწარმოებისაგან განსხვავებულ წესს ამკვიდრებს. სამოქალაქო პროცესში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ტვირთი აწევს წაგებულ მხარეს. მოცემული ვალდებულება ერთგვარი პრევენციული (გამაფრთხილებელი) ფაქტორია მათთვისაც, ვინც დაუსაბუთებლად (უსაფუძვლოდ) მიმართა სასამართლოს. ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც შეიძლება დაეკისროს პროცესის ხარჯების ანაზღაურება. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ადგილი აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

სასკ-ი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებებთან ერთად დამატებით აწესებს ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთბებისთვის დამახასიათებელ ისეთ საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებას, როგორებიცაა მოსარჩელის მიმართ ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

განხილილული შედარებები ნათლად წარმოაჩენს განსხვავებას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას შორის. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავათა განსჯადობის აღრევას შედეგად მოჰყვება სადავო საკითხის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა, რაც თავისთავად, ასევე, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საკითხს ართულებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა დასახვეწია. დღეს მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ განსხვავებით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისგან, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სასამართლო უწყებრივ ქვემდებარეობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის II თავი) და სასამართლო განსჯადობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავი), იგი ერთმანეთისაგან მკვეთრად არ მიჯნავს საქმეთა განსჯადობისა და უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს. აღნიშნული მდგომარეობა უფრო მეტად წარმოაჩენს საკვლევი საკითხის სიმძაფრეს.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში არის რამდენიმე მუხლი (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2; მე-5 და 26-ე მუხლები), რომლებიც განსჯადობის საკითხს ეხება, თუმცა სასკ-ის მე-5 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ეს მუხლი აწესრიგებს არა განსჯადობას, არამედ სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას. რაც შეეხება სასკ-ის მე-2 მუხლს, იგი შერეული შინაარსისაა. მასში ვხვდებით, როგორც საგნობრივი განსაჯადობის ისე უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხებსაც. ამდენად, იკვეთება, რომ საკანონმდებლო აქტში ადგილი აქვს ტერმინთა აღრევას, რის გამო სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ადმინისტრაციულ პროცესში განსჯადობასთან ასოცირდება. ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მიზნითა და პრობლემატურ საკითხში მეტი სიცხადის შეტანისათვის საჭიროა განიმარტოს, თუ რას ნიშნავს სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა და სასამართლო განსჯადობა და რა სამართლებრივი

შდეგები მოჰყვება მათ დაუცველობას.

სსსკ-ის მე-11 მუხლში მითითებულია ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლიდან წარმოშობილი დავები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილება. ასეთივე ჩამონათვალს შეიცავს სასკ-ის მე-2 მუხლი.

ანგლო-საქსურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს მკაცრი გამიჯვნა სასამართლოებს შორის კომპეტენციის თაობაზე. ანგლო-საქსური სისტემისათვის დამახასიათებელია ადმინისტრაციული დავის განხილვა საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ, რაც მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლებრივ საკითხებსაც. შესაბამისად, არ არსებობს დავა განსჯადობის თაობაზე. კონტინენტური სისტემა ხასიათდება იმით, რომ ადმინისტრაციული სასამართლოების განსჯადობა შეზღუდულია ადმინისტრაციული სამართლის საკითხებით, მათ მიერ არ იხილება კერძო სამართლებრივი დავები. შესაბამისად, გერმანული სამართალი იცნობს განსჯადობის თაობაზე დავას, მაგრამ განსხვავებით, ქართული ადმინისტრაციული სამართლისაგან, რომლის მიხედვით სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო თავისი განჩინებით, განსჯადობის საკითხი პირველ ინსტანციის სასამართლოში წყდება. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის 26.3. მუხლით აღნიშნული საკითხი უკეთესადაა მოწესრიგებული, ვიდრე გერმანიაში. თუმცა, როგორც აღინიშნა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი არის ის, რომ იგი საკანონმდელო დონეზე ერთმანეთისაგან მკვეთრად არ მიჯნავს სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობისა და სასამართლო განსჯადობას. აღნიშნული ხარვეზის სწორი და ეფექტური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა სასამართლოთა შორის კომპეტენციის გამიჯვნის სწორი გადაწყვეტა და სადავო საქმეთა სამართლებრივი ბუნების დადგენა.

სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხების დარღვევას განსხვავებული სამართლებრივი შედეგები მოსდევს, ამიტომ მიზანშეწონილია, განისაზღვროს

თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი.

3. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება და არსი

„სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უწყებრივი ქვედმდებარეობა პასუხობს კითხვაზე: განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს, შედის თუ არა ამ საქმის განხილვა საერთო სასამართლოების კომპეტენციაში? უწყებრივი ქვემდებარეობის გაუთვალისწინებლობას უკავშრდება სერიოზული სამართლებრივი შედეგები: თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო და განიხილა საქმე, რომელიც მას უწყებრივად არ ექვემდებარებოდა და გამოიტანა მის მიმართ გადაწყვეტილება, ასეთი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგან სსკ-ის 394-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება გამოტანილ საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება, წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს .

მას შემდეგ, როდესაც დადებითად გადაწყდება საკითხი იმის შესახებ, რომ აღძრული სარჩელი (განცხადება) ექვემდებარება საერთო სასამართლოების უწყებას, წამოიჭრება მეორე საკითხი: კონკრეტულად რომელმა (თბილისის, ქუთაისის, გურჯაანის, გორის და ა.შ.) სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე. სასამართლო განსჯადობა, ამრიგად, მოწოდებულია მოანესრიგოს, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები. ამ საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობა და პრაქტიკა იყენებს ისეთ ცნებას, როგორიცაა ტერიტორიული განსჯადობა, ნივთობრივი განსჯადობა, ალტერნატიული განსჯადობა, განსაკუთრებული განსჯადობა და ა.შ.[68]"

სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სასამართლო განსჯადობა. ამას მოწმობს უწყებრივი ქვემდებარეობის სამართლებრივი საფუძვლებიც. ზო-

68 იხ. ასახ. ნაშრომი, გვ. 29-48

გადი საფუძველი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. „სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა სამართლის დარგთაშორისი ინსტიტუტია, რომელიც ასრულებს სხვადასხვა იურისდიქციულ ორგანოთა შორის საქმეების განაწილების მექანიზმის ფუნქციებს."[69]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ერთმანეთისგან მკვეთრად არ მიჯნავს განსჯადობას და უწყებრივ ქვემდებარეობას. მათი გამიჯვნა მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ საპროცესო ურთიერთობებშიც, თუნდაც იმიტომ რომ მათი დარღვევა განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის ცალცალკე მუხლებში აისახოს უწყებებრივი ქვემდებარეობის საგნობრივი, ინსტიტუციური და ტერიტორიული განსჯადობის საკითხები. საკანონმდებლო აქტში აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას.

მაგალითად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს გარკვეული პირობების შემთხვევაში (სსს კ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო თუ სასამართლოს საქმე უწყებრივად არ ექვემდებარება საქმის წარმოება წყდება სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით; ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები თავისი ინიციატივით ამოწმებენ უწყებრივ ქვემდებარეობას, ხოლო განსჯადობას მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემა წყდება ე.წ. ტაქსაციის დახმარებით, რომელიც გულისხმობს სასამართლო პრაქტიკის ან კანონის მიერ გარკვეული საერთო პრინციპის (CLAZULA GENERALIS) დაწესებას და ადმინისტრაციული დავის განსაზღვრას, რომელიც ექვემდებარება განხილვას საერთო ან ადმინისტრაციულ სასამართლოებში. ტაქსაცია შეიძლება იყოს ნეგატიური, როდესაც კანონი განსაზღვრავს საქმეს ან საქმეების ჯგუფებს, რომელ-

69 ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 36

თა განხილვაც გამოირიცხება ამა თუ იმ სასამართლოს მიერ; და პოზიტიური, რომელიც მოიცავს იმ საქმეებს და საქმეების ჯგუფს, რომლებიც განიხილება ამა თუ იმ იურისდიქციის სასამართლოებში. ტაქსაციის მეთოდის ნაირსახეობას წარმოადგენს ენუმერაციის მეთოდი, როდესაც ჩამონათვალში მოცემულია არა საქმეები და მათი ჯგუფები, არამედ საქმის სახეობა ზოგადი ფორმით (მაგალითად, საგადასახადო, მინის, სოციალური და ა.შ.).[70]

საერთო პრინციპი, რომლის შესაბამისადაც ხდება საერთო და ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციის გამიჯვნა აშეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულირებით: დავები, რომლებიც წარმოიშობა საჯარო ადმინისტრაციიის ქმედების შედეგად, განიხილება ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მიერ. სხვადასხვა ქვეყნებში ხდება ამ პრინციპის განსხვავებული ინტერპრეტაცია დი იგი ემსახურება საერთო სასამართლოების იურისდიქციის ტაქსაციას.

საფრანგეთში, ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მხრიდან, სასამართლო იხილავს ყველა საქმეს, რომელიც მიეკუთვნება საჯარო ხელისუფლების მმართველობით საქმიანობას. ამ სფეროდან გამოირიცხება მიმართვები ადმინისტრაციულ სასამართლოებში და საერთო სასამართლოს გადაეცემა საკითხები, რომლებიც შეეხება: 1. ირიბ გადასახადებს, საფოსტო სამსახურის საქმიანობას, სოციალურ უზრუნველყოფას, განათლების სისტემის მომსახურეთა უკანონო ქმედებებს და სხვა კატეგორიის საქმეებს. ეს ნეგატიური ტაქსაცია არის გამონაკლისი - კანონმდებლის ნება-სურვილით; იმავდროულად, პოზიტიური ტაქსაციის გზით, კანონი ადმინისტრაციული იუსტიციის გამგებლობას მიაკუთვნებს სახელმწიფოს უძრავი ქონების გაყიდვის საკითხების განხილვას, ასვე საკითხებს ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებს და სხვა; 2. პიროვნების სტატუსს (სამართალუნარიანობას, მოქალაქეობას, პირად თავისუფლებებს), კერძო პირების ქონებას; 3. სახელმწიფო ორგანოების ქმედებებს, რომლებიც არ ატარებს ადმინისტრაციულ ხასიათს.

---

70 საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, გვ. 296

გერმანიის 1960 წლის ადმინისტრაციული სასამართლოების შესახებ კანონის მე-40 პარაგრაფი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენცია ვრცელდება საჯაროსამართლებრივი ხასიათის ყველა დავაზე, გარდა კონსტიტუციურ სამართლებრივი დავებისა. გარდა ამისა, მათ გამგებლობას პოზიტიური ტაქსაციის მეთოდით მიეკუთვნება დავები, რომლებიც დაკავშირებულია დემონსტრაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების აკრძალვასთან, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემსთან, სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხვასთან, გარემოს დაცვასთან, ატომური ელექტროსდგურების მშენებლობასთან. ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციაში შედის ცალკეული სამოქალაქო სამართლებრივი საკიტხების გადაწყვეტაც, თუ ისინი პირდაპირ გამომდინარეობს ადმინისტრაციული საქმიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის სათაურია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. იგი ხუთი ნაწილისაგან შედგება. თითოეული მათგანის ანალიზის საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ აღნიშნული მუხლი ეხება სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობასა და არა განსჯადობას. კერძოდ, სასკ-ის 2.1. მუხლი პოზიტიური ტაქსაციის გამოყენების მეთოდით მიუთითებს, რომ სასამართლოში დავის საგანი შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან;

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება, ან შეწყვეტა;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;

დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას კომპლექსური შინაარსი აქვს. იგი ეხება საჯარო სამართლებრივი დავის გადაწყვეტას. მოცემული დავების გადაწყვეტას დარგთაშორისი ხასია-

თი აქვს.[71] განსხვავებით სისხლისა და სამოქლაქო პროცესებისგან ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი მხოლოდ ერთ მატერიალურ სამართლის დარგს - ზოგად ადმინისტრაციულ სამართალს არ ემსახურება. მისი მეშვეობით რეგულირდება მუნიციპალური, საგადასახადო, სამოხელეო სამართლებრივი დავები. შესაბამისად, სასკ-ის 2.1. მუხლში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ამასთანავე იგი ასახავს არა სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი ადმინისტრაციული დავების შინაარსს, რომლებიც ძალზედ მრავალფეროვანია, არამედ ადმინისტრაციული დავის საგანს, რომლის გადაწყვეტაც ხდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (ენუმერაცია).[72]

სასკ-ის 2.2. მუხლში ასევე საუბარია სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობაზე და მითითებულია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასკ-ში მისი მიღებიდან არაერთი დამატება შევიდა, რომელიც ეხება არასასარჩელო საქმის წარმოებას, რომელთა თაობაზეც მითითებას არ აკეთებს აღნიშნული მუხლი.

სასკ-ის 2.1. მუხლში მითითებული ადმინისტრაციული დავების ჩამონათვალი ამომწურავი რომ არ არის, ამას ადასტურებს ამავე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილი ნეგატიური ტაქსაციის პრინციპის გამოყენებით ადგენს, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნული წესის დამკვიდრება განაპირობა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დამკვიდრებული მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის მცდელობამ. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოები პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, იმ საკითხებზე, რომელთა

71 ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი გვ. 38

72 იხ. იქვე, გვ. 38

გადაწყვეტაც მათ უფლებამოსილებაში შედიოდა სარჩელი შეჰ-ქონდათ სასამართლოში

სასკ-ის 2.3 და 2.4. მუხლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ აღნიშნული მუხლი ერთი მხრივ, ადგენს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვის უფლებამოსილების ფარგლებს, თუმცა იქვე აკეთებს დათქმას, რომ საქმე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული შინაარსის, მაგრამ გარკვეული გარემოებების არსებობისას შეიძლება იგი უწყებრივად არ დაექვემდებაროს სასამართლოს.

სასკ-ის მე-2 მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი, რომელიც ადგენს სასამართლოს უწყებრივი განსჯადობის სპეციალურ წესს. კერძოდ, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ამდენად, სასკ-ი სარჩელის სასამართლოში აღძვრის წინაპირობად, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის წარდგენასა და მისი განხილვის აუცილებლობას. სამწუხაროდ, აღნიშნულ დათქმას პირაპირ არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რაც შეიძლება მის ერთ-ერთ ხარვეზად ჩაითვალოს. ამ საკითხთან დაკავშირებით სზაკ-ში არსებობს 178.3. მუხლი, რომლის თანახმად, პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული ნორმა აშკარად ზოგადი შინაარსისაა და გადამისამართებას აკეთებს სასკ-ზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი ადგენს თუ რომელი ინსტანციის სასამართლოს განსჯადია ამავე კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული და საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული ადმინისტრაციული საქმეეები. ეს საქმეები სასკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, წარმოადგენს რაიონული სასამართლოების განსჯად საქმეებს.

სასკ-ის მე-5 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იგი ადგენს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი რომელი ინსტანციის, რომელი დონის სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ საქმეებს. ასეთ განსჯადობას უწოდებენ გვარეობით, ანუ საგნობრივ განსჯადობას.[73]

4. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები

რაიონული სასამართლოებისადმი ადმინისტრაციული საქმეების საგნობრივ განსჯადობას კანონმდებელი ადგენს გამორიცხვის მეთოდით და განსაზღვრავს, რომ რაიონული (საქალაქო), სასამართლო პირველი ინსტანციის წესით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე. ამ უკანასკნელის მიერ განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი მოცემულია სასკ-ის მე-6 მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე , სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

ე) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმო-

---

73 თ.ლილუაშვილი ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუწყებობა (უწყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა; ჟურნალი მართლმსაჯულება, 2007 #1 გვ.29

შობილ დავასთან დაკავშირებით;

ვ) მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე;

ზ) შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

საქართველოსაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგისტრატურის სასამართლოების შექმნის მიზანი იყო სასამართლო დავების სწრაფი, ეფექტური და იაფი გადაწყვეტა. ამ მიზნის მისაღწევად სასამართლოს მაგისტრატურის სხდომები ნაკლები ფორმალიზმით გამოირჩევა და საპროცესო კანონის მოთხოვნები მათ მიერ სრული მოცულობით არ გამოიყენება.[74]

სამწუხაროდ, იგივე წესი არ ვრცელდება საქართველოს მაგისტრატ მოსამართლეებზე. ისტორიულად, ადმინისტრაციული საქმეების განხილვა ყოველთვის დაკავშირებული იყო მისი გადაწყვეტის სისწრაფის, ეფექტურობისა და უსასყიდლობის პრინციპთან. ამიტომ ამ ახალი ინსტიტუტის შემოღებით, ხელი უნდა შეწყობოდა ხელმისაწვდომი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში მაგისტრატ მოსამართლეს საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას შედარებით გამარტივებული და დაჩქარებული პროცედურით განიხილოს მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის საქმეები, როგორიცაა მაგალითად მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემა, შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება. მაგრამ კვლავ არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა შედარებით უფრო დიდ საპროცესო ვადებთან არის დაკავშირებული, მაგალითად საჯარო სამსახურში

74 ადმინისტრაციული საქმეების საგნობრივი განსჯადობა ინგა თოდრია ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4 2005 წ. გვ.99

შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვა. ამიტომ თუ საქართველოს კანონმდებლობა არ განუსაზღვრავს მაგისტრატ მოსამართლეებს ზოგიერთ საპროცესო ნორმათა გამოყენების დისკრეციულ უფლებამოსილებას, ისინი ვერ შეძლებენ საქმეთა სწრაფად და ეფექტურად განხილვა-გადაწყვეტას, კვლავ გაგრძელდება გაჭიანურებული საქმეების სასამართლოებში დაგროვების ტენდენცია და არ ამუშავდება პრინციპი, რომლის თანახმად, მარტივი საქმეები მარტივად და სწრაფად უნდა წყდებოდეს.[75]

სასკ-ის მე-5 მუხლის მეორე ნაწილი აკეთებს დათქმას, რომ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს შეუძლიათ პირველი ინტანციით განიხილონ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმეები მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

სასკ-ის 26-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ იგი ცალსახად არც სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობასა და არც სასამართლო განსჯადობას ეხება. მისი პირველი ნაწილი ავალდებულებს მხარეებს, რომ სარჩელი უნდა წარუდგინონ იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე, ხოლო თუ ისინი არასაკმარისი ცოდნისა და გამოცდილების გამო სარჩელს შეიტანენ არაგანსჯად სასამართლოში, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს, რის თაობაზეც აცნობებს მოსარჩელეს. მაგალითად, დაინტერესებულმა მხარემ სარჩელი შეიტანა ქ. ფოთის სასამართლოში, მაგრამ გაირკვა, რომ აღნიშნული დავა სენაკის რაიონული სასამართლოს განსჯადია, ფოთის რაიონული სასამართლო ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს ფოთის სასამართლოს და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს დაინტერესებულ მხარეს.

მართალია სასკ-ი არ არეგულირებს იმ შემთხვევას, როცა ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს არაგანსჯად კოლეგიაში შეტანილია სარჩელი, როგორ იქცევა ეს უკანასკნელი,

75 ადმინისტრაციული საქმეების საგნობრივი განსჯადობა ინგა თოდრია ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4 2005 წ. გვ.99

მაგრამ ანალოგიის წესით ამ დროს უნდა გავრცელდეს სასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება. მაგალითად ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შესული სარჩელი აღმოჩნდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი. ასეთ შემთხვევაშიც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ხოლო იმ შემთვევაში, თუ სასამართლოებს შორის წარმოიშობა დავა განსჯადობის თაობაზე საკითხს წყვეტს საკასაციო სასამართლო თავისი დასაბუთებული განჩინებით (სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საკითხს, თუ რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ უნდა განიხილოს საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე ადმინისტრაციული საქმე, ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ აწესრიგებს, ამიტომ სასამართლოებმა და, მათ შორის, საკასაციო სასამართლომ, თუ ის წყვეტს დავას განსჯადობის შესახებ, უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის III თავით (მე-13-23-ე მუხლები).[76] მიგვაჩნია რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაზე მითითება, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნაკლოვანებას.

საქართველოში განსხვავებით საზღვარგარეთის ქვეყნებისაგან საერთო სასამართლოების მსგავსად არ მოქმედებენ სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოები, როგორიცაა მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებში საერთო სასამართლოებთან ერთად მოქმედი ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოები ადმინისტრაციული ტრიბუნალების სახით, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარჩოებში.

გერმანიაში არსებობს როგორც საერთო ადმინისტრაციული იურისდიქციის, ისე სპეციალიზებული ადმინისტრაციული იურისდიქციის ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა. მართლმსაჯულების განსაკუთრებული შტოები, ადმინისტრაციულ სასამართლოებთან ერთად, ქმნიან სპეციალური იურის-

76 თ.ლილუაშვილი ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუწყებობა (უწყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა; ჟურნალი მართლმსაჯულება, 2007. # 1 გვ.30

დიქციის სასამართლოებს: სოციალური, რომელიც განიხილავს დავებს სოციალური სფეროს მართვის ურთიერთობების და სოციალური უზრუნველყოფის დარგში; დისციპლინური, რომლის გამგებლობაში შედის დავები საჯარო მოხელეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. თითეული მათგანი მოქმედებს მათთვის შემუშავებული საპროცესო წესების შესაბამისად. მაგალითად, საფინანსო დავები განიხილება საფინანსო საქმეების სამართალწარმოების შესახებ კანონის (შემდგომი ცვლილებებით) შესაბამისად, სოციალურ საკითხებზე დავა განიხილება სოციალური საქმეების სამართალწარმოების შესახებ კანონის შესაბამისად და ა.შ. [77]

აღნიშნული მდგომარეობის გამო, მართალია, საქართველოში სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობასა და განსჯადობასთან დაკავშირებით დამატებითი სამართლებრივი პრობლემები არ არსებობს, მაგრამ გერმანიის მსგავსად სპეციალიზირებული სასამართლოების არსებობა ხელს შეუწყობდა მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას.

5. ადმინისტრაციული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის ან სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის შედეგად საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

კონკრეტული დავის ბუნების დადგენა, კერძო სამართლებრივი შინაარსისაა იგი თუ საჯარო სამართლებრივი ბუნების, განაპირობებს სასამართლო განსჯადობის საკითხის სწორ გადაწყვეტას. თუმცა, დიდი ალბათობით, შესაძლებელია სწორად ვერ განისაზღვროს დავის შინაარსი და ადმინისტრაციულ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოებით დადგენილი წესით განიხილონ და პირიქით, კერძოსამართლებრივი დავაზე ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილება. ასეთი საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება აპრიორი არ

77 მთარგმნ. ი. ხარშილაძე, ნ. ოვსიანიკოვა საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი 2014; გვ. 289, 290

იქნება უკანონო. ამ სადავო საკითხთან დაკავშირებით, იურისტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატამ ერთ-ერთ თავის განჩინებაში აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: „საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისგან და რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები."[78]

ზოგადად, გადაწყვეტილება უკანონოა, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს, ან მოსამართლემ გამოიყენა ის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ან მის მიერ არასწორად მოხდა კანონის შინაარსის გაგება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ამგვარ დარღვევას ადგილი არ აქვს. სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ ეს უკანასკნელი მართალია შეიცავს ზოგიერთ საგამონაკლისო პრინციპებს, როგორიცაა ინკვიზიციურობის პრინციპი, მოსამართლის აქტიურობა და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვაზე ზედამხედველობა, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი ადგენს თითქმის იგივე წესს, რასაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. კერძოდ, სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე, ე.ი. (მტკიცების საგანი საქმეზე) და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ."

---

78 სუსგ, საქმე #ბს-1630-1203 (გ-05) 41-06

აღნიშნული მუხლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ საკასაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული პროცედურით განხილვა იწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილებას, რბილად, რომ ითქვას, საკამათოა.

ამ სადავო საკითხან დაკავშირებით სავსებით მისაღებია პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს: „შეიძლება ადმინისტრაციულ საკასაციო პალატას სხვა რამე ჰქონდა მხედველობაში, კერძოდ, სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული პროცედურით განხილვა ყოველთვის უნდა იწვევდეს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განსახილველად უკან დაბრუნებას.

ცხადია, ასეთი პოზიციაც არ იქნება სადავო (იგი აფართოებს სსკ-ის 394-ე მუხლის ჩამონათვალს), მაგრამ არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც აშკარად მცდარად ან გაუგებარ პოზიციად."

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სამართალდარღვევას, რაც ნიშნავს, რომ სამართალდარღვევა განსაზღვრავს გადაწყვეტილების არსს. მაგრამ, თუ გადაწყვეტილება, მიუხედავად სამართალდარღვევებისა, შედეგის მიხედვით სამართლიანია, ვეღარ ვიტყვით, რომ გადაწყვეტილება სამართალდარღვევას ეფუძნება. ამ შემთხვევაში კასაცია დასაბუთებულია. მაგალითად, თუ თუ საქმე სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ განიხილა, ძნელი დასამტკიცებელია, რომ ამ გარემოებამ გადაწყეტილებაზე ზეგავლენა მოახდინა (იმ თვალსაზრისით, რომ მიღებულ იქნა არსებითად არასწორი გადაწყვეტილება), მაგრამ, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ პროცესუალურ ნაკლს, მაშინ იარსებებს იმის საშიშროება, რომ პროცესუალური დარღვევები ყოველგვარი სანქციის გარეშე დასაშვები იქნება. ამიტომ კანონი განსაზღვრავს - მძიმე საპროცესო დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიჩნევა კანონდარღვევაზე დაფუძნებულად."[79]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

---

79 W. Luke. Zivilprozessrecht. Munchen, 1993, s.314-324.

ერთ-ერთი ხარვეზი გახლავთ ის, რომ სამწუხაროდ, იგი არ განსაზღვავს იმ სამართლებრივ შედეგს, რომელიც მოჰყვება არაგანსჯადი სასამართლოს საქმის განხილვას.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავენ იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის (სსკ-ის 394-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი), სასამართლო განსჯადობის დარვევასა (სსკ-ის 21 და 187-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი) და დავის განხილვას სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ (სსკ-ის 394-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი).

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი ნორმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი გარემოება:

ორივე მათგანი, კერძოდ, სასკ-ის 26-ე მუხლი და სსკ-ის 186-ე მუხლის „ე" პუნქტი და 187-ე მუხლი კრძალავს არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვას. მათ შორის განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ სასკ-ის 26-ე მუხლი ადგენს სასამართლოს ვალდებულებას არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სარჩელი გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს, ხოლო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია დაასაბუთოს თავის განჩინებაში თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ. განსჯადობის მოტივით სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

განსჯადობის თაობაზე საკითხს წყვეტს მოსამართლე ერთპიროვნულად სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების დროს, მაგრამ თუ განსჯადობის წესების დარღვევის ფაქტი აღმოჩნდება საქმის შეცდომით აღძვრის შემდეგ საქმის მომზადების სტადიაზე, ან სასამართლოს მთავარ სხდომაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაშინ სსსკ-ის 23-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ საქმე განსახილველად უნდა გადასცეს სხვა სასამართლოს სათანადო განსჯადობის მიხედვით

სსკ-ის 394-ე მუხლის „გ" პუნქტის თანახმად, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის დარღვევა წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს. მისგან განსხვავებით, განსჯადობის წესების უგულებელყოფა ყოველთვის არ იწვევს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას. კერძოდ, თუ დაინტერესებულმა მხარემ სადავო გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ იგი გამოტანილია არაგანსჯადი სასამართლოს მიერ, ის გაუქმებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საპროცესო დარღვევას შედეგად მოჰყვა სასამართლოს მიერ საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა. სსკ-ის 393.3 მუხლის ანალიზის საფუძველზე, რის მიხედვითაც „საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევას შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი," შეიძლება დადგინდეს, რომ „თუ განსჯადობის წესების დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილება არსებითად სწორია, ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია, ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს."[80]

ამდენად, სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, სსკ-ის 393.3 მუხლით დადგენილი წესი უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში განსჯადობის წესების დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებზე.

აღნიშნული მდგომარეობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დღეს მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ხარვეზიანია. სამომავლოდ საჭიროა მისი დახვეწა და სრულყოფა. იგი ამომწურავად უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციული დავების მარეგულირებელ ნორმებს და აქტუალური სამართლებრივი საკითხების განხილვა არ უნდა წყდებოდეს სხვა საკანონმდებლო აქტებზე გადამისამართების გზით, რაც თავისთავად ზრდის სამართლებრივი შეცდომების დაშვების რიცხვს.

---

80 თ. ლილუაშვილი ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუწყებობა (უწყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა; ჟურნალი მართლმსაჯულება, 2007, #1 გვ. 33

6. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლების დაცვის საჯარო-სამართლებრივ საპროცესო საშუალებას ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენს. მას აქვს სამი ფუნქცია: [81]

1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება;

2. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა;

3. სასამართლოების განტვირთვა.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საჩივრის ზემოაღნიშნული სამივე ფუნქციის სრულ რეალიზებას. ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა, სასამართლოში სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა გახდა.

ძველი რედაქციის თანახმად, დაინტერესებული მხარე თავისი შეხედულებისამებრ წყვეტდა საკითს, საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად რომელ წესს გამოიყენებდა. მას შეეძლო ჯერ შეეტანა ადმინისტრაციული საჩივრი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და მხოლოდ ამის შემდეგ, მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მიემართა სასამართლოსათვის, ან ყოველგვარი საჩივრის გარეშე პირდაპირ სარჩელით წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე. ერთადერთი წამახალისებელი ღონისძიება, რაც მოჰყვებოდა ერთჯერადად გასაჩივრების წესის გამოყენებას იყო ის, რომ პირი თავისუფლდებოდა სახელმწიფო ბაჟისგან, მაგრამ ეს ღონისძიება არ აღმოჩნდა ქმედითი და ეფექტური. ამ გამონაკლისით მოქალაქეები იშვიათად სარგებლობდნენ, რაც ხელოვნურად ზრდიდა სასამართლოებში ადმინისტრაციული საქმეების თითქმის ყველა ადამიანი დარღვეული უფლების აღსადგენად პირდაპირ მიმართავდა სასამართლოს, როგორც კომპეტენტურ და კვალიფიციურ ორგანოს. მოსახლეობა ნაკლებად ენდობოდა ადმინისტრაციულ ორგანოებს. სწორედ ამიტომ განხორციელდა აღნიშნული ცვლილება,

81 პ. ტურავა ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 183

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნოვაციას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა თავად იურისტების მხრიდან.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს შესულ ცვლილებას, რომელმაც სარჩელის სასამართლოში დაშვების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის აუცილებლობა დაადგინა, იურისტების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ზოგიერთი მათგანი თვლიდა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაცია ეწინააღმდეგებოდა სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. "ამ მოსაზრების მონინააღმდეგენი კი მიიჩნევდნენ, რომ ადმინისტრაციული საჩივრის სარჩელის დასაშვებობის წინაპირობად დადგენა მეტად პოზიტიური მომენტია ისეთი პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა: ადმინისტრაციული ორგანოების როლის ამაღლება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, სასამარლოების განტვირთვა და მათი საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ამ ორი საწინააღმდეგო შეხედულების შესაფასებლად, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, ხომ არ იზღუდება სასკ-ის 2.5 მუხლით დადგენილი წესით ადამიანის სასამართლოსადმი მიმართვის საპროცესო უფლება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, „სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (შემდგომში სზაკ-ით) დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა."

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ერთ-ერთი უძველესი პროცესუალური უფლებაა, რომელიც დადგენილია სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით, აღიარებულია თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით, მის შესახებ ჩატარებულია მრავალი საინტერესო მეცნიერული კვლევა, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დეკლა-

რირება და სამეცნიერო ნაშრომებში ამ საკითხის მხოლოდ თეორიული ასპექტების გაშუქება არ არის საკმარისი იმისათვის, რათა პრაქტიკაში რეალურად და უნაკლოდ ამოქმედდეს სასამართლო დაცვის გარანტიები.

„სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, შინაარსობრივად კი ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს."[82] შეუძლებელია არ იქნეს გაზიარებული აღნიშნული დებულება, მაგრამ სასამართლოში სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობა, რაც სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადად გასაჩივრების ვალდებულებას გულისხმობს.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების განსამტკიცებლად საინტერესოა ევროპული ქვეყნების გამოცდილების მოშველიება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სადავო ან დარღვეული უფლების აღდგენა ხდება სასამართლო ან კვაზისასამართლო წარმოების გზით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დაიშვება სადავო საკითხის ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემდეგ, ხოლო სპეციალური კანონმდებლობით კი განისაზღვრება გადაწყვეტილების მართლზომიერების შიდაუწყებრივი შემოწმების ფარგლები. მიზანშეწონილია თითოეული მათგანის განხილვა.

მაგალითად, ფრანგულ ადმინისტრაციულ სამართალში ადმინისტრაციული გასაჩივრება მიჩნეულია, როგორც ადმინისტრაციული კონტროლის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს სასამართლო წესით გასაჩივრებას. სხვაგვარად რომ ითქვას, სახელმწიფო საბჭოსა და ადმინისტრაციული სასამართლოსადმი მიმართვა, გარდა დადგენილი შემთხვევებისა, შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემდეგ.[83]

---

82 კ.კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (იურიდიული სახელმძღვანელო), გამომცემლობა „ჯისიაი" თბ., 2008, 341

83 ი. ხარშილაძე ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა გამომცემელი: თბილისი, სამართლის ჟურნალი, N1, 2011, 182-186;

საინტერესოა, ასევე, გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოში დადგენილი გასაჩივრების წესი: თუ სახელმწიფო ორგანოს ქმედებით დაირღვა ადამიანის უფლებები, მოქალაქეს შეუძლია თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ფედერალიზმის კონსტიტუციური პრინციპის შესაბამისად, გერმანიაში არსებობს ფედერალური და მიწის ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლოები. ამ სისტემის მიხედვით, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოები განიხილავენ მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც ქვედა დონეზე ვერ ხერხდება. ადმინისტრაციული საჩივარი განიხილება ჯერ მიწის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, შემდეგ მისი გასაჩივრება შესაძლებებლია მიწის ადმინისტრაციულ სასამართლოში და საბოლოო საკასაციო ინსტანცია ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოა. „ადმინისტრაციული წარმოების შესახებ" კანონში აღნიშნულია: „თუ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრის წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში არ მიიღო რაიმე გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, მაშინ საჩივრის წარმდგენ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს შესაბამისი აქტის გაუქმების მოთხოვნით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების სისტემა სამი ინსტანციისაგან შედგება. ორი ინსტანცია მიწის დონეზე: ადმინისტრაციული სასამართლო და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო და მესამე ინსტანცია ფედერალურ დონეზე - ფედერალური სასამართლო."[84]

გერმანული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ცალკეულ შემთხვევებში აწესებს წინასწარი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას.

წინასწარი წარმოება დავის სასამართლო განხილვის წინამდებარე ადმინისტრაციული წარმოებაა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ახორციელებს თვითკონტროლს.

წინასწარი წარმოება ემსახურება ასევე ადამიანის სამართლებრივი დავის მიზანს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ადმინის-

84 ი. ხარშილაძე „ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა" გამომცემელი: თბილისი, სამართლის ჟურნალი, N1, 2011, 186-190;

ტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელახლა განიხილება მთელი მოცულობით, მოწმდება სრულად, რაც ხანდახან სასამართლო წესით შეუძლებელია.

„წინასწარი წარმოების არცთუ ურიგო მიზანია სასამართლოთა საქმიანობის გაადვილება, რადგან ამ პირობების არსებობისას შესაძლებელია სასამართლოთა განტვირთვა."[85]

ნიდერლანდების ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში აღიარებულია, რომ დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციული საჩივარი უნდა შეიტანოს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოში, არამედ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რასაც „ადმინისტრაციული აპელაცია" ეწოდება. თუმცა, იმავე ქვეყნის კანონმდებლობით, ასევე, დასაშვებია სასამართლოში პირდაპირ სარჩელით მიმართვაც.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შინაარსის გასარკვევად საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომელიც მან დაადგინა 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე - მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე და მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი უფლებას აძლევს ყოველ ადამიანს თივის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლო დაცვაზე უფლების რეალიზება პროცესუალური ნორმებისა და საშუალებების ერთობლიობით მიიღწევა , სამართალწარმოების პრინციპების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენას. სასამართლოზე მიმართვის უფლება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სარჩელის შეტანით, იგი მოიცავს სამოქალაქო პროცესის ყველა სტადიას, მოქალაქეთა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით აღიარებული უფლებების დაცვას ამ სტადიებზე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არამარტო უნდა არსებობდეს, არამედ პრაქტიკულად რეალიზებადი უნდა იყოს" ამდენად, ნორმის კონსტიტუ-

85 ვაჩაძე მ., თორდია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ., 2005, 139.

ციურობის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება მხოლოდ მისი ვიწრო გაგებითა და სამართლებრივად დასაშვებობის საკითხზე მსჯელობებით შემოფარგვლა. საკითხის სრულყოფილი განმარტებისთვის უცილებელია მისი პრაქტიკულად რეალიზების შესაძლებლობების შესწავლა; უფლების დაცვის ეფექტური საშუალების შერჩევა მხოლოდ ისე, რომ არ მოხდეს კანონიერი მიზნის უგულველყოფა და, შესაბამისად, კონსტიტუციით დაცული უფლების არაპროპორციულად შეზღუდვა. როგორც აღინიშნა, სასამართლო დაცვაზე უფლების რეალიზება პროცესუალური ნორმებისა და საშუალებების ერთობლიობით მიიღწევა. ადმინისტრაციული სამართლის პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, ასეთ საშუალებად პრეიუდიციული წესით გასაჩივრების ინსტიტუტი უნდა ჩაითვალოს, რაც იმავდროულად, ხარისხიანი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების საწინდარია.

ევროპის სასამართლო 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე - „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ" - ხაზს უსვამს „გასაჩივრების არა მარტო თეორიულ და პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას შესაბამის დროს, არამედ, ამ საშუალებას წარმატებით გამოყენების საფუძვლიანი პერსპექტივის შეთავაზებასა და არსებობას". ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ევროპის სასამართლო არ მიიჩნევს შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვას სავალდებულოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საშუალებებით სარგებლობა განმცხადებელს წარმატების საფუძვლიან პერსპექტივას ვერ შესთავაზებს. შესაბამისად, ამ ფაქტორების გათვალისწინებით სასამართლომ განაცხადა: „სასამართლომ რეალურად უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ფორმალური საშუალების არსებობა, არამედ ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ."

მართალია, ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის განხილვას ჯერ კიდევ მთელი რიგი ხარვეზები ახლავს თან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ უარი ითქვას გასაჩივრების პრეიუდიციულ წესზე. აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციის დანერგვას აქვს მთელი რიგი წინაპირობები. მისი განხორ-

ციელების აუცილებლობა განპირობებულია ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკით. კერძოდ, როგორც ცნობილია:

- ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ისინი, ერთი მხრივ, ახორციელებენ ადმინისტრაციულ წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად გამოდიან მმართველობითი საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის არბიტრებად;
- საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის პირველი ეტაპია. მისი მიზანია, ადმინისტრაციულ ორანოს მისცეს შანსი, კიდევ ერთხელ შეაფასოს მის მიერ გამოცემული აქტი, ხოლო ზემდგომ ორგანოს შესაძლებლობა, განახორციელოს ქვემდგომი ორგანოს კონტროლი
- ადმინისტრაციული საჩივრის განხილვით ადმინისტრაციული ორგანოები უზრუნველყოფენ დარღვეული უფლების აღდგენას, რაც, თავისთავად, კანონიერების რეჟიმის განმტკიცებას უწყობს ხელს და თუ სასამართლო წარმოების სავალდებულო წინაპირობად დარჩება ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების წესი, ამით ხელი შეეწყობა სამართლიანი სასამართლოს იდეის რეალიზებას.
- ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში განხორციელებული ადმინისტრაციული კონტროლის ფარგლები უფრო მოცულობითია, ვიდრე სასამართლო კონტროლისა. კერძოდ, ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების დროს მოწმდება გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და კანონიერება, მაშინ როდესაც სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ კანონიერების შემოწმებით.
- როგორც აღინიშნა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს სარჩელის დასაშვებობის აუცილებელი წინაპირობის ფუნქცია. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ენიჭება, მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. ამდენად, სავსებით მისაღებად უნდა ჩაითვალოს ადმინის-

ტრაციულ საპროცესო სამართალში დადგენილი ეს ცვლილება. თუმცა, უნდა აღინისნოს, რომ ამ საკანონმდებლო ნოვაციას აქვს თავისი ხარვეზები, რაც საჭიროებს განმარტებას. მიზანშეწონილია პრობლემები სასკ-ის 22 - 24 მუხლებში ჩამოთვლილი სარჩელთა სახეების მიხედვით.

როგორც აღინიშნა, სასკ-ის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა. ადმინისტრაციული საჩივრის ცნებიდან და სზაკ-ის 177-ე მუხლიდან გამომდინარე ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების მოთხოვნა ეხება სასკ-ის 22-24 მუხლებით გათვალისწინებულ სარჩელებს. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ არის სასამართლოს ფუნქცია. უფრო სწორი იქნებოდა ფორმულირება, რომ არ არსებობს საჭიროება ამ აქტით დარღვეული საჯარო სამართლებრივი უფლების სასამართლო დაცვისა, რადგან ასეთი აქტი კანონიერია და მისი გაუქმება დაკავშირებულია მხოლოდ ისეთი გარემოებების არსებობასთან, რაც მოცემულია სზაკ-ის 61-ე მუხლში. სასამართლოს ფუნქცია კი მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების, მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენაა. თუ აღმოჩნდება, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკანონოა, მაშინ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების შემდეგ სასამართლო მას ბათილად ცნობს. ამიტომ მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს სასკ-ის 22-ე მუხლის ამ რედაქციით არსებობა. საჭიროა შეიცვალოს მისი ფორმულირება და შესაბამისად, სახელწოდებაც. კერძოდ, აღნიშნულ მუხლს უნდა ეწოდოს სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების თაობაზე, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ხშირად სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებენ სზაკ-ის 60[1] და 61-ე მუხლებს, რაც არ არის სწორი. როგორც ცნობილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ეხება ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის წესს და შესაბამისად, აღნიშნული მუხლებით ად-

მინისტრაციული ორგანოები და არა სასამართლოები აუქმებენ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, თუკი შეიცვლებოდა სასკ-ის 22-ე მუხლის სახელმწოდება შემოთავაზებული ფორმულირებით, სასამართლოებიც აღარ მიუთითებდნენ საკუთარ გადაწყვეტილებებში სზაკ-ის 60[1] და 61-ე მუხლებზე.

სადავოა ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებული საკითხი. კერძოდ, იურისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ სარჩელის წარმოებაში მიღების პირობად ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა არ ვრცელდება რეალაქტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივად, გამოირიცხება სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაზე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა და იგი ყოველთვის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სარჩელის სახეს მიიღებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვონ ქმედების განხორციელება, ხოლო უარეს შემთხვევაში, სასამართლოში მიზანი მიიღწევა არა სარჩელით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ (სასკ-ის 22-ე მუხლი), არამედ სარჩელით ქმედების განხორციელების თაობაზე (სასკ-ის 24-ე მუხლი). თუმცა სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სარჩელზე ქმედების განხორციელების თაობაზე არ გავრცელდეს პრეიუდიციული გასაჩივრების წესი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების თაობაზე უფლების დაცვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებულია ბუნდოვანი ნორმები და, შესაბამისად, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც რთული გასარკვევია, უფლებამოსილებასთან მიმართებით კანონი რა ხარისხით ირღვევა. კერძოდ, სზაკ-ის 5.3 მუხლის თანახმად, უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. იმავე კოდექსის

60.1 მუხლის „ბ" ქვეპინქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამ შემთხვევაში პრობლემურია თავად უფლებამოსილების ხარვეზის ხარისხის დადგენა, ვინაიდან სზაკ-ის 60.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტში იგულისხმება, როგორც უფლებამოსილების გადამეტება, ასევე მის გარეშე მოქმედება. სწორედ უკანონობის ხარისხის მიხედვით დგინდება სამართლებრივი შედეგების გამიჯვნა, ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობას. მოქალაქეს არ აქვს ვალდებულება თავად დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების უკანონობის ხარისხი, ამიტომ სზაკ-ში ზუსტად უნდა იყოს განმარტებული თუ რას ნიშნავს უფლებამოსილების გადამეტება.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარებისათვის არავითარი ვადა არ არის დადგენილი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, აუცილებელია, დაინტერესებულმა მხარემ გამოიყენოს პრიუდიციული გასაჩივრების წესი. რაც შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარებას, ვინაიდან ამ დროს სახეზეა უფლებამოსილების დარღვევის ისეთი მაღალი ხარისხი, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ანულირებულია და ადრესატი მას საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო დაიწყებს მის აღსრულებას, დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება, ამგვარი უკანონობის აღსაკვეთად პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.

ადმინისტრაციული საჩივარი არ არის სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებზე. ადმინისტრაციული ხელშეკრულება ისევე როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული წარმოების პროდუქტია, მაგრამ მათ შორის

სხვაობა ისაა, რომ თუ პირველი მხარეების მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იდება, მეორე ცალმხრივი ნების გამოხატვის ფორმაა და არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობას. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საჩივარი დაუშვებელია.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. სზაკ-ის მე-13 თავი ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების წესს და, შესაბამისად, ამ ინსტიტუტის გამოყენების შემდეგ თუ არ მოხდება დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესის აღდგენა, მან საკუთარი უფლების დასაცავად სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს. რაც შეეხება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას, დაინტერესებულ მხარეს ყოველგვარი გასაჩივრების წინაპირობის გარეშე უნდა ჰქონდეს სასამართლოსადმი პირდაპირ მიმართვის უფლება.

პრაქტიკაში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად, მიზანშეწონილია სზაკ-ში შევიდეს დამატება და ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის აუცილებელი წინაპირობა, სადაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთება ამ ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა და განისაზღვრება ის შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება პრეიუდიციული გასაჩივრების წესი. ასეთი გამონაკლისი უნდა დადგინდეს იმ გარემოებებზე, როდესაც დავის საგანია ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე; რეალაქტის განხორციელება ან მისი განხორციელებისაგან თავის შეკავება, იმ ორგანოების მიერ მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტების გაუქმებისა თუ გამოცემის შესახებ, რომლებსაც არ ჰყავთ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და ა.შ.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების დროს თვალშისაცემია შემდეგი მდგომარეობა:როდესაც სასამართლო სასარჩე-

ლო განცხადებაზე დაადგენს ხარვეზს და მოსარჩელე მხარეს დაავალებს წარადგინოს მტკიცებულება ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის თაობაზე, დაინტერესებული მხარე დაზუსტებული სარჩელით მიმართავს სასამართლოს, სადაც იგი მიუთითებს, რომ მან გამოიყენა სასკ-ის 2.5 მუხლით დადგენილი წესი. თუმცა, შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დგინდება, რომ მოსარჩელემ მხოლოდ ხარვეზის დადგენის შემდეგ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს საჩივრით. ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით და ისე, რომ არ გასულა აღნიშნული საკითხის განხილვის ვადა, მხარეს იმავე საკითხზე შეაქვს სარჩელი სასამართლოში.

საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილისაგან განსხვავებულ წესს ადგენს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები. მაგალითად, საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 127.1 მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები პირდაპირ საჩივრდება სასამართლოში, ასეთივე წესით საჩივრდება იმ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებსაც არ ჰყავთ ზემდგომი ორგანო (მაგალითად საქართველოს პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევით წარმომადგენლობითი ორგანოები, აუდიტის სამსახური, ეროვნული ბანკი და ა.შ.).

პრობლემატურია გასაჩივრების წესი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამავე დებულების მე-4 ნაწილის თანახმად, სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრის წარმოებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სააგენტო, რომელიც არის კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამ კანონით განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო. ამავე კანონის მე-3 ნაწილის თანახმად, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ მე-4 მუხლის თანახმად, ტერიტორიული სამსახური თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სააგენტოს და ანგარიშვალდებულია სააგენტოს თავმჯდომარის, იმ მოადგილისა და დეპარტამენტის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ადგენენ ერთიდაიმავე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების განსხვავებულ წესს. კერძოდ, 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა, რომლის მიღების წინაპირობა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა,

საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციის, ასევე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე-რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისან შეწყვეტის შესახებ საჩივრდება სასამართლო წესით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. აღნიშნულიდან იკვეთება შემდეგი სურათი: უძრავ ნივთებთან დაკავშირებით ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ საჩივრდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და შემდგომ სასამართლოში, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებასთან ერთად, ხოლო რეგისტრაციის შესახებ ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ საჩივრდება სასამართლოში.

გაუგებარია თუ რა პრინციპით იხელმძღვანელა ამ შემთხვევაში კანონმდებელმა. საქართველოს უზენაესი სასამართლო 25.05. 2011 #ბს-1695-1651 (კ-10) გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში იძლევა შემდეგ განმარტებას: „საკასაციო სასამართლო „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უშუალოდ ან თავისი სარეგისტრაციო სამსახურების და ავტორიზებული პირების მეშვეობით. შესაბამისად, ზემოაღიშნულ მუხლში საუბარია სააგენტოზე, როგორც ერთიან ადმინისტრაციულ ორგანოზე, თუმცა საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის სტრუქტურული წყობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ მას არა აქვს უფლება ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე გადაამოწმოს მის მიერვე მიღებული აქტის კანონიერება.

საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზა-

ციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებზე დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. სტრუქტურის რეგიონალური ერთეული, სააგენტოსადმი ხაზობრივი დაქვემდებარების, მისი გადაწყვეტილების ზემდგომი რგოლის მიერ გადამოწმების შესაძლებლობის, სტრუქტურის ვერტიკალური იერარქიულობის მიუხედავად, არ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, გასარკვევია ტერიტორიული სამსახურის სტატუსი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ იგი არ წარმოადგენს სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფს. თუ საჯარო რეესტრის სააგენტო არის ერთიანი ადმინისტრაციული ორგანო და ის მოიცავს ტერიტორიულ სამსახურებს, მაშინ ამ უკანასკნელთა მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, პირდაპირ უნდა საჩივრდებოდეს სასამართლოში. ხოლო თუ ტერიტორიული სამსახურები იერარქიულად საჯარო რეესტრის სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ორგანოებია, მაშინ გაუგებარია საჯარო რეესტრის სააგენტოსთან დავაში რატომ გამოდიან ისინი მხარედ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრისეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ მე-7 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სასამართლოში სააგენტოს წარმომადგენლობა).

საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის 10.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებე-

ბის (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. იგი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და ის ერთპიროვნულად აგებს პასუხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ საჩივრდება სასამართლოში, თუმცა ამავე კანონის 10.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა ან სახელმწიფო მინისტრი (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის ორგანო), რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა. ვინაიდან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელზე კონტროლსაც ახორციელებს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანო, ლოგიკურად უნდა გასაჩივრდეს ამ ორგანოში. ვფიქრობთ, აღნიშნული ჩანაწერი აკნინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების დამოუკიდებლობის ხარისხს.

არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო მინისტრის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების საკითხის მიმართ. ზოგჯერ ასეთი აქტი პირდაპირ საჩივრდებოდა სასამართლოში, ზოგჯერ კი მთავრობაში. საქართველოს კანონით მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ ადგენს სამსახურებრივი ზედამხედველობის ინსტიტუტს, რომლის მიზანია სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სპეციალური დაწესებუ-

ლებების და სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა. ამავე კანონის 31.2 მუხლის თანახმად, მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და სპეციალური დაწესებულებების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების) ხელმძღვანელებისა და სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების სამართლებრივი აქტები, მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით. შესაბამისად, მინისტრის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გასაჩივრდეს მთავრობაში. არსებული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მინისტრთა მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება საქართველოს მთავრობაში, თუმცა, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით პირდაპირაც მიმართავენ.

7. განსჯადობა და მისი სახეები

7.1. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის დარღვევის სამართლებრივი შედეგები

ადმინისტრაციული დავის სასამართლოში სწორი წარმართვისთვის საჭიროა საქმეთა როგორც უწყებრივი ქვემდებარეობის, ისე განსჯადობის საკითხის ზუსტად დადგენა. უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტისას თუ გაირკვევა, რომ სადავო საკითხი სასამართლოს ქვემდებარეა, ამის შემდეგ წარმოიშვება განსჯადობის პრობლემა, კონკრეტულად რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული დავა.

უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის დარღვევას სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. უწყებრივი ქვემდებარეობის დარღვევა სსკ-ის 272-ე მუხლის თანახმად, იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას, ხოლო განსჯადობის დარღვევის შემთხვევაში, სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეცდომით წარდგენილი სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მოსარჩელეს. ამდენად, შეცდომა სასამართლოს შერჩევაში თავისთავად არ ნიშნავს სარჩელზე უფლების დაკარგვას.[86]

86 ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, 2008 ნ. მ. კოპალეიშვილი, ნ.

ოქსფორდის ინგლისურენოვან განმარტებით ლექსიკონში „განსჯადობა" (Jurisdiction) განმარტებულია, როგორც ოფიციალური ორგანოს უფლებამოსილება, მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები რაიმეს ან ვინმეს შესახებ; ასევე, როგორც ტერიტორია ან ქვეყანა, სადაც განსაზღვრულ სამართლის სისტემას აქვს ძალაუფლება.[87]

განსჯადობა სპეციალურ იურიდიულ განმარტებით ლექსიკონებში, ასევე, განმარტებულია, როგორც სასამართლოებს შორის საქმეების გადანაწილება, რომლებიც ექვემდებარება პირველი ინსტანციით განხილვას. განსჯადობით ირკვევა კონკრეტული სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.[88] ნებისმიერი ორგანო, რომელიც შეიქმნა და არსებობს ამა თუ იმ სახელმწიფოში, ვალდებულია იმოქმედოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და არ გასცდეს ამ ფარგლებს, რათა არ მოხდეს სხვა ორგანოთა კომპეტენციაში შეჭრა. მას შემდეგ, რაც უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი დადებითად გადაწყდება, წამოიჭრება მეორე საკითხი - თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს უწყებრივად საერთო სასამართლოებს დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არსებობს საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი - განსჯადობა. სასამართლოს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ორგანოს, ზუსტად აქვს განსაზღვრული უფლებამოსილებათა სფერო და ფარგლები და, ბუნებრივია, არ შეიძლება გასცდეს ამ სფეროსა და ფარგლებს.[89]

განსჯადობა ნიშნავს სასამართლოთა შორის საქმეების განაწილების წესს, ანუ იმ კონკრეტული სასამართლოს დადგენას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმე.[90] შესაბამისად,

---

სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა. გვ. 142

87 Oxford advanced learner's dictionary, 2004, page 702

88 ნ. ბიძინაშვილი . (2006) ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო განსჯადობა. თბილისი.გვ. 6.

89 ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი . (2014) სამოქალქო საპროცესო სამართალი, თბილისი. გვ. 199.

90 პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრციულ საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო, გვ.25

განსჯადობა აწესრიგებს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეული სასამართლოების მიხედვით. პრაქტიკული დასკვნა, რომელიც განსჯადობის ცნების შინაარსიდან გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ, ჯერ კიდევ სარჩელის წარმოებაში მიღებამდე უნდა გაარკვიოს არამარტო უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი, არამედ საკითხი, არის თუ არა ეს სარჩელი მისი განსჯადი, ე.ი. განეკუთვნება თუ არა მისი განხილვა სწორედ ამ სასამართლოს კომპეტენციას.[91] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. აღნიშნული პრინციპი დემოკრატიულობის მაჩვენებელ მნიშვნელოვან კრიტერიუმს განეკუთვნება და უცვლელად არის დეკლარირებული „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში. ამრიგად, ადმინისტრაციული სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს აღნიშნული პრინციპის დაცვით კანონმდებლობის შესაბამისად. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია" ადამიანის უფლებას კანონიერ სასამართლოზე სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხლი).

შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი განსჯადობის წესების დაცვა გარანტირებულს ხდის ამ კონსტიტუციური დებულების განხორციელებას.[92] ხსენებულზე მითითებით, სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საქმის განსჯადობა სარჩელის დასაშვებობის სტადიაზე.[93] ზოგადად, ყველა სამართლებრივ სისტემაში საგნობრივი და ტერიტორიული განსჯადობა სასამართლო კომპეტენციის დამახასიათებელ მთავარ ინსტიტუტს წარმოადგენს.

91 ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი . (2014) სამოქალქო საპროცესო სამართალი, თბილისი, სამართალი. გვ.209

92 თ.ლილუაშვილი., გ.ლილუაშვილი., ვ.ხრუსტალი., ზ.ძლიერიშვილი. (2014) სამოქალქო საპროცესო სამართალი, თბილისი, სამართალი. გვ. 213

93 პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრციულ საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო. გვ.25

სამართლებრივი სივრცე, ზოგადად, სასამართლო სისტემის ორ ძირითად მოდელს იცნობს: საერთო იურისდიქციის (ანგლო-საქსურსა) და მრავლობითი იურისდიქციის რომანულ-გერმანულს (კონტინენტურს). ორივე მოდელისათვის დამახასიათებელია რამდენიმე სახის სასამართლო ორგანოს, ასევე, ე.წ. კვაზი სასამართლოს, არასახელმწიფო, საზოგადოებრივი სტრუქტურების არსებობა, რომლებიც მართლმსაჯულების ზოგიერთი ამოცანის მიღწევას ისახავენ მიზნად და თავისებურად წყვეტენ მას.[94] ზემოხსენებულ ორ სისტემას შორის განსხვავება, ძირითადად, განისაზღვრება იმით, რომ ანგლო-საქსურ სისტემაში ადმინისტრაციულ აქტებსა და ყველა ადმინისტრაციულ დავაზე სასამართლო კონტროლი ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ, კონტინენტური სისტემის შემთხვევაში კი - ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ. საგულისხმოა, რომ ზემოხსენებულთაგან, საქართველოს სასამართლო სისტემა მესამე საერთო სასამართლოების სისტემაში სპეციალიზებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მოდელს წარმოადგენს, სადაც, მართალია, ერთიანი სასამართლო სისტემა არსებობს, მაგრამ ერთიანი სასამართლო სისტემის შიგნით სამართალწარმოება, სპეციალიზაციის მიხედვით, სხვადასხვა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით დადგენილი წესით მიმდინარეობს.[95]

უფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა ე.წ. „კანონიერი სასამართლოს" პრობლემას წარმოშობს. მოცემული პრინციპი განმტკიცებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე - სხვადასხვა საერთაშორისო აქტითაც. უფლება კანონიერ სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილი და კონკრეტული გამოხატულებაა. საერთო სასამართლოების სისტემა სასამართლოთა შინაარსობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური იურისდიქცია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა

94 მაჭავარიანი ს. (თ.გ.). უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. მართლმსაჯულება 2007 #2, გვ. 199

95 ს.მაჭავარიანი ს. (თ.გ.). უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. მართლმსაჯულება 2007 #2, გვ. 199

გამონაკლისს წარმოადგენს ადმინისტრაციული სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში წარდგენის საკითხი, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებულად აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი.

7.2. ტერიტორიული განსჯადობა

ადმინისტრაციული საქმეების ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კერძოდ, სსსკ-ის მე-15-24-ე მუხლებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ცალკე არ აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე. უკანასკნელის ზოგად წესებს შორის უთითებენ შემდეგს: კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა; საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ფიზიკურ პირს ეხება, განეკუთვნება იმ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, რომლის ტერიტორიაზეც არის მოცემული პირი რეგისტრირებული ან რომლის ტერიტორიაზეც იგი მუდმივად ან უმეტესად ცხოვრობს; იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება განეკუთვნება რამდენიმე ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, რომლის ტერიტორიაზეც მოცემული პირი არის რეგისტრირებული, ან რომლის ტერიტორიაზეც იგი მუდმივად ან უმეტესად ცხოვრობს; იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება განეკუთვნება რამდენიმე ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, უფლებამოსილად ჩაითვლება ის ორგანო, რომელსაც მიმართა პირმა, ან რომლის ინიციატივითაც უნდა გადაწყდეს მოცემული საკითხი და ა.შ.

რაც შეეხება ადმინსიტრაციულ საქმეთა ტერიტორიულ განსჯადობას, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების

განხილვა, რომლებიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სამართალურთიერთობას ეხება, წარმოადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც შედის მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სარჩელი ადმინისიტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკრგულად გამოცხადების თაობაზე არის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. ეს ეხება აგრეთვე სარჩელებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. ტერიტორიულ განსჯადობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შესრულების შესახებ სარჩელთან დაკავშირებით (მოქმედების განხორციელების ან ადმინისტრაციულ-სამართლებრირვი აქტის გამოცემის). მხედველობაშია მისაღები, რომ ტერიტორიულ განსჯადობაზე დავა დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციული ან მხოლოდ სამოქლაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ სასამართლოებს შორის. მათ შორის დავა დასაშვებია მხოლოდ საგნობრივ განსჯადობაზე.[97]

ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი პალატის გადანყვეტილებები.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეზე აღნიშნავს:

„თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ი.კ-ისა და დ.დ-ის სარჩელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტლვილთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელე-

97 ადმინისტრაციული დავების განსჯადობის პრობლემები, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 1-ლი, გვ. 27

ბი სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში 2012 წლის 3 ივლისის ხელშეკრულების შესრულების ადგილს ქარელი წარმოადგენდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოსარჩელე ითხოვს საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებას ქარელში, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განსჯად სასამართლოდ გორის რაიონული სასამართლო მიიჩნია.

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ადმინისტრაცული საქმე ი.კ-ისა და დ.დ-ის სარჩელის გამო სასამართლოს ტერიტორიული განჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის განსაკუთრებული და ნივთობრივი განსჯადობის შემთხვევა და სარჩელის განჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო განსჯადობის წესების დაცვით, ანუ მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ქარელში მდებარე უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯდობაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ამ შემთხევაში მნიშვნელობა ენიჭება არა ნივთის ადგილსამყოფელს ან ხელშეკრულების შესრულების ადგილს, არამედ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეთანხმება გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას. მეცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოსარჩელეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების დავალება, ხოლო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მისამართია ქ. თბილისი. რამდენადაც მოცემულ

დავაზე სასარჩელო განცხადება აერთიანებს კუმულაციურ მოთხოვნებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მათ საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების შესახებ მოცემული დავის განსჯადობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს მხოლოდ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტოსა და მ.დ-ს შორის 2012 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი შეიცავს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხების საერთო განსჯადობის წესების დაცვით გადაწყვეტის შესახებ".[98]

სხვა საქმეზე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: „მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. მ.კ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრვი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება. რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც, განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამ-

98 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე N№ს-189-186(გ-15)04/06/2015

ყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ".[99]

ორივე გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, რომ ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმით და დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის შინაარსობრივ მხარეს, კერძოდ, სასამართლო არ მსჯელობს კონკრეტული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტებით/ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით მოსაწესრიგებელ ურთიერთობებზე.

ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით საინტერესოა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ერთიანი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი). სარეგისტრაციო წარმოება კი ეს არის სააგენტოს საქმიანობა რეგისტრაციის მიზნით. ამდენად, თუკი დავა წარმოიშობა სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებთან, ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით, აღნიშნული დავის განხილვა უნდა მოხდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილმდებარეობის მიხედვით. დღესდღეობით, ტეროტორიული მარეგისტრირებელი სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სარჩელი განსჯადობით შედის იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ თავის 25.05.2011 წლის #ბს-1695-1651 (კ-10) გადაწყვეტილებაში განმარტა: „უწყების იერარქიული სტრუქტურა, ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარება ზემდგომისადმი, უკანასკნელის მიერ ქვემდგომის გადამოწმების შესაძლებლობა არ იწვევს მე-

99 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე Nბს-692-678(გ-14)10/03/2015

ქანიკურად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის სასამართლო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ყოფილა ტერიტორიული მარეგისტრირებელი სამსახურების ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, რაც ეწინააღმდეგება საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილს. ამდენად, სახეზეა სამართლებრივი პრობლემა, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე ასახვას."

7.3. ინსტანციური განსჯადობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრანტი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს, ასევე, ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე (სასკ-ის მე-5 მუხ.). მაგისტრატი მოსამართლეების განსახილველ საქმეთა ჩამონათვალი მოცემულია სასკ-ის მე-6 მუხლში. ადმინისტრაციულ საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მისი განვრცობა არ დაიშვება. ხსენებულ მუხლებში მითითებული საქმეების გარდა, მაგისტრატ მოსამართლეს არ შეუძლია განიხილოს სხვა საქმეები. მაგისტრატ მოსამართლეს უფლება არ აქვს, გააფართოოს ან შეწყვიტოს კანონით განსაზღვრული მისთვის განსჯად საქმეთა წრე. მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე სარჩელები შეიტანება მაგისტრატი მოსამართის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის ამოქმედება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საქმეთა განსჯადობის საკითხს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის განმხილველ სასამართლოებს შორის არსებული საგნობრივი განსჯადობის დავებს შესაძლოა დაემატოს ვადები განსჯადობაზე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების განმხილველ მაგისტრატ მოქალაქეებსა და ამავე კატეგორიის საქმეთა განმხილველი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შორის. ვინაიდან ასეთი დავები ერთიანი სასამართლო სისტემის ერთი სასამართლო შტოს შიგნით არის მოქცეული, პროცესუალური ეკონომიისა და განსჯადობაზე დავის სირთულის თავიდან აცილების მიზნით, უნდა გამოირიცხოს მაგისტრატ მოსამართლესა და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.[100]

სასამართლოების ინსტანციურ განსჯადობაზე დავებს ადგილი ჰქონდა ადრინდელ პერიოდში, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებდა ზედა ინსტანციების, კერძოდ საოლქო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციით საქმეთა გარკვეული კატეგორიის განხილვას. ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციით ხდება მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების გადასინჯვა, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.[101]

რიგ სამართლებრივ სისტემებში (გერმანია, ესპანეთი) გამოყოფენ ფუნქციონალურ განსჯადობას. კლასიფიკაციის კრიტერიუმად გამოყოფენ წარმოების იმ სახეებს, რომლის განხორციელების უფლებამოსილებაც სასამართლო ორგანოს გააჩნია. ამდენად, განასხვავებენ პირველი ინსტანციის ფუნქციების განმახორციელებელ სასამართლოებს, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს.[102]

---

100 ს. მაჭავარიანი „უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად", ჟურნალი „მართლმსაჯულება" გვ. 207

101 ვაჩაძე. თორდია, ტურავა, წკეპლაძე, თბილისი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კიდექსის კომენტარი, , 2005, გვ 35

102 ადმინისტრაციული დავების განსჯადობის პრობლემები, თსუ ადმინისტრაცვიულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 1-ლი, გვ. 26

7.4. საგნობრივი განსჯადობა

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით (სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ საკითხს აღნიშნულისაგან განსხვავებულად აწესრიგებს სამოქალაქო სამართალწარმოება. საკასაციო პალატა უფლებამოსილი არ არის განიხილოს დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ და ამ წესით დაადგინოს, თუ რომელი დავა რომელი სასამართლოს განსჯადია.

სწორედ ამიტომ, არაგანსჯადი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავების განხილვას სხვადასხვა შედეგები მოჰყვება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შესაძლებელად მიიჩნევს, არაგანსჯადი სასამართლო განსჯადი გახდეს, რასაც ეხება სასკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, განსჯადობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა ნერილობითი შეთანხმების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსსკ-ის 186-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ არ უნდა მიიღოს მოსარჩელის მიერ წარდგენილი არაგანსჯადი სარჩელი და განუმარტოს მას, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს აღნიშნული დავის განსახილველად.

სარჩელის მიღების შემდეგ არაგანსჯადობის გამოვლენისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმის განხილვის შესაძლებლობაზე. ეს ის შემთხვევებია, როცა:

1. მოპასუხე არ არის წინააღმდეგი, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, და ამასთან ,თუ:
2. მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან
3. მიეცემა განმარტება არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ მას აქვს უფლება, წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნწილის თანახმად, საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს.

ადმინისტრაციულ პროცესში, როგორც აღინიშნა, დომინანტი და წარმმართველია ინკვიზიციურობის პრინციპი, სწორედ ამიტომ სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საქმის განსჯადობა სარჩელის დასაშვებობის სტადიაზე. მოსამართლეს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია, განაცხადოს ამ კუთხით არსებულ საპროცესო წანამძღვარზე, იმის მიუხედავად, სადავოდ ხდის თუ არა რომელიმე მხარე განსჯადობის საკითხს.

სამართალწარმოების საწყის ეტაპზე განსჯადობის საკითხზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შესაძლებლად მიიჩნევს არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად გადაქცევას იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე განსჯადობის საკითხებზე პრეტენზიის წარუდგენლად მონაწილეობს საქმის განხილვაში (ჩუმი თანხმობა). სწორედ ამიტომ დადგენილია, რომ უწყებრივი ქვემდებარეობისაგან განსხვავებით, რომელსაც სასამართლო თავისი ინიციატივით ამოწმებს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით (სსსკ-ის 377.5 მუხლი).

ასეთ მოთხოვნას კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, თუ იგი პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას წამოყენებული იყო მოპასუხის მიერ ან თუ საპატიო მიზეზის გამო ვერ მოხდა აღნიშნული მოთხოვნის დაყენება წინა ინსტანციაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხის მიერ განსჯადობასთან დაკავშირებული პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარი კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

განსჯადობის თაობაზე პრეტენზიის უარყოფის შედეგად მოპასუხის მიერ დავის არსებით საკითხზე მოსაზრებების წარმოდგენა და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება არ გამორიცხავს მხარის მიერ ზემდგომ ინსტანციებში სასამართლო კომპეტენციის გადმოწმების საკითხის დასმის შესაძლებლობას.

სსკ-ის 404.3 მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს

უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთა-შორისო კომპეტენცია.უწყებრივი ქვემდებარეობისაგან განსხ-ვავებით, განსჯადობის საკითხის შემოწმებას, უზენაესი სასა-მართლო თავისი ინციატივით არ ახორციელებს, რადგან აღ-ნიშნული საკითხის განხილვა მას შეუძლია მხოლოდ მხარის მო-თხოვნით.აღნიშნული საკითხი განსხვავებულად რეგულირდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასკ-ის 26-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე იკვეთება სასამართლოს აქ-ტიური როლი განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში. კერძოდ, მას შეუძლია მხარისგან დამოუკიდებლად განსჯადობის სადავო საკითხი დააყენოს სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის, ზემდგომ ინსტანციებში განხილვის პრო-ცესში. აღნიშნული მუხლი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკი-თხს ენიჭება არა დისპოზიციური, რაც დამახასიათებელია სა-მოქალაქო სამართალწარმოებისათვის, არამედ იმპერატიული შინაარსი რომლის მიხედვით, განსჯადობა განიხილება საჯრო წესრიგის (ordre publik) შემადგენელ ნაწილად. დღესდღეობით, განსჯადობის საკითხზე პრეტენზიის გამოთქმის გარეშე მოპა-სუხის საქმის განხილვაში ჩაბმა, მხარეებს შორის შეთანხმება სასამართლოს განსჯადობის თაობაზე (პრორროგაცია) ადმინის-ტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადო-ბის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოე-ბას.

განსჯადობის საკითხი თავის თავში მოიცავს საერთო იუ-რისდიქციის სასამართლოებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხს. სასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს, მოიაზრება ისეთი მდგომარეობა, როდესაც განსჯადი სასა-მართლო არის საერთო იურისდიქციის სასამართლო. ხოლო თუ სადავო საკითხი მიეკუთვნება სპეციალური იურისდიქციის, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს კონპეტენციას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სსკ-ის 187-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია, თავის განჩინებაში მიუ-

თითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს სასამართლომ. ამდენად, საერთო და სპეციალური იურისდიქციის სასამართლოებს შორის უფლებამოსილების დადგენა უწებრივი ქვემდებარეობის ფარგლებში ხორციელდება.

გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო სამართალში უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ითვლება უკანონო გადაწყვეტილებად, რაც გასაჩივრების აბსოლუტური საფუძველია (სსკ-ის 394-ე მუხლი), ხოლო არაგანსჯადი სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუქმდეს, როცა მოპასუხემ მოითხოვა პირველ ინსტანციაში სასამართლოს განსჯადობის შემოწმება, ე.ი. როცა მოპასუხე წინააღმდეგი იყო საქმე არაგანსჯად სასამართლოს განეხილა და წამოაყენა შესაგებელიც არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამარათლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში.

როგორც აღინიშნა, არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა თავისთავად გულისხმობს დავის შინაარსისაგან თვისობრივად განსხვავებულ სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით საქმის განხილვას. მაგალითად, სამოქალაქო საქმის განხილვა ადმინისტრაციული წესით და პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ. არაგანსჯადი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, ექვემდებარება გაუქმებას.[103]

გვარეობითი, ანუ საგნობრივი განსჯადობა არის საქმეთა გადანაწილება დავის საგნის მიხედვით.[104] საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემას ქმნიან: რაიონული (საქალაქო), სააპელაციო სასამართლოები (თბილისის და ქუთაისის) და უზენაესი სასამართლოები. გვარეობითი (ანუ საგნობრივი) განსჯადობა განსაზღვრავს, საერთო სასამართლოების ამ სხვადასხვა რგოლის სასამართლოთაგან, თუ კონკრეტულად რომელი რგო-

---

103 შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა გვ. 229

104 თ.ლილუაშვილი., გ.ლილუაშვილი., ვ.ხრუსტალი., ზ.ძლიერიშვილი. (2014) სამოქალქო საპროცესო სამართალი, თბილისი, სამართალი, გვ. 213

ლის სასამართლომ უნდა განიხილოს დავა არსებითად. გვარეობითი განსჯადობის მეშვეობით ხორციელდება სასამართლოთა კომპეტენციის გამიჯვნა დავის საგნის ხასიათის მიხედვით.[105] შესაბამისად, სწორედ ამ ტიპის განსჯადობით წყდება, თუ რომელი დარგის განსჯადია ესა თუ ის საქმე.

8. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის თეორიები

განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის სხვადასხვა თეორიების გამოყენება, როგორიცაა: ინტერესთა, სუბორდინაციისა და სუბიექტების თეორიები. ხსენებული თეორიებიდან, განსჯადობის საკითხის განხილვისას, ვერცერთი ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ შედეგს, რის გამოც ისინი სინთეზურად უნდა იყოს გამოყენებული.

ინტერესთა თეორიის კრიტერიუმის მიხედვით, საჯარო სამართალს განეკუთვნება ნორმატიული დებულებები, რომლებიც ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო ინდივიდუალური ინტერესების მომსახურე დებულებები კერძო სამართალს განეკუთვნება. საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნისას, ინტერესთა თეორიის მიხედვით, უნდა განისაზღვროს, თუ რომელი ინტერესებზეა დაფუძნებული სამართალურთიერთობა საზოგადოებრივ თუ კერძო ინტერესებზე. ხოლო საჯარო სამართალი ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს, კერძო სამართალი კერძო უთიერთობებს აწესრიგებს. ინტერესთა თეორია გამიჯვნის ამოსავალ წერტილად ისახავს ცალკეული სამართლებრივი დებულებების მიმართულებებს. ინტერესის თეორიას საფუძვლად უდევს რომაელი იურისტის ულპიანეს (170-228) გამონათქვამი: „საჯარო სამართალია ის, რაც დაკავშირებულია რომის სახელმწიფოსთან, მისი ინტერესების დაცვასთან. კერძო სამართალია ის, რაც მიმართულია ერთეული ინდივიდის საჭიროებისკენ."

სუბორდინაციის (ხელისუფლებრივი დაქვემდებარების) თეორია მიჯნავს სამართალურთიერთობის მონაწილეთა ურ-

105 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015, „მერიდიანი", გვ. 219

თიერთდამოკიდებულებას ხასიათის მიხედვით. აღნიშნული თეორია ასახავს სახელმწიფოს (სახელმწიფო მმართველობის საქმიანობის), მისი შეზღუდვის, ორგანიზაციისა და იძულების არსენალით უპირატესობას: სუბორდინაციის თეორიაში აისახება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებანი. ადმინისტრაციული საქმიანობა გულისხმობს ერთი ნების დომინირებას მეორეზე. იგი უშუალოდ უკავშირდება ხელისუფლებას. მმართველობითი ადმინისტრაციული კავშირების სისტემაში სუბიექტები თანასწორნი არ არიან, მათ განსხვავებული სოციალური ფუნქციები აკისრიათ. ერთი მხარე დაქვემდებარებულია მეორეზე. დაქვემდებარება შეიძლება იყოს სტრუქტურული („უფროსი-ქვეშევრდომი" ტიპის კავშირი) ან ფუნქციონალური (ინსპექტორი-შესამოწმებელი ტიპის კავშირი). იურიდიულ უთანასწორობას განაპირობებს, აგრეთვე, სუბიექტთა ფუნქციების და ამოცანების სხვაობა. **სუბიექტების თეორია** (განსაკუთრებული უფლებების, სამართლებრივი ნორმების ფარდობითობის და დასაშვებობის თეორია) თეორია გამიჯვნას ახდენს იმ სუბიექტების მიხედვით, რომლებზეც მიმართულია ცალკეული საართლებრივი ნორმები. სუბიექტების თეორია ფორმალურია და მკვეთრი, რის გამოც ის აქტიურად გამოიყენება გამიჯვნის კრიტერიუმად. ამით იყო განპირობებული კანონმდებლის სურვილი, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებისადმი მიეკუთვნა ყველა ის ურთიერთობა, რომელშიც ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა.

სუბიექტების თეორიის მოდიფიცირების მიზნით, განვითარდა ე.წ. „სპეციალური სამართლის" თეორია, რომლის თანახმად, საჯარო სამართალი სპეციალურია, ხოლო კერძო ზოგადი. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფო, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა. აღნიშნულის შესაბამისად სასკ-ის 2.1. მუხლი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავებად ასახელებს დავებს, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ხსენებული თეორია გამომდინარეობს მე-19 საუკუნეში ფართოდ გავრცელებული წარმოდგენებისაგან, რომელთა მიხედვით, მმართველობა შემოიფარგლება მოქალაქეთა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფით და, ამდენად, მხოლოდ ჩარევის ფუნქცია გააჩნია. საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთობების ცალმხრივი რეგულირება კანონის, ადმინისტრაციული აქტის მეშვეობით. კერძო სამართლისთვის ტიპიურია სამართლის სუბიექტთა ნების საფუძველზე დადებული ხელშეკრულება.[106]

აღნიშნული თეორიების ანალიზი ცხადყოფს, რომ ვერცერთი მათგანი ვერ განსაზღვრავს და ვერ ადგენს საჯარო და კერძო სამართლებრივ დავათა გამიჯვნისთვის ყველა საჭირო კრიტერიუმს. აღნიშნულ დავათა მეტნაკლები სიზუსტით გამიჯვნა ამ თეორიათა ერთობლივი და კომპლექსური გამოყენებით არის შესაძლებელი და სწორედ ასეთი კომპლექსური მიდგომა უნდა შეიმუშაონ სასამართლოებმა განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად.

ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავათა გამიჯვნის კომპლექსური მიდგომისა და კრიტერიუმების გამოყენებასთან ერთად სასამართლოები თითოეულ კონკრეტულ შემთხვევას ინდივიდუალურად უნდა უდგებოდნენ, რადგან თითოეული სარჩელი თუ საჩივარი თავისებურად ინდივიდუალურია.

უნდა აღნიშნოს, რომ არ არსებობს კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის უნივერსალური წესები. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ხასიათდება ისტორიული მეტამორფოზებით დაკმვიდრებული საერთო და საგამონაკლისო წესებით საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის საკითხი აქტუალურია სხვა ქვეყნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოებისთვის. ევროსასამართლო გამიჯვნისას ეყრდნობა ხანგრძლივ სასამართლო პრაქტიკას.

საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას საგნობრივ განსჯადობასთან

106 ადმინისტრაციული დავების განსჯადობის პრობლემები, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 1-ლი., გვ. 29

დაკავშირებით.

ზ.გ- მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და სარჩელის დაზუსტების შედეგად მოითხოვა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 22.08.14 წ. = 951 ბრძანებით შექმნილი კომისიის 27.08.2014 წ.=5 სხდომის ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა ქ. თბილისის სსიპ=.... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ზ.გ-ის არწარდგენის ნაწილში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.2014 წ. №977 ბრძანების ქ. თბილისი №.... საჯარო სკოლის დირექტორთა კანდიდატების წარდენის ნაწილში, ბათილად ცნობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსთვის სსიპ ქ.თბილისის №.... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე ზ.გ-ის წარდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სადავო აქტების ბათილად ცნობიდან 5 დღის ვადაში ქ. თბილისის სსიპ =... საჯარო სკოლის დირექტორის არჩევის დავალება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლიდან აქტიურად არის ჩართული ზოგადი განათლების სისტემაში. 2006 წლიდან 2014 წლის 26 თებერვლამდე იგი იყო სსიპ თბილისის პირველი ექსპერიმენტალური საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფლობს დირექტორის უფლების მოპოვების დამადასტურებელ სერთიფიკატს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 27.08.2014 წ. მან გაიარა გასაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიასთან. გასაუბრებისას, მან კომისიას წარუდგინდა მისი სტრატეგიული ხედვა №... და №.... საჯარო სკოლებთან დაკავშირებით, კომისიამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო მისი კანდიდატურა, რის შედეგადაც მოსარჩელე არ იქნა წარდგენილი სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე.[107]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

107 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ბს-419-412 (გ-15), 15/09/2015

მეთა კოლეგიის 06.10.2014 წ. განჩინებით, ასკ-ის მე-16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ა.ხ-ი.[108] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.2014 წ. განჩინებით, ზ.გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინსტრაციული კანონმდებლობის „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ" კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.2011 წ. №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი". მითითებული კანონის 42-ე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადავო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწაროების წესით განიხილავს სასამართლო. სასამართლომ მიუთითა ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, მე-2 და 26-ე მუხლებზე, სსკ-ის მე-11, 26-ე მუხლებზე და ზ.გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.06.2015 წ. განჩინებით ზ.გ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე

108 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,

განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 12.3 მუხლის დანაწესის შესაბამისად დავის სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დანაწესი საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილი შრომითი დავები, როგორც სამოქალაქო დავები, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე, შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის წამროშობილ შრომით ურთიერთობაზე. სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპზე შესარჩევ კონკურსს (რა დროსაც მოსარჩელე არ არის სკოლის დირექტორი, არამედ დირექტორობის კანდიდატი), რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინსტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის „ზოგადი განათლების შესახებ" კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენდაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ

ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კნონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების განცობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ს.გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს ს.გ-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მაინც. მოცემულ შემთხვევაში სადავოა საკონკურსო პროცედურა არა კერძო სკოლის, არამედ საჯარო სკოლის ანუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის დირექტორის თანამდებობის დაკავება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სკოლის დირექტორის შერჩევის პროცესი თავის თავში მოიცავს რთულ პროცედურულ მექანიზმს, რომელიც შედგება რამდენიმე სტადიისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11 წ. №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ თანახ-

მად, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: სერთიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორის ასარჩევად წარდგენას, საბჭოს მიერ კონკურსგავლილი დირექტორობის კანდიდატთაგან დირექტორის არჩევას, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დირექტორის რეგისტრაციაში გატარებას, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ დირექტორთან ხელშეკრულების დადებას. ხსენებული წესის მიხედვით, სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დირექტორობის უფლების მქონე პირთა სიას (მე-17 მუხ.). გასაუბრების შედეგების მიხედვით კომისიის მიერ შერჩეული კანიდიდატების და შესაბამისი სკოლების სია მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინსიტრაციულ-სამართებრივი აქტით და კანდიდატი ასარჩევად წარედგინება საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს (201,21-ე მუხ.). წესის თანახმად, საგამოცდო კომისიის შემქნა ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მე-6, მე-16, მე-20 მუხ.). ტესტირების ჩატარების თარიღს, ადგილს, ხანგრძლივობას, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ადგენს მინისტრი (მე-7 მუხ.) დირექტორობის მსურველის ტესტირებიდან მოხსნა, გაფრთხილების, სერთიფიკატის მიცემა ხდება მინსიტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის საფუძველზე. (მე-13, მე-18, მე-20 მუხ.). ამდენად, საკონკურსო კომისიის წარდგინების საფუძველზე მინისტრის მიერ გამოცემული აქტი სრულად პასუხობს ზოგადი ადმინსიტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამრთლებრივი აქტის ნიშნებს და სახეზეა ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის ნიშნების კუმულატიური ერთობლიობა. მოცემულ საქმეში მოსარჩელე ითხოვს „იმ კანდიდატთა და შესაბამისი სკოლების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ასარჩევად წარედგინებიან ქ. თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.14ნ №977 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, კერძოდ, სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის დირექოტრის სამეურვეო

საბჭოსათვის წარდგენის ნაწილში. დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიის კუთვნილებას ადასტურებს, აგრეთვე, მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულსაქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა საგნობრივი (გვარეობითი) განსჯადობის მიხედვით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია. კოლეგიის მოსაზრება ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 11.1 მუხლის და „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 12.3 მუხლის/ საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართლაურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი არ გამოირიცხება იმით, რომ სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა.

„საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 111.1, 29-32-ე მუხლების საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-32-ე მუხლების მოქმედება (აღნიშნული მუხლები ეხება კონკურსის წესით დანიშვნის საკითხებს) ვრცელდება, აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებირივი დამცველის თანაშემწის დანიშვნის წესისა. აღნიშნული ზოგადი დანაწესი არ გამორიცხავს მითითებული სფეროების სპეციალურ საჯარო სამართლებრივ მონესრიგებას, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ზოგადი განათლების შესახებ" კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11 წ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესით". ხსენებული აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროთია მოცული, მათი რეგულაციის სივრცეში წარმოშობილი სამართლაურთიერთობა საჯარო სამართლებრივია. გარდა ამისა, „ საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29.2 მუხლით გათვალისწი-

ნებული ნორმატიული აქტით. კერძოდ, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 29.2 მუხლის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის 18.06.14 წ №412 დადგენილება. „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი ვრცელდება დადგენილების ამოქმედების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ საჯარო კონკურსზე. ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 29-32 -ე მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ კონკურსის ჩატარების წესებს, არ ვრცელდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არ გამორიცხავს მოცემულ სადავო სამართალურთიერთობას ადმინისტრაცილ-სამართებრივი სივრციდან და არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას. აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 26.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ასარჩევად წარუდგენს საჯარო სკოლის დირექტორობის კანდიდატს/კანდიდატებს („ო" ქვეპუნქტი); ადგენს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსების გამართვის წესს, უფლებამოსილია, დაადგინოს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. გათვალისწინებულისგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და გაწხილვის ვადები და წესი („შ" ქვეპუნქტი). ამავე კანონის 42.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. ეს წესი დგინდება „საქართველოს განათლების შესახებ" კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11 წ. N25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის

გამართვის წესით". ამდენად, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არის დავის ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიისადმი კუთვნილების ნიშანი. შესაბამისად, საგნობრივი განსჯადობა მოცემულ შემთხვევაში არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 29-31-ე მუხლებით.

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვის აუცილებლობას არ ადასტურებს „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 12.3 მუხლი, რომელიც საგამონაკლისო წესით განსაზღვრავს სასამართლოს საგნობრივად განსჯად სასამართლოს. ხსენებული ნორმის მიხედვით საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. ნორმის სუბიექტია საჯარო სკოლის დირექტორი. სადავო შემთხვევაში მოსარჩელეს არ გააჩნია დირექტორის სტატუსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.2011 წ. N25/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით ერთმანეთისგან გამიჯნულია: დირექტორობის უფლების მქონე პირი, დირექტორობის კანდიდატი, დირექტორობის მსურველი (მოცემულ შემთხვევაში საკონკურსო პროცედურის მიზანი სწორედ ისაა, რომ კანდიდატმა დაიკავოს საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა), ამდენად, სახეზე არ არის 12.3 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამქმეთა კოლეგიის მითითება „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 12.3 მუხლზე არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

„ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 42.5 მუხლის მიხედვით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრირებულ არჩეულ დირექტორთან სამეურვეო საბჭო დებს შრომით ხელშეკრულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მართალია, საჯარო სკოლის დირექ-

ტორის შესარჩევი კონკურსი საბოლოოდ შრომითი ხელშეკრულების დადებით მთავრდება, მაგრამ თავად საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევევი კონკურსის ხასიათი, კონკურსის ჩატარების მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადასტურებს, რომ საკონკურსო პროცედურა ადმინისტრაციული კანონმდებლობით არის მოწესრიგებული; შესაბამისად. სადავო ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ საქმეში დავის საგანი ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართებრივი აქტის, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 28.09.14ნ. №977 ბრძანების ქ. თბილისი №130 საშუალო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსთან წარდგენის ნაწილში ბათილად ცნობას, სსიპ ქ. თბილისი №130 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე ზ.გ-ის წარდგენის თაობაზე მინისტრისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებას. დავის აღნიშნული ასპექტები ადასტურებს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინსიტრაციულ ორგანოს შორის არსებულ დავას, რის გამოც მოცემული საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს განეკუთვნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ სამართალურთერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი - დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის მე-2 მუხ. მე-3 ნაწ.), სარჩელზე მოპასუხე ადმინსიტრა-

ციული ორგანოა, მოთხოვნა ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას (სასკ-ის 22-ე მუხ.), მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალებას (სასკ-ის 23-ე მუხ.); შესაბამისად, ზ.გ-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამქეთა კოლეგიას.

სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ქვეყნის სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, წარმოაჩენს და წარმოადგენს სახელმწფოს დემოკრატიულობის დონეს. მნიშვნელოვანია, კოდექსში არსებული რეგულაციები დემოკრატიულობით ხასიათდებოდეს. განსჯადობის დადგენილი ნორმები მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის მოსარჩელის უფლებების რეალიზებისთვის, რათა მან ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოთი. განსჯადობის საკითხის მართებული გადაწყვეტა სწორედ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის საფუძველია. თანამედროვე ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ განსჯადობის საკითხის გარკვევა ხშირად რთულდება. აღნიშნულის განმაპირობებელ ფაქტორად შეგვიძლია მოვიაზროთ ის გარემოება, რომ კონკრეტულ საქმეზე როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს შესაძლოა, მძლავრი არგუმენტები ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ რატომ მიიჩნევს მოცემულ საქმეს სხვა სასამართლოს განსჯადად. შესაძლებელია, რაღაც კუთხით, თითოეული დასაბუთება იმსახურებდეს მხარდაჭერას. უზენაესი სასამართლოს ფუნქცია ამ შემთხვევაში არის ის, რომ სწორად განსაზღვროს, რამდენად დასაბუთებულია აღნიშნული მოსაზრებები და რომელი მათგანის არგუმენტები წარმოადგენს ამოსავალ წერტილს განსჯადობის გამიჯვნის გადასაწყვეტად.

საყურადღებოა საგამონაკლისო ნორმათა მნიშვნელოვანი განმარტებები, რომელიც გარკვეულ პრეცენდენტებს ქმნის ქართულ სამართლებრივ რეალობაში. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევას გულდასმით სწავლობს და სხვადასხვა მხრიდან აფასებს. მისასალმებე-

ლია მსგავსი ტენდენცია და ვიმედოვნებთ, რომ დროთა განმავლობაში პრაქტიკა ამ მხრივ მეტად განვითარებული და სრულყოფილი გახდება.

9. დავა განსჯადობის შესახებ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ სასამართლოებს შორის

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, დავა განსჯადობის შესახებ არ დაიშვება, მაშინ როდესაც პრაქტიკაში ხშირია ასეთი დავები სამოქალქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ ორგანოსა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ ორგანოს შორის.

საინტერესოა, რა ნორმით ხელმძღვანელობენ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველი ორგანოები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სსსკ-ის 24-ე მუხლის განმარტება მისი მიზნიდან გამომდინარე. უპირველესად უნდა დავადგინოთ ვინ იწყებს დავას განსჯადობის შესახებ. სსსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, საქმე არ მიიღოს წარმოებაში, თუ მიიჩნევს, რომ იგი მისი განსჯადი არაა, მოსამართლე იღებს განჩინებას წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და ამავე განჩინებაში მიუთითებს, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ ორგანოს არათუ ვალდებულება, არამედ უფლება არ აქვს, საქმე განსჯადობით გადააგზავნოს. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებობს 23-ე მუხლი „საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსთვის". აღნიშნული მუხლის თანახმად: სასამართლო საქმეს განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცემს, თუ: ა) მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილი წინათ არ იყო ცნობილი, მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ბ) ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა.

როგორც ჩანს, სსსკ-ის 23-ე მუხლით დასაშვებია საქმის

განსჯადობით გადაგზავნა, ამავე დროს, აღნიშნული ქმედება თავის თავში არ გულისხმობს დავის დაწყებას, დავა იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ის ორგანო, რომელსაც სასამართლო გადაუგზავნის საქმეს, უარს განაცხადებს მის მიღებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, 23-ე და 24-ე მუხლები ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის იქნება.

როგორც დავადგინეთ, როდესაც ადმინისტრაციული საქმის განმხილველი ორგანო სამოქალაქო საქმის განმხილველ ორგანოს უგზავნის საქმეს და ეს უკანასკნელი უარს აცხადებს მის განხილვაზე, დავას იწყებს საომქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველი ორგანო (თუმცა საინტერესოა რის საფუძველზე).

მნიშვნელოვანია 24-ე მუხლის მოქმედების ფარგლები. როგორც აღვნიშნეთ, 24-ე მუხლი 23-ე მუხლთან მიმართებაში გამოიყენება. 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები უდავოდ უნდა გულისხმობდეს საქმის გადაცემას ტერიტორიული განსჯადობის წესების დაცვით, შესაბამისად, 24-ე მუხლიც მხოლოდ ტერიტორიულ განსჯადობას ეხება, ხოლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ ორგანოსა და ადმინისტრაციული წესით განმხილველ ორგანოს შორის დავა მიმდინარეობს საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: „ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულება, უკვე თვით თავისი არსებობის ფაქტით, განაპირობებს სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელსაც საკასაციო სასამართლო წყვეტს. განსჯადობის შესახებ დავის მონაწილეთა თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დადგენილი წესი სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ (სასკ-ის 26-ე მუხ.) ეხება არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეებს, სასამართლოებს შორის დავა საქმის საგნობრივ განსჯადობაზე მხოლოდ ასეთი დაშ-

ვების პირობებშია შესაძლებელი. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული მოსარჩელის მოსაზრება, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავა არ დაიშვება.

ამასთანავე, სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია, დავის გადაწყვეტისას, გამოიყენოს არამხოლოდ კერძო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და კერძო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს საჯარო-სამართლებრივი რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, საქართველოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კოლეგიებს შორის საქმეთა განაწილების საკითხი სწორედ რომ განსჯადობის და არა ქვემდებარების კუთხით იხილება, დაუშვებელია განსჯადობის საკითხის ქვემდებარეობის საკითხში გადაზრდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არ წამოიჭრება იურისდიქციის საკითხი, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადამწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება, გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა."[109]

აღნიშნული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლო ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს უნყებრივ ქვემდებარეობასა და საგნობრივ განსჯადობას, რომელთა დარღვევით საქმის განხილვასაც, თავის მხრივ, სხვა და სხვა შედეგები მოსდევს.[110]

109 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე Nბს-350-316(გ-14)11/09/2016

110 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი „მარლთმსაჯულება"

ამასთან, ნორმის ტელეოლოგიური განმარტებისა და საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაზიარების შედეგად ნათლად ჩანს, რომ სსსკ-ის 23-ე მუხლი მხოლოდ ტერიტორიულ განსჯადობას ეხება და სამოქალაქო საქმის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს სასკ-ის 26-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლითაც იგი უფლებამოსილია, საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაუგზავნოს უზენაეს სასამართლოს.

საინტერესო გადაწყვეტილება აქვს მიღებული საკასაციო სასამართლოს საქმეზე, რომელზეც მოსარჩელეს წარმოადგენდა რ. მ, ხოლო მოპასუხეებს - რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გასაჩივრებული აქტები, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხე რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგილმდებარეობის მიხედვით რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნები მიმართულია რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ. შესაბამისად, სასამართლოს მიერ თავდაპირველად უნდა შემოწმდეს რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული აქტის კანონიერების საკითხი, პირის თანამდებობაზე აღდგენისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის

2007, N1.თენგიზ ლილუაშვილი (პროფესორი) ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუწყებობა (უწყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა. გვ 32.

იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების საკითხი. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროს იძულებითი განაცდურის ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით, სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, მეორე მოპასუხედ დასახელებულია საქართველოს ფინასნსთა სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, თუმცა იძულებითი განაცდურის ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება გასაჩივრებული აქტის - ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის #279 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის კანონიერების შემოწმების თანმდევი შედეგია."[111]

აღნიშნული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებს ერთმანეთისგან მიჯნავს სასარჩელო მოთხოვნების ნაწილის მიხედვით.

10. განსჯადობის განსაზღვრის კრიტერიუმები.

განსჯადობის განსაზღვრის კრიტეტიუმები ერთ-ერთი ყველაზე რთული და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი საკითხია სამართლწარმოებაში, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი ჩამოყალიბებული პრაქტიკა. საინტერესოა, რა კრიტერიუმებით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ იმის განსაზღვრისათვის, განეკუთვნება თუ არა საქმე ადმინისტრაციულ თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას?

განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვყოთ პოზიტური და ნეგატიური კრიტერიუმები.[112]

---

111 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე Nბს-722-708(გ-14)23/12/2014

112 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი „მარლთმსაჯულება" 2007, N1. თენგიზ ლილუაშვილი (პროფესორი), ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუნყებობა (უნყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა, გვ 34.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებულია შემდეგზე: „მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებული ურთიერთობანი. კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ნარდობის ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს და რომლის დადების დროისათვისაც უცილობლად გამოყენებული იქნებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმები. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრვი საფუძველი კერძოსამართლებრივია... საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წამოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა."[113]

აქ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნეგატიურ კრიტერიუმზე. თუ დავა გამომდინარეობს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და დავის გადასაწყვეტად გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ნორმები, დავა არ არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადი/განსახილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მიუთითებს: „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ საქმეში დავის საგანი ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

113 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე Nბს-364-360(გ-14)10/07/2014

გამოცემის დავალებას. დავის აღნიშნული ასპექტები ადასტურებს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებულ დავას, რის გამოც მოცემული საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა რანგს განეკუთვნება."[114]

მოცემული განჩინებით ნათლად ჩანს პოზიტიური კრიტერიუმი: თუ დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგებული ურთიერთობიდან, იგი ადმინისტრაციული სამართალწაროების წესით უნდა იქნეს განხილული.

როგორც აღვნიშნეთ, ერთგვაროვანი პრაქტიკა განსჯადობის დასადგენი კრიტერიუმების შესახებ არ არსებობს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს გადაწტვეტილებებში გვხვდება სხვა კრიტერიუმებიც.

საქართველოს უზენაესი სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა გამოყოფს 3 ძრითად კრიტერიუმს იმისთვის, რომ დავა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადი:[115]

1) სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

2) მხოლოდ ის გარემოება, რომ სასარჩელო მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, უპირობოდ არ ადასტურებს განსახილველი დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას.

3) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

4) დავის საგანს უნდა წამოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართა-

114 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე №ბს-419-412(გ-15)15/10/2015

115 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე №ბს-803-787(გ-12)13/02/2013

ლურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც, წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში."[116]

საკასაციო სასამართლო გამიჯვნივს ერთ-ერთ კრიტერიუმად იყენებს ძირითად სასარჩელო მოთხოვნას საქმეზე №ბს-722-708(გ14) 23/12/2014.

საკასაციო სასამართლოს განმარტებებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმპერატიულად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები დავის ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის გასამიჯნად არ არსებობს და ყოველი კონკრეტული გარემოება, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

11. საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ქვემდებარეობის გამიჯვნა

განსჯადობის საკითხის სწორ გადაწყვეტას არ აქვს მხოლოდ საპროცესო სამართლებრივი დატვირთვა. სწორედ რომ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა მნიშვნელობა და მოცულობა განაპირობებს ყოველი სახელმწიფო ორგანოს ადგილსა და როლს სახელისუფლებო სისტემაში. განსჯადობის საკითხთა გადასაწყვეტად ხელისუფლების თითოეული ორგანო საკანონმდებლო აქტის საფუძველზე აღიჭურვება შესაბამისი პროცესუალური, მატერიალურ-სამართლებრივი და ორგანიზა-

116 სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე. საქმე Nბს-350-346(გ-14)11/09/2014

ციულ-სამართლებრივი უფლებამოსილებებით, რომელთა ერთობლიობა ქმნის ამ ორგანოს კომპეტენციას. სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციასთან უშუალოდ დაკავშირებულია უფლებამოსილების საკითხი, რომელსაც ძალიან დიდი ყურადღებას უთმობს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების პირველ კრიტერიუმად სწორედ რომ უფლებამოსილებაა დადგენილი. იგი მოწმდება საგნობრივი და ტერიტორიული კრიტერიუმების მიხედვით. რომელიმე მათგანის დარღვევა კი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარებას იწვევს.

განსჯადობის საკითხზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილების საკითხს.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ "ორგანული კანონის მე-19 მუხლებით დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება საქმეთა მიღებასა და განხილვასთან დაკავშირებით. კოსტიტუციურ სამართლებრივი დავები ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება ის დავები, რომლებიც არ ექვემდებარება საერთო სასამართლოებს (ენუმერაციის პრინციპი)[117].

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული საკითხები. აღნიშნული მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო კოსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს: ა) საქართველოს კოსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭა-

117 მ.კოპალეიშვილი., ნ.სხირტლაძე., ე.ქარდავა., პ.ტურავა., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემ. „სიესტა" თბ; 2008; გვ. 57.

რის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხები; საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების, გამოყენების, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები;

ბ) დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;

გ) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნის და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;

დ) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავა;

ე) პირის სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებასთან მიმართებით;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;

ზ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;

თ) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს აუდიტის სამსახურის უფროსისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი;

ი) ნებისმიერი ინსტანციის საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელიც საერთო სასამართლომ უნდა გამოიყენოს გადაწყვეტილების მისაღებად კონკრეტული საქმის განხილვის დროს;

კ) დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

ლ) საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან და შეთანხმებასთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.

საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემოწმებას კონსტიტუციასთან შესაბამისობის მიზნით, რაც შეეხება კანონქვემდებარე მმართველობითი ხასიათის (ადმინისტრაციული) ნორმატიულ აქტებზე კონტროლს, მათი კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული იურისდიქციის ფარგლებში ხდება.[118]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, საერთო სასამართლოები განიხილავენ დავებს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვეთს საერთო სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი ერთმანეთს.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ქვემდებარეობის გამიჯვნა ხდება სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალის, მისი ადგილის მიხედვით ნორმატიული აქტების კანონმდებლობით დადგენილ იერარქიათა სისტემაში და მისი გასაჩივრებისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ორ ხერხს: გაშუალედებულს და უშუალოს. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში გასაჩივრება წარმოებს გაშუალებულად, ანუ დაინტერესებული პირის მიერ კონსტიტუციით აღიარებული რომელიმე უფლების დაცვის თაობაზე სხვა პირებთან წარმოებული დავის მეშვეობით და დაიყვანება ნორმატიულ აქტებს შორის კოლიზიის გადაჭრამდე.

---

118 Конституционное право Зарувежных Стран, Баглай М.В. Москва, 2004, 347.

ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტისადმი შესაბამისობის საკითხს სასამართლო წყვეტს მხოლოდ მოცემულ, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ასეთი შეუსაბამისობის დადგენის შემთხვევაში უარს ამბობს ნორმატიული აქტის გამოყენებაზე მისი ფორმალური გაუქმების გარეშე (ინციდენტური კონტროლი)[119].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც იერარქიით ზემდგომ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტთან შეუსაბამობის გამო არ იქნა გამოყენებული მოსამართლის მიერ, ავტომატურად არ კარგავს ძალას და აგრძელებს მოქმედებას.

იმ კატეგორიის საქმეები, რომლებიც ნორმატიული აქტების გაშუალედებურ გასაჩივრებას ეხება, არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარე. საქმეთა აღნიშნული კატეგორია უწყებრივად საერთო იურისდიქციის სასამართლოებს ექვემდებარება.[120]

სწორედ ამ საკითხს ეხმიანება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს კანონის მიხედვით.

რაც შეეხება ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტების უშუალო გასაჩივრებას (აბსტრაქტული ნორმაკონტროლი), ამ შემთხვევაში მიმდინარე დავა არ უკავშირდება მხარეთა შორის რაიმე სხვა დავის არსებობას. ასეთ საქმეებზე სასამართლოსადმი მიმართვის საგანს შეადგენს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან უპირატესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან შესაბამისობის საკითხის დადგენა. სწორედ აქ ვლინდება საერთო სასამართლოებსა და

---

119 მ.კოპალეიშვილი., ნ.სხირტლაძე ., ე.ქარდავა .,პ. ტურავა ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემ. „სიესტა" თბ; 2008; 61 გვ.

120 მ.კოპალეიშვილი., ნ.სხირტლაძე ., ე.ქარდავა .,პ. ტურავა , ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემ. „სიესტა" თბ; 2008; 61 გვ.

საკონსტიტუციო სასამართლოს შორის კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ხარვეზი არის ის, რომ იგი განსხვავებით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლისა, არ შეიცავს იმ ნორმატიული აქტების კონკრეტულ ჩამონათვალს, რომელთა კანონიერების შემოწმება მიეკუთვნება საერთო სასამართლოს კომპეტენციას.

ნორმატიული აქტების გასაჩივრების შესახებ საქმე, რომელიც განსახილველად უწყებრივად არ ექვემდებარება სპეციალურ სასამართლოს, მიეკუთვნება საერთო სასამართლოს კომპეტენციას.

მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ სასამართლოში ასაჩივრებს იგი სადავო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. კერძოდ, მისი საერთო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის შემთხვევაში მიმართვის სუბიექტს, როგორც წესი, არ მოეთხოვება იმის დასაბუთება, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი რომელიმე ნორმა ლახავს ამ სუბიექტის კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებამოსილებებს.[121] აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქის, მოქალაქეობის არმქონე პირისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით მიღებული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს. აღნიშნულმა პირებმა დამაჯერებლად უნდა დაასაბუთონ, რომ ექცევიან სადავო აქტის რეგულირების სფეროში ან სამომავლოდ უშუალოდ გახდებიან აქტით რეგულირებული სამართალურთიერთობის მონაწილე და არსებობს მათი უფლების დარღვევის რეალური საფრთხე[122].

საერთო სასამართლოს საქმიანობის მიზანია, მოწინააღმდე-

121 იქვე, გვ. 63

122 იქვე, გვ. 64

გე მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტა, ხოლო კონსტიტუციური კონტროლის ძირითად არსს კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვა და საკონსტიტუციო ნორმების დარღვევის აღკვეთა წარმოადგენს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მართალია, დასაშვებად მიიჩნევს საერთო სასამართლოს მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონებთან, ასევე, სხვა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტას (იხ: სასკ-ის მე-2; 22-ე; 32-ე მუხლები), მაგრამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში არ შეიძლება იყოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან: „სასამართლოები არ არიან სამართალშემოქმედი ორგანოები, ისინი ნორმატიულ აქტებს არ გამოსცემენ, შესაბამისად, მათი გაუქმების უფლებაც არ აქვთ, ხოლო ნორმატიული აქტის გამოცემის გამო ადმინისტრაციული დავის დაშვება ეჭვქვეშ დააყენებს ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას. ამასთან, ნორმატიული აქტი შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს და, ერთი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი გასაჩივრება დაუშვებელია... ნორმატიული აქტის მიღება, შეცვლა და გაუქმება კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილებაა, სასამართლო კი ასეთი ხელისუფლებით არ სარგებლობს."[123]

ბატონი ვალერიან ლორია ავითარებს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს: „ნორმატიული აქტის გასაჩივრება ადმინისტრაციულ ორგანოში ან მით უფრო სასამართლოში დაუშვებელი უნდა იყოს, ვინაიდან ინდივიდუალურ საკითხს არ წყვეტს. თუკი პირს აწყობს ესა თუ ის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მან უნდა გაასაჩივროს არა ნორმატიული ადმინის-

---

123 გ.გიორგაძე,მ.კოპალეიშვილი,ა.ლორია,ვ.ლორია,ხ.ლორია,მ.სალხინაშვილი , ნ.ნკეოლაძე , ც. ჩქარეული , ი.ხარშილაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი ვ., ლორიას რედაქტორობით, გამომც. „ბონა კაუზა", თბ., 2008, გვ.21-31

ტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქნა მიღებული."[124]

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ მსგავს შეხედულებებს იზიარებენ გერმანიასა და ინგლისში. კერძოდ, მართალია, გერმანიის კანონმდებლობა უშვებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კანონიერებაზე ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მოსარჩელემ ჯერ უნდა მიმართოს თავისი უფლებების აღდგენის ინდივიდუალურ სამართლებრივ დაცვას, რომლის მიმდინარობისას ტარდება, ასევე, ცალკეული ნორმატიული აქტების შემოწმება, რადგან ისინი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების სამართლებრივ საფუძვლად იქნა გამოყენებული.

მოქმედ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე კონტროლის წარმოების წესით შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც უშუალოდ, ანუ სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი მოქმედებების გარეშე არღვევენ მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ამ შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ინდივიდუალური სარჩელის წარდგენა.[125]

რაც შეეხება ინგლისს, სასამართლოები ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაზე სასამართლო კონტროლის მოთხოვნის უფლებას მოქალაქეთა გაერთიანებებსა და ჯგუფებს მხოლოდ მაშინ ანიჭებენ, როცა პირებს, რომლებსაც ეს გაერთიანებები წარმოადგენენ, განცხადების ძირითად საკითხთან მიმართებაში დასაბუთებული ინტერესი აქვთ. გერმანიის მსგავსად, ინგლისში ფეხი ვერ მოიკიდა ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების კონტროლის ამერიკულმა მოდელმა, რადგან ინგლისელებს

---

124 მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე , ე.ქარდავა ,პ. ტურავა , ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემ. „სიესტა" თბ; 2008; გვ. 281-28

125 ირმა ხარშილაძე, ნუნუ ოვსიანიკოვა „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი" თსუ-ის გამომცემლობა თბ; 2014; გვ. 476-477

მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება თავად მთავრობას აქვს და მას სასამართლო ვერ შეამოწმებს, რადგან ეს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევა იქნება.[126]

რაც შეეხება ამერიკულ ადმინისტრაციულ სამართალს, მან ფედერალური სასამართლოები პოლიტიკური დავის გადაწყვეტის პროცესში ჩართო და მათ უფლებამოსილება მიანიჭა, ზედამხედველობა გაუწიონ პროცედურებს, რომლებიც ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების გაუმჯობესებისთვის არის შექმნილი.[127] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკელ მეცნიერთა შორისაც არის აზრთა სხვადასხვაობა. მკაცრი სასამართლო კონტროლის მოწინააღმდეგე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სააგენტოები გადწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. მათ ყურადრება უნდა გაამახვილონ მეცნიერულ ექსპერტიზაზე და არა პოლიტიკურ ანალიზზე. „დეპოლიტიზირებული რეგულაციური პროცესი უკეთეს შედეგს გამოიღებს, გაზრდის ნდობას და შესაბამისად.. საზოგადოების მხრიდან მოწონებას დაიმსახურებს".[128]

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ ქართველი მეცნიერებიც. ისინი თვლიან, რომ „ვინაიდან ნორმაშემოქმედებითი პროცესი მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული პოლიტიკური ასპექტებით, ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით სასამართლო დავებში მხარეთა არგუმენტაციაში ჩვეულებრივი მიზანშეწონილობის მოტივები ჭარბობს, რაც ნორმაშემოქმედების და არა სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს. სასამართლო მოწოდებულია, გადაწყვიტოს დავის მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ასპექტები და თავი შეიკავოს სოციალურ-პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხების განხილვისაგან, მით უფრო, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სასამართლოს მიერ

126 P.P. Craig, Publik Law and Demokracy in the United Kingdom and the United States of Amerika, Oxford Univesity Press, Oxford, New York, 1990, გვ.182-184

127 L. Lindeth, Comparing Administrative States: Susan Rose-Ackerman and the Limits of Public law in Germany and the United States, Columbia Jurnal of European law, 2, 1996, Spring/ Summer გვ. 611

128 K.A. Watts, Progresing aPlace for Politics in Arbitrary and Capriocus Review, Yuie Law Journal, October, 2009, გვ. 29-30

მიღებული გადაწყვეტილება თავისთავად მიზანშეწონილია, ვინაიდან მიზანშეუწონლობის ასპექტი, რაციონალური კანონმდებლობის პირობებში, უკავშირდება კანონიერებას".[129]

ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების სასამართლო კონტროლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ამერიკელ მეცნიერთა ნაწილი მას აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს. ადმინისტრაციული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი, მისი სათანადო ფორმებით გამოყენების შემთხვევაში, მმართველობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თანამდებობის პირები, რომლებმაც იციან, რომ მათი საქმიანობა გახდება სასამართლოს განხილვის საგანი, შეეცდებიან, შეიმუშაონ სამართლიანი, დასაბუთებული და მისაღები გადაწყვეტილებები.[130]

ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების კონტროლს ითვალისწინებს ქართული კანონდებლობაც. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებას და ითვალისწინებს მის როგორც ბათილად ცნობას, ისე ძალადაკარგულად გამოცხადებასაც.

ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაზე სასამართლო კონტროლის არსებობა, აიძულებს ადმინისტრაციულ ორგანოებს, იყვნენ უფრო ფრთხილები და მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც სასამართლო დავის საგანი არ გახდება.

ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით, რეგიონალური ადმინისტრაციული სასამართლოები კომპეტენტურნი არიან, განიხილონ ნებისმიერი ადმინისტრაციული დავა, გარდა კანონით სხვა იურისდიქციას მიკუთვნებული საქმეებისა (მატერიალური კომპეტენცია). სხვა სიტყვებით, რეგიონალური სასამართლოები განიხილავენ ყველა ადმინისტრაციულ დავას პირველ ინტანციაში, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც სპეცია-

---

129 მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე , ე.ქარდავა ,პ. ტურავა., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემ. „სიესტა" თბ; 2008; გვ. 281-282

130 C. Coglianese, Empirical Analysis and Administrative Law, University of Illinois Law Review 2002, გვ. 1125

ლიზებული ადმინისტრაციული სასამართლოების წარმოებას განეკუთვნება. ასევე, გარდა იმ დავებისა, რომლებიც, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.[131]

ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარე დავების ამომწურავ ჩამონათვალს კონსტიტუციური კანონმდებლობა შეიცავს, ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის ანალოგიის გამოყენებით, ის რაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციაში და ეხება ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაზე კონტროლის განხორციელებას, უნდა განიხილონ საერთო სასამართოებმა.

12. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავათა გამიჯვნის სამართლებრივი კრიტერიუმები

ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და აქტუალური საკითხია ადმინისტრაციული დავათა სხვა კატეგორიის დავებისაგან გამიჯვნის საკითხი.

აღნიშნულის მოსანესრიგებლად სასკ-ის 2.3. მუხლმა, გააფართოვა რა იმავე მუხლის პირველ და მეორე მუხლში მითითებული საქმეთა რეოდენობა, შემოიღო დავათა გამიჯვნის პოზიტიური კრიტერიუმი და დაადგინა: „სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან."

სასკ-ის მე-2 მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, იკვეთება სამი აუცილებელი კრიტერიუმი, რომელთა ერთობლივად არსებობა აუცილებელია ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. ეს კრიტერიუმებია:

1. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან;
2. დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული

131 ირმა ხარშილაძე, ნუნუ ოვსიანიკოვა „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი" თსუ-ის გამომცემლობა თბ; 2014; გვ. 414

საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით დადგენილი შემთხვევა;

3. სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

განსჯადი სასამართლოს სწორად განსაზღვრისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ზუსტი განსაზღვრაა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნებასა და იმ მოთხოვნებს, მაგრამ არ განსაზღვრავს ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის კრიტერიუმებს. თავად ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნებაც საჭიროებს განმარტებას და, დავის წარმოშობის შემთხვევაში, სწორედ რომ მოსამართლის შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს ესა თუ ხელშეკრულება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით არის თუ არა დადებული. საკითხს ართულებს ის მდგომარეობაც, რომ არ არსებობს საჯარო უფლებამოსილების ლეგალური დეფინიცია.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებების გამიჯვნის აქტუალობა თავს იჩენს როგორც განსჯადობის, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე. ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება განსაზღვრავს მხარეთა უფლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში საჯარო ინტერესების დამცველი მხარე - ადმინისტრაციული ორგანო-უფლებამოსილია, დაარღვიოს პრინციპი -„bona fides exsegit ut, quod confenit fiat " (კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხარემ ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს). ამ პრინციპის გვერდის ავლას განაპირობებს ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას აძლევს შეცვალოს შეთანხმებული პირობები და ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, გააკონტროლოს შესრულება და მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.[132]

ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებების გა-

132 Catalin-Silviu Straru - „The interpretation of administrative contraqts", M „Juridikal Tribune", Vol 4, Issue 1, June 2014, გვ. 153

მიჯვნის საკითხის აქტუალობა მწვავდება სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ, განსჯადობის დადგენის ეტაპზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში N ბს-31-27(კ-13) მიუთითებს, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა, თავისთავად, უკვე თვით ფაქტის გამო, ადასტურებს საქმეში უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას.[133]

მართალია, სსაკ-ის 26.1. მუხლი ადგენს სარჩელის უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის წესს, მაგრამ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლოა სარჩელი შეტანილი იქნეს არაგანსჯად სასამართლოში, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ვალდებულია, ამის თაობაზე მოსარჩელეს აცნობოს. ამდენად, თუ დადგინდება, რომ სადავო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსისაა, იგი სასამართლოს მიერ გადაეგზავნება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების შინაარსიდან ირკვევა მისი სამართლებრივი ბუნების დამდგენი კრიტერიუმები. კერძოდ, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე აუცილებლად უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო.

ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ დაადგინა: ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ის ხელშეკრულებები, რომლებიც ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნორმებით რეგულირდება და წარმოშობს, წყვეტს ან ცვლის ამ ნორმებით მოწესრიგებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.[134]

ხელშეკრულების საგანი. მასში იგულისხმება მოქმედება, რომლის შესულების ვალდებულება ეკისრება მხარეს.

133 სუსგ-Nბს-31-27(კ-13), 26 დეკემბერი, 2013 წელი

134 სუსგ N 885-847 (კ-07), 01.04. 2008

ხელშეკრულების მიზანი. ადმინისტრაციული დავის განხილვის დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის გამოყენებული სამართლებრივი ფორმის სწორ კვალიფიკაციას. აღნიშნული საკითხის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის.[135] ხელშეკრულების მხარეთა სამართლებრივ მდგომარეობას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების სწორად დადგენისთვის. ის გარემოება, რომ სადავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, არ ნიშნავს, რომ ავტომატურად სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რადგან შესაძლებელია ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.[136] ადმინისტრაციული ხელშეკრულების შინაარსის განმსაზღვრელი ერთერთი მთავარი ელემენტი არის ის, რომ იგი მიზნად უნდა ისახავდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი, რომლის თაობაზე კანონმდებელი დუმს და არაფერს ამბობს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული ხელშკრულება არის საჯარო უფლებამოსილების კერძო სამართლებრივი ფორმით განხორციელების საშუალება. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენს საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება. პროფესორი მაია კოპალეიშვილი თავის ნაშრომში - „ადმინისტრაციული გარიგება" სამართლიანად აღნიშნავს, რომ სადავოა, თუ რამდენად ისახავს მიზნად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული

---

135 სუსგ Nბს-713-300 (კ-05), 07 ოქტომბერი, 2005 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი," 2010 წელი, გვ. 33.

136 სუსგ-Nბს-31-27(კ-13), 26 დეკემბერი, 2013 წელი

ყველა გარიგება საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას.[137]

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანთან დაკავშირებულია საჯარო ამოცანები. მართალია, კანონმდებლობაში არ არსებობს საჯარო ამოცანის ზუსტი ცნება, თუმცა თუ მოვიშველიებთ პროფესორ პაატა ტურავას მოსაზრებას, დავადგენთ, რომ „ამოცანები, რომელთა შესრულებაზეც საჯარო ინტერესი არსებობს, არის პირველ რიგში, საჯარო ამოცანები".[138]

ვიდრე განისაზღვრება თუ რა მოიაზრება „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანში", უნდა დადგინდეს თავად „საჯარო უფლებამოსილების" შინაარსი.

„საჯარო უფლებამოსილების" ცნება უნდა შემუშავდეს კანონმდებლის ნებისა და სამართლის პრინციპების სისტემური განმარტების გზით. ამასთანავე, აუცილებელია, რომ იგი განისაზღვროს არა იზოლირებულად და განყენებულად, არამედ ამ უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტთან - ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთობლიობაში.

ამ სამართლებრივი კუთხიდან გამომდინარე, საჭიროა მოხდეს ადმინისტრაციული ორგანოს ცნების განმარტება. აღნიშნული ეხება სზაკ-ის 2.1. „ა" მუხლის იმ ნაწილს, რომელშიც მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს ცნება ფუნქციონალური გაგებით. იგი ზოგადი შინაარსისაა. კანონმდებელმა მისი ქუდის ქვეშ გააერთიანა სამართლის ყველა ის სუბიექტი, რომელიც კანონის ფარგლებში ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. აღნიშნული მუხლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭება ხდება, როგორც დაწესებულებებისათვის, ასე კერძო პირებისთვის.

ფუნქციონალური გაგებით, სამრთლის სუბიექტები ადმინისტრაციულ ორგანოებად ითვლებიან შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. „მინიჭებული საჯარო სამართლებრივი უფლებამო-

137 მ.კოპალეიშვილი, „ადმინისტრაციული გარიგება" თბილისი, 2003; გვ. 21

138 ტურავა პ., „ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, როგორც პრივატიზაციის პროცესის ფარგლები", სტატიათა კრებული, თბილისი, 2011 გვ. 233

სილების მქონე დაწესებულებები". ისინი ცალსახად არ არიან სახელმწიფო მმმართველობის ორგანოები, მაგრამ ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. აღნიშნული უფლებამოსილებების მინიჭება მიმნიჭებელ საჯარო დაწესებულებასა და „მინიჭებულ პირს" შორის წარმოშობს საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულებით ურთიერთობას, რომლის შინაარსი კანონითა და კონკრეტული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ზუსტად არის განსაზღვრული. საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ვალდებულნი არიან, შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობები, აქვთ შესაბამისი დაფინანსების მოთხოვნის უფლება და იმყოფებიან აღმჭურველის მეთვალყურეობის ქვეშ. საჩივარი ან სარჩელი მიმართულია უშუალოდ მათ წინააღმდეგ. საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებით აჭურვილი პირები უნდა გაიმიჯნონ ე.წ. „ადმინისტრაციის დამხმარისაგან", რომელიც საჯარო სამართლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მითითებით და ხელშეკრულების თანახმად, დამოუკიდებლად ახორციელებს დამხმარე საქმიანობას. დამოუკიდებლად ის არ არის საჯარო უფლებამოსილების მქონე და მისი საქმიანობა მიეწერება იმ ორგანოს, რომლის დავალებითაც ის მოქმედებს.

2. კერძო პირები (მათ შეიძლება ვუწოდოთ მინიჭებული საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების მქონე ფიზიკური პირები). მათი საქმიანობა კანონით განსაზღვრულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოს ტოლფას მოქმედებად მიიჩნევა. ამდენად, მათ მიერ ამ პროცესში გამოცემული სამართლებრივი აქტები ადმინისტრაციულია და, შესაბამისად, ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაგებით, ისინი, ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენენ. ასეთი უფლებამოსილებით კერძო პირების აღჭურვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და, ამ მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კერძო პირებს მისი შესრულება იგივე ხარისხით და, ამასთან, ნაკლები დაბა-

ხარჯებით შეუძლიათ. ასეთი შემთხვევის კლასიკური მაგალითია ავტოტრანსპორტის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება კერძო პირების მიერ.

3. „ნებისმიერი სხვა პირი" გულისხმობს საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებს ისევე, როგორც მთავრობას. როგორც წესი, ეს ორგანოები არ ახორციელებენ მმართველობით საქმიანობას. ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისას, გამონაკლისის სახით, ისინი იყენებენ საქმიანობის ისეთ ფორმას, როგორიც არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სწორედ ამიტომ ექცევიან ეს ორგანოები საქმიანობის ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს ცნების კანონისმიერი გაგების ქვეშ.[139]

ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ქვეშ გაერთიანებული სუბიექტების საქმიანობაში ყოველთვის არ მოიაზრება მათ მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მათ მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელებას, რომლის უშუალო შედეგი არ არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ამ ორ შემთხვევას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შეესაბამება ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტული ფორმა მის ფუნქციებს. „ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, უმეტეს შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს როგორც კომპეტენცია, ასევე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალება".[140] ადმინისტრაციული ორგანო, როგორც სპეციალური უფლებამოსილების მქონე სუბიექტი, ახორციელებს მხოლოდ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის განსაზღვრული კონკრეტული საქმიანობის განხორციელების ფორმა, ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს, როგორი ფორმით განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

---

139 ზ.ადეიშვილი, ქ.ვარდიაშვილი, ლ.იზორია, ნ.კალანდაძე, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ.ტურავა, დ.ქიტოშვილი„ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო", გამომცემლობა „ბონა კაუზა", 2005წ., გვ. 107-109

140 სუსგ N ბს-455-443(კ-13), 25 მარტი, 2014 წელი

საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები წარმოშობს საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას - სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.[141]

ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნის დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების. ხელშეკრულების დადების მიზანი მისი შინაარსიდან გამომდინარე დგინდება. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლებამოვალეობების შინაარსს.

ხელშეკრულების დადების შედეგად პირი საჯარო სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღიჭურვება, ხოლო კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო სამართლებრივი უფლებამოვალეობების მატარებლებად.[142]

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება ყოველთვის არ აღჭურავს პირს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხა-

141

142 სუსგ N ბს-670 (გ 13), 23 იანვარი, 2014 წელი

რის საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვას.[143]

საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნის დადგენა საკმაოდ პრობლემატურ პრაქტიკულ სირთულესთან არის დაკავშირებული, რაც, ძირითადად, ორი გადამწყვეტი ფაქტორით არის განპირობებული:

1) საკანონმდებლო პრობლემა, რომელიც ეხება სზაკ-ის 2.1.ზ. მუხლში მოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების დეფინიციას. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. აღნიშნული ცნების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია.

2) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების მიზნის განსაზღვრას ართულებს ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა დაკავშირებულია, ძირითადად, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან ან მისი განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნის ხელშეწყობასთან.

პირველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების საშუალებას და მისი დადება სწორედ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებას ისახავს მიზნად, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელშეკრულების დადება ხდება გარკვეული ქონების ან სამუშაოს შესრულების მიღების მიზნით, თუმცა ეს უკანასკნელი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მაინც აისახება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესზე და ემსახურება მის ხელშეწყობას. მაგალითად, საქართველოს საქართველოს შ.პ.ს. „გამასთან" დადო ხელშეკრულება საკანცელარიო ნივთების შესყიდვის მიზნით. აღნიშნული ხელშეკრულება თავისი არსით არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით დადგენილი სამართალურთიერთობა, რომლის შედეგად არ ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

143 სუსგ N ბს-31-27 (კ-13), 26 დეკემბერი, 2013 ნელი

საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. აღნიშნული სამართალურთიერთობის ფარგლებში მხარეებს წარმოეშობათ სამოქალაქო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების საგანი (საკანცელარიო ნივთების გადაცემა) არ უკავშირდება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი ძირითადი უფლებამოსილების განხორციელებას. საკანცელარიო ნივთების შეძენა არის მისი ძირითადი საქმიანობისთვის ხელშემწყობი დამატებითი პირობა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვერ შეასრულების მის ძირითად ფუნქციას, თუ მას არ ექნება შესაბამისი ფისკალური დამხმარე საშუალებები, როგორიცაა საკანცელარიო ნივთები.

ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მასზე დაკისრებული საჯარო ამოცანა განახორციელა კერძო სამართლებრივი ფორმით და შესაბამისად, მან დადო სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

ხელშეკრულებით მოწესრიგებული ურთიერთობების და ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის სფეროს ამგვარი გადაფარვები კიდევ უფრო ართულებს ხელშეკრულების დადების მიზნის განსაზღვრის და შემდგომში ამ მიზნის საფუძველზე ხელშეკრულებათა გამიჯვნის პროცესს.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების მიზნის დასადებად შესაძლებელია ხელშეკრულების განმარტების მეთოდის გამოყენება. კატალინ სილვიო სტრარუ მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების განმარტება არის პროცესი, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების პირობების ზუსტად განსაზღვრას მხარეთა მიერ გამოვლენილი ნებისა და მათი ნამდვილი ნების შესაბამისობასთან მიმართებაში. [144]როგორც წესი, განმარტების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ დგინდება განსხვავება მხარის ნამდვილ სურვილსა და მის მიერ გამოვლენილ ნებას შორის, როდესაც ხელშეკრულების პირობები არის ორაზროვანი, დამაბნეველი, წინააღმდეგობრივი ან არასრული,[145] თუმცა ყველა შემთხვევაში შეიძლება მათი გამო-

144 Catalin-Silviu Straru - „The interpretation of administrative contracts", M. Iuridacal Tribune", Vol. 4, Issue 1, June 2014, გვ. 152

145 Constantin Stdtescu, Comeliu Birsan, drept civil. Teoria generala a obligatilor", All Beck

ყენება.

ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და გავრცელებული თეორიებია ნების გამოვლენის თეორია (Willenstheorie) და გამოხატვის თეორია (Erklarungstheorie).

ნების გამოხატვის თეორია ემყარება ნების ავტონომიურობის პრინციპს და გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების განმარტებისას მბოჭველი ძალა უნდა მიენიჭოს მხარის მიერ თავისუფლად გამოვლენილ ნამდვილ ნებას. ხოლო გამოხატვის თეორიის თანახმად, გადამწყვეტია არა მხარის შინაგანი ნება, არამედ ამ ნების გამოხატვის გარეგნული ფორმა. ამ უკანასკნელის საფუძველზე ჩამოყალიბდა ე.წ. ნდობის თეორია (Vertrauenstheorie), რომლითაც მბოჭველ ფაქტორად მიჩნეულ იქნა არა გამოხატული, არამედ ნაგულისმევი ნება.[146]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების განმარტების მეთოდები მიმართულია უშუალოდ მხოლოდ მხარეთა ნების დადგენისკენ და ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ეიჭება მიზანს, რომლის მიღწევასაც ემსახურება ხელშეკრულების დადება. ამდენად, ხელშეკრულების განმარტების ამ მეთოდების გამოყენება საჯარო უფლებამოსილების მიზნის დასადგენად შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად ეფექტური საშუალებაა შესაბამისი შედეგის დადგომის მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით დასავლეთის მეცნიერებიც აღნიშნავენ, რომ საჯარო უფლებამოსილების განმარტება მეორე მხარის მიმართ სახელმწიფოს სპეციალური უფლებამოსილების გათვალისწინებით უნდა მოხდეს,[147] ამიტომ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულების განმარტების მეთოდები განსხვავდება.[148]

თუ რამდენად ისახავს მიზნად ამა თუ იმ ხელშეკრულების დადება, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, უნდა

Publishing House, Bucharest, 2000, გვ.. 55

146 g. ვაშაკიძე, „ხელშეკრულებათა განმარტების თეორიული ასპექტები და ობიექტური ინტერპრეტაციის მნიშვნელობა მხარეთა ნების დადგენისას. „მართლმსაჯულება და კანონი" N107, 2013 ნ., გვ. 30

147 Laurent Richter, `Droits des contracts administratifs", 3(პრიმა) dition, L.G.D.J., Paris, 2002, გვ. 204.

148 Jean-Marie Auby, Droit administratif, Universite Bordeaux, Librairie Montaigne, 1975-1976, გვ. 184

დადგინდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით კომპლექსურად. პირველ რიგში, უნდა დაგინდეს ხელშეკრულების საგანი რამდენად შეესაბამება ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას და მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულება უკავშირდება თუ არა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. სწორედ ესაა ორი არსებითი და უმნიშვნელოვანესი წინაპირობა, რომელთა ერთდროულად არსებობისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების დადების გზით ხორციელდება საჯარო უფლებამოსილება, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საუბარია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი საჯარო სამართლებრივი საქმიანობის ფორმის განხორციელებაზე, როგორიცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების განმარტებისას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ნებელობით ელემენტს (მხარეთა სურვილს), არამედ ხელშეკრულების საგნისა და შერსრულების შედეგის შესაბამისობას ადმინისტრაციული ორგანოს კანონით დადგენილ ფუნქციებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო 5.1. მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.[149]

მიზნის საფუძველზე ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებშიც.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებების გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც განსჯადო-

149 სუსგ N ბს-41-36 (გ-13). 07.03.2013

ბის, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობების ეტაპზე. სწორედ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზეა დამოკიდებული მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა.

ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში საჯარო ინტერესების დამცველი მხარე (ადმინისტრაციული ორგანო) უფლებამოსილია, დაარღვიოს პრინციპი (კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხარემ ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს). ამ პრინციპის გვერდის ავლას განაპირობებს ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას აძლევს, შეცვალოს შეთანხმებული პირობები და ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, გააკონტროლოს შესრულება და მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.[150]

განსჯადობის საკითხის ზუსტ გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისთვისაც. აღნიშნულს ადასტურებს უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში: საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა, თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების ფაქტის გამო, ადასტურებს საქმეში უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას.[151]

12.1. ადმინისტრაციული სახელშეკრულებო დავიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები

სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მარეგულირებელი ნორმებიდან აღსაინიშნავია საქართველოს სამოქალაქო კოდე-

150 Catalin-Silviu Straru - „The interpretation of administrative contracts", M. Iuridacal Tribune", Vol. 4, Issue 1, June 2014, გვ. 153

151 სუსგ - Nბს-31027 (კ-13), 26 12. 2013

ქსის 394-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება: აღნიშნული დებულება წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანიას ანაზღაურების მთავარ მარეალიზირებელ სამართლებრივ საფუძველს.

გამონაკლისს არც ადმინისტრაციული ხელშეკრულება წამოადგენს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტი - ადმინისტრაციული ორგანო - იღებს საჯარო სამართლებრივ ვალდებულებას და მისი შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავა, როგორც წესი, დაკავშირებულია ერთ-ერთი მხარის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან, რასაც თავისთავად მოჰყვება ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა.

„ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხიმგებლობას ზიანთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია მისი მხრიდან საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან.[152]

„რაც შეეხება სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემის აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება და უფლების აღდგენა, უნდა განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და პროცედურით და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.[153]

---

152 Detterbeck S., Windhorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, munchen, 2000, გვ.388

153 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 26 მარტის N 3გ-ად-2-კ-03 განჩინება-საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 2003 წელი N5, გვ. 1141-1145

სზაკ-ის 208-ე მუხლი ადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს. ეს მუხლი გამოყოფს პირთა სამ კატეგორიას, რომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ეს იქნება მათ მიერ გამოცემული უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითა თუ ქმედებით გამოწვეული ზიანი, პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო და მისი თანამდებობის პირები ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურეები;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მისი თანამდებობის პირები ან სხვა მოსამსახურეები

სზაკ-ის 208-ე მუხლის პირველის თანახმად, სარჩელი უნდა აღიძრას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, მეორე ნაწილის შესაბამისად - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართ. აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია სარჩელი შეიტანოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და არა იმ კერძო პირის მიმართ, რომელიც აღნიშნული ორგანოების მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე ახორციელებდა გარკვეულ საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში სასკ-ის 16.2. მუხლის შესაბამისად, კერძო პირი საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს როგორც სავალდებულო მოწვევის მესამე პირი.

12.2. დაცვის პოლიციის მიერ დაცვის თაობაზე კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

სახელშეკრულებო დავის სამართლებრივი ბუნების დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევას. ამ კუთხით, საინტერესოა იმ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების სწორი განსაზღვა, სადაც დავის საგანს წარმოადგენს სსიპ დაცვის პოლიციის მიერ კერძო პირებთან დადებული დაცვის ხელშეკრულება. უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია. უმეტეს შემთხვევაში, სსიპ დაცვის პოლიციის მიერ კერძო პირებთან დადებული დაცვის ხელშეკრულება ადმინისტრაციულ სამართლებრივადაა აღიარებული და, შესაბამისად, აღნიშნული დავები ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადად არის მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამარტლოს 2008 წლის 5 ივნისის განჩინების თანახმად, მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და მოქალაქე ა.ი.-ის შორის დადებული ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, დაცვის პოლიცია იღებდა ვალდებულებას, დაეცვა ა.ი. და მისი ოჯახის წევრები, ხოლო ა.ი. ვალდებული იყო, გადაეხადა მომსახურებისათვის ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.

მოსარჩელემ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულეს ჯეროვნად, რასაც ვერ ვიტყვით მოპასუხე ა.ი.-ს შესახებ. ამ უკანასკნელმა დაარღვია ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება თანხის გადახდის თაობაზე, რის გამოც მას დაუგროვდა დავალიანება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან დავალიანების გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ,საქართველოს შინაგან საქმეთა, სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხე ა.ი.-ის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25[1]-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან

და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმებით, რადგან დავა გამომდინარეობდა მხარეთა შორის არსებული კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, აღნიშნული დავის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ არასწორად იქნა განსაზღვრული სარჩელის განხილვის წესი სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის დადგენილი ნორმებით და იგი განხილული უნდა ყოფილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის განსახილველად უმთავრესი იყო სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითი იყო დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებდა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

სადავო ხელშეკრულების თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, დაიცვას ა.ი. და მისი ოჯახის წევრები, ხოლო მოპასუხის ვალდებულებაა, გადაიხა-

დოს დაცვის მომსახურების ღირებულება. მოცემულ შემთხვევაში, დავის განსჯადობის საკითხის გასაჭრელად, გადამწყვეტია, დადგინდეს აღნიშნული ხელშეკრულება დადებულია დაცვის პოლიციის მიერ მის უშუალო საჯარო უფლებამოსილებაში შემავალი ფუნქციის განსახორციელებლად, თუ მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ მიზნით, აღნიშნული უწყება ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაცვას. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება, რომლითაც მისი ძირითადი ამოცანები არ შეცვლილა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო პირების ხელშეკრულების საფუძველზე დაცვა ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას, მის უშუალო და პირდაპირ ფუნქციას. ამ შემთხვევაში კი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სადავო ხელშეკრულება სწორედ ამ მიზნით არის დადებული, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მოიპოვა სადავო თანხის ანაზღაურება.

აღნიშნული დასკვნების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა მთლიანად გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარატამენტის სარჩელი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისთვის გადაუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3

ნაწილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, ვინაიდან კოლეგიებს შორის წარმოიშვა დავა განსჯადობის თაობაზე, საქმე გადაეგზავნა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სამართლებრივი საფუძვლებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლო კოლეგიის დასკვნას და მიიჩნევს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს. იგი აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულება დაიდო სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით. მან მიიჩნია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი ამოცანა - დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, ხელშეკრულების სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ხელშეკრულებაში მხარეათა სამართლებრივ სტატუსს. ხელშეკრულებათა გამიჯვნა შესაძლებელია თავად ამ ხელშეკრულების მიზნის დადგენის გზით. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებში დიდი ადგილი ეთმობა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზაციულ მოწყობაზე მსჯელობას, რომელსაც როგორც თავადვე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, თავად დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედება ატარებდეს საჯარო სამართლებრივ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ფუნქციას ისედაც წარმოადგენს

საკუთარი მოსახლეობის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. აღნიშნული საჯარო სამართლებრივი ფუნქციის შესრულებაზე პასუხისმგებელია პოლიცია, რომელიც საპოლიციო ნორმების საფუძველზე ახორციელებს მოქალაქეთა დაცვას. დაცვის პოლიციის მიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების მიზანი არ არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, არამედ იგი წარმოადგენს დამატებით მომსახურებას, რომელსაც დაცვის პოლიცია სთავაზობს კერძო პირებს გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ.[154]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და კერძო პირებს შორის არსებული სახელშეკრულებო დავის საჯარო სამართლებრივად მიჩნევის თაობაზე, ერთი შეხედვით, ეყრდნობა და გამომდინარეობს იმ კრიტერიუმებიდან, რომელიც აკმაყოფილებს ხელშეკრულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევას: სახეზეა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც კანონით აქვს განსაზღვრული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ნებართვა და თითქოს სწორედ ამ საჯარო უფლების რეალიზაციას ემსახურება სსიპ დაცვის პოლიციის მიერ ხელშეკრულების გაფორმება კერძო პირებთან. მოცემულ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი აღნიშნული ურთიერთობის კერძო სამართლებრივად მიჩნევისთვის უნდა გახდეს არა მინისტრის დანაწესი, არამედ ის ფაქტი, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ კერძო პირებთან ხელშეკრულების გაფორმებით არ ხორციელდება, როგორც ეს კანონით არის ნათქვამი, არამედ სახეზეა სამოქალაქო სამართლისთვის დამახასიათებელი მომსახურების ხელშეკრულება, სადაც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი იღებს ვალდებულებას, გარკვეული საფასურის გადახდის მიზნით განახორციელოს ხელშემკვრელი კერძო პირების დაცვა. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ კერძო პირებთან დაცვის ხელშეკრულების დადებით არ ხორციელდება საჯარო მოწესრიგება.

აღნიშნული მაგალითის ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრამდე სასამართლომ

154 პ.ტურავა., საგნობრივი განსჯადობა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი", #1, 2013, გვ. 63-64

თავის თავზე უნდა იტვირთოს ამ სამართლებრივი პრობლემის დარეგულირება და შეცვალოს ამ კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკა.

13. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

შპს „ალფამ" სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე - ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების დაკისრების მოთხოვნით, ასევე საკრებულოსათვის ვადაგადაცილებულ დღეზე 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით პირგასამტეხლოს სახით შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულების 0,2 %-ის გადახდის მოთხოვნით.

მოსარჩელე „შპს" ალფამ აღნიშნა, რომ მას 2012 წლის 20 სექტემბრამდე უნდა შეესრულებინა ქ. ქარელში გზების მოასფალტების სამუშაოები. ამავე წლის სექტემბრის დასაწყისში მისთვის ცნობილი გახდა, რომ იმავე ქალაქში სხვა ორგანიზაცია 2012 წლის 12 სექტემბრიდან 24 ნოემბრამდე აწარმოებდა წყალსადენის და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოებს, რაც მოსარჩელისთვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდიდა. შპს „ალფამ" 13.09.12. საკრებულოს წერილობით სთხოვა სამუშაოთა შესრულების ვადების გადაწევა 2012 წლის 7 ოქტომბრამდე. ეს მოთხოვნა საკრებულოს მიერ რეაგირების გარეშე დარჩა, რის გამოც სკ-ის 398.1. მუხლის თანახმად, მოსარჩელეს არ მოეთხოვებოდა შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრი დაცვა. ხელშემშლელი გარემოებები გრძელდებოდა ოქტომბირსა და ნოემბის თვეში. შპს „ალფამ" 30.10. 2012 მაინც მოახერხა სამუშაოების დასრულება და იმავე დღეს მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს" საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად. 07.11.2012. ქარელის გამგეობას წარედგინა შესრულებული სამუშაოების მიღების აქტები. შემსყიდველი ვალდებული იყო, შეტყობინებისთანავე შეედგინა მიღება- ჩაბარების აქტი, მით უფრო, რომ სამუშაოზე მიღებაზე ხელმოწერები უკვე არსებობ-

და. შემსყიდველი მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ იყო თანახმა, გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. მოსარჩელე თვლის, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ვადის დარღვევით ჩარიცხვისთვის თავად უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დროზე, 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს განჩინებით, მოპასუხე მხარის შუამდგომლობა შპს „ალფას" სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხილვის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა გამომდინარეობს კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებიდან.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „ალფას" სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით აპელანტის - შპს „ალფას" სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. პალატამ მიუთითა, რომ სასკ-ის 2.1. მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. სზაკ-ის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-

ბის გზით. სასამართლომ მიუთითა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 16.2. მუხლის „რ" ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს „ალფას" შორის გაფორმდა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის გზების მოასფალტების სამუშაოებზე. მოსარჩელე - შპს „ალფა" ითხოვს მის მიერ პირგასამხდელოს სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას და მოპასუხისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25[1] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულების მიზნით, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, რის გამოც საქმე განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის განჩინებით, აპელანტის შპს „ალფას" სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებები სარჩელის განსჯადობის შესახებ საკითხზე და აღნიშნა, რომ ქა-

რელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს - შპს „ალფას" შორის დადებული სახლმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ, არამედ კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებას. მისი მსჯელობის თანახმად, სზაკ-ის 2.1. მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ ხელშეკრულება ჩაითვალოს ადმინისტრაციულად, მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარე მაინც უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. თუმცა, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს არამარტო ხელშეკრულების მონაწილე პირის ვინაობა, მათი სტატუსი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არამედ - ხელშეკრულების მიზანიც. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, ასევე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის)"13.10. მუხლის „ა" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრირების სფეროში - ტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის სფეროში - საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება: ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა შემსყიდველის - ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ტენდერის გამოცხადებასა და ჩატარების პირობებში მოქმედებდა იმავე საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის მიხედვით.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ სადავო ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საჯარო უფლებამოსილება განახორციელა არა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე ხელშე-

კრულების დადების გზით, არამედ ხელშეკრულების დადებამდე მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში მთელი რიგი ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნული დავის განსჯადობის თაობაზე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ადმინისტრაციული ორგანოა. საჯარო სამართლებრივი და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისთვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლებამოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად, შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო სამართლებრივი უფლებამოვალეობებით, ხოლო კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო სამართლებრივი უფლებამოვალეობების მატარებლად. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს შეადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი თანხის -139 496,1 ლარის, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების, უკან დაბრუნება. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა შესრულებულ სამუშაოთა მიღების და თანხის გადახდის ვალდებულება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციულ-სამართლე-

ბრივი აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისთვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა , მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. დავის საგანს, მოცემულ შემთვევაში, წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს სახით მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მოსარჩელე შპს „ალფა" მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 85-ე, 86-ე, 2361-ე, 398-ე, 401-ე, 417-ე, 418-ე, 429-ე, 976-ე, 978-ე მუხლებს. ამდენად, სადავო ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინსტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3. მუხლი). სასკ-ის 25[1] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალო სამართალწარმოების წესით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25[1] მუხლის და 65[1] მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება, მიიღოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე გადაწყვეტილება, თავისთავად არ ნიშნავს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობას. იგი აღნიშნავს, რომ ქარელის მუ-

ნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო უფლებამოსილება განხორციელდა არა ხელშეკრულების დადებით, არამედ ხელშეკრულების დადებამდე მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით, რითაც კანონმდებლობიტ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეკონსტრუქციის საკითხი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა, რომელიც წინ უძღოდა ხელშეკრულების დადებას. დავის საგანია ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის მის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნებისა და მის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის გადახდის დაკისრება. ამდენად, იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, არ ადასტურებს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

აღნიშნული დავის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მოსაზრება. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს ..გამას" შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება თავად სახელწოდებიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვას ეხება და იგი შესაძლოა ადმინისტრაციული შინაარსის იყოს.

ხელშეკრულების მიზანი უნდა განვსაზღვროთ მისი შინაარსიდან გამომდინარე. არსებითია იმის დადგენა, თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე:

ა. როდესაც ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება;

ბ. როდესაც ის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს;

გ. როდესაც ის მოქალაქის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულსა და შ.პ.ს. „ალფას" შორის ტენდერის საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის გზების მოასფალტების სამუშაოებზე. ტენდერი ჩატარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის" საფუძველზე. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 16.2. მუხლის „რ" ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არაერთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული, რომლითაც მიიღეს გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის (მშენებლობისა და განვითარების) უზრუნველყოფის თაობაზე. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეალიზების ნიზნით დაიდო სადავო ხელშეკრულება. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული ხლშეკრულების დამახასიათებელი პირველი ნიშანი.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტმა განახორციელა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და შესრულდა რეალური მოქმედება - შეკეთდა და დაიგო გზები. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მეორე ნიშანი: ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა მმართველობითი ღონისძიება რეალაქტის მეშვეობით.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა და იგი საჯარო მიზნის განხორციელებას ემსახურება. გამართული გზები და

მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა აუცილებელია ინვესტორთა მოზიდვის, ტურიზმისა და კულტურის განვითარებისთვის. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებისვის დამახასიათებელი მესამე ნიშანიც. რაც შეეხება შპს-ს მოთხოვნას, მას შეეძლო მოეთხოვა მუნიციპალიტეტისთვის მიყენებული ზიანის ანაზრაურება, რაც მის უმოქმედობაში გამოვლინა. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

განსჯადობასთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო #ბს-465-460 (გ) საქმეზე.

2016 წლის 15 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის სქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - ი/მ „დ.პ-ის" მიმართ.

მოსარჩელემ ი/მ „დ.პ-ისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისთვის დარიცხული დავალიანების გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „დ.პ-ის" მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს მითითებით, დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისთვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. დავა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები და სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხილული უნდა იქნეს სამოქალოქო სამართალწარმოების წესით. კერძოდ, მოსარჩელე - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

განმარტავს, რომ დ.პ.-ს თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშვა უძრავი ქონების არამართლზომიერი ფლობის შედეგად და ითხოვს, რომ ეს თანხა აანაზღაუროს მოპასუხე მხარემ. ასევე დასტურდება, რომ თანხის ოდენობა მხარეს დადგენილი აქვს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე მხარე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს მის კუთვნილ უძრავ ნივთს. მოსარჩელე მიუთითებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულებაზე და ითხოვს ფართის არამართლზომიერი ფლობის დროის მიხედვით მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას. მიუთითებს, რომ, ვალდებულების ძალით, მოპასუხე ვალდებულია, მას აუნაზღაუროს სადავო თანხა. მოსარჩელე, ასევე, მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36.1[3] მუხლზე, რომელიც არამართლზომიერი მფლობელის მიერ თანხის ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებს ქონების სამეწარმეო მიზნით გამოყენების შემთხვევაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობების გათვალისწინება ცალკე კანონით არ აქცევს ურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამარტლებრივად, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი ითვალისწინებს, აგრეთვე, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონიტ გათვალისწინებულ შემთხვევას.

საქარტველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმსასამარტლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „დ.პ"-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა. ამ უკანასკ-

ნელმა კი განსჯადობის დასადგენად აღნიშნული საქმე უზენაეს სასამართლოში წარადგინა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

კონკრეტულ შემტხვევაში სასამართლომ ყურადღება გააამახვილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანზე. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისთვის თანხის გადახდის დაკისრებას. მოსარჩელის განმარტებით, "დ.პ". წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით არამართლზომიერად სარგებლობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებით.

სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36.1 [3] პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისთვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), სარგებლობის მთელი პერიოდისთვის (2014 წლის 11 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების სამეწარმეო საქმიანობისთვის "დ.პ"-ისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისთვის საფასურის გადახდევინების თაობაზე მოთხოვნის საფუძველი განსაზღვრულია „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით, შესაბამისად,

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალქო კანონმდებლობიდან , რის გამოც იგი განეკუთვნება ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით, მართალია, მიუთითა, რომ „განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს საჯარო სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია, საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში", თუმცა, არ ასაბუთებს, თუ რაში მდგომარეობს აღნიშნული დავის საჯარო სამართლებრივი მიზანი. ვფიქრობთ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისთვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება არანაირი საჯარო სამართლებრივი მიზნის განხორციელებას არ ემსახურება. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსისაა და მხოლოდ იმის მტკიცება, რომ დავალიანების ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი", არ ნიშნავს, იმას, რომ დავა საჯარო სამართლებრივი შინაარსისაა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 317-ე მუხლი მიუთითებს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონით დადგენილ შემთხვევებზეც და ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამდენად, ვხედავთ, თუ რა რთულია დავათა განსჯადობის საკითხის დადგენა.

13.1. საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავათა სამართლებრივი ბუნების დადგენა

2013 წლის 28 იანვარს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის 28 აგვისტოს შპს „.....“ დირექტორის მიერ მოწვეული იქნება პარტნიორთა კრება საზოგადოების პარტნიორების მიერ 2010 წლის 11 ნოემბრის კრებაზე საზოგადოების კაპიტალში დამატებით შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, პარტნიორის გარიცხვის საკითხის განხილვის მიზნით. კრებაზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის თაობაზე.

საზოგადოების პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოებაში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით შპს „....“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დადგინდა ხარვეზი, ხოლო 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა. მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები და მათი ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივრები არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რესტრის ეროვული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და ცვლილებების რეგისტრაციის მოპასუხისათვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „.....“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასებს შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაცო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ერვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაცო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამქეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, გაუქმებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაცო საჩივარი განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტას შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რამდენადაც სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანა რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით. სამეწარმეო საქმიანობა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მოწესრიგებული კერძო სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, სამეწარმეო კანონმდებლობა არეგულირებს სამეწარმეო სუბიექტების ფორმების წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ დავის საგანს წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელებზე უარის თქმის შესახებ მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერება, აღნიშნული ვერ გახდება დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის საფუძველი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო გადაწყვეტილებები არ შეიცავს ზოგადი ადმინსიტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ: სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ახორციელებს რა მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ან სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციას, ამოწმებს წარდგენილი დოკუმენატაციის შესაბამისობას „მეწარმეთა შესახებ" კანონის მოთხოვნებთან, შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილებები მატერიალური თვალსაზრსით შემოწმებას ექვემდებარება კერძო სამართლე-

ბრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალურთიერთობას აწესრიგებს გადაწყვეტილების გამოცემის გზით, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობის - „მეწარმეთა შესახებ" კანონის საფუძველზე იღებს.

საკასაციო სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა აქტის შინაარსს. შპს-ის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ისევე როგორც კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირების დაფუძნება - რეგისტრაციის, პარტნიორთა უფლება-მოვალეობებისა და საზოგადოების მართვის საკითხები, სამართლებრივად წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობებს, რომლებიც კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება. სადავო სამართალურთიერთობა კი შეეხება კერძო სამართლის იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის პირობებს სამეწარმეო კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს. შესაბამისად, მოცემული საქმე საკასაციო სასამართლომ დაუქვემდებარა სამოქალქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც სადავო სამართალურთიერთობა რეგულირდებოდა კერძო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ უზენაეს სასამართლოში არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი კატეგორის დავები სამოქალაქო წე-

სით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. სასამართლო ამის დასტურად მიუთითებს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას (განჩინება საქმეზე ნბს-913-875"(გ-07) 30.08.07, განჩინება საქმეზე N844-828 (გ-12) 04. 04. 13 განჩნება საქმეზე Nბს-297-289 (გ-13)27.06.13).

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო საკასაციო სასამართლომ საგადასახადო რეესტრში კომერციული იურიდიული პირის თაობაზე განხორციელებულ სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული სარჩელის მიმართაც, რომელშიც ასევე იყო მითითებული მეწარმეთა შესახებ კანონი. სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, მოსარჩელე ასაჩივრებდა მინისტრის ბრძანების საფუძველზე კომერციული იურიდიული პირის შესახებ სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების შეტანის ფაქტს, მაგრამ, ვინაიდან რეგისტრაცია და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მეწარმეთა შესახებ კანონი კი კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი აქტია, უზენაესმა სამართლომ აღნიშნული დავის განხილვა მიაკუთვნა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო სამართლებრივი წესით განსახილველ დავათა რიცხვს მიაკუთვნა ასევე, სარჩელი, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ერთ-ერთი მოქალაქისთვის არასრულწლოვნის მზრუნველობაზე უარის თქმასთან, რომელშიც წინა ორი შემთხვევის მსგავსად, მოქალაქეს ეთქვა ადმინისტრაციული ორგანოს, რესურსცენტრის, ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. საგანმანათლებლო რესურსცენტრებს არასრულწლოვანთათვის მზრუნველთა დანიშვნის უფლებამოსილება დელეგირებული აქვთ საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნული დავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას

გადასცა, ვინაიდან მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით, რომელიც არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. და ბოლოს, აღნიშნულ დავათა განსჯადობის თაობაზე მსჯელობისას უზენაესმა სასამართლომ ფორმალური მიდგომის საფუძველზე ისინი განსახილველად მიაკუთვნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს/პალატებს. შინაარსობრივად თუ დავუკვირდებით, თითოეული სადავო სამართლებრივი ურთიერთობა საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა. პირველ შემთხვევაში, მართალია, საჯარო რეესტრი კომერციულ იურიდიულ პირებს არეგისტრირებს მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ ის აწესრიგებს კერძო სამართლებრივ კომერციულ ურთიერთობებს, მაგრამ საჯარო რეესტრის მიერ კომერციული იურიდიული პირის რეგისტრაცია და სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილების შეტანა ცალსახად ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობაა. ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ საჯარო სამართლებრივ ფუნქციას. გარდა ამისა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა ხარვეზი, ხოლო 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება. აღნიშნული გადაწყვეტილებები თავისი შინაარსით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია. დაინტერესებული მხარე ითხოვდა მათ ბათილად ცნობას, ამდენად, სახეზეა სასკის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

მეორე შემთხვევაში განხილულ საგადასახადო რეესტრის ჩანაწერში ცვლილება შეტანილ იქნა მინისტრის ბრძანების მეშვეობით, რომელიც ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტია და, ცალსახად, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შინაარსიისაა. რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსცენტრის უარს პირის მზრუნველად დანიშვნაზე, აღნიშნულიც წარმოად-

გენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ურთიერთობაც თავისი მახასიათებლით საჯარო სამართლებრივია (სუბორდინაცია და ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა). რესურსცენტრი მოქმედებდა ჯანდაცვის სამინისტროსგან მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამ დელეგირების განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება კი, ასევე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, გამომდინარეობს რა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რომელიც ერთ საჯარო ორგანოს აძლევს თავისი უფლებამოსილების სხვა ორგანოსთვის დელეგირების უფლებას, გამოცემულა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და აძლევს მეურვედ/მზრუნველად დანიშვნის უფლებამოსილებას, ანუ პირს ანიჭებს უფლებას. ამასთან, ისევ უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, სამოქალაქო კოდექსიც, მეწარმეთა შესახებ კანონის მსგავსად, არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი, რის შესახებაც მის მუხლებში პირდაპირაა მითითებული, მაგრამ ისიც შეიცავს უამრავ საჯარო სამართლებრივ ნორმას (მაგ. უძრავი ქონების საჯარო რეესტრში გატარების, საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციის, შვილად აყვანასა და მეურვეობა-მზრუნველობასთან დაკავშირებულ და სხვა ნორმებს): ასეთი ნორმები პირდაპირაა მიმართული არა მოქალაქეთა/კერძო სამართლებრივ იურიდიულ პირთა შორის თანასწორობასა და კერძო ავტონომიის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთობების მოწესრიგებისკენ, არამედ საჯარო სტრუქტურებსა და კერძო პირთა შორის ურთიერთობათა და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოთა კონკრეტული საქმიანობის რეგულირებისკენ.

აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2005 წლის 31 ოქტომბრის №241 ბრძანებით, შ.გ-ი გათავისუფლდა აფხაზეთის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელწიფო ანსამბლ „...-ის“ დირექტორის თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა შრომის კოდექსის 34-მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია ან მუშაკთა რიცხოვნობისა და შტატების შემცირება).

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ კასატორის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო ურთიერთობაზე ვრცელდებოდა შრომის კანონთა კოდექსის და არა „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოქმედება. სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოქმედება გამორიცხა ამავე კანონის პირველი და მე-2 მუხლების, ასევე, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი წარმოადგენს საჯარო მოხელეს და, ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის სუბიექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, „საჯარო სამსახურის შესახებ"კანონის მე-2 მუხლში, სახელმწიფო დანესებულებების ჩამონათვალში, არ არის მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის, როგორც თვისობრივად საჯარო მოხელის ფუნქციური დანიშნულების მქონე პირისგანხილვას. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონით რეგლამენტირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, როგორც საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტის ბუნების გათვალისწინებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელსა და სახელმწიფოს შორის არსებობს ერთგულებასა და ნდობაზე დაფუძნებული განსაკუთრებული საჯარო-შრომითი ურთიერთობა, რაც, ზოგადად, საჯარო მოხელესა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების არსია. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სწორედ ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია,

რომ ის უთანაბრდება მოხელეს და მის მიმართ ვრცელდება ის ვალდებულებები და გარანტიები, რასაც „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი ითვალისწინებს საჯარო მოხელის მიმართ. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. აქედან გამომდიანრე, მისი ხელმძღვანელი აღნიშნული დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივ ფორმად, სხვა ფორმებთან ერთად, იყენებს და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება არ შემოიფარგლება მისი საქმიანობის ნაწილით, იგი ადმინისტრაციულ ორგანოს განეკუთვნება არა საქმიანობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილში, არამედ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა სრულად ხორციელდება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების მიზნით.

რაც შეეხება საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით და სადაც საჯარო სამსახურის იურიდიული პირის ხელმძღვანელი არ არის მოხსენიებული, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ბრძანებულების შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაციას არ აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭებასთან მიმართებაში. აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაცია კი არ აქცევს სახელმწიფო მოსამსახურეს საჯარო მოხელედ, არამედ რეესტრი იძლევა მხოლოდ რანგების მიხედვით საჯარო თანამდებობათა კონკრეტულ ნუსხას, რაც შეიძლება არ იყოს ამომწურავი. თუკი რომელიმე დაწესებლების საჯარო მოხელე არ არის რეგისტრირებული მითითებულ რეესტრში, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მას საჯარო მოხელის სტატუსი არ ქვს.

თუკი სადავო ურთიერთობა შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე იქნება წარმოშობილი, ასეთ შემთხვევაში სამუშაო-

დან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანებაც ვერ განიხილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და საქმე არ დაექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აუცილებელი პირობაა, მისი გამოცემა განხორციელდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო შრომის კოდექსი არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.[155]

უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 23 ივნისს თავისი განჩინებით ბს-272-270 (გ-16) შრომითი სამართლებრივი სარჩელი განსახილველად გადასცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. აღნიშნული სარჩელი ეხებოდა მოქალაქის თავდაცვის სამინისტროში ხელმძღვანელი თანამდებობიდან განთავისუფლებას სავარაუდო დისკრიმინაციული ნიშნით (კეძოდ კი, მის მიერ მეორე ოჯახის შექმნის/ოჯახური მდგომარეობის გამო). ამ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „სადავო ბრძანების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97-ე 109.1 მუხლები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციის შესახებ 17.04.2015 წ. N268 ბრძანება, რომელიც, თავის მხრივ, გამოცემულია საქართველოს მთავრობის 22.11.2013 წ. N297 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების" 3.3 მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 108-ე მუხლის საფუძველზე".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" 10.2 მუხლის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი. საქართველოს მთავრობის 22.11.2013 წ. N297 ბრძანე-

155 სუსგ საქმეზე №ბს-469-446(კ-06). 06.02.07

ბით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ 3.3 მუხლის „ე“, „ვ“, „უ“ და „რ“ ქვეპუნქტების მიხედვით, თავდაცვის მინისტრი ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, საშტატო ნუსხას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საჯარო, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებს და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

მოსარჩელის ახსნა-განმარტებით და საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015 წ. სადავო ბრძანებით (ს.ფ 11) დასტურდება, რომ ი.ი-ის მიერ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლად მიეთითა რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.04.2015 წ. N286 ბრძანება და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე, 109.1 მუხლები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი.ი-ის მიერ გასაჩივრებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015 წ. ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ვინაიდან იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ სსკ-ის VII [3]კარით, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს არა დამოუკიდებლად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და, აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებას ან დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტას, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რის საფუძვლადაც დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრას. დისკრიმინაციული ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოჰყვება, დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრის სახით, მოსარჩელის ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. აქტის კანონიერება და დისკრიმინაციის ცალ-ცალკე შეფასება შეუძლებელია. სამოქალაქო სამართალწარმოების

წესით დისკრიმინაციის ფაქტის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს სამსახურიდან გათავისუფლების, სადავო აქტის კანონიერების, კანონიერების დარღვევის შემთხვევაში სამსახურში აღდგენის შესახებ საკითხებზე მსჯელობას, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგიის განსჯადობის ფარგლებს. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დავის განხილვისას შეიძლება გამოიყენოს სსკ-ის VII[3] კარის დებულებები, არ ცვლის განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც კერძო-სამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში, შესაბამისად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავათა მოწესრიგებაში მაინც დომინირებს ადმინისტრაციული პროცესისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობა, აქედან გამომდინარე, აღნიშნული შრომითი და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავის ცალ-ცალკე განსახილველად დაყოფა არ არის მიზანშეწონილი."

აღნიშნული ორივე საქმე სასამართლომ განიხილა არაფორმალურად, არამედ მათი პრაქტიკული შინაარსიდან გამომდინარე, რისთვისაც ისარგებლა ნორმათა და პრინციპთა ფართოდ განმარტების შესაძლებლობით, რაც მისასალმებელია, წინა განჩინებებისგან განსხვავებით.[156]

13.2. აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესში

მოსარჩელეს დასჭირდა შრომის წიგნაკის პირველ და მეორე გვერდებზე მითითებული ჩანაწერის ნამდვილობის დადასტურება, რათა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაენიშნოს პენსია წლების ნამსახურების მიხედვით. რუსთავის საქალაქო

---

156 ბს-272-270(გ-16) 23 ივნისი 2016 წელი

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 იანვრის განჩინებით, მოსარჩელის წარმომადგენლის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას იმ მოტივით, რომ ფიზიკური პირი, იმჟამად სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობდა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სამართალურთიერთობის შრომის სტაჟის არსებობის დადგენა არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსახილველ საქმეს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 იანვრის განჩინებით, სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართლაწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია ადმინისტრაციული სამართალწარმოებიდან. კანონმდებლის მითითება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობილია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში: იმ შემთხვევაში თუ სამართალურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კერძო სამართლებრივი წყაროს ნორმებით, დავა სამოქალაქო კატეგორიისაა,

ხოლო თუ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან საჯარო სამართლის სხვა წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარმოდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უდნა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ამკვიდრებს განსჯადი სასამართლოს პრინციპს. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი ასახვას ჰპოვებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში, კერძოდ, დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი (დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება) შედგება ორი ელემენტისაგან: სარჩელის საგნისა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმრთ, ანუ სარჩელის საგანია მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, ორი ელემენტისაგან შედგება, სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლებისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა-არარსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერ-

თობის სუბიექტის უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ორივე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება იცნობს აღიარებითი სარჩელის სახეებს, კერძოდ, ამგვარი მოთხოვნის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია სსკ-ის 180-ე მუხლის, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე. სამოქალაქო სასმართლომ მოსამზადებელი სხდომის ინსტიტუტის გამოყენებით უნდა გამოარკვიოს: რაში მდგომარეობს სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი, როგორცსაც ითხოვს სსკ-ის 180-ე მუხლი და ადმინისტრაციული კოდექსის 25-ე მუხლის დანაწესი; სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მოსარჩელეს სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, რომელი უფლების დაცვის პრევენციას უზრუნველყოფს იგი. აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს მოსარჩელის მიზნის მიღწევის რომელი კატეგორიის (სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული) და რომელი სახის (აღიარებითი თუ შეცილებითი) სარჩელი მოემსახურება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელის ინსტიტუტი საპროცესო კანონმდებლობით შესაბამის შემადგენლობას შეიცავს, რომელსაც დასაშვებობის წინაპირობები გააჩნია, კერძოდ: სსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის მიერ ამ ინსტიტუტიტის გამოყენება დამოკიდებულია საპროცესო მოვალეობაზე - დაასაბუთოს მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარების იურიდიული ინტერესი, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ მოთხოვნის აღიარების იურიდიული ინტერესის გარდა უნდა დაასაბუთოს, რომ მისი მოთხოვნა ვერ იქნება აღძრული და შემდგომ დაკმაყოფილებული ადმინისტრაციული სარჩელის სხვა სახეების (სასკ-ის 22-24-ე მუხლები) მეშვეობით. საკასაციო სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელი, როგორც მოთხოვნის აღძვრის საპროცესო სამართლებრივი საშუალება, ექვემდებარება როგორც სამოქალაქო, ასევე ად-

მინისტრაციული წესით სასამართლო კონტროლს, სარჩელის სახის კვალიფიციური განსაზღვრის თვალსაზრისით, მისი დასაშვებობის კრიტერიუმის შემოწმების გზით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარის მიერ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვა დამოკიდებულია საპროცესო უფლებათა კვალიფიციურ გამოყენებაზე, რომლის შესრულების ხარისხიც სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს, მაგ: სარჩელის შინაარსის (სასკ-ის 178-ე მუხლი) შესაბამისობა მოწმდება სსსკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. სსსკ-ის 186-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი და ა.შ. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდელობა დამოუკიდებლად გამოყოფს ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის სტადიას განმწესრიგებელი სხდომის ინსტიტუტის მეშვეობით და სხვ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ზემოაღნიშნული საკითხების დეტალური და ზუსტი გამოკვლევის შედეგად უნდა განესაზღვრა, თუ რომელი კატეგორიის (ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო) და რომელი სახის (აღიარებითი თუ შეცილებითი) სარჩელი იყო წარდგენილი სასამართლოში და, შესაბამისად, რომელი სახის სამართალწარმოება უნდა განხორციელებულიყო მის მიმართ.[157]

აღნიშნული დავის შინაარსიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი გარემოება: მოსარჩელეს დასჭირდა შრომის წიგნაკის პირველ და მე-2 გვერდებზე მითითებული ჩანაწერების ნამდვილობის დადასტურება, რათა მას დანიშვნოდა პენსია წლების ნამსახურების მიხედვით. აქ აშკარად იკვეთება დავის საჯარო სამართლებრივი შინაარსი. სზაკ-ის მე-2 მუხლის ბოლო ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, ითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. ფაქტია, რომ შრომის წიგნაკის გარკვეული გვერდების დადასტურების შედეგად მოსარჩელის მიმართ დადგებოდა სამართლებრივი შედეგი, მას დაენიშნებოდა პენსია.

157 სუსგ საქმეზე №ბს-64-63(გ-14). 25.02.14

ამდენად, სახეზე გვაქვს საჯარო სამართლებრივი დავა.

14. დასკვნა

განსჯადობა ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მიშვნელოვანი ინსტიტუტია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებებისა და განსჯადობის შესახებ ნორმის ანალიზის შედეგად, გამოვყავით ის ძირითადი თავისებურებები, რომელიც ახასიათებს, ზოგადად, განსჯადობას და ჩამოვაყალიბეთ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის კრიტერიუმები.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოება, მართალია, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, მათ შორის კავშირი მოცემული საკითხის განხილვის დროსაც აშკარად გამოიკვეთა.

ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ყურადღება მახვილდება გასაჩივრებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივ ფორმაზე და არა მის შინაარსობრივ მხარეზე. რაც შეეხება განსჯადობის შესახებ დავას ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებს შორის, ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ საგნობრივი განსჯადობა და უწყებრივი ქვემდებარეობა; სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სასამართლოებს, შესაბამისად საქმე უწყებრივად ექვემდებარება საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ პირველი ინსტანციის სასამართლოს და არა ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო კოლეგიას. დავა აღნიშნულ კოლეგიებს შორის საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს.

განსჯადობის განსაზღვრის კრიტეტიუმებიდან აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე მხარეები, თუმცა მხოლოდ ის გარემოება, რომ სასარჩელო მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, უპირობოდ არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. დავის საგანს უნდა წარ-

მოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. ასევე ყურადღება ექცევა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნების ადრესატს.

საკასაციო სასამართლოს ამოსავალი წერტილი დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის სწორედ დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივი ხასიათია, ანუ დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ეს უკანასკნელი განმარტებულია, როგორც: ა) ადმინისტრაციულ სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა (ადმინისტრაციულ სამართლებრივ ნორმებად და კანონმდებლობის ნაწილად კი ფართო განმარტების საშუალებით უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ მთლიანი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებსაც ადმინისტრაციული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები ეწოდებათ, არამედ საჯარო/ადმინისტრაციული შინაარსის ის ნორმები, თუნდაც კანონთა ცალკეული მუხლები, პუნქტები, ქვეპუნქტები და ნაწილები, რომლებიც გაბნეულია კერძო სამართლებრივ/სამოქალაქო კანონმდებლობაში); ბ) სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული, მაგრამ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა და გ) ადმინისტრაციული ნორმების შესასრულებლად წარმოშობილი ურთიერთობა.

თავი III. მხარეები და მესამე პირები

ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები აერთიანებენ იმ სუბიექტებს, რომლებიც საკუთარი ინტერესიდან თუ უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მონაწილეობენ სასამართლოში საქმის განხილვაში. მონაწილეები შესაძლოა პირობითად დავყოთ ორ კატეგორიად: პირველი, რომელთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სასამართლოში საქმის განხილვა (სავალდებულო მონაწილეები) და მეორე, რომელთა მონაწილეობა არ არის სავალდებულო და მათი საკითხი დგება კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მხარეები და თავად სასამართლო, ხოლო მეორე ჯგუფში შეგვიძლია მოვიაზროთ მაგ.: თარჯიმანი, ექსპერტი, მოწმე, მესამე პირი და სხვ., რადგან ყოველთვის სახეზე არ გვაქვს მათი მონაწილეობა, რაც არ გამორიცხავს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის განხილვას.

1. მხარეები

ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორედ მხარეები უზრუნველყოფენ პროცესის დაწყებას. ისინი წარმოადგენენ პროცესის სავალდებულო მონაწილეებს. მხარე პროცესში წარმოდგენილია მოსარჩელისა და მოპასუხის სახით. მათ აერთიანებთ ის, რომ ორივე დაკაშირებულია დავის საგანთან და დაინტერესებულია საქმის შედეგით, ორივეზე ახდენს გავლენას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტლება. უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს მოპასუხის მიმართ, კერძოდ მოსარჩელეზეა დამოკიდებული სასამართლოში საქმის განხილვის დაწყება, სწორედ ის მიმართავს სასამართლოს სარჩელით და, იმავდროულად, ასახელებს მოპასუხეს. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მონაწილეობა ადმინისტრაციულ პროცესში მოსარჩელის მიერ განისაზღვრება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამდენად, მოსარჩელისაგან განსხვავებით, მოპასუხისთვის სასამართლოში მხარედ გამოსვლა გარკვეულ იძულებასაც უკავშირდება, რადგან მოსარჩე-

ლეზეა დამოკიდებული, ვის დაასახელებს მოპასუხედ, ანუ ვისგან მოითხოვს სადავო თუ დარღვეული უფლების აღდგენას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ადმინისტრაციულ პროცესში მხარედ გვევლინება ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა სადავო ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ პროცესში ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ან ფუნქციონალური ნიშნით)[158], რაც განპირობებულია ადმინისტრაციულ პროცესში დავის საგნის თავისებურებით. ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სადავოა ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საქმიანობის რაიმე სამართლებრივი ფორმა, ბუნებრივია, რომ ერთ-ერთ მხარედ სწორედ ამ უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო უნდა იყოს. კანონი შესაძლებლად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანო წარმოდგენილი იყოს, როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის სახით. თუმცა დავის საგნის თავისებურება განაპირობებს იმას, რომ, უმეტესად, ადმინისტრაციული ორგანოები მოპასუხედ გვევლინებიან, რადგან მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ საქმიანობაზე, რაც სადავო გახდა ადმინისტრაციული წესით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან და გამოცემასთან დაკავშირებულ დავებზე, როგორც წესი, მოპასუხე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოა, რაც შეეხება სახელშეკრულებო დავებს, ასევე, დავას ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანო შესაძლებელია ვიხილოთ, როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის სახით.

---

158 ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, 1999 წ. მუხ. 2

1.1 მოსარჩელე

მოსარჩელე არის პირი, რომელიც სასამართლოს მიმართავს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხე, მოსარჩელის მითითებით, არის პირი, ვინც დაარღვია ან სადავო გახადა მოსარჩელის უფლება.

სასამართლოში საქმის განხილვა იწყება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სადაც მითითებულია, როგორც სადავო უფლებაზე, ისე იმ პირზე (მოპასუხეზე), ვისგანაც ითხოვს მოსარჩელე დარღვეული უფლების აღდგენას. რეალურად, დაირღვა თუ არა მოსარჩელის უფლება მოპასუხის მიერ, ეს სასამართლოს გადასაწყვეტია.[159]

მხოლოდ სათანადო მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელი ექვემდებარება განხილვას. სათანადო მოსაჩელედ ჩაითვლება ის პირი, ვისაც პირდაპირი და უშუალო ზიანი (ინტერესი) აკავშირებს დავის საგანთან. თუ დადგინდა, რომ სარჩელი შეტანილია არასათანადო მოსარჩელის მიერ, სასამართლო დაუშვებლად ცნობს სარჩელს. არასათანადო მოსარჩელის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა შესაძლებელია შეწყდეს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზეც. ამის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება.[160]

1.2 მოპასუხე

კანონმდებლობით, მოსარჩელის უფლებამოსილებაში შედის მოპასუხის დასახელება. შესაბამისად, დავის საგნიდან გამომდინარე, მოსარჩელე თავად ასახელებს მოპასუხეს, ანუ იმ პირს (ფიზიკურს თუ იურიდიულს, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს), რომელმაც დაარღვია მისი უფლება. საქართველოს კანონმდებლობით არ არის დაკონკრეტებული, თუ ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობისაგან, სადაც მოპასუხეთა ჩამონათვალი გათვალისწინებულია.

---

159 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007 წ., გვ. 143.

160 მ.კოპალეიშვილი, ნ .სხირტლაძე, ე .ქარდავა, პ .ტურავა (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008., გვ. 226.

მაგ. ლატვიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონი უთითებს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ დავაში შეიძლება იყოს ლატვიის რესპუბლიკა, თვითმმართველობა ან საჯარო სამართლის სუბიექტი.[161] ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კანონი ასევე აკეთებს ჩამონათვალს თუ ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე, კერძოდ, კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მოპასუხედ შეიძლება გამოვიდეს ქვეყნის მთავრობა, სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადმინისტრაციული ორგანოები (მათ შორის, კერძო ფიზიკური თუ იურიდიული პირებიც, რომლებიც დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას), კანონი ასევე შესაძლებლად მიიჩნევს ამ წესიდან გამონაკლისის დაშვებას.[162]

შესაძლოა, მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელოს არა ის პირი, რომელსაც უკავშირდება სადავოდ ქცეული უფლების დარღვევა (არასათანადო მოპასუხე). ამ შემთხვევაში, ეს ფაქტი ვერ გახდება სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლოს შეუძლია დააყენოს საკითხი არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით ჩანაცვლების თაობაზე. თუ ამაზე მოსარჩელე თანახმა არ იქნება, სასამართლო განიხილავს საქმეს და უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხის ჩანაცვლება შეიძლება მოხდეს, როგორც მოსამზადებელ სტადიაზე, ისე მთავარ სხდომაზეც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ელემენტების მიუხედავად, თვით სარჩელზე უფლება დისპოზიციურია. სარჩელის უფლების დისპოზიციური ბუნებიდან გამომდინარე, სარჩელზე მოპასუხეს ასახელებს მოსარჩელე.[163]

ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს სათანადო მოსარჩელე დავის საგნიდან გამომდინარე. ასევე, სასამართლო უფლებამოსილია, თუ ჩათვლის, რომ საქმეში არ არის ჩართული ყველა მოპასუხე, თავად მოიწვიოს ისინი,

161 ლატვიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონი, მიღებულია 2011 წ.

162 ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2011 წ., კანონი ამოქმედდა 2012 წლიდან.

163 სუს, ბს-15-15(კ-08)

რისთვისაც მხარის თანხმობა სავალდებულო არ არის. სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით ჩანაცვლების უფლებამოსილებაც, რაზეც მოსარჩელის მოსაზრება გვალენას არ ახდენს.

2. მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

იმისთვის, რომ პირმა ისარგებლოს მხარის სტატუსით, მას უნდა ჰქონდეს, როგორც საპროცესო უფლებაუნარიანობა, ასევე ქმედუნარიანობაც. როგორც სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადებით და წყდება გარდაცვალებით, უფლებაუნარიანობა ფიზიკური პირისაგან განუყოფელია. იურიდიული პირის შემთხვევაში, უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან. უფლებაუნარიანობასთან ერთად მნიშვნელოვანია საპროცესო ქმედუნარიანობაც, რომლის არარსებობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სარჩელის მიღებაზე უარი ან საქმის განხილვის შეწყვეტა.

როგორც უფლებაუნარიანობას, ისე ქმედუნარიანობას, ფიზიკური და იურიდიული პირების შემთხვევაში, ადგენს კანონმდებლობა. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა უკავშირდება 18 წლის ასაკის მიღწევას (სრულწლოვანობას), ეს უფლება, ასევე, წარმოიშობა 18 წლამდე ქორწინების შემთხვევაში. იურიდიული პირის შემთხვევაში ქმედუნარიანობა, ისევე როგორც უფლებაუნარიანობა, დაკავშირებულია რეგისტრაციის ფაქტთან, ფიზიკური პირისგან განსხვავებით, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად წარმოიშობა და წყდება ლიკვიდაციის რეგისტრაციისას. როგორც კანონმდებლობა განსაზღვრავს, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. თუ მხარდაჭერის მიმღებს სასა-

მართლოს გადაწყვეტილებით დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, სასამართლო ვალდებულია, ასეთი საქმე განიხილოს მხარდაჭერის მიმღებისა და მისი მხარდამჭერის სავალდებულო მონაწილეობით.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოს, მისი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა სადავო არ არის, შესაძლებელია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამისილება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში და არა ზოგადად მისი ქმედუნარიანობა.

სასამართლო, სარჩელის მიღებისას, ამოწმებს, შეტანილია თუ არა სარჩელი უფლებამოსილი პირის მიერ (სათანადო მოსარჩელე), ამ შემთხვევაში, ცალსახად არ იგულისხმება უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის საკითხის გარკვევა. სათანადო მოსარჩელე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს იმის დადგენას, შეტანილია თუ არა სარჩელი იმ პირის მიერ, რომელსაც მაგ., პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. აქ სწორედ ზიანის არსებობის საკითხი დგება და არა ის, თუ რამდენად არის მოსარჩელე უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი. კონკრეტულ შემთხვევაში, პირი, რომელიც უფლებაუნარიანიცაა და ქმედუნარიანიც, შესაძლოა სასამართლომ მიიჩნიოს არასათანადო მოსარჩელედ, რაც წარმოადგენს სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

მხარეები სარგებლობენ კანონით განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით. საპროცესო უფლებებით ისინი თანასწორნი არიან კანონის წინაშე (აქ მნიშვნელოვანია ის, რომ პროცესში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო განსხვავებული სამართლებრივი შესაძლებლობებით ხასიათდება, მისი თანასწორი ვერ იქნება მაგ. ფიზიკური პირი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათი, როგორც მხარეების თანასწორობას საპროცესო შესაძლებლობების გათვალისწინებით).

მხარეების უფლება გამომდინარეობს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან. ამასთან, ადმინისტრა-

ციულ პროცესში მოქმედებს მისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობის (ფორმალობის, ოფიციალობის) პრინციპიც. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელია ე.წ. ქვემდებარეობა, ბუნებრივია, ეს დავის შემთხვევაში მხარეებს ერთმანეთის მიმართ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. საპროცესო უფლებებში მხარეები სარგებლობენ კანონის წინაშე თანასწორობით, თუმცა ისინი უთანასწორო მდგომარეობაში არიან ერთმანეთის მიმართ.[164] ამ თავისებურების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ბუნება საჯარო ინტერესის დაცვის ფარგლებში უზრუნველყოფს მხარის უფლებების ეფექტურ დაცვასაც. ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავაში პირის უფლების ეფექტური რეალიზაციის საშუალებად შეგვიძლია მივიჩნიოთ სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვა.[165]

მხარე (ამ შემთხვევაში მოსარჩელე) განსაზღვრავს დავის საგანს, სარჩელის სახეს. მოსარჩელეს და მოპასუხეს აქვთ უფლება გაეცნონ საქმის მასალებს, წარადგინონ მტკიცებულებები, მოითხოვონ აცილება, დააყენონ შუამდგომლობები, წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები და სხვ. იმავდროულად, კანონი მათ ანიჭებს გარკვეულ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს მათ მიერ სასამართლო მითითების შესრულებას, კანონისა და სასამართლოს პატივისცემას.

მხარეები უფლებამოსილნი არიან, მორიგებით დაასრულონ საქმე (ადმინისტრაციული ორგანოსთვის დადგენილია პირობა, რომელიც გულისხმობს, რომ სარჩელის ცნობა ან უარი სარჩელზე კანონმდებლობის წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული).

მოსარჩელეს აქვს უფლება, გაზარდოს ან შეამციროს მოთხოვნა, შეცვალოს სარჩელის საფუძვლები. კანონი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, გამოიხმოს სარჩელი, რაც არ ავალდებულებს მას, დაასაბუთოს, თუ რატომ აცხადებს უარს სასარჩელო მოთხოვნაზე. ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამო-

---

164 ვ.ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002, გვ.37

165 პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013, გვ.274.

სილია, ასეთ შემთხვევაშიც გააგრძელოს საქმის განხილვა, რაც აიხსნება ადმინისტრაციულ პროცესში საჯარო ინტერესის არსებობით. სარჩელის განუხილველად დატოვება, იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, უფლებას არ ართმევს მას, კვლავ აღძრას იგივე მოთხოვნით სარჩელი.

4. საპროცესო თანამონაწილეობა

საპროცესო თანამონაწილეობა შესაძლებლად მიიჩნევს ერთდროულად რამდენიმე მოსარჩელის მიერ, ასევე, რამდენიმე მოპასუხის მიმართ სარჩელის აღძვრას. ამ შემთხვევაში კანონი არ განსაზღვრავს მოსარჩელეთა ლიმიტირებულ რაოდენობას, მთავარი აქ არის ის, რომ სარჩელის საგანი არის საერთო უფლება, სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ერთგვაროვანია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სსსკ-ის 86-ე მუხლით გათვალისწინებული თანამონაწილეობის ერთ-ერთი საფუძველი, კერძოდ, როცა სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. ამ შემთხვევაში სასამართლო თავად უნდა იყოს დაინტერესებული, რომ საქმის ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის მიზნით (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ პროცესში), თავად უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩაბმა. თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლოა საკითხი დადგეს არა საპროცესო თანამონაწილეობაზე, არამედ სავალდებულო მესამე პირის მოწვევაზე (სასკ, მუხ. 16.2). ნებისმიერ შემთხვევაში, თანამონაწილეობის და, ასევე, მესამე პირის ინსტიტუტის არსებობა უზრუნველყოფს, როგორც ყველა დაინტერესებული პირის უფლების დაცვის შესაძლებლობას, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო თანამონაწილეობა არ ზღუდავს თითოეული მონაწილის საპროცესო უფლებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა მონაწილემ შესაძლოა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, მაგ., სარჩელის ცნობის, ან სარჩელზე უარის თქმის თაობაზე, რაც არ წარმოშობს იმავე შედეგის დადგომის ვალდებულებას სხვა საპროცესო თანამონაწილეების მიმართ. ჯამში, თანამონაწილეო-

ბა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მათი იძულება, ერთმანეთთან შეათანხმონ ყველა სპროცესო მოქმედება.[166]

კანონმდებლობა საპროცესო თანამონაწილეებს აღჭურავს იმავე საპროცესო უფლებებით, რაც დადგენილია მხარეებისთვის, რადგან, რეალურად, თითოეული თანამონაწილე განიხილება როგორც მხარე. კანონმდებლობა, ასევე, უშვებს საპროცესო თანამონაწილეობას საპროცესო წარმომადგენლის მეშვეობით, ეს ის შემთხვევაა, როცა თანამონაწილეები წარმომადგენლობას მიანდობენ ერთ-ერთ თანამონაწილეს. ამ შემთხვევაში კანონი მოითხოვს, რომ წარმომადგენლობა გაფორმდეს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ასეთ წარმომადგენლობაზე სასამართლო ამონმებს გაცემულ მინდობილობას. თანამონაწილეობა უზრუნველყოფს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. კანონმდებლობა (სსსკ, მუხ. 182) ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, ცალკე წარმოებად გამოყოს საქმე, თუ ჩათვლის, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია, ასევე, სასამართლო საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, უფლებამოსილია, გააერთიანოს რამდენიმე საქმე, თუ ჩათვლის, რომ არსებობს შესაბამისი საფუძვლები.

5. მესამე პირები

მესამე პირი, განსხვავებით მოსარჩელისა და მოპასუხისაგან, არის პროცესის ის მონაწილე, რომელსაც არც სარჩელი აღუძრავს და არც მოპასუხედ დასახელებულა, მაგრამ მასაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამდენად, მოსარჩელისა და მოპასუხის მსგავსად, მესამე პირსაც შესაძლოა ჰქონდეს სამართლებრივი ინტერესი დავის საგანთან მიმართებაში. მესამე პირები თავად არ მიმართავენ სასამარლოს სარჩელით (ისინი არ იწყებენ დავას, არამედ ებმებიან უკვე დაწყებულ პროცესში).[167]

---

166 იხ. თ.ლილუაშვილი, გ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014 წ., გვ. 137.

167 მესამე პირის ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, ე.ქარდავა, პ.ტურავა (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008., გვ. 231-234

მესამე პირის ინსტიტუტის არსებობა ადმინისტრაციულ სამართალში უზრუნველყოფს სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლების დაცვას.[168] იგი ასრულებს მნიშვნელოვან საპროცესო ფუნქციას, რაც გამოიხატება, როგორც თავად ამ პირთა უფლების დაცვის მიზანში, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებასა და საქმის ყოველმხრივ გამოკვლევაში.

მესამე პირთა დაცვის ინტერესზე მიუთითებს თავად ამ პირთა მოთხოვნის საფუძველზე პროცესში ჩაბმის შესაძლებლობა, ხოლო რაც შეეხება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით მესამე პირთა მოწვევას, ეს უფრო მართლმსაჯულების ეკონომიურობის მიზანს ემსახურება (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს).

მესამე პირთა ამგვარ დაყოფას ითვალისწინებს გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმებლობაც.[169]

სასამართლოში დავა, ძირითადად, მიმდინარეობს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. შესაძლოა, მესამე პირისთვის უცნობი იყოს ასეთი დავის არსებობა. ამ შემთხვევაში საინტერესოა, როგორ მოხდება მისი ინფორმირება და საქმეში ჩაბმა.

კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე შესაძლებლობას:

- მხარე შუამდგომლობით ითხოვს ამა თუ იმ პირის მესამე პირად მოწვევას (მხარის ინიციატივა);
- თავად მესამე პირი ითხოვს პროცესში ჩაბმას (მესამე პირის ინიციატივა);
- სასამართლო იწვევს მესამე პირს (სასამართლოს ინიციატივა).

მართალია, მესამე პირი არ წარმოადგენს მხარეს, მაგრამ რადგან მის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლო გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანია, რომ მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს მტკიცებულებები, შუამდგომლობები, სხვა სიტყვებით, ისარგებლოს გარკვეული საპროცესო უფლებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მონაწილეობას არავითარი აზრი არ ექნება.

მესამე პირები პროცესში შეიძლება იყვნენ მოწვეულები

168მ.კოპალეიშვილი,ნ.სხირტლაძე,ე.ქარდავა,პ.ტურავა,ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2008წ. გვ. 232

169 Verwaltungsgerichtsordnung (VwGO), 1960.

(მაგ. სასამართლოს ინიციატივით) ან დაშვებულები (მაგ. როცა თავად ითხოვენ შუამდგომლობით პროცესში მათ დაშვებას).[170]

მესამე პირთა მოწვევის მიზანია :

- მესამე პირთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა;
- საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა;
- პროცესის ეკონომიურობა;
- სამართლებრივი უზრუნველყოფა.[171]

5.1 მესამე პირების სამართლებრივი დაცვა

მესამე პირთა სამართლებრივი დაცვა ამ ინსტიტუტის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მიზანია. როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული პროცესი იწყება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, ხოლო მოსარჩელე ედავება მოპასუხეს, რომელსაც მიიჩნევს მისი უფლების დამრღვევად. ამ ურთიერთობაში შესაძლოა გამოიკვეთოს მესამე პირის ინტერესის დაცვის აუცილებლობაც. ეს ხდება მაშინ, როცა მესამე პირი, მართალია, არ არის მხარე დაწყებულ პროცესში, მაგრამ არის მონაწილე იმ სამართლებრივი ურთერთობების, რაზეც მიდის სასამართლოში დავა (სავალდებულო მოწვევის მესამე პირი) ან რომლესაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება (არასავალდებულო, ჩვეულებრივი მესამე პირი). ამდენად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს ამ პირის მონაწილეობაც, რადგან მას მიეცეს შესაძლებლობა, სამართლებრივი გზით დაიცვას თავისი უფლებები.

მესამე პირად მოწვევის საფუძველად უნდა განვიხილოთ სამართლებრივი ინტერესის არსებობა, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი ნორმებით დაცული ინტერესის არსებობას და არა ზოგადად კავშირს საქმესთან. სამართლებრივი ინტერესის არსებობის დასადგენად შესაძლებელია მივმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირ-

---

170 Verwaltungsprozessrecht. 5 Auflage. Hufen. Friedhelm, s 219.

171 მ.კოპალეიშვილი,ნ.სხირტლაძე,ე.ქარდავა,პ.ტურავა,ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ,2008ნ. გვ.237

ველი ნაწილის „ბ“ პუნქტის დებულებას, რომლის თანახმად, „დაინტერესებული მხარე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული სამათლებრივი აქტი ან ადმინსტრაციული ორგანოს ქმედება“. პროცესში მესამე პირად შესაძლებელია გამოვიდეს როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოც.

მესამე პირის მოწვევა განპირობებულია იმ მოლოდინით, რომ სასამართლო გადაწყვეტილება მას შეიძლება შეეხოს (არასავალდებულო, ჩვეულებრივი მესამე პირი) ან თავად პირი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი (სავალდებულო მესამე პირი).

5.2 საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა

მესამე პირის დაცვის ინტერესთან ერთად ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა, ასევე, უკავშირდება საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის მიზანს. მესამე პირის არსებობა ეხმარება სასამართლოს სრულად, ყოველმხრივ გამოიკვლიოს საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს საჯარო ინტერესი. სწორედ ასეთი ინტერესის არსებობით შეიძლება აიხსნას ადმინისტრაციული პროცესისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებები, განსაკუთრებით ეს ეხება ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურ ბუნებას. სასამართლოს აქტიური როლი მესამე პირებთან მიმართებაშიც ვლინდება, რაშიც იგულისხმება სასამართლოს მიერ მესამე პირის მოწვევის საკითხი. გარდა იმისა, რომ სასამართლო საქმის ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის მიზნით უფლებამოსილია, თავადაც მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ასევე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, თავადაც შეუძლია ჩააბას პირი მესამე პირად.

5.3 პროცესის ეკონომიურობა

პროცესის ეკონომიურობა მესამე პირის ინსტიტუტის არსებობის ერთერთი მნიშვნელოვანი მიზანია. მესამე პირის მოწვევა უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობას მაშინ, როდესაც ერთი სასარჩელო წარმოების ფარგლებშია შესაძლებელი რამდენიმე სუბიექტის მიმართ განისაზღვროს მათი სამართლებივი მდგომარეობა, რაც განაპირობებს იმავე დავის საგანზე სარჩელის წარდგენისგან შეზღუდვას. აქ შესაძლოა განვიხილოთ სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციული მნიშვნელობაც, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მხარეებისთვის ერთი სამართალწარმოების ფარგლებში განისაზღვროს მათი სამართლებრივი მდგომარეობა.[172]

ესტონეთის კანონმდებლობა მესამე პირებს აღჭურავს მხარის უფლებით. საქმის განხილვისას, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ აღარ არსებობს მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი დავის საგანთან მიმართებაში, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ პირთა საქმის განხილვისგან ჩამოშორების შესახებ, რაზეც შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა. მესამე პირი უფლებამოსილია, შეიტანოს საკასაციო საჩივარი.[173]

5.4 სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზანი

მესამე პირის მოწვევისას მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც მიზნად ისახავს მომავალში სასამართლოს განტვირთვას. ეს ერთგვარი პრევენციაა და ამცირებს იმის მოლოდინს, რომ იგივე დავის საგანზე კვლავ არ მოხდეს სასამართლოში სარჩელის შეტანა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ერთობლიობაში განაპირობებს როგორც მესამე პირის დაცვის მიზანს, ასევე საქმის ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორ-

---

172 მ .კოპალეიშვილი, ნ .სხირტლაძე, ე .ქარდავა, პ .ტურავა (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო,თბ., 2008., გვ. 238.

173 ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2011 ნ.; https://www.riigikogu.ee

ციელებისას, მით უფრო, როცა სახეზეა საჯარო ინტერესთან დაკავშირებული დავა.

5.5 მესამე პირის სახეები

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იცნობს მესამე პირთა ორ კატეგორიას: ჩვეულებრივ (არასავალდებულო) და სავალდებულო მესამე პირს. ამგვარ დაყოფას განაპირობებს მათი მონვევისა და საპროცესო უფლებების განსაზღვრის განსხვავებული საფუძვლები.

ჩვეულებრივი (არასავალდებულო) მესამე პირის მონვევისთვის საკმარისია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სასამართლო გადაწყვეტილება მას შეიძლება შეეხოს, თუმცა, შესაძლოა, ამას არც ჰქონდეს ადგილი.

სავალდებულო (აუცილებელი მონვევის) მესამე პირი კი პირდაპირ დაკავშირებულია რომელიმე მხარესთან, დავის საგანთან, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით მისი მდგომარეობა გაუარესდება ან გაუმჯობესდება. სწორედ სავალდებულო მესამე პირზე ახდენს გავლენას სასამართლო გადაწყვეტილება, რადგან ის არის ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და ამიტომაც მნიშვნელოვანია მისი მონვევა პროცესში. თუ სასამართლო არ ჩააბამს მესამე პირს პროცესში, როცა აშკარაა მისი ჩაბმის აუცილებლობა, ეს შესაძლოა გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საბოლოოდ, სასამართლოს გადასაწყვეტია, სავალდებულო მესამე პირად მოიწვიოს ესა თუ ის პირი, თუ ჩვეულებრივი (მარტივი) წესით.[174]

რაც შეეხება მესამე პირის უფლებებს, როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს, მხარის უფლებებით სარგებლობენ მხოლოდ სავალდებულო (აუცილებელი მონვევის) მესამე პირები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სავალდებულო მესამე პირები სარებლობენ მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრებათ მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა მოვალეობა.

174 მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესოკოდექსის კომენტარი, თბ., 2005 წ., გვ. 62

ეს ძალიან ზოგადი დათქმაა მათი უფლებების განსაზღვრისას. კანონი არ აკონკრეტებს, თუ რომელ უფლებებში უტოლდება მესამე პირი მხარეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს მესამე პირის საპროცესო უფლებებს. ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო მესამე პირებს უთანაბრდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, ისინი სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობა, გარდა უფლებისა, დავის საგანთან მიმართებაში შეცვალონ მისი მოცულობა, შეცვალონ სარჩელის საფუძვლები, ცნონ ან უარი თქვან სარჩელზე, მორიგდნენ ან აღძრან შეგებებული საჩელი, ასევე, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ასეთ გამონაკლისებს არ ადგენს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სავალდებულო მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ვალდებულებით. ამ დათქმიდან გამომდინარე, სავალდებულო მესამე პირი თავისი საპროცესო უფლებებით უთანაბრდება მხარეს. მიუხედავად ამგვარი ჩანაწერისა, მესამე პირი შუძლებელია განვიხილოთ როგორც მხარის ყველა სააპროცესო უფლების მატარებელი. კანონმდებლობა გულისხმობს ისეთ საპროცესო უფლებებს, როგორიცაა მაგ., გადაწყვეტილების ან განჩინების გასაჩივრება, შუამდგომლობის დაყენება. რაც შეეხება ზოგიერთ უფლებას, მაგ., სარჩელზე უარი ან სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა ან შემცირება, შეუძლებელია ის მესამე პირს დავუკავშიროთ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34^1-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სავალდებულო მესამე პირები შესაძლოა ჩაებან საკასაციო საქმის განხილვაში მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. საკასაციო სამართალწარმოება არ ითვალისწინებს „ჩვეულებრივი“ მესამე პირების მო-

ნაწილეობას, რადგან საკასაციო სამართალწარმოებისას ცალკე არ რეგულირდება „სავალდებულო“ მესამე პირის ჩაბმის საკითხი (მოწვევის საფუძველი). ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც მათი მოთხოვნით, ასევე მხარის შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით. საკასაციო სამართალწარმოებისას ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული მესამე პირთა თანხმობის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოწვევა დაუშვებელია.

6. სასამართლოს მეგობარი

სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae) ერთგვარი სიახლეა ადმინისტრაციულ პროცესში. ეს ინსტიტუტი ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა 2015 წლის 3 ივლისის ცვლილებების საფუძველზე. სასამართლოს მეგობარი თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინერგა, ხოლო შემდგომ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

საქართველოში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი თავდაპირველად საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში იქნა შემოღებული (2009 წ.), მოგვიანებით ის დამკვიდრდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში (2010წ.), ხოლო ყველაზე ახალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისთვისაა.

სასამართლოს მეგობრის მიზანია, დაეხმაროს სასამართლოს დავის გადაწყვეტაში. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს მეგობარი არის პირი, რომელიც არ უნდა იყოს დაინტერესებული მხარე, მათ შორის, არც მესამე პირი. მისი ინტერესი შემოიფარგლება სასამართლოსათვის ერთგვარი რეკომენდაციის მიცემაში.

კანონი არ აკონკრეტებს, თუ ვინ შეიძლება იყოს სასამართლოს მეგობარი. ამდენად, ამ პირთა წრე ფართოდ შეგვიძლია განვიხილოთ. მათ შორის, შეიძლება მოვიაზროთ ნებისმიერი კერძო პირი თუ ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს, დაეხმაროს სასამართლოს. ამასთან, ეს ნებაყოფლობითია და დაკავშირებულია უშუალოდ ამ პირის ინიციატივასთან. სასამართლოს მეგობარი განსხვავდება ექსპერტისგან, რომელიც ინიშნება მხა-

რის შუამდგომლობის საფუძველზე ან უშუალოდ სასამართლოს მიერ.

სასამართლოს მეგობარი უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დახმარებას, იმავდროულად, ემსახურება ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში საზოგადოების ჩართულობას, რაც დადებითად შეიძლება აისახოს მართლმსაჯულების განვითარებაზე.

კანონი ადგენს, რომ სასამართლოს მეგობრის მიერ საკუთარი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე. კანონის თანახმად, მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს პროცესის რომელიმე მხარის მხარდაჭერა. მისი მიზანი სასამართლოსთვის განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დახმარებაა. იმავდროულად, ასეთი მოსაზრების გათვალისწინების ვალდებულებას კანონი არ ითვალისწინებს. სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი მოსაზრების გამოყენების თაობაზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. კანონით დადგენილია მისი წერილობითი ფორმა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ წერილობით მოსაზრება არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს.

მართალია, კანონი არ აკონკრეტებს ვინ შეიძლება სარგებლობდეს ამ სტატუსით, მაგრამ სავარაუდოა, რომ სასამართლოსთვის ასეთი მოსაზრება საგულისხმო გახდება იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილი იქნება კვალიფიციური პირების მიერ, რომელთა მოსაზრებებიც იქნება არგუმენტირებული და დასაბუთებული. ამაზე მიანიშნებს ის, რომ სასამართლო უფლებამოსილია, ამგვარი მოსაზრება ასახოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნანილში. ამას ადასტურებს საზგვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაც, რადგან არსებული პრაქტიკით ცნობილია, რომ ეს ინსტიტუტი ხელს უწყობს გადაწყვეტილების ხარისხის ამაღლებას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“[175] 21–ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiea) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. კანონმდებლობა მხოლოდ სახალხო დამცველს არ განუსაზღვრავს სასამართლოს მეგობრის უფლებამოსილებას. კანონი იყენებს ტერმინს „ნებისმიერი პირი“, რომელიც ფართოდ შეგვიძლია განვიხილოთ და ნებისმიერ პირს (ცხადია, გარდა მხარეებისა და მესამე პირებისა) ანიჭებს ასეთ უფლებამოსილებას. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი შეზღუდვას აწესებს მხარეებისა და მესამე პირების მიმართ და არაფერს ამბობს პროცესის ისეთ მონაწილეებზე, როგორიცაა მაგალითად, ექსპერტი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მსგავსი შეზღუდვა ექსპერტსაც უნდა შეეხოს, ვინაიდან დაუშვებელია ერთსა და იმავე სამართალწარმოების ფარგლებში პირი ერთდროულად წარმოგვიდგეს როგორც ექსპერტის, ისე სასამართლოს მეგობრის სახით.

აქამდე არსებული პრაქტიკით, საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასამართლოს მეგობრის სახით სასამართლოს, ძირითადად, სახალხო დამცველი მიმართავს (ეს მაჩვენებელი მაინც მცირერიცხოვანია). ადმინისტრაციულ საქმეებზე ასეთი მიმართვის პრაქტიკა ჯერ არ დაფიქსირებულა.

სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო თავად გადაწყვეტს, გამოიყენოს თუ არა ეს მოსაზრება. ასევე კანონი შესაძლებელად მიიჩნევს, რომ საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის მიზანი - ის ემსახურება არა პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის მხარდაჭერას, არამედ სასამართლოსთვის საკითხის სწორად შეფასებაში დახმარებას, რაც დამატებით ქმნის ასეთი მოსაზრების ობიექტურობის გარანტიას, ვინაიდან მხარეთა მიერ წარდგენილი

175 საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, 1996 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www. matsne.gov.ge

მტკიცებულებებისა და მოსაზრებებისგან განსხვავებით, იგი არ არის გამიზნული რომელიმე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისაკენ. ასევე, ექსპერტისგან განსხვავებით, სასამართლოს მეგობარი საკუთარი სურვილით წარადგენს მოსაზრებებს საქმესთან დაკავშირებით, რის შესახებაც სასამართლოს არ გამოაქვს რაიმე ტიპის განჩინება. ანუ ეს ინსტიტუტი პირის ნების თავისუფალ გამოვლენაზეა დამყარებული.

7. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ პროცესში

კანონმდებლობა მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოში საქმე აწარმოონ როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობენ მხარეები და მესამე პირები. უნდა აღინიშნოს, რომ საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს მხარეებს უფლებას ,პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

წარმომადგენლობა განიხილება როგორც უფლება, ხოლო არის შემთხვევები, როცა წარმომადგენლის დანიშვნა კანონით გათვალისწინებული აუცილებლობაა (მაგ.არასრულწლოვანების). შესაძლებელია, არსებობდეს კანონისმიერი წარმომადგენლობა (მშობლების არასრულწლოვანი შვილების მიმართ) მინდობილობის შემთხვევაში, რომელიც გაიცემა მარწმუნებლის მიერ შესაბამის პირზე. წარმომადგენლობა ემსახურება, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ეფექტურობას და, ასევე, მხარის უფლების დაცვას.

ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კანონის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, ჩამოაშოროს საქმის განხილვას წარმომადგენელი, თუ ჩათვლის რომ ის არაკეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია, განგებ ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არ ფლობს სათანადო დონეზე სამართალწარმოების ენას, ან არღვევს სასამართლოს მითითებებს.[176] საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ სსსკ-ის 97-ე მუხლი, ითვალისწინებს ერთგვარ შეზღუდვას - სასამართლოს შეუძლია

176 ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2011 წ. https://www.riigikogu.ee

უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები. ეს ჩანაწერი მიზნად ისახავს პროცესში მონაწილე მხარის უფლების დაცვას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში წარმომადგენლობას ეთმობა მე–15 მუხლი, რომელიც, ძირითადად, საუბრობს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლობაზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოში წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ: ადვოკატები; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე; ერთ-ერთი თანამონაწილე – დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით; სხვა ქმედუნარიანი პირები – მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

წარმომადგენლობა დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მინდობილობაში, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რისი განხორციელების უფლებამოსილებაც ენიჭება წარმომადგენელს. რასაკვირველია, წარმომადგენელი მოქმედებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და იცავს მარწმუნებლის ინტერესებს.

დასაშვებია წარმომადგენლობაზე უარი როგორც მარწმუნებლის ინიციატივით, ასევე წარმომადგენლის მიერაც. მარწმუნებელს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია გააუქმოს გაცემული მინდობილობა. წარმომადგენლის შეცვლა არ უკავშირდება მანამდე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გადახედვას. წარმომადგენელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია, უარი თქვას თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე, რაც, ასევე, არ იწვევს მანამდე არსებული პროცესუალური მოქმედებების გადახედვას.

ადმინისტრაციულ პროცესში, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.

ხელმძღვანელ პირებს წარმომადგენლობის რაიმე დამადასტურებელი სპეციალური დოკუმენტის წარდგენა არ სჭირდებათ. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს ის თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ორგანოში მსახურობს, რისი დადასტურებაც ხდება ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტით. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ადმინისტრაციულმა ორგანომ თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ასევე ე.წ. „განსაკუთრებულ" წარმომადგენლობას. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 500 000 ლარს ან/და საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავისა). ამ ტიპის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვის, საქმის მასალების მოძრაობისა და წარმომადგენლობის დანიშვნის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მსგავსი რეგულაცია წარმომადგენლობის საკითხზე ხაზს უსვამს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, დაიცვას საკუთარი პოზიცია სასამართლოში, რადგანაც როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, და, მითუმეტეს, ასეთ ვითარებაში (მხედველობაშია დავის საგნის მნიშვნელობა), განსაკუთრებული ადგილი უკავია საჯარო ინტერესის დაცვას. თუ

საქმის განხილვისას აღმოჩნდა მსგავსი საფუძველი, სასამართლომ თავადაც უნდა გადაამოწმოს ამ ნორმის გამოყენების პირობები, ხოლო თუ დარწმუნდება, რომ იუსტიციის სამინისტრო არ არის ინფორმირებული, თავად უნდა აცნობოს მას ასეთი გარემოებების შესახებ.

იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 29 მაისის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება ვალდებულია, სასამართლო დავის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში წერილობით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს და მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებით მის ხელით არსებული ყველა დოკუმენტაცია.[177] იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვიდან 3 დღის ვადაში იუსტიციის სამინისტროს საქმეში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი მინისტრის მოადგილე. ხოლო უარის შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრი, საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საქმეში ჩართვის თაობაზე და მოთხოვოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების წარმომადგენლად იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა. ასევე შესაძლებელია სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე გაუქმდეს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ასეთი წარმომადგენლობა, რაც არ გულისხმობს საქმისწარმოების შეწყვეტას. ასევე შესაძლებელია, ამ ტიპის დავებზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად იყოს სხვა წარმომადგენელიც, რომლებიც ერთმანეთთან კოორდინირებულად იმოქმედებენ.

8. პროცესის სხვა მონაწილეები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ მხარეებით არ ამოიწურება ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეთა რაოდენობა. მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირი განიხილებიან დაინტერესებულ პირებად, რომლებზეც გავლენას ახდენს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, წარმოუდგე-

177 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №102, 2009 წლის 29 მაისი, , სსმ, 65, 29/05/2009

ნელია პროცესი მათ გარეშე, მაგრამ, ასევე, შეუძლებელია საქმის განხილვა იმ მონაწილეთა გარეშე, რომლებიც სავალდებულოა სასამართლოში საქმის განხილვისათვის. ამ ჩამონათვალს მიეკუთვნება სასამართლო, რომელიც განიხილავს ადმინისტრაციულ დავას და იღებს გადაწყვეტილებას. პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე არის წარმომადგენელი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. შესაძლოა, სასამართლოში მონაწილეებად გამოვიდნენ მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. კონსულტანტის მონაწილეობას, რომელსაც ერთგვარი დამხმარე ფუნქცია გააჩნია და არ სარგებლობს პროცესში რაიმე საპროცესო შესაძლებლობით, მას არ აქვს რაიმე შუამდგომლობის დაყენების უფლება. კონსულტანტის მიერ გამოთქმული მოსაზრება ითვლება იმ მხარის პოზიციად, რომლის დასახმარებლადაც ის მონაწილეობდა.

ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია მხარემ ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით, რაც ემსახურება, ერთი მხრივ, სამართალწარმოების ენის პრინციპის დაცვას და, ასევე, უზრუნველყოფს ამ მომსახურების საჭიროების მქონე პირის ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე. თუ რომელიმე მხარე საჭიროებს თარჯიმნის დახმარებას, საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს, ასევე, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. თარჯიმნის მონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე შეზღუდული შესაძლებლობისაა (იგულისხმება სმენის ან მეტყველების შეზღუდვა).

არასავალდებულო მონაწილეთა კატეგორიას განეკუთვნება, აგრეთვე, ექსპერტი, რომლის მოწვევის საჭიროება დგება მაშინ, თუ საქმის განხილვისას საჭიროა სპეციალური ცოდნა, რომელიც მოსამართლეს არ გააჩნია. ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს მხარემ, ასევე, თავად სასამართლოც არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტი უფლებამოსილია, გაეცნოს საქმის მასალებს იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ექსპერტიზის ჩასატარებლად. მას, ასევე, უფლება აქვს, დაესწროს სასამართლო სხდომას და კითხვით მიმართოს მხარეებს, მოისმინოს მათგან განმარტებები ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციულ პროცესში, ასევე, შეიძლება მონაწილეობდეს სპეციალისტი და მოწმე. სპეციალისტის მონაწილეობა დაკავშირებულია ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებასთან. რაც შეეხება მოწმეს, ის არის პირი, რომელიც ფლობს გარკვეულ ინფორმაციას და შეუძლია უარყოს ან დაადასტუროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ფაქტები. მოწმის ჩვენება, ისევე როგორც ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულებას (უფრო დაწვრილებით იხ. მტკიცებულებები).

თავი IV. სასამართლო მტკიცებულებები

სასამართლო პროცესის მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება. ამ შედეგის მისაღწევად სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მოუსმინოს მოსარჩელეს, მოპასუხეს და მესამე პირებს, მისცეს მათ საკუთარი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. მხარეებს აღნიშნული ღონისძიების შედეგად ეძლევათ საშუალება, დაამტკიცონ თავიანთი მოთხოვნების ჭეშმარიტება და სასამართლოს შეუქმნან ამომწურავი წარმოდგენა საქმის გარემოებათა შესახებ.[178]

მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისთვის გამოკვლეული უნდა იქნეს მხოლოდ იურიდიული, მტკიცებულებითი მნიშვნელობის ფაქტები. ეს ისეთი ფაქტებია, რომელთა არსებობა სამართლებრივი შედეგების დადგომასთან არის დაკავშირებული. ასეთი ფაქტების ჩადენას ან არსებობას ადგილი ჰქონდა სასამართლო პროცესის ჩატარებამდე და მათი უტყუარობის შესახებ სასამართლო ვერ იმსჯელებს, თუ არ შეაფასებს მტკიცებულებებს და არ გამოიყენებს მტკიცებას. სასამართლო მტკიცებულების პროცესში აუცილებელია, რომ დადგინდეს მხარეების და მესამე პირების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების უტყუარობა. სასამართლოს მიერ მტკიცებულება მიიჩნევა უტყუარად, თუ მტკიცებულებების გამოკვლევის, სხვა მტკიცებულებებთან მისი შეპირისპირების შედეგად დადგინდება (გამოირკვევა), რომ ცნობები, რომელთაც ეს მტკიცებულება შეიცავს, სინამდვილეს შეესაბამება.[179]

---

178 ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ). გვ. 244

179 საქართველოს საპროცესო სამოქალაქო სამართალი მეორე გამოცემა, შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი გვ. 253

სასამართლო მტკიცებულებების არსის გარკვევისათვის უნდა განისაზღვროს, თუ რას ნიშნავს სასამართლო მტკიცება, მტკიცებულებები, მტკიცების სუბიექტები, მტკიცების ტვირთი და მტკიცების საგანი.

1. სასამართლო მტკიცებულებების ცნება და მტკიცების სუბიექტები

სასამართლო მტკიცების არსი იმაში მდგომარეობს, რომ თავად სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელ გარემოებებს აქვთ საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში არ არის მოცემული მტკიცებულების ცნება. იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული განმარტების თანახმად, მტკიცებულებებია კანონით დადგენილი წესით მიღებული ცნობები ფაქტების შესახებ (ფაქტობრივი მონაცემები), რომელთა საფუძველზეც სასამართლო ადგენს იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს; ასევე, სხვა იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცებულებით საქმიანობას ახორციელებენ სასამართლო, მხარეები და მესამე პირები (მტკიცების სუბიექტები). მტკიცების სუბიექტები არიან მხარეთა წარმომადგენლებიც. თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი, სასამართლო მხარეებს სთავაზობს წარადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, მხარეთა შუამდგომლობით, მათ ეხმარება მტკიცებულებების მოპოვებაში ან თავისი ინიციატივით, ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოითხოვს შესაბამის მტკიცებულებებს ნებისმიერი ორგანოსა თუ ფიზიკური პირისაგან.

სასამართლო მტკიცება სამი სტადიისაგან შედგება:

1. მტკიცებულებათა შეგროვება, წარდგენა, გამოთხოვა - საჭიროების შემთხვევაში მათი დაფიქსირება. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებებია

აუცილებელი საქმის სწორად გადასაწყვეტად, ანუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს მტკიცების საგნის ფაქტები. მტკიცებულებათა წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ მხარეს, ეს იქნება მოსარჩელე, მოპასუხე თუ მესამე პირი. გარდა ამისა, მტკიცებულებათა საკუთარი ინიციატივით მოძიების უფლება ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოსაც ენიჭება. მის საფუძველს ქმნის ინკვიზიციურობის პრინციპი ადმინისტრაციულ პროცესში. ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს სწორედ ეს უფლებამოსილება განასხვავებს ადმინისტრაციულ პროცესს სამოქალაქო პროცესისაგან.[180] კლასიკურ შეჯიბრებითობის პროცესში მტკიცებულებათა შეგროვება და წარდგენა ეკისრებათ მხოლოდ მხარეებსა და საქმის მონაწილე სხვა პირებს. ამიტომ სასამართლოს მხოლოდ ის როლი აკისრია, რომ დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს მტკიცებულებების შეგროვებაში. მაგალითად: სასამართლოს გამოაქვს განჩინება ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების, სასამართლო დავალების და ა.შ. შესახებ.

2. მტკიცებულებათა გამოკვლევა მტკიცებულებათა ურთიერთშეპირისპირების, მათი საფუძვლიანი ანალიზის, ახალი მტკიცებულებების მოძიების გზით და ა.შ.

3. მტკიცებულებათა შეფასება,[181] მტკიცებულებათა შეგროვება, როგორც წესი, საქმის მომზადების სტადიაზე მიმდინარეობს. მტკიცებულებათა შეგროვება ხდება შემდეგი ძირითადად საშუალებებით:

   ა. მტკიცებულებათა წარდგენა მტკიცების სუბიექტების (მხარეების, მესამე პირების, საქმის სხვა მონაწილეებისა და მათი წარმომადგენლების) მიერ ;

   ბ. მტკიცებულებათა გამოთხოვა სასამართლოს მიერ ყველასგან, ვისთანაც მტკიცებულებები ინახება. ადმინისტრაციული პროცესის დროს, როგორც აღინიშნა, სასამართლოს

---

180 ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ). გვ. 245

181 საქართველოს საპროცესო სამოქალაქო სამართალი მეორე გამოცემა, შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი გვ. 252

ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით, სადაც სასამართლო მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზეა უფლებამოსილი განახორციელოს აღნიშნული ქმედება.

იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციული პროცესის დროს მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას დიდი მნიშვნელობა რომ ენიჭება, ამას ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

2. მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში

სამოქალაქო პროცესში მხარეებს აწევთ დასადგენი ფაქტების მტკიცების ვალდებულება. ადმინისტრაცულ საპროცესო სამართალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ ვის აწევს მტკიცების ტვირთი (ონუს პრობანდი). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ამტკიცოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება როგორც აღიარებითი სარჩელის, ასევე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ

სარჩელის წარდგენის შემთხვევაში.

აღნიშნული ჩანაწერი სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელე თავისუფლდება სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებისგან. აღნიშნულს ადასტურებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია, წარადგინოს წერილობითინ პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მტკიცებულებათა გამოკვლევა და მათი შეფასება. მტკიცებულებათა გამოკვლევას ახორციელებს სასამართლო მხარეებთან ერთად, ხოლო მათი შეფასება უშუალოდ სასამართლოს კომპეტენციაა და მხოლოდ მის მიერ ხორციელდება.

მტკიცებულებათა გამოკვლევა გულისხმობს მათ ყოველმხრივ შესწავლას, ანალიზს სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და მათი წარმომადგენლების მიერ მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობის, უტყუარობისა და საკმარისობის გამოვლენის მიზნით.

მტკიცებულებათა გამოკვლევა სხვადასხვა საშუალებით ხდება: სასამართლო ისმენს მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებს. მტკიცებულებებია, ასევე, მოწმეთა ჩვენება და ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულებები და ა.შ.

მტკიცებულებათა შეფასების დროს დიდი ყურადღება ეთმობა მოსამართლის მართლშეგნებასა და იმ კანონს, რომელსაც მოსამართლე იყენებს საქმის განხილვის დროს. მტკიცებულებათა შეფასების შედეგები სასამართლომ აუცილებლად უნდა ასახოს გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში. მასში უნდა დასახლდეს მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები და მოტივები (მოსაზრებები), რომელთა გამოც ესა თუ ის მტკიცებულება სასამართლომ საფუძვლად დაუდო თავის დასკვნებს (მოსაზრებებს), ხოლო სხვა მტკიცებულებები უარყო, აგრეთვე უნდა დასახელდეს, თუ რის საფუძველზე მიანიჭა უპირატესობა ამა თუ იმ მტკიცე-

ბულებას სხვა მტკიცებულებათა მიმართ.[182]

სასამართლო მტკიცება ლოგიკური აზროვნებისა და საპროცესო საქმიანობის ერთობლიობაა. თუ სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები არ შეესაბამება საქმის ნამდვილ გარემოებებს, ასეთი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. მტკიცების საგნის დადგენის შემდეგ მხარეების მიერ სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცება ხდება.

3. მტკიცები საგანი

ადმინისტრაციული დავის დროს მტკიცების საგანია იურიდიული ფაქტები (გარემოებები), რომელებზე დაყრდნობითაც მხარეები განსაზღვრავენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს, ასევე ის გარემოებები, რომლებიც საქმის კანონიერედ გადაწყვეტის მიზნით უნდა დადგინდეს კანონით განსაზღვრული წესით. მტკიცების საგანს სხვაგვარად მტკიცების ფარგლებსაც უწოდებენ.

პროცესის მსვლელობის დროს შეიძლება შეიცვალოს მტკიცების საგანი. ეს შეიძლება განაპირობოს მესამე პირთა ჩაბმამ, სარჩელთა შეერთებამ ან გამოყოფამ.

ნებისმიერი დავის განხილვისას ობიექტური, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას. სააპელაციო სასამართლოში დამატებითი მასალის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების საგნის, ე.ი. საქმისათვის არსებითი ფაქტებისა და გარემოებების მოცულობა შესაძლებელია გაიზარდოს.

მტკიცების საგანი, ძირითადად, განისაზღვრება სასარჩელო მოთხოვნით, რაც უშუალოდ კავშირშია სარჩელის სწორი სახის შერჩევასთან.

ადმინისტრაციულ პროცესში ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასკ-ის 28[1] მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის იმ ფორმულირებით, რომელიც მხარემ წარადგინა, მას შეუძლია პროცესის დაჩქარების მიზნით, დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირება-

182 იქვე; გვ. 253

ში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია სასამართლოს ინიციატივით მოხდეს მტკიცების საგნის მოცულობის შეცვლაც.

ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცების საგანში შედის ის საპროცესო სამართლებრივი ფაქტებიც, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული დავის წარმართვის პროცესში. ასეთი ფაქტებია: გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება, სასამართლოს მიერ დროებითი განჩინების მიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ და ა.შ.

ამგვარად, მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესის სამართლიანად და ეფექტურად წარმართვას, რაც, საბოლოოდ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფს.

თავი V. სარჩელის აღძვრა

1. სარჩელის ფორმა და შინაარსი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ის საკითხები, რაც არ არის დადგენილი და განსაზღვრული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებით.

ზუსტად ერთ-ერთი ასეთი საკითხია სარჩელის აღძვრა სასამართლოში, რა დროსაც უნდა მივმართოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებს. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოში საქმე აღიძვრება სარჩელის წარდგენით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევაში განცხადებით.

ლიტერატურაში სარჩელის განსხვავებულ განმარტებას ვხვდებით. სარჩელი მიიჩნევა სამართალწარმოების დაწყების საპროცესო-სამართლებრივ საშუალებად.[183] აგრეთვე, ის შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს განსახილველად და გადასაწყვეტად წარდგენილი ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, რომელიც გამომდინარეობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობებისგან და ეფუძნება იურიდიულ ფაქტებს.

სარჩელი შესაძლებელია მოიცავდეს ორ ელემენტს: სარჩელის საგანი და საფუძველი. სარჩელის საგანს უნდა წარმოადგენდეს კონკრეტული სამართლებრივი მოთხოვნა და მისი არსი. თუმცა სარჩელის საგნისგან უნდა განვასხვაოთ დავის საგანი, რომელიც ის მატერიალური სიკეთეა, რომლის მოპოვების სურვილი სწორედ მოსარცელეს ამოძრავებს.[184]

სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოებები, რომლებსაც მოსარჩელე საკუთარ სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს ამყარებს. აღსანიშნავია,

183 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012 წ. გვ. 294

184 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012 წ. გვ. 297-299

რომ ყველა იურიდიული ფაქტი, სარჩელის ფაქტობრივი საფუძველია. ამ სარჩელების ფაქტობრივი საფუძვლის გარდა, არსებობს, ასევე, სამართლებრივი საფუძველიც.[185] სარჩელის ელემენტები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ვინაიდან სარჩელის საფუძველი განსაზღვრავს სადავო სამართალურთიერთობის და მისგან გამომდინარე მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის იურიდიულ ბუნებას.[186]

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სარჩელი, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით სპეციალური ფორმების მეშვეობით. სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებული ეს მოთხოვნები მოქმედებს, ასევე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების და შესაგებელის მიმართაც. სპეციალური ფორმების (სარჩელის, შესაგებელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებისა და შესაგებელის) ნიმუშები და მათი შევსების წესი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.[187]

საპროცესო დოკუმენტების ელექტრონული ფორმები შესაძლებელია შეივსოს ხელით და, ასევე, შესაძლებელია მათი ელექტრონული შევსება.

სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შესაგებელის შინაარსი ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე, განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განისაზღვრება, ასევე, სავალდებულო წესით წარსადგენი დამატებითი დოკუმენტების ჩამონათვალი, მაგალითად, როგორიცაა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მტკიცებულებების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია სარჩელში, მოსარჩელის ინტერესების წარმომადგენელის მიერ დაცვის

185 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი ; 2012 ნ. გვ. 300

186 იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი ; 2012 ნ. გვ. 301

187 2015 წლის 25 დეკემბრის მდგმარეობით სამოქალაქო და ადმინისტარიულ საქმეებზე შესავსები სარჩელების, სააპალეციო და საკასაცო საჩვრებისა და, ასევე, მოპასუხის პასუხის ფორმები სამივე ინტანციის სასამართლოსათვის; დამტკიცებულია საქარველოს იუტიციის საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის N 1/456 გადაწყვეტილებით.

შემთხვევაში წარმომადგენლობის დამდასტურებელი დოკუმენტი და სხვ.

2. სარჩელების გაერთიანება, გამოყოფა, შეცვლა და დაზუსტება

სარჩელების გაერთიანება, გამოყოფა, წარდგენილი სარჩელის შეცვლა თუ დაზუსტება ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმოებს ისევე, როგორც ესაა დადგენილი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

საპროცესო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, გაერთიანდეს ადმინისტრაციული სასამართლოსთვის წარდგენილი რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ არა. საპროცესო კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, ერთ წარმოებად გაერთიანდეს რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომელიც არის იგივე მოსამართლის ან სხვა მოსამართლის წარმოებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენება, ასევე, რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნიდან ერთის ან რამდენიმეს გამოყოფასთან დაკავშირებით, როცა მოსამართლეს შეუძლია, მიზანშეწონილად მიიჩნიოს და ცალკე გამოყოს საქმიდან ერთი არ რამდენიმე მოთხოვნა.

მოთხოვნის შეცვლა ადმინისტრაციულ პროცესში - სამოქალაქო საქმეების მსგავსად, ადმინისტრაციული საქმის სასამართლოში განხილვისას მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, სანამ დასრულდება საქმის მოსამზადებელი ეტაპი, შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. აღნიშნულისთვის არ არის საჭირო მოპასუხის თანხმობა, მას მხოლოდ ეცნობება აღნიშნულის თაობაზე. საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ კი, როცა საქმის არსებითი განხილვა იწყება, სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით,

წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ისარგებლებს მსგავსი შესაძლებლობით.

აქვე გასათვალისწინებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე და 406-ე მუხლები, რომელიც ზღუდავს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში დავის საგნის შეცვლის ან გადიდების შესაძლებლობას, ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში, სამოქალაქო პროცესის მსგავსად, ეს შესაძლებლობა შეზღუდულია.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე აზუსტებს, აკონკრეტებს ან ამატებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, აგრეთვე ამცირებს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობას, ან ითხოვს ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნებას, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურებას, ეს მოქმედებები არ ითვლება მოთხოვნების შეცვლად და ამისთვის აღარ არის საჭირო მოპასუხის თანხმობა.

ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედებები წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებას, ამ უფლებებით სარგებლობის ინიციატორი შეიძლება მხოლოდ იყოს მხარე და სწორედ მისი ნების გამოვლინებაზეა დამოკიდებული ამ უფლების რეალიზაცია.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებანი და ადმინისტრაციული საპროცესო მოთხოვნის ფარგლები, რაც შესაბამისი სარჩელის სახეებში ჰპოვებს გამოხატულებას.

3. გამარტივებული, დაჩქარებული სამართალწარმოება და სარჩელის ტრანსფორმაცია

სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის დროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, საქმის ეფექტურად და დროულად განხილვა: ამ მიზანს ემსახურება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე, 28-ე, 28 -ე ,პრიმა მუხლები. კერძოდ, გამარტივებული სამართალწარმოება (27-ე მუხლი), დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება (28-ე მუხლი) და სარჩელის ტრანსფორმირება (28-ე პრიმა მუხლი). აღნიშნული ნორმები ადმინისტრაციულ პროცესში მიზნად ისახავს ადმინის-

ტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას მაქსიმალურად სწრაფად, თუმცა იმ პირობით, რომ საქმის ყოველი კონკრეტული გარემოება ობიექტურად და ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული.

3.1. გამარტივებული სამართალწარმოება

ადმინისტრაციული პროცესი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

ამდენად, ამ სამართალწარმოების თავისებურებას წარმოადგენს. ის, რომ თუ ორივე მხარე წერილობით ითხოვს მათ დაუსწრებლად განიხილონ საქმე, სასამართლო არ იწვევს მხარეებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ ხდება ზეპირი მოსმენის გამართვა. მხარეთა წერილობით მოთხოვნაში შესაძლებელია ის შემთხვევაც იგულისხმებოდეს, როცა ერთი მხარე აღძრავს ასეთ შუამდგომლობას და მეორე მხარე წერილობით წარადგენს თანხმობას. ამასთან, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამარლომ უნდა იმსჯელოს და გადაწყვიტოს, რამდენად მიზანშეწონილია მხარეთა დასწრების და ახსნა-განმარტებების მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღება.[188]

ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ გამარტივებული საქმისწარმოება გულისხმობს მხარეთა თანხმობით საქმის მათ დაუსწრებლად განხილვას და არა საჯარო სხდომის ჩატარებაზე უარს. სასამართლო ამ შემთხვევაში მაინც ვალდებულია, ჩანიშნოს ზეპირი მოსმენა მხარეების მოწვევის გარეშე და ზეპირი შეჯიბრობითობის მომწესრიგებელი ნორმების გაუთვალისწინებლად ჩაატაროს შესაბამისი სხდომა და შეადგინოს ოქმი.[189]

ადმინისტრაციულ პროცესით განსაზღვრული გამარტივე-

188 პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტარციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო თბილისი; 2010 წელი; გვ. 76

189 პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტარციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო; თბილისი; 2010 წელი; გვ. 77

ბული სამართალწარმოება არსებითად განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 კარით განსაზღვრული მარტივი წარმოების პროცედურებისგან, რომელიც თავისი შინაარსით სრულიად განსხვავებული და, ამასთანავე, ძალიან სპეციფიკური ბუნების სამოქალაქო დავების გადაწყვეტისკენაა მიმართული.

3.2. დაჩქარებული სამართალწარმოება

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებულ რეგულირებას და ადგენს საქმეთა დაჩქარებული წესით განხილვის შესაძლებლობას. აღნიშნული პროცედურის წარმართვისთვის აუცილებელია ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნა და შემდეგ უკვე სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ასეთი დაჩქარებული ფორმით პროცედურების განსახორციელებლად. სასამართლოს აქვს სრული უფლებამოსილება, უარი თქვას დაჩქარებული პროცედურით საქმეების განხილვაზე.

დაჩქარებული სამართალწარმოება თავის თავში მოიცავს შემდეგი ვადების შემოკლების შესაძლებლობას:

1. შეამოკლოს შესაგებელის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა. საინტერესოა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისინწინებული ორი სარჩელის შემთხვევაში, როგორიცაა ადმინისტარციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული 22-ე და 23-ე მუხლებით განსაზღვრული ფორმები, მოპასუხე მოკლებულია შესაძლებლობას, წარადგინოს შეგებებული სარჩელი. ამდენად, სასამართლოს ამ შემთხვევაში შეუძლია, შეზღუდოს მოპასუხის მიერ ამ ორი ტიპის სარჩელზე მხოლოდ შესაგებელის წარდგენის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები. აღნიშნული ვადები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ლი მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს.[190]

---

190 იხ. პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტარციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2010 ნელი, გვ. 79

2. არ განესაზღვროს საქმეში ჩართულ მესამე პირების სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ითვალისწინებს საქმეში ორი ტიპის მესამე პირის ჩართვას, სავალდებულო და არასავალდებულო ფორმით. საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლებს და უთითებს მხოლოდ სავალდებულო წესით ჩართული მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლებზე და მიუთითებს, რომ მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის და მოპასუხის ყველა უფლებით და ამავდროულად, მას ეკისრება, მოსარჩელის ყველა მოვალეობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, წარადგინოს შესაგებელი. მე-16 მუხლის თანახმად, მსგავსი ვალდებულება მესამე სავალდებულო წესით ჩართულ პირს არ ეკისრება. გარდა ამისა, კანონმდებელი საერთოდ არ ადგენს ჩვეულებრივი პროცედურების განხორციელების დროს, როდესაც სამართალწარმოება არ ხორციელდება დაჩქარებული წესით, მოსამართლის მიერ მოსარჩელეების ან მოპასუხეების მხარეს ჩართული პირებისთვის რაიმე ვადის დადგენას მოსაზრებების წარსადგენად. ამდენად, კანონმდებლობის აღნიშნული დათქმა გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს და ჩვეულებრივი სამართალწარმოების მიზნებისათვისაც არ არის კანონმდებლის მიზანი ნათლად დადგენილი.

3. არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან და, ასევე, ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა. სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტის დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღების დროს მხარეებს ყოველთვის აძლევს შესაძლებლობას, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მის დანიშვნაზე. დაჩქარებული წარმოების დროს სასამართლოს ასეთ ვადას მხარეებს საერთოდ არ უდგენს, ხოლო საექსპორტო დასკვნის წარდგენის შემდეგ, ჩვეულებრივთან შედარებით მოკლე ვადებს აწესებს.

მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ აუცილებლად უნდა იმსჯელოს და სათანადოდ შეაფასოს ამ მოთხოვნის დასაბუთებულობა, ვინაიდან ცალკეული რთული საქმეების

შემთხვევაში დაჩქარებული წესით საქმის განხილვა შესაძლოა აზარალებდეს მართლმსაჯულების ინტერესებს.[191] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა საერთოდ არ აკონკრეტებს ამ შუამდგომლობის განხილვის წესებს, ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ზოგადი დებულებები და იმსჯელოს საოქმო ან არა საოქმო განჩინების გამოცემის თაობაზე, სადაც დაასაბუთებს ამ გადაწყვეტილებას და ამ ფორმით საქმის განხილვის საკითხს.

გამარტივებული სამართალწარმოებისგან განსხვავებით, დაჩქარებული სამართალწარმოების დროს კანონმდებლობა არ აკონკრეტებს მხარის მოთხოვნის ფორმას, არც მოთხოვნის წარდგენის დროს. ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, თუ რა ვადების შემოკლებაზეა საუბარი, ივარაუდება, რომ მხარემ ზუსტად იმ დროის შესაბამისად უნდა მიმართოს სასამართლოს ამ შუამდგომლობით, მაგალითად, იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არის წარდგენილი შესაგებელი, არ არის დანიშნული ექსპერტი, არ გაქვს წარდგენილი საექსპორტო დასკვნა.

ამ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ სასამართლო იმსჯელებს ამ საკითხზე ან მხარის დამოუკიდებელი წერილობითი შუამდგომლობით ან სხდომაზე დაყენებული ზეპირი შუამდგომლობის საფუძველზე და, შესაბამისად, მიიღებს გადაწყვეტილებას დაჩქარებულად სამართალწარმოების განსახორციელებლად.

3.3. სარჩელის ტრანსფორმირება

ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება არის სარჩელის ტრანსფორმაცია. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს სასამართლოს აქტიურობას და მის მიერ პროცესის დაჩქარებას და, მეორე მხრივ, მისი აქტიური როლის მიუხედავად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დათქმით, რომ მხარეები

191 მ. სალხინაშვილი; ზ. მეიშვილი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე; საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია 2005 წელი; გვ. 129

თავად განსაზღვრავენ დავის საგანს და სასამართლო მხარეს ვერ მიაკუთვნებს იმაზე მეტს ვიდრე მან მოითხოვა.

სარჩელის ტრანსფორმაციას, როგორც მოსამართლის მიერ განსახორციელებელ მოქმედებას, არ იცნობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, ის მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისთვის დამახასიათებელი საპროცესო თავისებურებაა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ საპროცესო მოქმედების განხორციელება სასამართლოს უფლებამოსილებაა, რომელიც პროცესის ეკონომიის მიზნებს ემსახურება, ვინაიდან, სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას, აღძრას სხვა სახის სარჩელი და სწორედ პროცესის ეკონომიის პრინციპს ემსახურება სარჩელის სახის გარდაქმნის, სახეცვლილების შესაძლებლობა.

ამ უფლებამოსილებით სარგებლობის ყოველი შემთხვევის დროს, სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი და, ამის შესაბამისად, მოსარჩელეებს შესთავაზოს სარჩელის ტრანსფორმირება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო, მართალია, არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა ის არ არის ამავდროულად შებოჭილი ამ მოთხოვნის ფორმულირებით. ამდენად, ამ უფლებამოსილებაში შეიძლება მოვიაზროთ ადმინისტრაციული სარჩელის სახის, რაც განისაზღვრება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გარდაქმნის, სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ადმინისტრაციული სარჩელის ტრანსფორმაცია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის საგნის შეცვლის, გადიდების საპროცესო უფლებები. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი დავების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან მიმართებაში ნეგატიური დათქმის პრინციპზე აგებულ საკანონმდებლო აქტს. ამდენად ეს ინსტი-

ტუტები განსხვავდება ერთმანეთისგან.

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მოიძებნება ტრანსფორმაციის მსგავსი რეგულაციები, მაგალითად, გერმანულ ადმინისტრაციულ პროცესში გამტკიცებულია მოსამართლის მოვალეობა, დაეხმაროს მხარეებს საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი ყველა გარემოების დასადგენად. თუმცა, ეს პრინციპი თავის თავში მოიცავს უფრო ფართო უფლებამოსილებებს, ვიდრე ეს დაკავშირებულია სარჩელის ტრანსფორმაციასთან და მოიცავს მოსამართლის მხრიდან მხარეებისთვის მითითებას, რომ შეცვალონ შუამდგომლობები, გამოასწორონ შეცდომები და დაადგინონ ფაქტობრივი გარემოებები.

თავი VI. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

1. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე

1.1 შესავალი

სასკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნის მიზანია, სასამართლოსადმი მიმართვის გზით, შემზღუდველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის[192] გაუქმება. აღნიშნული სარჩელის სახე ემსახურება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას. მოსარჩელეს ეძლევა შესაძლებლობა, საპროცესო საშუალებების გამოყენებით მოახდინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაზე მისი მატერიალურ სამართლებრივი უფლების რეალიზება. მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი უფლების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მმართველობით ღონისძიებას, რომელიც განხორციელებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით, არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი (მოსარჩელე მხარის მტკიცებით ის არის უკანონო).

კაზუსის ამოხსნისას, პირველ რიგში, უნდა ჩამოვაყალიბოთ თეზა - სავარაუდო სარჩელის სახეა სზაკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი. სადავო მმართველობითი ღონისძიების სამართლებრივი ფორმა და მოსარჩელის მიზანი განსაზღვრავს სარჩელის სახეს. სამშენებლო დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვა გაიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით. მოსარჩელის მიზანია, მისი გაუქმებით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ამ ორი წინაპირობის არსებობა გვაძლევს შესაძლებლობას დასკვნისათვის, რომ სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარ-

192 ტერმინი სზაკ-ით არის განმარტებული და საპროცესო კანონმდებლობა იყენებს ამ ტერმინს საკუთარი მიზნებისთვის .

ჩელი არის უფლების დაცვის სათანადო საპროცესო-სამართლებრივი საშუალება. აღნიშნულ სამშენებლო დავაში, როდესაც მოსარჩელის მიზანია, მის მეზობლად მიმდინარე მშენებლობის შეწყვეტა, ჰიპოტეზის ფორმულირების ნიმუშია:

მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება იყოს - დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ბათილად ცნოს მშენებლობის ნებართვა. სარჩელი, სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, იქნება შედეგიანი, როდესაც ის შეესაბამება სარჩელის დასაშვებობის და დასაბუთებულობის კრიტერიუმებს .

1.2. ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების ცნებების ტერმინოლოგიური პრობლემა

სარჩელის სახელწოდებაში ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების ცნებების გამიჯვნას არ აქვს პრაქტიკული დატვირთვა და ის წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს. სარჩელის მიზანია, უკანონო აქტის გაუქმება გამოცემის დღიდან. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში ,სზაკ-ი უშვებს, სასამართლოს მხრიდან, მისი გაუქმების შესაძლებლობას მისი უკანონობის დადგენის დღიდან .

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე **№ბს-192-184(3კ-13)** -განიმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გულისხმობს მისი უკანონო ხასიათის დადგენას გამოცემის მომენტში, ანუ აქტი გამოიცა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ. მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით გადაამოწმოს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რაც თავის მხრივ, მმართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, მისი კანონიერების გადამოწმებისას, აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შეაფასოს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის

უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60[1] მუხლის მე-4-7 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1]-7 მუხლის ტექსტში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს, როგორც სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღების განმსაზღვრელ ორგანოებად მითითება მიჩნეულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ხარვეზად, რადგან ასეთი ფორმულირება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ინსტიტუტს, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დაცვის მიზანს, რაც თავის მხრივ, კანონიერი მმართველობის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე- 60[1] 7 მუხლის საფუძველზე, განეკუთვნება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება გასაჩივრებული აქტის ბათილობისას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით.

ტერმინოლოგიური აღრევის პრობლემა კარგად ჩანს ერთ-ერთ დავაში[193], სადაც მოსარჩელემ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმება იმ მოტივით, რომ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას, უნდა შეფასდეს არა მარტო გასაჩივრებული აქტების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან, არამედ, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, ასევე უნდა მოხდეს აღმჭურველი აქტით დაცული უფლების და ამ აქტის გაბათილებით მიყენებული ზიანის შეპირისპირება. მოსარჩელის მოსაზრებით, მოქმედი კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს თუნდაც უკანონო აღმჭურველი აქტების ბათილად ცნობას, თუ არსებითად არ ირღვევა სახელმწიფო ინტერესი, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლება. მხარის ეს არგუმენტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის

193 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-304-302 (2უს-16)

არასწორად გაგების შედეგია. უფლების დაცვის ფარგლებში არ ხდება კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის პრინციპის დაპირისპირება. სარჩელის ფარგლებში მოწმდება მხოლოდ აქტის კანონიერება-უკანონობა და, უკანონობის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში, არ არსებობს სასამართლოს მხრიდან მისი ბათილად ცნობის შემაფერხებელი გარემოება. მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტები ტერმინოლოგიურად ვრცელდება, იმ ბათილობაზე, როდესაც კანონიერ ძალაში შესული უკანონო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით ბათილად ცნობა ხდება.[194]

1.3. სარჩელის დასაშვებობა

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დასაშვებია, თუ ის აკმაყოფილებს სასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის კრიტერიუმებს. დასაშვებობის ფარგლებში უნდა შემოწმდეს:

1. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა;
2. პირდაპირი და უშუალო ზიანი;
3. სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადები.

1.3.1. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფაქტობრივი არსებობა წარმოადგენს. მხარის მტიცება მის არსებობაზე არ არის საკმარი-

194 საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით განსაზღვრულ ვადაში მესამე პირის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე საჩივრის ფარგლებში აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდული არ არის პირის კანონიერი ნდობით აღმჭურველი აქტის მიმართ. აღმჭურველი აქტის ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით გაუქმების შემთხვევაში ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სზაკ-ის 60[1] მუხლის, მათ შორის აქტისადმი პირის კანონიერი ნდობის გათვალისწინებით. იხ. საქმე ბს-1153-1142(კ-11), 2012 წლის 28 მარტი.

სი. საქმიანობის სამართლებრივ ფორმას განსაზღვრავს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი (მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი).[195] კანონმდებელი უშვებს ისეთი შემთხვევის გასაჩივრების უფლებაში მოქცევას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ არის გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ ეს უმოქმედობა მიიჩნევა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს პოზიტიური (თანხმობა) ან ნეგატიური (უარი) გადაწყვეტილება. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო კანონით დადგენილ ვადებში არ გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მხარის უფლების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, კანონმდებელი იყენებს ფიქციას და უმოქმედობას ანიჭებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მნიშვნელობას.

სზაკ-ი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს. ეს ფორმებია - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული რეალაქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული კონკრეტული საქმიანობის სამართლებრივი ფორმის განსაზღვრას აქვს საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია. ის არის სარჩელის სახის განსაზღვრის კრიტერიუმი.

სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის სახე არის დასაშვები, როდესაც ის მიმართულია მოსარჩელისთვის შემზღუდველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუ-

195 მოთხოვნის მატერილაურ-სამართლებრივი საფუძველი გვაძლევს ინფორმაციას თუ საქმიანობის რომელი სამართლებრივი ფორმის გამოყენებით უნდა განხორციელდეს მმართველობითი ღონისძიება. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წელი 23 ივნისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-338-334 (კს-16) განიმარტა, რომ მხარის მოთხოვნას, სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსულება, რომლის იძულებით აღსრულებას ახორციელებს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო, არ გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. ასეთი საფუძვლის არარსებობა გამორიცხავს სარჩელის დასაშვებობის ელემენტის - საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არსებობას.

ქმებისკენ. სარჩელის მოთხოვნის საგანი უნდა იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა. მმართველობითი ღონისძიების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ ის აკმაყოფილებდეს სზაკ-ით განსაზღვრული ლეგალური დეფინიციის ელემენტებს:

- ✓ ადმინისტრაციული ორგანო
- ✓ ადმინისტრაციული კანონმდებლობა
- ✓ მოწესრიგება
- ✓ პირი ან პირთა შეზღუდული წრე.

ა) ადმინისტრაციული ორგანო

კაზუსის ამოხსნისას უნდა შემოწმდეს მმართველობითი ღონისძიების განმახორციელებელი სუბიექტი არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო. სზაკ-ის მიზნებისთვის, ადმინისტრაციული ორგანო არის ნებისმიერი პირი, როემლიც ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს. არსებითი არ არის ხელისუფლების ორგანიზაციული მოწყობა. მიუხედავად იმისა, სუბიექტი არის საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი, როდესაც ის ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ის არის ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის გაგებით.

ბ) ადმინისტრაციული კანონმდებლობა

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძველს ქმნის ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმა, რომელიც ახდენს სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას. ცნების ეს ელემენტი გულისხმობს არა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, გამოიყენოს ეს საქმიანობის

სამართლებრივი ფორმა, არამედ - მოაწესრიგოს ეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება კი განისაზღვრება შესაბამისი კანონის საფუძველზე. კანონმდებელმა უნდა აღჭურვოს ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილებით, გამოიყენოს ეს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა. ასევე, კანონი განსაზღვრავს მოსაწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს. ამ შემთხვევაში არ დგას ფორმის და შინაარსის გამიჯვნის პრობლემა.

პრობლემურია შემთხვევა, როდესაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქმიანობის სამართლებრივი ფორმის გამოყენების უფლებამოსილება არ ემთხვევა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილებას. ხშირად აუცილებელი ხდება ფორმისა და შინაარსის გამიჯვნა. შესაძლებელია, რომ მიუხედავად საქმინობის სამართლებრივი ფორმისა, ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, დავა იყოს არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, წარმოშობილი არამედ სამოქალაქო კანონმდებლობიდან (მაგ. , ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით მოწესრიგებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა.)

გ) მოწესრიგება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული მმართველობითი ღონისძიება უნდა შეიცავდეს მომწესრიგებელ სამართლებრივ ბუნებას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადაწყვეტილება ზეგავლენას ახდენს პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე: აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს მისი უფლების ან მოვალეობის ფარგლებს.

მომწესრიგებელი ბუნება არ აქვს რეალაქტებს - საინფორმაციო ღონისძიებებს (წერილებს და სხვა შეწყობინებებს) და ფაქტობრივ მოქმედებებს ორგანიზაციის შიგნით თუ მის გარეთ. მომწესრიგებელი ბუნება არ აქვს შუალედურ გადაწყვეტილებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს, სხვა ორგანოს გადაწყვეტილებებს, რომელიც შესრულებულია გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს დავალებით, ასევე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას

განმეორებით წარდგენილი განცხადების საფუძველზე და უთითებს პირველად გადაწყვეტილებაზე.

დ) პირი ან პირთა შეზღუდული წრე

ცნების ელემენტისთვის არ არის არსებითი, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელე აქტის ადრესატს. მაგალითად, „ა" იღებს მშენებლობის ნებართვას, ის არის აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატი. მეზობელს მიაჩნია, რომ ირღვევა მისი უფლება და ასაჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიმართულია კონკრეტული ადრესატისკენ და იწვევს შემზღუდველ ან აღმჭურველ სამართლებრივ შედეგს. შესაძლებელია პირი არ იყოს ადრესატი, მაგრამ მასზეც ახდენდეს სამართლებრივ ზეგავლენას ეს გადაწყვეტილება. ცნების ეს ელემენტი აღწერს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სამართლებრივ ბუნებას. ინდივიდუალურ პირთა წრე და კონკრეტული შემთხვევა მოწესრიგების საგანი ხდება. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, როგორც წესი, არ ახასიათებს ეს თვისება, ის არის ზოგად-აბსტრაქტული.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ელემენტები

მმართველობითი ღონისძიების ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით განხორციელების შემთხვევაში შემონმება ხდება ცნების ელემენტების საფუძველზე:

- ✓ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო;
- ✓ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე;
- ✓ ქცევის ზოგადი წესი.

ა. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს ასეთი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. შესაბამისი კანონით მინიჭებული ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედების უფლება ადმინისტრაციული ორგანოს განსაკუთრებული კომპეტენციაა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია

სამართალგამოყენებითი, ნორმაშეფარდებითი საქმიანობაა. კანონშემოქმედების ფუნქციის განხორციელება გულისხმობს უფლებამოსილებას იმ მოცულობით, რომელსაც განსაზღვრავს კანონი.

ბ. საკანონმდებლო აქტის საფუძველზე

უნდა შემოწმდეს, არის თუ არა სახეზე კანონი, რომელიც ადმინისრაციულ ორგანოს აღჭურავს კანონშემოქმედების უფლებამოსილებით. საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თვით ამ კანონში განისაზღვროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების „შინარსი, მიზანი და მოცულობა", ე.ი. თვითონ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მომავალში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული სამართლებრივი მოწესრიგების ჩარჩოები და მიმართულებები ისე, რომ მმართველობის ორგანოს შეეძლოს კანონმდებლის ნების ფარგლებში და შესაბამისად მოქმედება.

გ. ქცევის ზოგადი წესი

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ეს ელემენტი მას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან მიჯნავს. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადგენს ქცევის ზოგად წესს, რომელიც მიმართულია მისი გამოცემის დროს განუსაზღვრელად ბევრი სახის ურთიერთობების განუსაზღვრელი რაოდენობის მონაწილეებისკენ.

1.3.2 პირდაპირი და უშუალო ზიანი

სარჩელის დასაშვებობის მეორე კრიტერიუმია მოსარჩელის უფლებების სავარაუდო შეზღუდვა. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გამოიყენება მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლე-

ბას. აღნიშნული დათქმა გამომდინარეობს სუბიექტური უფლების დაცვის პრინციპიდან და გამორიცხავს პოპულარულ სარჩელს. როდესაც მოსარჩელე არის მმართველობითი ღონისძიების ადრესატი, მარტივია შეზღუდვის შესაძლებლობის ვარაუდი. პრობლემურია უფლების შეზღუდვის დადგენა, როდესაც მოსარჩელე არის არა მმართველობითი ღონისძიების ადრესატი არამედ მესამე პირი. უფლების შესაძლო დარღვევისთვის აუცილებელია, რომ მატერიალურ სამართლებრივ ნორმას, რომელიც ხდება მოთხოვნის საფუძველი, ჰქონდეს მესამე პირის უფლების დაცვის ეფექტი.

მაგალითად, მოსარჩელეს, რომელსაც მიაჩნია, რომ თბილისის მერიაში კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონი, არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა, თუ ის არ არის იმ სამართლებრივი ურთიერთობის (კონკურსის) მონაწილე. კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით ის იცავს არა სუბიექტურ, არამედ სხვის საჯარო სამართლებრივ უფლებას.

ადამიანის ძირითადი უფლებები პიროვნების თავისუფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან დაცვის საშუალებაა. ძირითადი უფლებებით გარანტირებული სამართლებრივი მდგომარეობა, უმრავლეს შემთხვევაში, საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას იმ მიზნით, რომ შეიძინოს სამართლებრივი მოწესრიგების ძალა. კანონმდებლის ფუნქცია პიროვნების სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლებების განსაზღვრაა, განსაკუთრებით, კონკურენტებს შორის ურთიერთობაში. ძირითადი უფლებები ხდება ორივე მხარის უფლების წარმოშობის საფუძველი. აქედან გამომდინარეობს კანონების მნიშვნელობა. ძირითად უფლებებთან მიმართებით, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი უზრუნველყოფს მიწის მესაკუთრის სამშენებლო უფლებას და, იმავდროულად, იცავს მეზობელი მიწის მესაკუთრის უფლებას, სამშენებლო საქმიანობამ არ შეზღუდოს მისი საკუთრების უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს კანონის ნორმის მოქმედება მესამე პირებთან მიმართებით. თუ კანონის ნორმა პირდაპირ არ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სამართლებრივ დაცვას, უნდა დაისვას კითვა, ეს ნორმა მხოლოს საჯარო ინტერესების დაცვას ემსახურება თუ შესაძლებე-

ლია მასში დავინახოთ ინდივიდუალური ინტერესების დაცვის მიზანი? ნორმის ინტერპრეტაციის დროს უნდა მოვიშველიოთ ძირითადი უფლებები. ეჭვის შემთხვევაში უპირატრსობა უნდა მიენიჭოს ინდივიდუალური ინტერესების დაცვას. თუ კანონის ნორმა არის ხარვეზიანი, ან არ შეიცავს მოწესრიგებას, უნდა გამოვიყენოთ ზემდგომი კონსტიტუციური ნორმა და შევამოწმოთ, ითხოვს თუ არა კონსტიტუციურ სამართლებრივი მიდგომა ინდივიდუალური უფლების აღიარებას.

კაზუსის ამოხსნის დროს, როდესაც მოწმდება სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის სახეზე საჯარო სამართლებრივი საფუძველი გამომდინარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ან დაპირებიდან. შემდგომ ვამოწმებთ საკანონმდებლო საფუძვლებს, კანონქვემდებარე აქტებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემოწმების შედეგად დავასკვნით, რომ სახეზე არ გვაქვს მესამე პირების უფლების დაცვის სამართლებრივი საფუძველი, უნდა შევამოწმოთ მოსარჩელის უფლება უშუალოდ ძირითადი უფლების განმსაზღვრელი კონსტიტუციური ნორმიდან ხომ არ გამომდინარეობს. მესამე პირების უფლების უშუალოდ ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე განსაზღვრის პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება, განსაკუთრებით, ისეთ ურთიერთობებში, სადაც, მოქალაქესა და ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, მესამე პირები გვხვდება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში, რომელთაც აქვთ ორმაგი ზემოქმედების ძალა (ადრესატისთვის არის აღმჭურველი, ხოლო მესამე პირებისთვის შემზღუდველი), მნიშვნელოვანია მესამე პირების უფლების დაცვის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა.

1.3.3 გასაჩივრების ვადები

სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადების დაცვა. გასაჩივრების უფლების ვადებით შეზღუდვა გამომდინარეობს სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესებიდან. აღმჭრველი აქტის ადრესატს უნდა ჰქონდეს კანონიერი ნდობა, რომ გასჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველ-

ზე განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება არ დაექვემდებარება გადახედვას. შემზღუდველი აქტის ადრესატს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მის მიმართ გამოცემული მავალდებულებელი (შემზღუდველი) აქტი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას, მიუხედავად შემდგომში მისი უკანონობის საფუძვლების გამოვლენისა.

ვადების ათვლისას უნდა გამოვყოთ სამი შემთხვევა:

1. როდესაც საჩელის საგანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას ადმინისტრაციული წარმოების წესით;
2. როდესაც სარჩელის საგანია ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება;
3. როდესაც გასულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადა.

პირველ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან, მეორე შემთხვევაში - ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ხოლო მესამე შემთხვევაში - ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. ეს ხდება სამივე ინსტანციის სასამართლოში. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე **№ბს-757-743 (კ-14)** განიმარტა, რომ სადავო აქტის ოფიციალური ჩაბარებიდან (04/06/12 წ.) ათვლის შემთხვევაშიც მოსარჩელეს გაცდენილი აქვს სადავო აქტის გასაჩივრების ერთწლიანი ვადა (სარჩელი აღიძრა 02/10/13 წ.), რაც სასკ-ის 26[1] მუხლის თანახმად, ქმნის სარჩელის დასაშვებობის პირობის დაცულობაზე მსჯელობის საჭიროებას, ვინაიდან გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დაცულობა სასკ-ის 22.3 მუხლის თანახმად არის სარჩელის დასაშვებობის პირობა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს სარჩელის დასაშვებობაზე არ უმსჯელიათ, თუმცა

მოპასუხე აღნიშნულ საკითხს თავის შესაგებელში აყენებდა. ამასთანავე, სარჩელის დასაშვებობა, საპროცესო წინამძღვრების არსებობა საჯარო ასპექტთა რიგს განეკუთვნება და სასამართლო აღნიშნულის შესახებ მხარეთა მიერ ამ საკითხის დასმის მიუხედავად მსჯელობს. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი 02/10/13 ნ. არის აღძრული, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება სადავო ბრძანების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთთვიან ვადაში გასაჩივრება და სარჩელის დასაშვებობის პირობა, რაც სასკ-ის 26[2] მუხლის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის პირობას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულთან ერთად, გაუგებარია საკასაციო სასამართლოს მოსაზრება, სადაც ის უთითებს საკასაციო საჩივრის კასატორისთვის საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობაზე და შეუძლებლად თვლის სასკ-ის 26[1] მუხლის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტას, თუმცა, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დამატებით ფაქტორად სადავო ბრძანების გასაჩივრების ვადის გაცდენას განიხილავს.

გასაჩივრების ვადის ათვლა უკავშირდება აქტის ოფიციალურ გაცნობას. პრაქტიკაში ხშირად პრობლემურია იმის დადგენა, გაეცნო თუ არა ადრესატი აქტს. თანამედროვე მმართველობაში გამოიყენება ტექნიკის თანამედროვე საშუალება, როდესაც აქტის გაცნობა ხდება ელექტრონული საშუალებით, ადრესატის მიერ ელექტრონულ საიტზე შესვლა და ინფორმაციის გაცნობა ფიქსირდება ავტომატურად, რაც ადასტურებს, რომ ის გაეცნო აქტის შინაარს. აღნიშნული ფორმის გვერდით, ასევე, გამოიყენება აქტის გაცნობა ფოსტის მეშვეობით. მაგ,. როდესაც საპატრულო პოლიციის ჯარიმის ქვითარი იგზავნება ფოსტის მეშვეობით, როდესაც ადრესატი იღებს შეტყობინებას და შეგნებულად არ მიდის ფოსტის განყოფილებაში, რომ თავი აარიდოს ჯარიმის გადახდას, ივარაუდება, რომ მისთვის ცნობილია აქტის გამოცემის შესახებ; ასევე, როდესაც შეტყობინება ხვდება საფოსტო ყუთში ან კურიერის მიერ პირადად გადაეცემა ადრესატის ოჯახის წევრს, ეს უკვე საკმარისია ვარაუდისთვის, რომ მოხდა აქტის ოფიციალური გაცნობა. ამის საპირისპიროდ, შეტყობინების ავტომანქანის საქარე მინაზე დატოვება არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ გაცნობად, რამდენადაც, მისი დაკარკვის მაღალი რისკის გათვალისწინებით, არ შეიძლება

ადრესატს დაეკისროს ვალდებულება.

აღნიშნული სამი შემთხვევის გამიჯვნა, ასევე, მნიშვნელოვანია მოპასუხე მხარის დადგენის თვალსაზრისით.

სარჩელის საგანი პირველადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, იმ შინაარსით, რომელიც ასახულია საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, შესაბამისად მოპასუხე მხარე პირველადი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოა. ამრიგად, მისი მიმღები ადმინისტრაციული ორგანო იმ შემთხვევაში არის მოპასუხე მხარე, როდესაც საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება პირველადი გადაწყვეტილებისგან:

1. როდესაც მეზობლის საჩივრის საფუძველზე საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო აუქმებს მშენებლობის ნებართვას;
2. როდესაც საჩივრის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულად არ შეესაბამება საჩივარში მოცემულ მოთხოვნას.

რამდენადაც საჩივარი არის სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა, სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე ორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გვაქვს - პირველადი გადაწყვეტილება და საჩივარზე მირებული გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული სარჩელის საგანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია იმ შიინაარსით, რომელიც ასახულია საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების შინაარს და დასაბუთებას. პირველადი გადაწყვეტილება შესაძლებელია იყოს უკანონო, მაგრამ თუ საჩივარზე მირებული გადაწყვეტილებით აღმოიფხვრა ეს უკანონობა, სარჩელის სასამართლოში წარდგენა არ იქნება შედეგიანი.

პირველადი გადაწყვეტილება მაშინ ხდება ადმინისტრაციული სარჩელის საგანი, როდესაც საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო და ის სასამართლოს მიერ ბათილად იქნება ცნობილი. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იწვევს პირველადი გადაწყვეტილების გაცოცხლებას. როდესაც ეს გადაწყვეტილებაც უკანონოა, აუცილე-

ბელი ხდება ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

მხოლოდ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება მაშინ ხდება სარჩელის საგანი, როდესაც ის იწვევს მოსარჩელის უფლების ხელყოფას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მშენებლობის ნებართვა უქმდება მეზობლის საჩივრის საფუძველზე განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. მშენებლობის ნებართვის მომპოვებელი პირი ასაჩივრებს არა პირველად, არამედ საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

სასამართლოში საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად გასაჩივრება, ასევე, ხდება მაშინ, როდესაც ის აუარესებს მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობას ან დამატებით წარმოების წესების დარღვევებს იწვევს.

1.4. სარჩელის დასაბუთებულობა

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, უკანონო სახელმწიფო აქტები არის არარა, ის არ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. თუმცა კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს ამ ძირითადი მიდგომიდან ადმინისტრაციულ სამართალში უკანონო მმართველობითი ღონისძიება მხოლოდ მაშინ არის არარა, როდესაც ის სზაკ-ის მე-60 მუხლით დადგენილ განსაკუთრებით მძიმე დარღვევებს შეიცავს, სხვა შემთხვევაში, უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. სასკ-ი ითვალისწინებს მისი გასაჩივრების და გაუქმების შესაძლებლობას.

სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის დასაბუთებულობა მოწმდება სასკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი დასაბუთებულია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი:

ა) უკანონოა

ბ) და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

1.4.1 კანონიერების შემოწმება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის ცენტრალური ელემენტი აქტის უკანონობაა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა მონმდება ფორმალური და მატერიალური კანონიერების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების კრიტერიუმებია:

- აქტის გამოცემის უფლებამოსილება,
- ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე,
- აქტის ფორმა,
- დასაბუთება,
- მითითება გასაჩივრების უფლებაზე.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების ფარგლებში მონმდება:

- უფლებამოსილების სამართლებრივ საფუძველთან შესაბამისობა,
- მოქმედ კანონებთან და სამართლის პრინციპებთან შესაბამისობა,
- შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში,
- თანაზომიერების და კონკრეტულობის პრინციპების დაცვა.

იმის გათვალისწინებით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მმართველობითი ღონისძიების განხორციელება კანონის აღსრულებას გულისხმობს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც იწვევს მისი ადრესატის უფლებების შეზღუდვას, საჭიროებს საკანონმდებლო ლეგიტიმაციას. ეს გამომდინარებს მმართველობის კანონიერების პრინციპიდან. აღმასრულებელი ხელისუფლება შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს თავად ვერ შექმნის, არამედ ეს უშუალოდ დემოკრატიულად ლეგიტიმირებული საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაა.

კაზუსის ამოხსნის დროს, დასაბუთების შემოწმების დასაწყისშივე უნდა განვსაზღვროთ სამართლებრივი საფუძველი. იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია სამართლებრივი საფუძველი, ვიწყებთ უფლების შეზღუდვის შემოწმებით. თუ

დავადგენთ, რომ ადგილი არ ჰქონია უფლების შეზღუდვას, სამართლებრივი საფუძვლების დადგენა არ არის რელევანტური, ხოლო როდესაც დგინდება, რომ სახეზეა უფლების ხელყოფა, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი საფუძველი, ეს გვაძლევს შესაძლებლობას, კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან გამომდინარე, ღონისძიება უკანონოდ მივიჩნიოთ.

სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმება გულისხმობს მმართველობითი ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებას. მისი კანონიერების შემოწმება არის მატერიალური კანონიერების თემა. ცალკეული ღონისძიება არ შეიძლება იყოს კანონიერი, თუ მისი სამართლებრივი საფუძველი არის უკანონო. როდესაც კანონი, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი ღონისძიების სამართლებრივ საფუძველს, არ არის არაკონსტიტუციური, მოწმდება მისი შეფარდების პროცესში დაშვებული შეცდომის შესაძლებლობა, თუ რამდენად არის გათვალისწინებული კანონმდებლის ნება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნორმის შეფარდების პროცესში.

კაზუსის ამოხსნის დროს, სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება მოიცავს ყველა სავარაუდო ნორმების მოძიებას და სისტემატიზაციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპეციალურ ნორმებს ენიჭებათ უპირატესობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპოლიციო და მართლწესრიგის სამართალში. ხშირად პრობლემურია რამდენიმე სავარაუდო სამართლებრივ საფუძვლებს შორის სპეციალური სამართლის ნორმის განსაზღვრა და პოლიციური ღონისძიების ამ ნორმასთან სუბსუმცია. ხშირად პოლიციური ღონისძიების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი მინისტრის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია.შესაბამისად მისი უკანონობა შეიძლება გახდეს პოლიციური ღონისძიების უკანონონობის საფუძველი-გახდეს.

სპეციალური სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისას გადავდივართ მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ზოგადი საფუძვლების მოძიებაზე. როდესაც სპეციალური კანონი არ შეიცავს შესაბამისი ქმედების შემადგენლობის აღწერას, დაუშვებელია მისი შეცვლა ზოგადი საფუძვლებით. როდესაც სპეციალური კანონის ინტერპრეტაციის შედეგად დგინდება, რომ კანონი ამომწურავად არ აწესრიგებს საკითხს,

შესაძლებელია, სუბსიდიურობის პრინციპის გათვალისწინებით, ზოგადი ინსტიტუტის მოშველიება. როდესაც საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონი არ აწესრიგებს ზედმეტად გადახდილი საპენსიო დახმარების უკან დაბრუნების მექანიზმს, შესაძლებელია, გამოვიყენოთ უსაფუძვლო გამდიდრების და აქტის ბათილად ცნობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები.

1.4.1.1. სამართლებრივი საფუძვლის კანონიერება

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას, პირველ რიგში, მოწმდება მისი სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობა იერარქიულად ზემდგომ სამართლებრივ აქტთან. როდესაც იასა-ს სამართლებრივი საფუძველია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, უნდა შემოწმდეს ამ უკანასკნელის შესაბამისობა ზემდგომ სამართლებრივ აქტთან. მხოლოდ ამის შემდგომ მოწმდება იასა-ს შესაბამისობა მასთან. ასეთი შემოწმება აუცილებელია და ემყარება მოსაზრებას, რომ იას-ი არ შეიძლება იყოს კანონიერი, თუ მისი სამართლებრივი საფუძველი უკანონოა. უკანონო სამართლებრივი საფუძველი არ შეიძლება გახდეს მმართველობითი ღონისძიების ლეგიტიმაციის საფუძველი. როდესაც დავადგენთ, რომ აქტის სამართლებრივი საფუძველი არის კანონიერი, ვინყებთ მისი გამოცემისას (ნორმის შეფარდებისას) დაშვებული შეცდომის შემოწმებას.

1.4.1.2. კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა

სამართლებრივი საფუძველი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, განსაკუთრებით, იმ ძირითად უფლებებს, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადმინისტრაციული სამართლის კაზუსებში პარლამენტის მიერ გამოცემული კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობა ივარაუდება და მხოლოდ დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევებში ხდება მათი კონსტიტუციურობის შემოწმება.

1.4.1.3 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონი (მატერიალური გაგებით). კანონისგან განსხვავება (ფორმალური გაგებით) მდგომარეობს მის გამომცემ ორგანოში. რამდენადაც კანონის გამოცემა საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაა, აღმასრულებელი ხელისუფლების ეს საქმიანობა წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს კონსტიტუციურ სამართლებრივი პრობლემა, იმის გათვალისწინებით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ამ უფლებამოსილებას ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. კანონმდებელი განსაზღვრავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შინაარს, მიზანსა და მოცულობას. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასში მიეთითოს მისი გამოცემის საკანონმდებლო საფუძველი. არსებითობის თეორიიდან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია, ძირითადი და არსებითი საკითხები მოაწესრიგოს კანონის გამოცემის გზით. უფლებამოსილების აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დელეგირების საფუძვლები ნათლად და სრულყოფილად უნდა იყოს მოცემული, იმის განჭვრეტის შესაძლებლობის მიზნით, თუ რა შემთხვევებში, რა შინაარსითა და მოცულობით მოხდება დელეგირებული უფლებამოსილების გამოყენება. აღნიშნული მოთხოვნა ემსახურება იმის უზრუნველყოფას, რომ პარლამენტი არ გაექცევა საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას, მიიღებს ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელიც შეესაბამება არჩევნების გზით გამოვლენილი ხელისუფლების წყაროს - ხალხის ნებას.

ხშირად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინდივიდუალურია. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველი ამ უკანასკ-

ნელის მატერიალური კანონიერების შემოწმების დროს, პირველ რიგში, მოწმდება მისი საფუძვლის, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კანონთან.

1.4.1.4 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება

როდესაც დავადგენთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი საფუძვლის (მაგ. , ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) შესაბამისობას მის სამართლებრივ საფუძველთან, ვაგრძლებთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის საჯარო მმართველობის განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპი. სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა არის კანონით შებოჭილი და გადაწყვეტილების მიღების ფარგლებს ქმნის მისი უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტი. იმისათვის, რომ საჯარო მმართველობის განხორციელების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დავადგინოთ ბოჭვის ხასიათი და ფარგლები, უნდა შეფასდეს გამოსაყენებელი ნორმის სტრუქტურა.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ კანონის ნორმები, რომელთაც კონდიციონალური ხასიათი (თუ ... მაშინ...) აქვთ და ნორმები რომელთაც ფინალური შედეგის განმსაზღვრელი სტრუქტურა აქვთ. კონდიციონალური შინაარსის ნორმა ადგენს, რომ თუ კონკრეტული ფაქტი შეესაბამება ფაქტის ნორმატიულ აღწერას, დგება ნორმით განსაზღვრული კონკრეტული სამართლებრივი შედეგი. ნორმის სტრუქტურა არის „თუ-.მაშინ" პრინციპით აგებული. ამის საპირისპიროდ, მოწესრიგების ფინალური შედეგის დამდგენი ხასიათის ნორმა განსაზღვრავს მოწესრიგების მიზანს, რომლის მიღწევაც არის ნორმის შემფარდებლის ვალდებულება, ხოლო სამართლებრივი შედეგის დადგომასთან მიმართებით არ შეიცავს იმპერატიულ მოთხოვნას, არამედ მის გასაზღვრაში (დადგება თუ არა ეს შედეგი) ნორმის შემფარდებელს ანიჭებს თავისუფლებას. ამ ორი მოდელის შე-

დარება გვიჩვენებს, რომ კონდიციონალური ხასიათის ნორმებში უფრო მაღალია გადაწყვეტილების მიმღების კანონით ბოჭვა ვიდრე ფინალური შედეგის განმსაზღვრელ ნორმებში.

მკაცრ კანონისმიერ ბოჭვასთან გვაქვს საქმე, როდესაც ნორმით განსაზღვრული ფაქტის ნორმატიული აღწერის და სამართლებრივი შედეგების ურთიერთმიმართების დადგენა მათემატიკურ-ლოგიკური მეთოდისათვის დამახასიათებელი სიზუსტით არის შესაძლებელი. ამის საპირისპიროდ, როდესაც კანონმდებელი, კანონის მიზნების მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებს ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, როგორიცაა განუსაზღვრელი ცნებები, შეფასების თავისუფალი სივრცე და დისკრეციული უფლებამოსილება, ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას.

პირველ რიგში უნდა შევამოწმოთ, ჩვენ მიერ განსახილველ დავაში რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ეს შემოწმება მოიცავს სამართლებრივ საფუძვლებში მოცემული განუსაზღვრელი ცნებების ინტერპრეტაციის, შეფასების თავისუფალი სივრცის დაცვის და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შემოწმებას.

1.4.1.5. განუსაზღვრელი ცნებები

კანონმდებელს არ შეუძლია ყველა მომავალი სამართლებრივი ურთიერთობა ზუსტად ასახოს კანონის ნორმაში. ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვნება და მოსალოდნელი ურთიერთობების თავისებურებები არ იძლევა ამის შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის ნორმას უნდა ახასიათებდეს გარკვეული აბსტრაქტულობა. ნორმის შემფარდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს გარკვეული თავისუფლება, მოაწესრიგოს წინასწარ გაუთვალისწინებელი ურთიერთობები. ამ მიზანს ემსახურება კანონში განუსაზღვრელი ცნებების გამოყენება. კანონმდებელმა კანონში ასეთი ზოგადი ცნებების გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ უნდა დაიცვას ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი და, ასევე, ნორმა არ უნდა იძლევოდეს მისი ანტიკონსტიტუციური ინტერ-

პრეტაციის შესაძლებლობას.

ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც ნორმის შემფარდებლის მხრიდან კანონში გამოყენებული განუსაზღვრელი ცნებების ინტერპრეტაცია სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. აღნიშნული უფლება გამომდინარეობს კანონისმიერი დათქმის და ნორმის განსაზღვრულობის კონსტიტუციური პრინციპებიდან, რომლის თანახმადაც, მოქალაქის უფლებების შეზღუდვა საჭიროებს შინაარსობრივად საკმარისად განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძველს. ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი დაცულია, ერთი მხრივ, როდესაც მისი ინტერპრეტაციის შედეგად, ნორმის შემფარდებელს აქვს მყარი სამართლებრივი საფუძველი, მეორე მხრივ, როდესაც კანონქვემდებარე აქტებში მისი შემდგომი დაზუსტება ხდება.

1.4.1.6. შეფასების თავისუფალი სივრცე

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ითხოვს მმართველობითი ღონისძიებების სრულ სასამართლო კონტროლს. გამონაკლისი ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც გადაწყვეტილება და განსაკუთრებულ საგონობრივ კომპეტენციაზე და ერთჯერად სიტუაციაზე, რომლის რეკონსტრუქცია შეუძლებელია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადაწყვეტილება დაკავშირებულია შეფასების პროცესთან. შემფასებელს აქვს შეფასების თავისუფალი სივრცე, როდესაც შემფასებელი ახდენს შეფასებას საგამოცდო საკითხების სირთულეების გათვალისწინებით და საერთო შედეგების შეფასების საფუძველზე, შეუძლებელია არსებული სიტუაციის კონსტრუირება და გადამოწმება მოსამართლის მიერ. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ადგილი აქვს შეფასებას მაგ., სკოლის მოსწავლეთა და სტუდენთა შეფასება, ასევე საჯარო მოხელეთა შეფასება და ა. შ.

გადამოწმებას ექვემდებარება, შეფასების პროცესში დაცულია თუ არა საკანონმდებლო ფარგლები, ხომ არ აქვს ადგილი პროცესუალურ დარღვევებს. ადმინისტრაციულ სამართალში დადგენილი კანონიერების ზოგადი კრიტერიუმები ადმი-

ნისტრაციული წარმოების წესების დაცვა, მიუკერძოებლობის პრინციპი და ა. შ. ვრცელდება, ასევე, შეფასების კანონიერების შეფასებაზე.

1.4.1.7. დისკრეციული უფლებამოსილება

საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში კანონმდებელის მიერ განსაზღვრული მოქმედების თავისუფალი სივრცე გვხვდება არა მარტო ფაქტის ნორმატიულ აღწერაში (განუსაზღვრელი ცნებები), არამედ ასევე სამართლებრივი შედეგის განსაზღვრის ნაწილში. დისკრეციული უფლებამოსილება არის კანონმდებლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილება, განხორციელდეს თუ არა მმართველობითი ღონისძიება და/ან როგორი სამართლებრივი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული დისკრეციული უფლებამოსილების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, ფაქტისა და ნორმის სუბსუმციის შედეგად, მიიღოს კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ალტერნატივებიდან ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს არა მიზანშეწონილობის, არამედ კანონიერების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს იმის შემოწმებას, ხომ არ აქვს ადგილი შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

1.4.1.8. სუბსუმციაში შეცდომის შემოწმების მეთოდი

იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოსაყენებელ ნორმას აქვს კონდიციონალური სტრუქტურა არ ნიშნავს იმას, რომ ნორმის შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანო უნდა გამოვიყვანოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებების და ფაქტის ნორმატიული აღწერის სუბსუმციის შედეგად სამართლებრივი შედეგის ავტომატურად დამდგენის ანუ ტექნიკური სამუშაოს შემსრულებლის როლში.

ადმინისტრაციული ორგანო მიერ ნორმის შეფარდება გარ-

კვეულ შემოქმედებით პროცესს მოიცავს და მთელ რიგ კანონ-ზომიერებებს ექვემდებარება. ნორმის შეფარდების პროცესი არ არის ერთჯერადი ხასიათის, არამედ ის განმეორებადი და შემოწმებადია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი, მაშინაც კი, როდესაც, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, შეზღუდულია მოსამართლის მხრიდან საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში ჩარევა.

ნორმის შეფარდების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს არგუმენტირებულ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. იმავდროულად, დასაბუთების მოცულობა და ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ადმინისტრაციული ორგანოს კანონისადმი დაქვემდებარების ხარისხი. იქ სადაც ნორმის კონდიციონალური სტრუქტურიდან გამომდინარე ნორმის შემფარდებლის მთავარი როლი სუბსუმციაში ვლინდება, უფრო ნაკლებია მოთხოვნა გადაწყვეტილების დასაბუთების მოცულობის სიღრმეებზე, ხოლო ფინალური შედეგის განმსაზღვრელ ნორმებში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად უნდა დასაბუთდეს თუ რატომ იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული და არა სხვაგვარი.

იმისათვის, რომ შევამოწმოთ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხომ არ მოხდა შეცდომის დაშვება ნორმის შეფარდებაში, უნდა ვნახოთ დაცულია თუ არა გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებელი დედუქციის მეთოდის ელემენტები. ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი პირველი ნაბიჯია პრობლემის გადასაჭრელად საჭირო სათანადო ნორმის მოძიება, მეორე ნაბიჯი - გამოყენებული ნორმის შინაარსის სწორად განსაზღვრა და მესამე ნაბიჯი - სუბსუმცია. თუ კი სადავო ხდება სამართლებრივი შედეგის კანონის მიზნებთან მიმართება, განსახილველი დავის არსს ქმნის შეცდომა სუბსუმციაში.

როდესაც დავა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონის კონდიციონალური ნორმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას კანონის მიზნის სწორად განსაზღვრის საფუძვლით, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება უნდა შეიცავდეს ანალიზს ადმინისტრაციული ორ-

განოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანასწორობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების (განჭვრეტადობის) პრინციპებთან შესაბამისობის შესახებ.

ა) ადმინისტრაციული სამართლისათვის მნიშვნელოვანი კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის და, აქედან გამომდინარე, ერთგვაროვანი ადმინისტრაციული პრაქტიკის ჩამოყალიბების პრინციპი ითხოვს, რომ გადაწყვეტილებაში უნდა იკვეთებოდეს გადაწყვეტილების მიღების ძირითადი კრიტერიუმები, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვედგინა, შემდგომ სხვა ერთგვაროვან შემთხვევებთან მიმართებით დადგებოდა თუ არა იგივე შედეგი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს კონდიციონალურ ნორმებში სადაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება. გადაწყვეტილებაში ნათლად უნდა გამოჩნდეს თუ რითი არის დასაბუთებული ნორმით დადგენილი სამართლებრივი შედეგისაგან (მაგ., ჯარიმის დადგენისაგან) გადახვევა. ფაქტისა და ფაქტის ნორმატიული აღწერის თანხვედრა რატომ არ გახდა ნორმით დადგენილი სამართლებრივი შედეგის - გამოვლენილი დარღვევის უკანონოდ მიჩნევის საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა იძლეოდეს თვითნებურ გადაწყვეტილებად შეფასების საფუძველს, რაც მმართველობითი ღონისძიების სხვა ადრესატებში დატოვებდა უთანასწორობის და მიკერძოებულობის შეგრძნებას.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი არის ის ბარიერი, რომელიც ზღუდავს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონის მიზნებზე აპელირებით მიიღოს კანონის ნორმით იმპერატიულად დადგენილი სამართლებრივი შედეგისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება, თუ კი გადაწყვეტილებაში არ იკვეთება ერთგვაროვანი მიდგომა, რაც სხვა შემთხვევებზეც შეგვეძლო გაგვევრცელებინა.

ბ) სამართლებრივი უსაფრთხოების (განჭვრეტადობის) პრინციპი მოითხოვს, რომ შეცნობადი იყოს, რომელი ფაქტობრივი გარემოებები გახდა საკმარისი სამართლებრივი შედეგის დასადგენად. მმართველობის ღონისძიების ადრესათს უნდა

შეეძლოს დამოუკიდებლად განსაზღვროს ქცევის ის მოდელი, რომელიც კონფლიქტში არ მოვა კანონთან. სასამართლოს გადაწყვეტილებში უნდა აისახოს იმ კრიტერიუმები, რომელიც დააკმაყოფილებდა განჭვრეტადობის პრინციპს და შესაძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების მიღებას ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც შესაძლებელს გახდიდა მის განზოგადებას და გამოყენებას ადმინისტრაციული ორგანოს ერთგვაროვან პრაქტიკაში.

1.4.1.9. ადმინიტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებისთვის მნიშნელოვანი დრო

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების დროს უნდა გავითვალისწინოთ მისი უკანონობის შეფასებისთვის რელევანტური დრო. შესაძლებელია ეს იყოს საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების დრო ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დრო. საკითხი აქტუალური ხდება, როდესაც

ა. იცვლება ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. მაგ. , როდესაც „ა" მიღო უკანონო მშენებლობის ნებართვა, მეზობელმა გაასაჩივრა ეს ნებართვა ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლოში დავის განხილვამდე შეიცვალა საკანონმდებლო საფუძველი, რომელმაც კანონიერი გახადა ეს ნებართვა. მეორე შემთხვევაში, „ა" მიიღო კანონიერი მშენებლობის ნებართვა, მეზობელმა გაასაჩივრა ეს ნებართვა ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში დავის განხილვამდე შეიცვალა საკანონმდებლო საფუძელი, რომელმაც უკანონო გახადა ეს ნებართვა.

ბ. სახეზეა განგრძობადი მოწმედების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგ. , ნებართვა, სტიპენდია, საგზაო მოწესრიგება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების

შემოწმება ხდება ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული პრინციპი შეიცავს გამონაკლისებს, რომლის თანახმად, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი სამართლებრივი მოწესრიგება. უკანონო მშენებლობა, რომელიც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე გახდა კანონიერი, თუ მხედველობაში მივიღებთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედ სამართლებრივ საფუძველს, ის იძლევა მისი გაუქმების შესაძლებლობას, ხოლო თუ მოსამართლე შეაფასებს მას გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი სამართლებრივი. ნორმების გათვალისწინებით, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მშენებლობის ნებართვა მისი გამოცემის დროს არის კანონიერი, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი ნორმა იძლევა მისი გაუქმების შესაძლებლობას, რამდენადაც ეს ხდება გასაჩივრების ვადებში, სადაც აქტის ადრესატს ჯერ კიდევ არ წარმოეშობა კანონიერი ნდობა.

1.4.2. პირაპირი და უშუალო ზიანი

სასკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დასაბუთებულობის მეორე ელემენტია უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული პირდაპირი და უშუალო ზიანი. დასაშვებობის ეტაპზე უფლების სავარაუდო შეზღუდვაზე დაშვებული ვარაუდი საჭიროებს შემოწმებას და დადგენას, თუ რაში მდგომარეობს უკანონო მმართველობითი ღონისძიებით გამოწვეული ზიანი.

1.5. სასამართლო გადაწყვეტილება

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გა-

დაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გულისხმობს მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, არამედ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ აუცილებელია საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა და შეფასება, რომლის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება, ეს შესწავლა და შეფასება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რადგან მას სასამართლო ვერ გააკეთებს.

სასამართლო გადაწყვეტილებას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ სავალდებულო ძალა აქვს. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ან/და გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბათილად გამოცხადების ნაცვლად, ძალადაკარგულად გამოაცხადოს. აღნიშნული ტერმინის გამოყენება გულისხმობს, რომ სასამართლო ადგენს აქტის მოქმედების შეწყვეტას არა გამოცემის დღიდან, არამედ სასამართლოს მხრიდან უკანონოდ ცნობის დღიდან და გაუქმებიდან, ანუ „ძალადაკარგულად" გამოცხადების დღიდან.

სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომელიც ხშირად, თავისი შინაარსით, აქტის გამოცემის ვალდებულების დადგენას წარმოადგენს მაგ. , როდესაც მოსარჩელე ითხოვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ვალდებულებით დაიტვირთა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება და დაავალა სა-

ქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება მინის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ ვალდებულებით დატვირთვის თაობაზე. მხარის მოთხოვნა არის ბათილად ცნობა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებაში ფორმულირდება აქტის გამოცემის ვალდებულებაში.[196]

სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, შესაძლებელია 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის ტრანსფორმირება აღიარებით სარჩელზე, როდესაც არ არსებობს ბათილად ცნობის საფუძველი (მაგ. , დავის საგნის არარსებობა, ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის ბატილად ცნობა), მაგრამ, მხარის ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს სადავო აქტის უკანონობას.

2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

2.1. შესავალი

დაინტერესებულ პირს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. სარჩელის ამ სახეს მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელიც შეგვიძლია ვუწოდოთ.[197] მას

196 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბს-684-670 (2კ-14)

197 აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, ამ სახის სარჩელს გერმანული კანონმდებლობით, სპეციალური სახელწოდებაც აქვს და მას მავალდებულებელ (მოვალეობის შესრულების) სარჩელს უწოდებენ (VwGO, § 42(1)). სასკ-ის 23-ე მუხლმა, სანამ ის დღევანდელი რედაქციით ჩამოყალიბდებოდა, გარკვეული სახეცვლილება განიცადა. თავდაპირველი რედაქციიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მაშინდელი სახელწოდებით – ადმინისტრაციული აქტის) გამოცემის მოთხოვნით. აღნიშნული დაინტერესებულ პირს არ აძლევდა შესაძლებლობას, სრულად მოეხდინა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზება. კერძოდ, ნორმა არ ითვალისწინებდა სასამართლოში სარჩელის წარდგენას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო მმართველობის ორგანოების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.[198] დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.[199]

2.2. დავის საგანი, სარჩელის მიზანი

ამ სახის სარჩელზე დავის საგანს წარმოადგენს, მოსარჩელის სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლის გამოცემაზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსაჩელეს კანონსაწინააღმდეგოდ უთხრა უარი ან უარი ნათქვამია უმოქმედობით (აღნიშნულზე იხ. ადმინისტრაციული ორგანოს უარი).

სასარჩელო მოთხოვნის მიზანია, სასამართლოს გადაწყვეტილებით, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალოს.

თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს ამბობს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, მაშინ გზა იხსნება სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის წარდგენისკენ. მოსარჩელე ითხოვს არა უარის უარყოფას/უკანონოდ ცნობას, არამედ იმ ადმი-

---

აღნიშნულმა განაპირობა სასკ-ის 23-ე მუხლში კანონმდებლის მიერ ცვლილების შეტანა (2005 წ.) და ნორმის სრულყოფა. ნორმის სრულყოფის მიზნით, მასვე დაემატა მე-3 ნაწილი, რომლითაც განისაზღვრა გასაჩივრების ვადა (აღნიშნულზე იხ. ქვემოთ II. გასაჩივრების ვადები). ერთ-ერთი ბოლო ცვლილებით (2007) მუხლს დაემატა მე-4 ნაწილი, რომლითაც განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა. აღნიშნული ცვლილების შეტანის აუცილებლობა სასამართლო პრაქტიკამ განაპირობა. შეგებებული სარჩელის რაობა მოცემულია სსსკ-ის 188-ე – 190-ე მუხლებში. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, როდესაც მოპასუხე მხარეს, უმრავლეს შემთხვევაში, და სასკ-ის 23-ე მუხლით აღძრულ სარჩელზე, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო - მის მიერ შეგებებული სარჩელის აღძვრა აჭიანურებდა საქმის განხილვას, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას უშლიდა ხელს.

198 Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, 2016., gv. 284

199 Rolf Schmidt, Verwaltungsprozessrecht, 18. Auflage, 2016., გვ. 119

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რომლის გამოცემაზეც უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა.

მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელი აღიძვრება, ასევე, თუ იმ სამართლებრივი აქტის გამოცემაა მოთხოვნილი, რომლის გამოცემაც ადმინისტრაციული ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. გარდა იმისა, თუ მოთხოვნილია რაიმე უფლების მაღიარებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მისი დავალების მოთხოვნაც აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელითაა შესაძლებელი და არა აღიარებითი სარჩელით.[200]

სასამართლოს პრაქტიკა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ „სასკ-ით გათვალისწინებული შესაბამისი სარჩელის სახეობის გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ისახავს მოსარჩელე. სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელით პირი სასამართლოს მიმართავს არსებული მდგომარეობის შეცვლის და, შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევის მიზნით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის პირობებს სასკ-ის 23-ე მუხლი, ხოლო სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს 33-ე მუხლი განსაზღვრავს. აქტის არსებობას, აქტის გამოცემაზე უარის თქმას უკავშირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა".[201] სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, ასევე, აღნიშნა: „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სარჩელის სახეების გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ისახავს მოსარჩელე. სასკ-ის 23-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის, ხოლო 33-ე მუხლი მავალდებულებელი სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების თაობაზე (შეცილებითი სარჩელი, სასკ-ის 22-

200 Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, 2016., გვ. 284

201 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №ბს-1031-1002 (კ-10).

ე მუხ.) და სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით (მავალდებულებელი სარჩელი, სასკ-ის 23-ე მუხ.) განსხვავებულ მიზანს ისახავენ. სარჩელის ეს ორი სახეობა არის უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალებები. სარჩელის სახეობის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიზანს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნის მიზანია, აღმოფხვრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დამდგარი მდგომარეობა, ანუ აღდგეს აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობა (სასკ-ის 22-ე მუხ.); მოსარჩელეს მოცემულ შემთხვევაში ასეთი მიზანი არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიზანია, არსებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა, სარჩელის დასაშვები სახეობაა – სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხ.). ასეთი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის შემთხვევაშიც სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ - აქტის გამოცემა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიზანს შეადგენდა ... ასოციაციაში გაწევრიანება, ... და ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. ამდენად, სახეზეა სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახეობა (სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე). მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმისას, აქტის გამოცემის სასარჩელო მოთხოვნა, უმეტესად, იმავდროულად, მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასაც, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმჭურველი აქტის გამოცემის დავალებას, ორგანოს მოვალეობის შესრულების დავალებას. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე უფრო მეტად დაკავშირებულია ნებართვის მოპოვებასთან, ამდენად აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა იმდენად უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, არამედ - აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლე-

ბის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან აქტის გამოცემაზე უარი არის უკანონო, როდესაც მოსარჩელეს აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლება აქვს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლების ან ინტერესის დადგენის შემთხვევაში, ფაქტობრივად დგინდება მოსარჩელის უფლების ხელყოფის ფაქტი.[202]

2.3. სარჩელის დასაშვებობა. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის შესახებ სარჩელის დასაშვებად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ სარჩელი აკმაყოფილებდეს სასკ-ის 23-ე მუხლით განსაზღვრულ დასაშვებობის მოთხოვნებს - ადმინისტრაციული ორგანოს უარი, პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი, გასაჩივრების ვადები.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არის მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთი სახე. უფლების დაცვის ეს პროცესუალური ინსტიტუტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელის მიზანია მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და ეს მიზანი მიიღწევა მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

სარჩელი დასაშვებია, თუ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ანუ, მოთხოვნილი საქმიანობის სამართლებრივი ფორმა აკმაყოფილებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნიშნებს (საქმიანობის სამართლებრივი ფორმის შემოწმების მეთოდი იგივეა, რაც მოცემულია სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის დასაშვებობის განხილვისას) და ამ აქტის გამოცემაზე მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეთქვა უარი. ასევე, თუ შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, მოსარჩელის მოსაზრება ქმნის იმის ვარაუდს, რომ მოთხოვნილი აქტის გამოცემაზე უარით ან უმოქმედობით უარით მისი უფლებები

---

202 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება, საქმე №ბს-565-558 (კ-15).

დაირღვა. ის, რომ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს, ან ამ უფლებამოსილების განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმები კანონმდებლობით გათვალისწინებულია, ეს არის არა დავის საგნის, არამედ სარჩელის დასაბუთებულობის საკითხი (დასაშვებობის საფუძველი - გასაჩივრების ვადა ქვემოთაა განხილული).

2.3.1. ადმინისტრაციული ორგანოს უარი. უარის კანონერების შემოწმება

სასკ-ის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ("თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე—"), ამ სასარჩელო მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობას წარმოადენს ის გარემოება, რომ დაინტერესებულ პირს (მოსარჩელეს) მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა (მაგალითად, დაინტერესებულ პირს, კანონის საწინააღმდეგოდ, უარი უთხრეს მშენებლობის ნებართვის გაცემაზე).

უარის თქმაში იგულისხმება როგორც 1) წერილობითი უარი, რომლითაც დაინტერესებული პირის მოთხოვნა შეიძლება როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ იქნეს უარყოფილი, ისე,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად (მუხ. 177, ნაწ.2), 2)უარის თქმად განიხილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის განსაზღვრული ვადის დარღვევა (ვადაში აქტის არ გამოცემა) და იგი საჩივრდება სზაკ-ით დადგენილი წესით. ესაა ადმინისტრაციული ორგანოს ე.წ. უმოქმედობით უარი, როცა ის გაუშვებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვის დადგენილ, მაგალითად, ერთთვიან ვადას.

სასამართლოს პრაქტიკა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ „სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოში მავალდებულებელი სარჩელის აღძვრამდე პირს მიმართული უნდა ჰქონ-

დეს ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინსტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, აქტის გამოცემაზე უარი არის სასკ-ის 23-ე მუხით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობა. უარის თქმაში იგულისხმება როგორც წერილობითი უარი, რომლითაც დაინტერესებული პირის მოთოვნა შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ იქნეს უარყოფილი, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის განსაზღვრული ვადის დარღვევა, ანუ ვადაში აქტის არ გამოცემა; უკანასკნელი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ე.წ. უმოქმედობით უარის თქმას (ვირტუალური უარი).

მოსარჩელისთვის აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ - აქტის გამოცემა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები, არამედ - აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი. აქტის გამოცემის სარჩელის თაობაზე დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლოა დაევალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; სასამართლო უფლებამოსილია, თავად მოაწესრიგოს საკითხი, რადგან სადავო საკითხის მოსაწესრიგებლად არ არის საჭირო საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა და საკითხი დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს არ განეკუთვნება".[203]

2.3.2. ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება

დასაშვებობის შესახებ საკითხის გარკვევამდე ადმინისტრაციული ორგანოს უართან მიმართებით ყურადღება უნდა მიექცეს სასკ-ის მე-2 მუხლში შესულ დამატებას (2007 წ.), რომლითაც დადგინდა ზემდგომ თანამდებობის პირთან/ადმინისტრაციულ ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასაჩივრების სავალდებულო მოთხოვნა (ე.წ. გასაჩივრების პრეიუდიციუ-

203 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №ბს-1031-1002 (კ-10).

ლი წესი). ამ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ამდენად, დაინტერესებული პირი ვალდებულია, იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოსცა მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ეს უარი გაასაჩივროს ადმინისტრაციული საჩივრით ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში/თანამდებობის პირთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადმინისტრაციულ საჩივარზე კვლავ სრული ან ნაწილობრივი უარის მიღების შემთხვევაში, მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით - დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს მის მიერ მოთხოვნილი აქტის გამოცემა. გამოიყენა თუ არა მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა, სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე მოწმდება.

2.3.3. პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი, სასარჩელო უფლებამოსილება

სასკ-ის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ სახის სარჩელის დასაშვებობისთვის აუცილებელია, ასევე, მოსარჩელე იყოს ის პირი, რომლის კანონიერ უფლებას ან ინტერესს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (სასარჩელო უფლებამოსილება). ეს დებულება თავის თავში მოიცავს რამდენიმე საკითხს. კერძოდ, მოთხოვნილი აქტის არ გამოცემით/მიღებით მოსარჩელის (დაინტერესებული მხარის) კანონით გათვალისწინებული უფლების ან ინტერესისთვის მიყენებული ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური). აღნიშნული კი, ბუნებრივია, არ არის აბსტრაქტული კატეგორიის, არამედ საკმაოდ კონკრეტულია და იგი უნდა გამომდინარეობდეს როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებებიდან, ასევე უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი ნორმებიდან. ე. ი. სახეზე

უნდა იყოს კონსტიტუციის, მატერიალური კანონმდებლობის საფუძველზე მოპოვებული მოსარჩელის უფლებისთვის ან ინტერესისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არ გამოცემით პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენების ფაქტი. შესაძლოა მოსარჩელეს გარკვეული ინტერესი გააჩნდეს დავის საგნის – აქტის გამოცემის მიმართ, მაგრამ ეს ინტერესიც კანონიერი, ანუ მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის საფუძვლით სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას, ავტომატურად მოწმდება, აქვს თუ არა მოსარჩელეს კანონიერი უფლება, სასამართლოს საშუალებით იდავოს მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. თუ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არ გამოცემა (უარი აქტის გამოცემაზე) პირის სამართლებრივ მდგომარობაზე პირდაპირ და უშალო (ინდივიდუალურ) ზიანს არ იწვევს, მაშინ სარჩელი არის დაუშვებელი. გასათვალისწინებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ზიანის თაობაზე. კერძოდ, მიჩნეულია, რომ სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის ვარაუდი, რომ ირღვევა მოსარჩელის სუბიექტური უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის სუბიექტური უფლება, ეს დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას (პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო., თბილისი, 2005 წ. გვ. 105). პირდაპირი ზიანის, დაინტერესებული პირის ცნების თაობაზე იხილეთ, ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხ. 2, ნაწ. 1, ქვეპუნქტი "ბ", ასევე, ამ ცნების კომენტარი, რომელიც მოცემულია ავტორთა კოლექტივის – ზ. ადეიშვილის, გ. ვინტერის, დ. ქიტოშვილის მიერ მომზადებულ კოდექსის კომენტარში, 2002 წ., გვ. 34).

2.3.4. გასაჩივრების ვადები

აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელის დასაშვებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გასაჩივრების ვადის

დაცვა. სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. უარი შესაძლოა გაცხადებული იყოს როგორც წერილობითი აქტით, ასევე მის გარეშეც (უმოქმედობით უარი).

წერილობითი უარის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყება უარის თქმის შესახებ აქტის დადგენილი წესით მიღებიდან ერთი თვის ვადაში. როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი მაშინ, როცა გამოცემული არ არის წერილობითი აქტი და სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვის დადგენილი ვადების გაშვება – უმოქმედობით უარი? ამ შემთხვევაში, სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადა განისაზღვრება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით. სარჩელი სასამართლოს წარედგინება აქტის გამოცემისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში.

აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებისთვის განსხვავებულად არის მოწესრიგებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სადაც მითითებულია, რომ "გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში". აქვე აღვნიშნავთ, რომ გასაჩივრების ვადის შესახებ მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობა 23-ე მუხლში დამატების (2005 წ.) შეტანამდე, თავისებურებით ხასიათდებოდა. ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადას დასახელებული მუხლი არ ითვალისწინებდა, თუმცა ნორმათა ურთიერთშეჯერების გზით, იმის გამო, რომ წერილობითი უარი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული აქტის განმარტებიდან გამომდინარე (სზაკ მუხ. 2, ქვეპუნქტი "დ") ინდივიდუალურ აქტად განიხილება, - ნათელი იყო, რომ კანონმდებლის ნებას წარმოადგენდა, გასაჩივრებისას, სასკ-ის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ვადის დაცვა.

2.4. დისკრეციული უფლებამოსილება

გარკვეულ თავისებურებებს იწვევს ისეთი ადმინისტრაციული აქტების გამოცემის დავალების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, რომელთა გამოცემაც ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. დისკრეციული უფლებამოსილების საკითხი მატერიალურ ნორმებთანაა დაკავშირებული (იხ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტი და მე-6 და მე-7 მუხლები). ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თვითონ გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტი, თუ საკითხი განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს თავისუფლებას, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს აუცილებლად კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაიცვას კანონის სხვა მოთხოვნებიც. ანუ, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილ ფარგლებში, მხოლოდ იმ მიზნით და იმ სამართლებრივი შედეგის მისაღებად, რომლის მისაღწევადაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. გარდა ამისა, დისკრეციული უფლებამოსილებისას გამოცემული აქტი უნდა იყოს დასაბუთებული, ანუ აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ე.ი. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდული არ არის მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ არჩევანში (არჩევანის თავისუფლება), მთავარია, ის კანონის ფარგლებში განხორციელდეს. დაინტერესებული პირისთვის (მოსარჩელისთვის) პრობლემა წარმოიშობა სწორედ ამ არჩევანის თავისუფლების განხორციელებისას.

დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით დასაშვებია რამდენიმე შემთხვევა. ერთი, როდესაც დაინტერესებული პირი მოითხოვს, რომ სასამართლომ თვითონ გამოსცეს ისეთი აქტი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო შეზღუდულია და არ არის უფლებამოსილი თვითონ გამოსცეს ისეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. სხვაგვარად დგას საკითხი იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე ითხოვს ისეთი აქტის გამოცემის დავალებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს 33-ე მუხლის პირველი ნაწილი. ანუ ის დაავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით გამოსცეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი აქტი. ფაქტობრივად, ეს იქნება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება, რომ მან დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მისაღები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცეს სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით.

2.5. სარჩელის დასაბუთებულობის დადგენა

2.5.1. ზოგადი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის დადგენის საფუძველია სასკ-ის 33-ე მუხლი. სასკ-ის 33-ე მუხლის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით არის დასაბუთებული, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელი დასაბუთებულია, თუ: 1) მოსარჩელე უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება აქტის გამოცემაზე, 2) მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი კანონს ეწინააღმდეგება და 3) ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სარჩელი დასაბუთებულია, ასევე, თუ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია მისი მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული არ გამომდინარეობს მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლის პროცესუალური ბუნებიდან, არამედ მას აქვს მატერიალური ბუნებაც.

დასაბუთებულია, ასევე, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა, თუ იგი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ნაცვლად, ემყარება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და მის საფუძველზე ამყარებს მოთხოვნის საფუძვლიანობას. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება ნულს უტოლდება. ეს იმ შემთხვევაშია, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ერთადერთი გადაწყვეტილების უფლება აქვს და მას არჩევანის თავისუფლება არ გააჩნია, შესაბამისად, მის მიერ მიღებული ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიჩნევა უკანონოდ. სარჩელი დასაბუთებულია, თუ აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნა შესაბამის მატერიალურ ნორმებს ემყარება. აქ იგულისხმება ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს მოთხოვნილი აქტის გამოცემის უფლებამოსილებას და დაინტერესებული პირიც უფლებამოსილია, მოთხოვოს აქტის გამოცემა. მაგალითად, მშენებლობის ნებართვის მიღების მოთხოვნით სათანადო ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვა. მოსარჩელის მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს როგორც უშუალოდ მოქმედი კანონმდებლობიდან, ასევე კონსტიტუციიდან (მაგალითად, სოციალური დაცვის სფეროში) და დასაშვებია გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, თუ იგი შეიცავს აქტის გამოცემის დავალებას და თვით ხელშეკრულება

ძალაშია.

2.5.2. აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის კანონიერების შემოწმება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის კანონიერების დადგენისას უნდა შემოწმდეს: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და 2. ადმინისტრაციული ორგანოს საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური უფლებამოსილება.

სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები, არამედ აქტის გამოცემის მოთხოვნაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი. აქტის გამოცემაზე უარი ან მისი გამოცემის ვადის დარღვევა (უმოქმედობით უარი) არის უკანონო, როდესაც მოსარჩელეს აქვს აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლება ან ინტერესი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლების ან ინტერესის დადგენის შემთხვევაში, ფაქტობრივად დადგენილია მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფის ფაქტი, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულების, ასევე, მოსარჩელის სუბიექტური უფლების წარმოშობის საფუძველი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევა კი, აუცილებლად არ იწვევს პირის სუბიექტური უფლების ხელყოფას და, ამდენად, ის განსაკუთრებულ შემოწმებას საჭიროებს.

2.5.3. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

აქტის გამოცემის დავალების შესახებ მოთხოვნის უფლების შემოწმებისას, მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება. არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს

უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე სარჩელს არ ხდის დასაბუთებულს, სასამართლოს არ შეუძლია, დაავალოს არაუფლებამოსილ ორგანოს, გამოსცეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. როდესაც დაინტერესებულ პირს განცხადება შეაქვს არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და ეს უკანასკნელი არ გამოსცემს მოთხოვნილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ის არ არღვევს კანონს. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ ის არღვევს მის მიმართ სზაკ-ის 85-ე მუხლით დადგენილ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობას და სზაკ-ის მე-80 მუხლით დადგენილი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადების გადაგზავნის ვალდებულებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის აუცილებელი წინაპირობაა, რომ აქტის გამოცემაზე უარის ან უმოქმედობით უარის სუბიექტი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა.

2.5.4. მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი

მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის არსებობას ვადგენთ მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე. კანონიერი უფლებისა და ინტერესის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმა, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება. მარტივია მოსარჩელის კანონიერი უფლების დადგენა, როდესაც კანონი ზუსტად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის (უფლების წარმოშობის) სამართლებრივ საფუძვლებს და პირი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ამ მოთხოვნებს. მაგ., საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ", რომელშიც მოცემულია კომპენსაციის მიღების წინაპირობები.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე უფრო მეტად დაკავშირებულია ნებართვების

მოპოვებასთან, რომელიც გამოიცემა ადრესატის განცხადების საფუძველზე და ახდენს კონკრეტული საკანონმდებლო აკრძალვის მოხსნას ამ საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესაძლებლობით. ტრადიციულად, ნებართვის გაცემის შესაძლებლობის ორი ფორმა გამოიყოფა: პრევენციული აკრძალვა ნებართვის გაცემის შესაძლებლობით და რეპრესიული აკრძალვა, აკრძალვის მოხსნის შესაძლებლობით.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების წარმოება საჭიროებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას. სამშენებლო საქმიანობის პრევენციული აკრძალვის მიზანია, არა კონკრეტული მოქმედების, მშენებლობის აკრძალვა, არამედ ის აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს პრევენციული შემოწმების საშუალებას - ხომ არ ეწინააღმდეგება განზრახული მოქმედება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. მაგ., განზრახული მშენებლობა კონკრეტულ მინის ნაკვეთზე ხომ არ ეწინააღმდეგება ქალაქმშენებლობის გეგმებს ან მეზობლის ინტერესებს და სხვა სამშენებლო-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მშენებლობის უფლება, ეს არის ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. მშენებლობის უფლების რეალიზაციის შეზღუდვა, მასზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან წინასწარი ნებართვის გაცემის აუცილებლობის დადგენით, მიზნად ისახავს არა ამ უფლების შეზღუდვას, არამედ, ახდენს ამ უფლების რეალიზაციის პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას. პრევენციული აკრძალვის მასობრივი გამოყენება აიხსნება იმ უბრალო მიზეზით, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, თანამედროვე ტექნიკიდან გამომდინარე, საშიშროების თავიდან აცილება. ბუნებისა და ჯანმრთელობისთვის საშიში მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციაში შესვლამდე მასზე ნებართვის აუცილებლობა, ანუ მისი ექსპლუატაციის აკრძალვა მასზე ნებართვის გაცემის შესაძლებლობით, იძლევა ეფექტური კონტროლის საშუალებას.

ამის საწინააღმდეგოდ, რეპრესიული აკრძალვის მიზანია კონკრეტული მოქმედების (საქმიანობის) აკრძალვა და, მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში, საქმის გარემოებათა შესწა-

ვლის შემდეგ, შეიძლება მასზე განსაკუთრებული ნებართვის გაცემა. ასეთ რეპრესიულ აკრძალვასთან გვაქვს საქმე, როდესაც აკრძალულია გარკვეული სახეობის საბრძოლო იარაღების დამზადება და შესაძლებელია, გამონაკლისის სახით, გაიცეს ნებართვა ასეთი იარაღების დამზადებაზე. როგორც ვხედავთ, ნებართვის მოპოვების პროცესში, შესაძლოა, შეუძლებელი იყოს ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მოსარჩელის კანონიერი უფლების დადგენა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის (დავალების) თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების საკითხს. თუ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ეს ზღუდავს სასამართლოს. ყოველივე ეს არ იწვევს სარჩელის დაუსაბუთებლობას. მოსარჩელეს აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, გადაამოწმოს, მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას.

მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას მოწმდება დაპირების სზაკ-ის მე-9 მუხლთან შესაბამისობა. დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა), რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. უფლების დაცვის თვალსაზრისით აუცილებელია, დავადგინოთ, ადმინისტრაციუ-

ლი ორგანოს საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმასთან გვაქვს საქმე. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ის არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი, რამდენადაც არ არსებობს ცნების ელემენტი: „აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს". ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არ ახდენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას, იგი შეიცავს მომავალში ასეთი მოწესრიგების განხორციელების დაპირებას. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება ჯერ კიდევ არ ქცეულა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. მიუხედავად ამისა, სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ის განიხილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მის ადრესატს ეძლევა შესაძლებლობა, გამოიყენოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახეზე იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან წარმოშობილი დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა, ანუ არ უნდა გვქონდეს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები, რომელიც მოცემულია სზაკ-ის მე-9 მუხლის II ნაწილში.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმა. თუმცა ეს უფრო იშვიათობაა, ვიდრე ნორმალური შემთხვევა. იქიდან გამომდინარე, რომ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება არ საჭიროებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელით მოპოვებას, არამედ, დავის შემთხვევაში, ამ უფლების დასადგენად საკმარისია აღიარებითი სარჩელი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ადგენს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის სამართლებრივ ჩარჩოებს, მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის სამართლე-

ბრივ საფუძველს ქმნის ეს კანონი და არა კონსტიტუცია, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს კონსტიტუციის ნორმის უზენაესობას. ამის საპირისპიროდ, თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი შეიძლება იყოს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე სუბიექტური უფლების წარმოშობის საფუძველი.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელი შეიძლება იყოს დასაბუთებული, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თვითნებურად უხვევს ჩამოყალიბებულ მრავალწლიან პრაქტიკას და იღებს დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას, ან კიდევ, როდესაც დაუსაბუთებლად უარს ამბობს ამ პრაქტიკის შეცვლაზე.

სამართლებრივი ურთიერთობის რომელიმე მხარის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხდის უკანონოს, რაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

2.6. სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

თუ სასამართლო სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების საფუძველზე დადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი ან გამოცემის ვადის დარღვევა არის უკანონო და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ის გამოიტანს გადაწყვეტილებას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან (სასკ-ის 23-ე მუხლი) დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ორი სახის: 1. სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მხარის

მოთხოვნით ადგენს აქტის გამოცემის ვადას, ან 2. სასამართლო თვითონ აწესრიგებს სადავო საკითხს.

რას გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება? ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით დაინტერესებული მხარის განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების შემოწმება. სწორედ ამ შემოწმების შედეგებს ეყრდნობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმა. რიგ შემთხვევებში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ბოლომდე არ არის შესწავლილი საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, ანუ საკითხი არ არის იმ დონემდე შესწავლილი (ადმინისტრაციული წარმოების ნაყოფი არ არის მომწიფებული), რომ შესაძლებელი იყოს, მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. მით უმეტეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაინტერესებული პირის განცხადებაზე უმოქმედობის გამოვლენის შემთხვევაში, აშკარაა, რომ ორგანოს არ აქვს შესწავლილი აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ეს ორი შემთხვევა, ანუ ის რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად არ აქვს ან საერთოდ არ აქვს შესწავლილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, არ წარმოშობს სასამართლოს უფლებამოსილებას, დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან დაავალოს მას საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა და, ამის საფუძველზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ორივე შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, თვითონ შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე, ანუ საქმე უნდა გახადოს იმდენად მომწიფებული, რომ შესაძლებელი იყოს, გადაწყვეტილების მიღება – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თუმცა ეს არც თუ ისე იოლია. რიგ შემთხვევებში,

აუცილებელია, საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევა, რომლის განხორციელება მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია. ეს მიგვიყვანდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევამდე, თუ სასამართლო სრულიად შეცვლიდა ადმინისტრაციულ ორგანოს და, გადაწყვეტილების მომზადებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მის ადგილს დაიკავებდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის - პრეროგატივას.

სასამართლო, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობას და მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფას, ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში (ამაზე ზემოთ გვაქვს საუბარი), რამდენადაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თვითონ განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოსადმი კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება გარდა ამისა სასამართლოს არ შეუძლია თავად გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასება. მაგ., გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური მხარე, მაგრამ ის ვერ აიღებს თავის თავზე გამომცდელის ფუნქციას და ვერ შეაფასებს მოსარჩელის სპეციალურ ცოდნას.

რა შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი? ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ სასამართლო ამზადებს საქმეს გადაწყვეტილების მისაღებად. მოსარჩელის მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული

ორგანოების მმართველობითი ფუნქციების განხორციელების სამართლებრივი ფორმა. როგორც წესი, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევა მმართელობითი ფუნქციების განხორციელების თაობაზე, სასამართლო ვერ შეითავსებს ამ ფუნქციებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გამონაკლისის სახით უშვებს სადავოდ ქცეული მმართველობითი ფუნქციების სასამართლოს მიერ განხორციელების შესაძლებლობას, მთელი რიგი წინაპირობების დაცვით. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამ წინაპირობებს უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო მოთხოვნა: სასამართლო თავისი განჩინებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწესრიგებს სადავო საკითხს, როდესაც, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია გადაწყვეტილების სწრაფი მიღება და მისი გადაგზავნა ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაუმართლებელი იქნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს შეუძლია ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებით, საფუძვლიანი გახადოს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება. რაც შეეხება ღონისძიების სამართლებრივ ფორმას, სასამართლოს მიერ სადავო საკითხი წესრიგდება არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ განჩინების სახით, რაც ზღუდავს მესამე პირების შესაძლებლობას, გამოიყენონ სასკ-ით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დადგენილი უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები. სწორედ ეს თავისებურებაც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის განჩინებით მოწესრიგების საგამონაკლისო ხასიათზე.

საყურადღებოა სასკ-ის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება, რომელიც იმპერატიული ხასიათისაა, ანუ სასამართლო ვალდებულია, ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე

ადმინისტრაციულ ორგანოს დავალდებულების შესახებ გადაწყვეტილებაში, მხარის მოთხოვნით დაადგინოს აქტის გამოცემის ვადა. როგორც ვხედავთ, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუდგენს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადას, თუ ამას მხარე მოითხოვს. მაგრამ კანონმდებლის მიერ სასამართლოს ასეთი შეზღუდვა. არ არის მიზანშეწონილი. სასამართლოს მიერ მსგავსი სახის საქმის განხილვა ბევრად ეფექტური იქნება, თუ სასკ-ის 33-ე მუხლი შეივსება. სასამართლო მხარის მოთხოვნის გარეშეც უნდა იყოს ვალდებული/უფლებამოსილი, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაუდგინოს აქტის გამოცემის განსაზღვრული ვადა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, გააგრძელოს ეს ვადა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, სასამართლოს არ აკისრია ვალდებულება, საკუთარი ინიციატივით დაუდგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის განსაზღვრული ვადა. სასამართლო პრაქტიკამ უფრო კონკრეტულად მოაწესრიგა ეს საკითხი და, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო, მას შემდეგ, რაც გაარკვევს, რომ აქტის გამოცემაზე უარი კანონსაწინააღმდეგოა ან დარღვეულია აქტის გამოცემის ვადა, გადაწყვეტილებით ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, განსაზღვრულ ვადაში, მაგალითად, ერთ თვეში გამოსცეს მოთხოვნილი აქტი. დასაშვებია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაშიც არ გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტი. რა ხდება ამ შემთხვევაში? კანონმდებელი ამ საკითხის პირდაპირ მოწესრიგებას არ ახდენს, მაგრამ სასამართლო უფლებამოსილია, ასეთი შემთხვევის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ანუ, დაინტერესებული პირის ხელმეორედ მიმართვის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, თუ მისი გამოცემა არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

2.7. ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელთა სახეები

იურიდიულ ლიტერატურაში პირობითად გამოყოფენ[204] ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელთა სახეებს: მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე სრული ან ნაწილობრივი წერილობითი უარის თქმისას აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს დავალების შესახებ სარჩელი, ან კანონით დადგენილ ვადებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არ გამოცემისას (ე.წ. ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობისას) ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს დავალების შესახებ სარჩელი.

2.8. ფარგლები სარჩელთა სხვა სახეებთან

2.8.1. აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელთან ფარგლები

აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელის გზით მოსარჩელეს სურს, გაიუმჯობესოს უარის თქმამდე არსებული სიტუაცია, შესაბამისად, მისი მოთხოვნა მიმართულია არა უარის უარყოფისკენ/ბათილად ცნობისკენ, არამედ მისი მიზანია, სასამართლომ დაავალოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს მისთვის სასურველი ადმინისტრაცულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელი არის, ასევე, პოზიტიური კონკურირებადი სარჩელის სახე.[205] სარჩელის ამ სახისთვის დამახასიათებელია, რომ მოსარჩელის მიზანი კონკურენტულ სიტუაციაში არის არა კონკურენტების მდგომარეობის გაუმჯობესების თავიდან აცილება, არამედ საკუთარი თავისთვის უკეთესი მდგომარეობის მოპოვება. მაგრამ, თუ ადმინისტრაციული ორგანო უპირატესობას ანიჭებს მესამე პირებს და არა მოსარჩელეს და ამით მისი მდგომარეობა უარესდება, მაშინ კონკურენტების უპირატესობის

204 Wolf-Rüdiger Schenke, Verwaltungsprozessrecht, 8. Auflage, 2002. გვ. 82.

205 Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, 2016., გვ. 286.

მომპოვებელი აქტი მას ზიანს აყენებს. შესაბამისად ის ითხოვს ამ აქტის გაუქმებას/კანონიერების გარკვევას სსკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული - აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელით და მხოლოდ ამის შემდეგ ითხოვს, ადმინისტრაციულ ორგანოს ისეთი აქტის გამოცემა დაევალოს, რომელიც მის მიზნებს შეესაბამება. თუ მოსარჩელეს სურს არასადავო პოზიციის მოპოვება, მაშინ, ეს ძირითადად, აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელით მიიღწევა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე სრული ან ნაწილობრივი წერილობითი უარის თქმისას, ადმინისტრაციულ ორგანოზე აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელი, ექსპერტთა აზრით, ცალკეულ შემთხვევებში, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჭიროებს, ასევე, უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნას; აღნიშნული გამოწვეულია ექსპერტთა მოსაზრებით, რომლის თანახმად, შეუძლებელია მომავალში სათანადო შედეგის მიღწევა და აქტის გამოცემის დავალების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ზემოქმედების მოხდენა, თუ ბათილად არ გამოცხადდება ადმინისტრაციული ორგანოს ის აქტი, რომლითაც უარყოფილი იქნა მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.[206] აქ, შესაძლოა, ერთ გამონაკლისზე გავამახვილოთ ყურადღება, როდესაც საქმის განხილვის დროს ადმინისტრაციული ორგანო თავად აღიარებს მისი უარის თქმის შესახებ აქტის უკანონობას და ბათილად გამოაცხადებს მას, ან ნაწლობრივ დააკმაყოფილებს მოთხოვნას. ამ შემთხვევაში სასამართლოს წინაშე, შესაძლოა, დადგეს სასკ-ის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 33-ე მუხლების ერთობლიობაში გამოყენების საკითხი.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მოსარჩელე ითხოვს არა უარის თქმის შესახებ აქტის გაუქმებას, არამედ - ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტის გამოცემის დავალებას. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც თვით უარის თქმის

206 Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, 2016., გვ. 286

შესახებ აქტის დამოუკიდებლად არსებობა ან არარსებობა მის მიმართ არსებით შედეგს არ იწვევს და მისთვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილი აქტის გამოცემა. ამ დროს, ის უარის თქმის შესახებ აქტს იყენებს მხოლოდ როგორც სასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობად.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როცა უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერების გარკვევაცაა მოთხოვნილი (სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი), შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი. კერძოდ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე, გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. საქმის გარემოებათა გამოკვლევის შესახებ მოთხოვნას ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი. ასევე დასაშვებია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ორგანომ საჩივარი განიხილოს ადმინისტრაციული წარმოების ნორმების არსებითი დარღვევით, რამაც გამოიწვიოს მის მიერ სადავო გადაწყვეტილების მიღება. ასეთ დროს, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო დაავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ მან წარმოების ნორმების დაცვით გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ზემოაღნიშნული (წარმოების ნორმებთან დაკავშირებით), თანაბრად მოქმედებს ისეთი სარჩელის მიმართ, რომელზეც დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემისთვის კანონით დადგენილი ვადის გაშვება. შესაბამისად, დაინტერესებული პირი სასამართლოს საშუალებით ითხოვს, დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოების ნორმების დაცვით, გამოსცეს მოთხოვნილი აქტი.

2.8.1.1. ნაწილობრივი მოწესრიგების შესახებ სარჩელი

აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელი მიემართება ასევე, ისეთ შემთხვევას, როდესაც ნაწილობრივ აღმჭურველი აქტია გამოცემული. მაგალითად, მოსარჩელემ მიიღო ნებართვა, მაგრამ ის მოსარჩელისთვის მიუღებელი დროის ფარგლებითაა შეზღუდული.

2.8.1.2. მესამე პირები

შესაძლებელია, მოსარჩელე იყოს, როგორც ადმინისტრაციული აქტის ადრესატი, ასევე, მესამე პირი, რომლის კანონით გათვალისწინებულ უფლებას ან ინტერესს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს ადმინისტრაციული ორგანოს უარი. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდეს არა სრულიად ახალი აქტის გამოცემა, არამედ უკვე გამოცემულ აქტში დამატების შეტანა. მაგალითად, მეზობელი, რომელიც ასაჩივრებს მშენებლობის ნებართვას, მოითხოვს ნებართვის გაცემას დამატებითი პირობებით (ე.წ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სრულყოფა).

ასევე დასაშვებია, რომ სარჩელით მოთხოვნილ იქნეს უკვე გამოცემულ აქტში ნაწილობრივი ცვლილების შეტანა, მათ შორის, ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილად ცნობა და მის ნაცვლად ახლის გამოცემა.

2.8.2. ფაქტობრივი მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელთან ფარგლები

ფაქტობრივი მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელი (სასკ-ის 24 მუხლი), ასევე, წარმოადგენს მავალდებულებელი (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელის სახეს. სამართლებრივ ლიტერატურაში მას ზოგად მავალდებულებელ (მოვალეობის შესრულების შესახებ) სარჩელს უწოდებენ.[207] სარჩელის ამ სახის მიზანია, როგორც რაიმე ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნა, ასევე ისეთი ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნა,

207 Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, 2016., გვ. 287

რომელზეც მოსარჩელეს შეტყობინება აქვს მიღებული და ჯერ შესრულებული/დასრულებული არ არის.

თუ მოსარჩელე, სამართლებრივი მოწესრიგების ნაცვლად, ითხოვს უბრალო ფაქტობრივი მოქმედებების განხორციელებას/შესრულებას, როგორიცაა ინფორმაციის მიღება, ცნობის გაცემა, კონსულტაცია, ფაქტის შესახებ განცხადების გაკეთება და ა.შ. და მას უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა, მაშინ მოსარჩელის მიზნის მიღწევის საპროცესო საშუალება არის სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახე. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, მოქმედი კანონმდებლობით, უშუალოდ ფაქტობრივი ქმედების განხორციელებამდე, ჯერ გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება), რომლის გამოცემაზეც დაინტერესებულ პირს ეთქვა უარი. ასეთ შემთხვევაში, ასევე, დასაშვებია სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახე.

ფაქტობრივ მოქმედებასა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის ფარგლების დადგენისას სირთულეს იწვევს ის გარემოება, როცა დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია არა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არამედ უბრალო ფაქტობრივი მოქმედება, მაგალითად თანხის გადახდა. თუმცა, ზოგჯერ, შესაძლოა, რეალაქტის განხორციელებამდე, კანონმდებლობით მოთხოვნილი იყოს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება სამართლებრივი აქტის გამოსაცემად და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ფაქტობრივი მოქმედების განხორციელება/შესრულება.[208]

სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისას (შესრულებაზე უარის მიღებისას), ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ დასაშვებია სარჩელი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის

208 Rolf Schmidt, Verwaltungsprozessrecht, 18. Auflage, 2016., გვ. 122.

შესრულების დავალების შესახებ [209].

3. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

3.1. შესავალი

ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელი გულისხმობს ისეთი მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ან განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნას, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას. სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრულ მავალდებულებელ სარჩელს სასკ-ის 23-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელისგან განასხვავებს მოსარჩელის მიზანი - მმართველობითი ღონისძიების განხორციელება ადმინისტრაციული რეალაქტის ფორმით.

კაზუსის ამოხსნისას, პირველ რიგში, უნდა ვივარაუდოთ, რომ უფლების დაცვის საშუალებას წარმოადგენს სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე შედგენილი სარჩელი. ვარაუდის შემოწმება ხდება ორი ელემენტის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ან განსახორციელებელი მმართველობითი ღონისძიების სამართლებრივი ფორმა[210] და მხარის მიზანი. მიუხედავად იმისა, რომ უარი ქმედების განხორციელებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, მოსარჩელის მიზანი მიიღწევა არა უარის ბათილობით, არამედ ქმედების განხორციელებით. უნდა შემოწმდეს, ხომ არ საჭიროებს ქმედების განხორციელების მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ასეთ შემთხვევაში მხარემ უნდა მოითხოვოს აქტის გამოცემა და არა ქმედების განხორციელება.

სარჩელი სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე არის შედეგიანი, როდესაც ის არის დასაშვები და დასაბუთებული.

---

209 Friedhelm Hufen, Verwaltungsprozessrecht, 10. Auflage, 2016., გვ. 288.

210 როგორც 195-ე სქოლიოში აღინიშნა, მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი გვაძლევს ინფორმაციას დასაშვები საქმიანობის სამართლებრივ ფორმაზე.

3.2. სარჩელის დასაშვებობა

ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაშვებობის საფუძვლები მოცემულია სასკ-ის 24-ე მუხლში. სარჩელის დასაშვებობის ფარგლებში მოწმდება:

ა) საქმიანობის სამართლებრივი ფორმა,

ბ) პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი,

გ) სარჩელის ხანდაზმულობის ვადები.

სარჩელი, ქმედების განხორციელების მოთხოვნის თაობაზე არ შემოიფარგლება ადმინისტრაციული ორგანოსგან მხოლოდ რეალაქტის განხორციელების მოთხოვნეით. ის, ასევე, გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, როდესაც სარჩელის მიზანია, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი მოქალაქის ვალდებულების - კონკრეტული ქმედების განხორციელების უზრუნველყოფა.[211]

3.2.1. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

საჯარო მმართველობის სამართლებრივი ფორმა, რომლის განხორციელება ან განხორციელების გან თავის შეკავება მოსარჩელის დავის საგანია, უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული რეალაქტის სამართლებრივ ბუნებას. რეალაქტი[212] (დე

---

211 იხ. აგრეთვე მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 355.

212 ტერმინი და მისი დეფინიცია არ არის მოცემული სზაკ-ში, არც სასკ-ში. საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენ. სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისგან, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაცია პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, არამედ ის, ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ რეალაქტსაც (იხ. საქმე ბს-52-51 (კ-14)).

ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება, უბრალო მმართველობითი საქმიანობა) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან რეალაქტის გამიჯვნის კრიტერიუმია ცნების ელემენტი - მოწესრიგება. მიუხედავად იმისა, რომ რეალაქტი არ ახდენს სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას, მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედება შეიძლება გამოვლინდეს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ. შიდაორგანიზაციულ რეალაქტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი ფაქტობრივი შედეგები არ სცილდება ამ ორგანიზაციის ფარგლებს. ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკი ადგენს დოკუმენტებს და ასრულებს სხვა ნერით სამუშაოებს, ამზადებს მუშაობისთვის საჭირო საშუალებებს,
აწყობს თათბირებს, ახდენს დოკუმენტებისა და სხვა საქმიანი ქაღალდების სისტემატიზაციას და ა.შ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალაქტების დიდი ნაწილი მიმართულია ორგანიზაციის გარეთ ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენ. იურიდიულ ლიტერატურაში ხდება ორგანიზაციის გარეთ გამოვლენილი რეალაქტების ორ ჯგუფად სისტემატიზაცია: საინფორმაციო ხასიათის რეალაქტები (მოქალაქეებისთვის ახსნა-განმარტებების მიცემა; საჯარო გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად; საჯარო წლიური მოხსენებები და ა.შ.) და ფაქტობრივი ქმედებები (ქუჩების შეკეთება, დასუფთავება, სკვერების მოწყობა, სოციალური ფულადი და მატერიალური დახმარებების გაცემა და ა.შ.).

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს შეიძლება ქმნიდეს კონკრეტული კანონი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღმჭურველი ხასიათის რეალაქტი, ასევე, შესაძლებელია,

განხორციელდეს კონკრეტული ნორმატიული საფუძვლების გარეშეც.

სასკ-ის 24-ე მუხლით დადგენილი სარჩელის გამოყენების სფერო არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული რეალაქტით. მმართველობითი ღონისძიება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას შეიძლება იყოს მოთხოვნა, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განახორციელოს ქმედება - არ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.[213]

3.2.2. ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი ქმედების განხორციელების მოთხოვნით

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისიწნებული უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქალაქის წინააღმდეგ. სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე დასაშვებია, თუ დავა გამომდიანრეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და არ გვაქვს სახეზე სასკ-ის 2-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დასაშვებობის გამომრიცხველი გარემოება.

საკითხის განხილვა შესაძლებელია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით.[214] დავაში - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრი ფიზიკური პირის მიმართ - დავის საგანია უკანონოდ მიღებული სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების დავალება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ად-

---

213 სარჩელის სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, უპირატესობა ენიჭება 22-ე მუხლს. თუ მოსარჩელე დაასაბუთებს სასკ-ის 22-ე და 29-ე მუხლების საშუალებით უფლების ეფექტიანად დაცვის შეუძლებლობას, ის უფლებამოსილია, გამოიყენოს 24-ე მუხლი.

214 ბს-852-844 (გ-15) 22 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი, აგრეთვე ერთგვაროვანი გადაწყვეტილებები, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, 2016, 8

მინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

როგორც საკასაციო სასამართლო ასაბუთებს, სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდა,[215] სასარჩელო მოთხოვნა ეხება ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის სა-

---

215 განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ.ფ-ემ 2013 წლის 5 სექტემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური პაკეტის დანიშვნის მოთხოვნით მიმართა. სარჩელის საფუძველზე სადავოა თ.ფ-ისათვის 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით დარიცხული სახელმწიფო გასაცემლის — პენსიის, სულ 1300 ლარის, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება. საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ ემყარება კერძო სამართლის ნორმებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებია „სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის ნორმები. „სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის მე-5 თავი ანესრიგებს პენსიის დანიშვნის საკითხებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიონერს უფლება აქვს მიიღოს პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დამატებით მიიღოს სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსიონერი ვალდებულია: აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.
ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 41 პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთა აგანერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხოლო „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საჯარო საქმიანობის განხორციელება. კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ითვალისწინებს ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნების ვალდებულებასა და პირობებს. ანალოგიურ დებულებას შეიცავს „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და სამოქალაქო სამართლის ნორმებს არ ემყარება.

ჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანის განსაზღვრა ხდება არა საქმიანობის სამართლებრივ ფორმაზე დაყრდნობით, არამედ ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება (სარჩელის სახე) უნდა შეირჩეს სასკ-ის 22-25 მუხლებით განსაზღვრული სარჩელის სახეებიდან. მხარის მოთხოვნა მოქმედების განხორციელებაზე (თანხის დაბრუნებაზე) პროცესუალურად უნდა დადგეს სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე, რამდენადაც მოთხოვნა ეხება ისეთი მოქმედების განხორციელებას, რომელიც არ გულისხმობს აქტის გამოცემას.

დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება. დავა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქისთვის ფულადი თანხის გადახდევინებასთან, არ შეიძლება მიიღწეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცდებით და სზაკ-ის მე-12 თავით განსაზღვრული აღსრულების საშუალებების გამოყენებით. დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3.2.3. პირდაპირი და უშუალო ზიანი

სარჩელის დასაშვებობის მეორე კრიტერიუმია პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი, რომელიც მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ადგება. მოსარჩელე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული რეალაქტის ადრესატი ან მესამე პირი, რომლის სუბიექტური უფლება იზღუდება ქმედების განხორციელებით. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ რეალაქტს არ აქვს მომწესრიგებელი სამართლებრივი ბუნება, მისი

განხორციელება ან განხორციელებისგან თავის შეკავება შეიძლება იწვევდეს სამართლებრივ შედეგს.[216]

3.2.4. სარჩელის ხანდაზმულობის ვადები

ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის წარდგენა არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ვადებთან. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელებაზე უარის შემთხვევაში სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს უარის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. სასკ-ის 24-ე მუხლით წარდგენილი სარჩელი ქმედების განხორციელების მოთხოვნით, ასევე, მოიცავს უარის ბათილად ცნობის მოთხოვნას, რაც მოსარჩელეს აიძულებს დაიცვას გასაჩივრების ერთთვიანი ვადა. უმოქმედობის შემთხვევაში პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

3.3. სარჩელის დასაბუთებულობა

სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმება ხდება სასკ-ის 33[1] მუხლის საფუძველზე. სარჩელის დასაბუთებულობის ფარგლებში მოწმდება:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ან რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უარის კანონიერება და

ბ) პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანი, რომელიც მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ადგება.

---

216 საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები ზღუდავს რეალაქტის მიმართ არასათანადო მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნის შესაძლებლობის რეალიზაციას. ამავდროულად, სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების სტადიაზე სასამართლო კვლავ მსჯელობს სადავო რეალაქტის შედეგების გავლენაზე მოსარჩელის უფლებისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ან კანონიერი ინტერესის ხელყოფის ფაქტზე, რომლის არდადასტურების პირობებში გამოირიცხება რეალაქტის.

3.3.1 კანონიერების შემოწმება

ადმინისტრაციული რეალაქტის კანონიერების შემოწმება ხდება ფორმალური და მატერიალური კანონიერების კრიტერიუმების შემოწმების საფუძველზე. ფორმალური კანონიერების ძირითადი ელემენტია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, განახორციელოს მმართველობითი ღონისძიება რეალაქტის ფორმით.

ადმინისტრაციული რეალაქტის მატერიალური კანონიერების შემოწმებისთვის მნიშვნელოვანია მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების დადგენა. მისი განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს კანონი, კანონქვემდებარე აქტი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება ან ადმინისტრაციული ორგანოს ზოგადი უფლებამოსილება.

მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების კრიტერიუმები მოცემულია სასკ-ის 33[1] მუხლში, რომლის თანახმად, სარჩელი დასაბუთებულია, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა, ანუ არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს.

როგორც აღვნიშნეთ, დაინტერესებული მხარის უფლება, ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს რაიმე ქმედების განხორციელება, შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის ნორმიდან, კონკრეტული კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ან ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან. კაზუსის ამოხსნის დროს, პირველ რიგში, ვადგენთ, თუ რომელი საფუძველი გვაქვს სახეზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი კანონთან შესაბამისობის დადგენა.

მოქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს, ძირითადად, ქმნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სწორედ ინდივიდუალური აქტი განსაზღვრავს პირის უფლებას, მოითხოვოს ადმინის-

ტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, განახორციელოს გარკვეული მოქმედება. მოქმედების განხორციელების უფლება წარმოიშობა, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან რაიმე მოქმედების განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანის შემთხვევაშიც. გარდა ამისა შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ვალდებულება გაიწეროს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში. მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე მოქმედების განხორციელებაზე ან მოქმედებისგან თავის შეკავებაზე. უფლების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ უფლების მატარებლის კანონიერი უფლებების ან ინტერესის ხელყოფაზე. ამდენად, როდესაც დავადგენთ დაინტერესებული მხარის უფლებას, მოითხოვოს რაიმე ქმედების განხორციელება, ეს მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ან განხორციელებაზე უარის უკანონობაზე და, შესაბამისად, დაინტერესებული მხარის კანონიერი უფლებისა და ინტერესის ხელყოფაზე.

3.3.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი

ადმინისტრაციული რეალაქტის განხორციელების ან განხორციელებისგან თავის შეკავების უკანონობის შემოწმების შემდეგ უნდა დადგინდეს, იწვევს თუ არა ეს მოსარჩელის უფლების შეზღუდვას. დასაშვებობის ეტაპზე გაკეთებული ვარაუდი უფლების დარღვევაზე საჭიროებს დასაბუთებულობის ფარგლებში დაზუსტებას. ამ ეტაპზე კონკრეტულად უნდა განისაზღვროს უფლების შეზღუდვის მოცულობა, რამდენადაც ეს გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ მმართველობითი ღონისძიების უკანონობის შინაარსი და დავის განხილვის შედეგი.

3.4. სასამართლო გადაწყვეტილება

სასკ-ის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გადაწყვეტილებაში მოცემული სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, განახორციელოს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისგან.

4. აღიარებითი სარჩელი

4.1. შესავალი

აღიარებითი სარჩელი წარმოადგენს პროცესუალური დაცვის ერთ-ერთ მყარ სამართლებრივ ინსტიტუტს. რადგან არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის კონკრეტიზირებული და გარკვეული იქნება, საჭიროა სასამართლოში შესაბამისი საპროცესო საშუალებით თავის დაცვა. ამის გამო, აღიარებითი სარჩელი უკვე იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმისთვის, რომ გაირკვეს/აღიარებული იქნეს უფლებები და ვალდებულებები.[217] აღიარებითი სარჩელი ყველაზე რთულია სარჩელთა სახეებს შორის. ერთ-ერთი სირთულე თვით დავის საგნის მრავალფეროვნებიდან გამომდინარეობს. აღიარებითი სარჩელის დავის საგანი უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენაა, ასევე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება. შემდეგი სირთულე დაკავშირებულია თვით სამართლებრივი ურთიერთობის მრავალგვარობასა და მრავალმხრივობასთან. მოსარჩელეც და სასამართლოც ვალდებულნი არიან, განსაზღვრონ, რომ სწორედ ესაა ის კონკრეტული, ინდივიდუალური, უკვე არსებული თუ მომავალში შესაძლო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც აღიარებითი სარჩელის დავის საგანია.

სასკ-ის 25-ე მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, აღიარებითი სარჩელი დავის საგნის გათვალისწინებით, შესაძლოა პირობითად დაიყოს შემდეგ სახეებად: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ; 2. უფლების

217 Rolf Schmidt, Verwaltungsprozessrecht, 7. Auflage, 2003., S. 177;

არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ; 3. სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ (ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი).[218]

---

218 გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში მიღებულია აღიარებითი სარჩელის დაყოფა სახეებად დავის საგნის მიხედვით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, აღიარებითი სარჩელი უფრო მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, ვიდრე ეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლშია მოცემული. კერძოდ, გერმანიის ადმინისტრაციული სასამართლო წყობილების შესახებ კანონის (VwGO) 43-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, აღიარებითი სარჩელით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა ან ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარება, თუ მოსარჩელეს ამის კანონიერი ინტერესი აქვს. როგორც ვხედავთ, აქ არ არის მითითება უფლების არსებობა-არარსებობის დადგენაზე, რომელიც ჩვენი საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენს. ცალკე უფლება (არსებობა-არარსებობა), რასაკვირველია, შესაძლოა იყოს აღიარებითი სარჩელის დავის საგანი, თუმცა რამდენად საჭირო იყო მისი ცალკე გამოყოფა, ეს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია, რადგან სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ ელემენტს უფლებაც წარმოადგენს. შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი სასკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნანილშია. ანუ, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი 22-24-ე მუხლების საფუძველზე. დასახელებული გერმანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 ნანილი კი მეტ შესაძლებლობებს იძლევა აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის შემონმების მიზნით. კერძოდ, ის მიუთითებს, რომ მოსარჩელე ვერ აღძრავს აღიარებით სარჩელს, თუ მას შეუძლია ან შეეძლო აღეძრა იგი აქტის გაუქმების ან მავალდებულებელი სარჩელის საშუალებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დასაშვებობა არ ვრცელდება, თუ აღიარებითი სარჩელით აქტის არარად აღიარება არის მოთხოვნილი. გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით გამოთქმულია, ასევე, მოსაზრება, რომ აღიარებითი სარჩელით შესაძლოა მოთხოვნილი იქნეს არა მხოლოდ ის, რაც დასახელებული 43-ე მუხლითაა დადგენილი, არამედ სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკვე გაუქმებული ან სხვაგვარად აღსრულებული ადმინისტრაციული აქტი აღიაროს კანონსანინააღმდეგოდ/უკანონოდ, თუ მოსარჩელეს ამის კანონიერი ინტერესი აქვს (გერმანიის ადმინისტრაციული სასამართლო წყობილების შესახებ კანონი, მუხ. 113, 1-ლი აბზაცი, ნინად. 4.). მსგავსი სახით აღიარებითი სარჩელის დეფინიციას ჩვენი კანონმდებლობა არ შეიცავს (შენიშვნა: ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ - 5.4. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი). გარდა ამისა, გერმანიის დასახელებული კანონის 173-ე მუხლზე დაყრდნობით, გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ პროცესში დასაშვებია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები აღიარებით სარჩელთან მიმართებით, თუ ეს თვით სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალნარმოების განსხვავებულობის გამო არ გამოირიცხა. აღნიშნულს შუალობით აღიარებით სარჩელს უწოდებენ, რაც პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას ითვალისწინებს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენენ შემდეგი 5 სახის

აღიარებით სარჩელთან მიმართებით ერთ-ერთი აქტუალური საკითხია სასარჩელო მოთხოვნის/დავის საგნის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა, რომელიც ცვლადია დავის საგნის მრავალფეროვნებისა და კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღიარებით სარჩელთან მიმართებით ქვემოთ მითითებული საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა საინტერესოა ყველა სახის აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძვლის - კანონიერ ინტერესზე მსჯელობისას. ამდენად, მიზანშეწონილია, აღიარებითი სარჩელის სწორედ შესავალ ნაწილში მოყვანა.

სასამართლოს პრაქტიკა: მოსარჩელემ აღძრა აღიარებითი სარჩელი[219] და თვითმმართველობის აქტების არარად აღიარება მოითხოვა. მან იურიდიული ინტერესის სახით მიუთითა ის გარემოება, რომ სადავო საცხოვრებელი ფართის მართლზომიერ მფლობელს წარმოადგენს მოსარჩელე, რადგან ის წლებია ამ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს და მას უფლება აქვს, მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ, კანონის შესაბამისად, მისი საკუთრებაში გადაცემა მას შემდეგ, რაც სასამართლოს მიერ მოხდება სადავო აქტების არარად აღიარება. სადავო აქტებით ადმიისტრაციული ორგანოს მიერ უძრავი ქონება უკვე გადაეცა სხვა პირს, რომელსაც ამ სახლში არასოდეს უცხოვრია. მოსარჩელე მოითხოვდა სადავო აქტების არარად აღიარებას. სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი, რადგან მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოსარჩელეების მიერ ფართის პრივა-

---

აღიარებით სარჩელს: 1.ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ; 2. პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელი, რომელიც მიმართულია მომავალში მოქმედებაზე. 3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელი; 4. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი, რომელიც მიმართულია უკვე გაუქმებული ან აღსრულებული ან სხვაგვარად დასრულებული ინდივიდუალრი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ აღირებაზე და 5. შუალობითი აღიარებითი სარჩელი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას ითვალისწინებს.

219 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის განჩინება, საქმე №ბს-383-377 (კს-15).

ტიზების საკმარისი სამართლებრივი პირობების არსებობა (არ იყო წარდგენილი კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). სააპელაციო პალატამ ცნო მოსარჩელეების დავისადმი ინტერესის არსებობა, თუმცა აღნიშნა, რომ ინტერესი არ არის კანონიერი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ინტერესი, რომელზედაც მოსარჩელეები მიუთითებენ, არ არის კანონიერი, ვინაიდან ბინის ფაქტობრივი მფლობელობა (მიუხედავად მფლობელობის ხანგრძლივობისა) არ ეფუძნება ნამდვილი მესაკუთრის ნებას, მფლობელობის თაობაზე მესაკუთრის მიერ მოსარჩელეების სასარგებლოდ გამოცემული წერილობითი ფორმის ამა თუ იმ შინაარსის რაიმე დოკუმენტს, მფლობელობა არის თვითნებური და არ გამომდინარეობს სამართლის რომელიმე ნორმიდან.

სააპელაციო პალატის აზრით სადავო ინდივიდუალური აქტების არარა ინდივიდუალურ აქტებად აღიარება. არ წარმოშობს რაიმე სახის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს მოსარჩელეთა მიერ თავისთავად დაგულებული სამომავლო მესაკუთრული ინტერესების (არაზუსტი, ბუნდოვანი, საფუძვლის არმქონე, არაპროგნოზირებადი ინტერესების) ჭრილში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირის მიერ ნივთის უკანონო მფლობელობა ადასტურებს პირის მიერ ნივთისადმი ინტერესის ქონას, მაგრამ ყველა ინტერესი შეიძლება არ იყოს კანონიერი. ინტერესი კანონიერი იქნებოდა მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ მფლობელობა დაეფუძნებოდა კანონს, კანონის საფუძველზე შედგენილ და გაცემულ ამა თუ იმ სახის და შინაარსის დოკუმენტს. საქმე კერძო საჩივრით გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონიერი ინტერესის არსებობის და, შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობის საკითხის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დაცვის, ხოლო მეორე მხრივ, ე.წ. „პოპულარული" სარჩელის აღძვრის დაუშვებლობის, ასეთი სარჩელის დაშვებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შელახვის თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გარკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი, რომლის მიზანი პირის პროცესუალური უფლებაუნარიანობის

გარვევაა.

მოსარჩელის ინტერესის არსებობის დადგენისთვის არ კმარა ინტერესის შესახებ მოსარჩელის განცხადება, მოსარჩელე უნდა ასაბუთებდეს თავის კანონიერ ინტერესს.

ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელეების მიერ ფართის პრივატიზების საკმარისი სამართლებრივი პირობების არსებობა არ დასტურება (კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობა), თავისთავად არ გამორიცხავს მოცემული დავის საგნის მიმართ მოსარჩელეების ინტერესის არსებობას.

ამასთანავე, მართალია, იურიდიული (პროცესუალური) ინტერესის დაკმაყოფილება არ არის თვითმიზანი, მაგრამ იგი მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. იურიდიული ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, თუ სახეზეა მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი (სასამართლო დაცვის საგანი), უკანასკნელის გარეშე პროცესუალურ უფლებას არ ექნებოდა რაიმე ღირებულება. ამასთანავე, ხსენებული არ ნიშნავს იმას, რომ, მატერიალური უფლების არარსებობის შემთხვევაში, სუბიექტის პროცესუალურ უფლებას არ გააჩნია რაიმე ღირებულება. პროცესუალური უფლების არსი მატერიალური უფლების გამოვლენაში მდგომარეობს. ამ მიზანს ემსახურება მთელი მტკიცებითი საქმიანობა, აგრეთვე, სასამართლოს მიერ მატერიალური სამართლის ნორმების განმარტება. ამდენად, პროცესუალურ ინტერესს და უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას კანონიერი საფუძველი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს არ ქმნიდა ის გარემოება, რომ მოსარჩელეებს სადავო ფართზე უფლება არ გააჩნიათ. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნებს საფუძვლად უდევს არა ფართზე უფლება, არამედ ინტერესი. კანონმდებლობა ითვალისწინებს არა მხოლოდ უფლების, არამედ პირის ისეთი ინტერესის დაცვის შესაძლებლობას, რომლიც არ არის უზრუნველყოფილი უფლებით. უფლება და კანონიერი ინტერესი სამართლებრი-

ვი რეგულირების სხვადასხვა საშუალებაა. ადმინისტრაციულ სფეროში ინტერესის განვითარების ძირითადი ვექტორი უკავშირდება კანონიერი ინტერესის საკანონმდებლო აღიარებას, კანონიერ ინტერესთა ნაწილის შემდგომში უფლების ხარისხში აყვანით. ინტერესების ნაირსახეობების, მუდმივი ახალი მოთხოვნილებების და მათი შესაბამისი ინტერესების მუდმივი წარმოქმნის გამო სამართალს არ ძალუძს უკლებრივ ყველა ინტერესის გათვალისწინება. კანონმდებლობაში აისახება ისეთი უფლებები, რომლებიც მიმართულია ძირითადი, საზოგადოების ყველა წევრისთვის საერთო, გარკვეული ჯგუფებისთვის ტიპური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, პერიოდულად წარმოიშობა სამართლის ნორმებით მოუწესრიგებელი სოციალურად მნიშვნელოვანი ინტერესები, რომელთა დაცვის უზრუნველსაყოფად დაინტერესებული პირი არ არის აღჭურვილი შესაბამისი უფლებით. ისეთი პატივსადები ინტერესის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც უფლებით არ არის უზრუნველყოფილი, კანონი ითვალისწინებს მათ სამართლებრივ დაცვას. სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში, უნევს საქმის გადაწყვეტა კანონმდებლობის საერთო საწყისებზე, პრინციპებზე დაყრდნობით, რა დროს ადგილი აქვს სასამართლოს მიერ ინტერესის დაცვას (უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ინტერესის უფლებაში ასახვა შეუძლებელიცაა, ასე მაგ., მოსარჩელის ინტერესი ვალდებულების არარსებობის აღიარებით სარჩელში). იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა აღიარებითი სარჩელი, გათვალისწინებული უნდა იქნეს აღიარებით სარჩელში მოსარჩელის ინტერესის თავისებურებანი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში იურიდიული ინტერესი მიმართულია გარკვეული სამართალურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადასტურებაზე, რაც სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრულობის ხარისხს ანიჭებს. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება მოსარჩელეთა ინტერესის ბუნდოვანობაზე, უზუსტობაზე, არ ქმნის წარმოების შეწყვეტის საფუძველს, ვინაიდან აღიარებითი სარჩელის მიზანი სწორედ განსაზღვრულობის გარკვეული ხარისხის მიღწევაა. აღიარებით სარჩელზე

კანონიერი ინტერესის განსაზღვრისას სრული გარკვეულობის მოთხოვნა არ არის მიღებული, ვინაიდან აღიარებითი სარჩელი უშუალოდ არ იწვევს დავის გადაწყვეტას, აღიარებითი სარჩელით მიღწეული შედეგი შესაძლოა საფუძვლად დაედოს შემდეგ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერი ინტერესი არ ნიშნავს იმთავითვე მოთხოვნის კანონიერებას, სასამართლოს მიერ სარჩელის უცილობლად დაკმაყოფილებას. აღნიშნული დავის არსებითი განხილვის შედეგად გამოსარკვევ საკითხთა რიგს განეკუთვნება, სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე ინტერესის არსებობა, როგორც სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი პირობა. ის გულისხმობს დავისადმი მოსარჩელის ინდივიდუალური, პერსონალური ინტერესის, როგორც ასეთის არსებობას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, მატერიალური კანონიერება დგინდება პროცესის არსებითი განხილვის შედეგად. მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭირო მატერიალური საფუძვლების არარსებობა, არის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და არა ინტერესის არარსებობის გამო სარჩელის დაუშვებლად ცნობისა და საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

საკასაციო პალატამ მიუთითა საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე, რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას ითვალისწინებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების კანონიერი მოსარგებლეებისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესს.[220] სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეები არ ითხოვენ ფართის მათ საკუთრებაში გადაცემას, არამედ დავის საგანი ეხება სხვა პირისთვის ფართის საკუთრებაში გადაცემის კანონიერებას. მოსარჩელეების მიერ ფართით წლების განმავლობაში სარგებლობა თავისთავად ადასტურებს ფართის განკარგვის კანონიერების დასმის საკითხისადმი მათ ინტერესს, მით უფრო, რომ მოსარჩელეთა ფართით სარგე-

220 იხ. საქართველოს მთავრობის 20.02.14 ნ. #189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი“.

ბლობის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილება არ მიღებულა, დავის საგანი არ ეხება მოსარჩელეებისთვის ფართის საკუთრებაში გადაცემის საკითხს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული წესით, ფართის საკუთრებაში მიღების უფლების არარსებობა არ ადასტურებს დავის მიმართ ინტერესის არარსებობას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან რეალაქტი. დაინტერესებული მხარის ცნების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი უკავშირდება პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში და მხარედ სასამართლოში გამოვიდეს სამართლებრივი დავის განხილვისას. დავა სამართლებრივია, თუ სასამართლოს წინაშე ისმება საკითხი უფლების ან კანონიერი ინტერესის არსებობის შესახებ. ასეთი უფლების არსებობა, ინტერესის კანონით დაცულობის საკითხი, სასამართლოს მიერ წყდება საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიღებისას. რაც შეეხება სარჩელის დასაშვებობას, სარჩელის დასაშვებად მიჩნევისთვის საკმარისია ინტერესის, როგორც ასეთის არსებობა, ინტერესის არსებობის ვარაუდი საკმარისია სარჩელის დასაშვებობის გადასაწყვეტად. მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიმართ მნიშვნელოვანი იურიდიული ინტერესი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, ვინაიდან დავა ეხება ადამიანის საცხოვრებელი პირობების უმნიშვნელოვანეს ასპექტს - საცხოვრებელ ფართს, ხოლო მოსარჩელეები საქმის მასალების მიხედვით, განეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ პირთა ჯგუფს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ინტერესის არსებობა პირდაპირ არ უკავშირდება მოთხოვნის კანონიერების საკითხს. კანონიერ ინტერესში იგულისხმება, რომ დავა უნდა იყოს სამართლებრივი, დავაში ინტერესი უნდა იყოს კონკრეტული, ლეგიტიმური,

პატივსადები და მნიშვნელოვანი. კანონიერი ინტერესის არსებობა გულისხმობს იმას, რომ პირი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას კეთილსინდისიერად იყენებს, დაუშვებელია ამ უფლების ბოროტად გამოყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად ან მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას, ეს მხარის ზნეობრივი ვალდებულებაცაა. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს სასამართლო უფლების ბოროტად გამოყენებას. სარჩელი განსახილველად დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისას საგანს წარმოადგენს სამართლებრივი და არა რომელიმე სხვა (ვთქვათ, თეორიული) დავა. დავა სამართლებრივია, თუ სასამართლოს წინაშე ისმება საკითხი უფლების ან კანონიერი ინტერესის არსებობის შესახებ. რაც შეეხება ასეთი უფლების არსებობის, ინტერესის კანონით დაცულობის საკითხს, სასამართლოს მიერ იგი საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიღებისას წყდება. მოსაზრება სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივის არარსებობის შესახებ არ ქმნის სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე არსებითი განხილვისათვის დაუბრუნა სააპელაციო პალატას.

როგორც ვხედავთ, საკასაციო სასამართლოს მითითებული განჩინება პრეცედენტული რანგისაა და საყურადღებოა აღიარებითი სარჩელის მიმართ საკითხთა განხილვისას.

4.2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ

4.2.1. დავის საგანი

აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის არარად აღიარების მოთხოვნით. არარა აქტი გამოცემისთანავე არარაა, ის ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა, ამდენად, მის მიმართ არ დაიშვება აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გა-

მოცხადების შესახებ სარჩელი.[221]

აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის დავის საგანია არარა აქტი, რომელმაც მოსარჩელის კანონიერ ინტერესს მიაყენა ზიანი. აღიარებითი სარჩელის დავის საგანი შესაძლოა იყოს, ასევე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დამატებითი პირობები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზემოქმედებს თუ არა (ანუ, ზემოქმედების აღიარების შესახებ) დაიშვება ზოგადი აღიარებითი სარჩელი.

4.2.2. სარჩელის დასაშვებობა

სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები: ა)ბუნებრივია, ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ სადავო აქტი უკვე უნდა იყოს გამოცემული, ბ) მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე, გ)მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის დავის საგნის მიმართ (აქტის არარად აღიარების მიმართ) უნდა გააჩნდეს კანონიერი ინტერესი.

პრობლემატურია ის გარემოება, რომ სარჩელის წარდგენისას ხშირად რთულია იმის გარკვევა, სადავო აქტი არარაა, თუ კანონსაწინააღმდეგო. ამ პრობლებას მოსარჩელე შესაძლოა

221 გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, არარა აქტის არარად აღიარების ინტერესიდან გამომდინარე, მითითებულია ძალაში მყოფ და ძალაში არმყოფ აქტებს შორის განსხვავებაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის კანონით დადგენილი წესით ძალაში შესული/გამოქვეყნებული, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ის იურიდიულ ზემოქმედებას ვერ ახდენს/იურიდიული ძალის არმქონეა ("არარა აქტია"). ამდენად, ავტორთა მოსაზრებით, მის მიმართ დაიშვება აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელი, მაგრამ გერმანიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიჩნეული იქნა, რომ დასაშვებია ჩვეულებრივი, ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი, რამდენადაც ამ შემთხვევაში, აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელი, ან მავალდებულებელი სარჩელი არ აღიძვრება. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაუშვებელია სარჩელი ნორმატიული აქტის არარად აღიარების შესახებ. გერმანიის კანონმდებლობა ნორმატიული აქტების მიმართ იცნობს ნორმის კონტროლის შესახებ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც გერმანიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო ამოწმებს, არის თუ არა ნორმატიული აქტი კანონიერი ძალის მქონე (კანონიერი). თუ სასამართლო დაადგენს, რომ ნორმატიული აქტი არ არის კანონიერი ძალის მქონე (უკანონოა), მაშინ მას არარად აცხადებს.

ვერ აცდეს, ამდენად უმჯობესია, როდესაც მოსარჩელე დარწმუნებული არ არის აქტი არარაა თუ არა, თავდაპირველად აღძრას სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი, რომელიც შეზღუდულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით. ის, რომ თვით აქტი არარაა, არის არა დასაშვებობის, არამედ სარჩელის საფუძვლიანობის პირობა.

თუ სასამართლოს მიერ აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელი უარყოფილი იქნება იმის გამო, რომ სადავო აქტი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, მაშინ მოსარჩელეს ისღა დარჩენია, რომ აღძრას სარჩელი სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, მხოლოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე ყურადღება უნდა მიაქციოს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღიარებით სარჩელს აქტის არარად აღიარების შესახებ შესაძლოა კავშირი ჰქონდეს აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ სარჩელთან. აქვე გასათვალისწინებელია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექის 28[1] მუხლი, რომლის თანახმად, „პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში". კანონმდებელის მიერ მოსამართლისთვის დასახელებული შესაძლებლობის (დაეხმაროს მხარეს) მიცემა, ავალდებულებს მოსამართლეს, გამიყენოს ეს შესაძლებლობა და დაეხმაროს მხარეს სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებაში, თუ შეცდომით არასათანადო სახის სარჩელი/მოთხოვნა აქვს წარდგენილი.

დისკუსირებადი საკითხია, ასევე თუ, რა სახის სარჩელი უნდა აღძრას მოსარჩელემ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ უარი არის არარა აქტი. ასეთ დროს, საკმარისი არ არის უარის არარად აღიარება, არამედ მოსარჩელემ, ასევე, უნდა მოითხოვოს სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელი.

4.2.3. სასარჩელო უფლებამოსილება. კანონიერი ინტერესი

აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილია პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე ზემო-

ქმედებს არარა აქტი. შესაბამისად, აქტის არარად აღიარების მიმართ მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტერესი. ეს შესაძლოა მიმართული იყოს, მაგალითად, არარა აქტის საფუძველზე დადგენილი ვალდებულებების თავიდან აცილებისკენ, მოსარჩელის სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

4.2.4. ხანდაზმულობის ვადა

აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასკ-ის 25-ე მუხლი ვადაზე არ მიუთითებს. ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი პირდაპირ ადგენს, რომ „არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისთვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“(სზაკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი). როგორც ვხედავთ, სზაკ-ის ნორმის თანახმად, არარა აქტის არარად აღიარების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული. ამასთან, არარა აქტის გამომცემი ორგანოსთვის მიმართვა არარა აქტის არარად აღიარების მოთხოვნით არ ნიშნავს, რომ მხარემ სზაკის მე-13 თავით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე წარმოების შესაბამისად, გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. თუმცა, დასახელებული ჩანაწერი, ბუნებრივია, არ გამორიცხავს სზაკ-ის შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას. როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით, არარა აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა საპროცესო კოდექსებით პირდაპირ დადგენილი არ არის. თუმცა, აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელთან დაკავშირებით გარემოებას ცვლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, „სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევი-

სა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა". დასახელებული ნორმა, როგორც ვიცით, ავალდებულებს მხარეს, მანამ სანამ სარჩელით მიმართავს სასამართლოს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ერთჯერადად წარადგინოს ადმინისტრაციული საჩივარი.

ვრცელდება თუ არა დასახელებული მოთხოვნა არარა აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის მიმართ, ანუ, აქვს თუ არა მხარეს აქტის არარად აღიარების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება სარჩელის წარდგენამდე. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ყველა სახის ადმინისტრაციული სარჩელის მიმართ. შესაბამისად, პრაქტიკაში წარმოიშვება ასეთი ვითარება. არარა აქტის არარად აღიარების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს (იხ. სზაკ-ის მუხლი 202). კითხვა მდგომარეობს შემდეგში: არის თუ არა კომპლექსური სასკ-ის 22-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელების ერთროულად წარდგენის ვალდებულება, რადგან ადმინისტრაციული სარჩელის განხილვის შედეგად გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შესაძლოა არ ეთანხმდებოდეს მოსარჩელე და მიაჩნდეს, რომ სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, უმჯობესია, სასკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, ბათილად/უკანონოდ იქნეს ცნობილი არარა აქტის არარად აღიარების შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და, იმავდროულად, სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად არარა აქტი არარად იქნეს აღიარებული. ასეთ შემთხვევაში, შეზღუდულია თუ არა მოსარჩელე სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის (ერთი თვე) ვადით, ირღვევა თუ არა სასკ-ის 25-ე მუხლი, რომელიც არ ითვალისწინებს არარა აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადას? ეს ის პრობლემებია, როლებიც მინდობილია სასამართლოს პრაქტიკისთვის. სასამართლო პრაქტიკა კი, კომპლექსური სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ითხოვს სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის დაცვას.

4.3. აღიარებითი სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ (ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი)

4.3.1. დავის საგანი

ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის (პოზიტიური აღიარებითი სარჩელი) ან არარსებობის (ნეგატიური აღიარებითი სარჩელი) დადგენის შესახებ. შესაბამისად, დავის საგანია მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

4.3.2. სარჩელის დასაშვებობა

ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებია: ა)არსებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, ბ) მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე, გ)მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის დავის საგნის - სადავოდ ქცეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მიმართ უნდა გააჩნდეს კანონიერი ინტერესი.

4.3.3. არსებული სამართლებრივი ურთიერთობა

ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობაა უკვე არსებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა.[222] სამართლებრივ ურთიერთობაში მოიაზრება არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო სამართლის ნორმიდან, არამედ, ზოგადად, საჯარო სამართლიდან, კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებებიდან და თავისუფლებებიდან გამომდინარე კონკრეტული შინაარსის ურთიერთობა, როგორც კონკრეტული პირის სხვა პირთან, ასევე კონკრეტული პირის კონკრეტული საგანის მიმართ.[223]

შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს შემდეგ სამ ელემენტს: ა)კონკრეტული საქმის გარემოება. ბ)საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს, გ)პირებს შორის ან პირსა და საგანს შორის.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ აღიარებითი სარჩელის დავის საგანი შესაძლოა გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის რომელიმე ელემენტი - უფლება ან/და ვალდებულება (თუ ეს არ წარმოშობს კავშირს სარჩელთა სხვა სახეებთან). სასკ-ის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს კიდეც, რომ აღიარებითი სარჩელი შესაძლოა აღიძრას უფლების დადგენა-არდადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

რადგან სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს მხარეთა კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს, შესაძლოა შეგვხვდეს, ასევე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები, მოთხოვნები ვალდებულების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ. სამართლებრივი ნორმები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები და ადმინისტრაციულ ორგანოთა ცალკეული გადაწყვეტილებები შეიცავენ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც შესაძლოა აღიარებითი სარჩელის საგანი გახდეს.

---

222 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღიარებითი სარჩელის დავის საგანი შესაძლოა იყოს მომავალი სამართლებრივი ურთიერთობა. ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად განხილულია პრევენციულ (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებით სარჩელში.

223 F. Hufen, Verwaltungsprozessrecht., 4. Auflage., München., 2000., გვ. 349.

სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის აღიარების კანონიერი ინტერესი შესაძლოა წარმოიშვას არა მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს, არამედ მონაწილეებსა და მესამე პირებს შორისაც. ამ შემთხვევაში, მესამე პირები აღძრავენ აღიარებით სარჩელს მოპასუხის მიმართ. მესამე პირების აღიარებითი სარჩელი დასაშვებია მაშინ, როდესაც აღიარების ინტერესი მიმართულია ურთიერთობის მონაწილეთა მიმართ და ეს სამართლებრივი ურთიერთობა მესამე პირის კანონიერ ინტერესს არღვევს. აქედან გამომდინარეობს შემდეგ უკვე სასარჩელო უფლებამოსილება და შესაბამისი აღიარების ინტერესი.[224]

შესაძლებელია, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღიძრას აღიარებითი სარჩელი კერძო პირის წინააღმდეგ. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, ითვალისწინებს, ცრუმაგიერი პირების დადგენის მიზნით, სასამართლოსთვის მიმართვას. კოდექსის 246-ე მუხლით[225] გათვალისწინებული ცრუმაგიერი პირების დადგენას სასამართლო განიხილავს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ აღიარებითი სარჩელის წარდგენის საფუძველზე.

<u>სასამართლოს პრაქტიკა:</u> ერთ-ერთ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ[226] აღნიშნა, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობა, იმავდროულად, არ ქმნის ფაქტობრივ და სამართლებრივ სა-

---

224 Rolf Schmidt, Verwaltungsprozessrecht, 7. Auflage, 2003.,გვ. 184.

225 იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 246. ცრუმაგიერი მფლობელობა. 1. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელისგანსხვავებასხვაპირისგანდა ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. 2. გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

226 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე № 3/3744-12.

ფუძველს ამ პირების ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის. ცრუმაგიერ პირებად აღიარებისთვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა იმ სხვა პირისგან, რომელიც მის მიერ გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის თავის არიდების მიზნით. ერთმანეთის ცრუმაგიერი პირების არსებობა უნდა დასტურდებოდეს მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებებით. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელი ადგენს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობისას სასამართლოს უფლებამოსილებას, აღიაროს (დაადასტუროს) კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე წარადგენს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებებს. ამდენად, აღიარებითი სარჩელის სპეციფიკურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სასამართლო უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, მხოლოდ აღიარებს (ადასტურებს) კონკრეტული სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის ფაქტს. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდნენ მოპასუხეების ცრუმაგიერ პირებად აღიარებისა და, შესაბამისად, საარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

ასევე შესაძლებელია, აღიარებითი სარჩელი აღიძრას განსაზღვრული სახის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის (მაგ., სამინისტროსა და თვითმმართველობას შორის). თვით მთავრობის შემადგენლობაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგან მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის თანახმად, საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, მთავრობის მიერ.[227]

დასაშვები არ არის აღიარებითი სარჩელი, თუ იგი მიმართუ-

227 იხ. საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, მუხ.34.

ლია:

- აბსტრაქტული სამართლებრივი საკითხის ან სამართლებრივი ნორმის შინაარსის მიმართ. მაგალითად, დასაშვები არ არის დავა ადმინისტრაციული ორგანოს ზოგადი უფლებების ან ვალდებულებების, სამართლებრივი ნორმის იურიდიული ძალის აღიარების თაობაზე მოსარჩელეზე პირდაპირი, კონკრეტული ზემოქმედების გარეშე;

- წმინდა ფაქტობრივი ინტერესის, სამართლებრივი საკითხის წინასწარი გარკვევის, ფაქტობრივი გარემოების ან სამართლებრივი ურთიერთობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც დამოკიდებული არ არის.

4.3.4. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები

რადგან ნებისმიერი საჯარო-სამართლებრივი დავა შესაძლოა აღიარებითი სარჩელით გაირკვეს, სწორედ ამის გამო, კანონმდებელმა დააწესა დასაშვებობის წინაპირობები აღიარებითი სარჩელის მიმართ ასკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილში. აღიარებითი სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია (ან შეუძლებელი იყო) სარჩელის სხვა სახის, კერძოდ, სასკ-ის 22-24-ე მუხლების საფუძველზე. ეს მოთხოვნა ემსახურება პროცესის ეკონომიურობის მიღწევას. თავიდან უნდა ავიცილოთ ვითარება, როდესაც, პირველ რიგში, დადგინდება უფლების არსებობა და შემდგომში დადგება აქტის გაუქმების ან გამოცემის მოთხოვნა. ასევე, აღიარებითი სარჩელი არ უნდა გახდეს სარჩელის სხვა სახეების დასაშვებობის წინაპირობებისგან თავის დაღწევის საშუალება.

4.3.5. კანონიერი ინტერესი

აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობის - მოსარჩელის კანონიერი ინტერესის - მიზანია, თავიდან იქნას აცილებული პოპულარუ-

ლი სარჩელი, ანუ სხვისი უფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა. ეს მოთხოვნა, ასევე, ემსახურება იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს სამართლებრივი დახმარების (ადვოკატის) როლში დანახვა.

სასამართლოს ვალდებულებაა, სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას, გაარკვიოს სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სუბიექტური ხასიათი – მოსარჩელის კანონიერი ინტერესი. რადგან ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელის დავის საგანია უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, ამდენად, აღიარების ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია აშკარა, თუ სარჩელის აღძვრის მომენტისთვის სამართლებრივი ურთიერთობა კვლავ საზიანო ზემოქმედებას ახდენს მოსარჩელეზე.

კანონიერი ინტერესის საფუძველი შესაძლოა განივრცოს - ერთი მხრივ, ის მჭიდრო კავშირშია პირად უფლებებსა და თავისუფლებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა, იურიდიული ინტერესის სახით წარმოგვიდგეს, როგორც ეს სამოქალაქო პროცესის აღიარებით სარჩელშია (სსსკ-ის მუხ. 180) მითითებული. ე.ი. კანონიერი ინტერესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა შემოწმდეს. კონკრეტული ინტერესი, შესაძლოა, სამართლებრივი ნორმებით იყოს დაცული; ან უშუალოდ სახელდებით სამართლებრივი ნორმა არ იყოს ამის შესახებ, მაგრამ კონკრეტული ინტერესი განმტკიცებული იყოს უფლებებით და თავისუფლებებით, სამართლებრივი პრინციპებით, უფლების დაცვის ღირსი ინტერესით. შესაძლოა კანონიერ ინტერესს ქმნიდეს საჯარო სამართლით გამნტკიცებული მოსარჩელის ეკონომიკური, პერსონალური, კულტურული და თუნდაც იდეური ინტერესები.

კანონიერი ინტერესი კონკრეტული მოპასუხის მიმართ უნდა გააჩნდეს უშუალოდ მოსარჩელეს, რათა სასამართლოს საშუალებით მოხდეს მისი აღიარება. შესაბამისად, თუ აშკარაა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა და სამართლებრივი დაცვის უფლებამოსილება – კანონიერი ინტერესი - მოსარჩელის სასარჩელო უფლემოსილება ნათელია.[228]

228 გერმანიის დასახელებული კანონის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ პირობად, გარდა კანონიერი ინტერესისა, მითითებულია სნრაფი აღიარების ინტერესი. აღნიშნულის

აღიარებით სარჩელზე კანონიერი ინტერესის განსაზღვრისას არ შეიძლება ვიყოთ გადაჭარბებულად მკაცრები. ყოველგვარი სამართლებრივი, ფინანსური ან იდეური ინტერესი შეიძლება გახდეს აღიარებითი სარჩელის წარდგენის საფუძველი. მთავარია, ის ემსახურებოდეს მხარეებს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტას. აღიარებითი სარჩელი უშუალოდ არ იწვევს დავის გადაწყვეტას, არამედ აღიარებითი სარჩელით მიღწეული შედეგი შეიძლება საფუძვლად დაედოს დავის გადაწყვეტას.

ზოგადი სახის აღიარებით სარჩელზე ხანდაზმულობის ვადის მიმართ საკითხი ისეთივე სადისკუსიოა, როგორც ამაზე მითითებულია პარაგრაფში - 4.5.4 (ხანდაზმულობის ვადა).

4.4. პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელი, რომელიც მიმართულია მომავალში მოქმედებაზე, პრევენციულ (წინასწარ) დაცვაზე

4.4.1. დასაშვებობა

პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, როცა მოსარჩელის მიმართ არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლით არსებობს ზიანის საფრთხე და სამართლებრივი ურთიერთობა იმდენად კონკრეტულია, რომ წინასწარ შეიძლება განისაზღვროს მომავალში მოსარჩელის მიმართ მისი ნეგატიური შედეგი.

შესაბამისად, წინასწარი სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა მაშინ არსებობს, როდესაც მოსარჩელეს არ შეუძლია დაელოდოს მის მიმართ დაწესებული შეზღუდვების ძალაში შესვლას და სასამართლო წინასწარ უზრუნველყოფს, რომ გარკვეული მოქმედება აკრძალოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა

გათვალისწინებით, გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა მოიცავს ორ კომპონენტს: სუბიექტურს (კანონიერი ინტერესი) და დროის (სწრაფი აღიარება) კომპონენტს. სრაფი აღიარება მიუთითებს, რომ აღიარების ინტერესი სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის მიიღწევა და რომ აღიარებას არ აქვს მოქმედების შეჩერების ეფექტი.

აღიაროს.

პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელის მიმართ, ასევე, მოქმედებს ზოგადად აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის სხვა საფუძვლები - მოსარჩელეს არ შეუძლია, აღძრას სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე. მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის დავის საგნის - მომავალში სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის წინასწარ დადგენის მიმართ უნდა გააჩნდეს კანონიერი ინტერესი.

4.4.2. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები

ასეთ შემთხვევაში, რეალურად, შესაძლოა, წინასწარი დაცვის მიზნით, აღიძრას, როგორც მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი, ასევე წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებითი სარჩელი, რომელიც მიმართული უნდა იყოს მომავალში კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის (არსებობა-არარსებობის) აღიარებისკენ.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებით სარჩელსა და მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ სარჩელს შორის მიჯნა ძალიან მცირეა. შესაძლოა, ორივე სახის სარჩელი გამოყენებული იქნეს მსგავსი შემთხვევების მიმართ. პრაქტიკაში, მათ შორის გერმანიის სასამართლო პრაქტიკაშიც კი, ეს ფარგლები არ არის დადგენილი და სისტემატიზირებული.

გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებითი სარჩელი შესაძლოა მიმართული იყოს, ასევე, შემზღუდველი ინდივიდუალური ან/და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტისგან დაცვისკენ. ამ შემთხვევაში, აღიარების მოთხოვნა საკმაოდ შეზღუდულია. მაგალითად, პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელი შესაძლოა აღიძრას კონკურსში მონაწილე კონკურენტების მიერ (მოსარჩელე) მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ საჯარო მოხელის დანიშვნის წინააღმდეგ ვაკანტურ ადგილზე დანიშვნის პროცედურის/წარმოების დაწყებამდე. ამ შემთხვევაში, სასა-

მართლოს უწევს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე წარმოებაში ჩარევა. ამასთან, როგორც წესი, არის სხვა გზაც, როცა მოსარჩელეს უწევს, დაელოდოს ინდივიდუალური ან ნორმატიული აქტის გამოცემას და შემდეგ მოითხოვოს მათი დაცვისგან წინასწარი უზრუნველყოფა (სასკ-ის 29-ე, 30-ე, 31-ე მუხლები).

4.4.3. კანონიერი ინტერესი

წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებითი სარჩელის ინტერესია მომავალი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის სავალდებულო აღიარების მოპოვება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკაში, როგორც წესი, მოსარჩელეს მოეთხოვება, დაელოდოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას. თუმცა, წინასწარი დაცვის აუცილებლობა არსებობს მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირს, სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ზიანი ან გამოუსწორებელი ზარალი ემუქრება და, მოგვიანებით, 22-24-ე მუხლებით განსაზღვრული სარჩელებით, მათ შორის წინასწარი დაცვის უზრუნველყოფის საშუალებებით (სასკ-ის 29-ე, 30-ე, 31-ე მუხლები) თავის დაცვას ვერ შეძლებს. მაგალითად, წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებითი სარჩელი იმ აკრძალვის თაობაზე, რომელიც მეწარმე სუბიექტის, როგორც ასეთის არსებობას, საფრთხეს უქმნის.

4.4.4. სასარჩელო უფლებამოსილება

წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებით სარჩელს განსაკუთრებული სასარჩელო უფლებამოსილება არ მოეთხოვება, არამედ, ისეთ დროსიგივე მოთხოვნები რჩება, რაც გათვალისწინებულია ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელის მიმართ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღიარებითი სარჩელი მიმართულია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ფაქტობრივი მოქმედების/რეალაქტის შეუსრულებლობისკენ, - მოსარჩელე ვალდებულია, წინასწარ დაასაბუთოს, რომ სამართლებრივი აქტით ან რეალაქტით მისი კანონისმიერი უფლებები დაირღვევა.

4.5. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი

4.5.1. დასაშვებობა

აღიარებითი სარჩელის ერთ-ერთი ფორმაა განვრცობითი აღიარებითი სარჩელი. ადმინისტრაციული პროცესის ეს ინსტიტუტი უცხო არ არის ქართული კანონმდებლობისთვის. ის ერთგვარი მოდიფიცირებული ფორმით გხვდება სასკ-ის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილში. სასამართლოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოსარჩელე უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობა.[229] დასახელებული სარჩელი დასაშვებია სასამართლოს წარედგინოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ან სარჩელის განხილვამდე (გადაწყვეტილების გამოტანამდე) მოსარჩელე კარგავს უფლების დაცვის შესაძლებლობას (მაგ., საკანონმდებლო საფუძვლების შეცვლის გამო პირი კარგავს მოთხოვნის უფლებას; დროის გასვლის გამო აზრს კარგავს საკითხის გადაწყვეტა და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ განვრცობითი აღიარებითი სარჩელი არ არის ადმინიტრაციული პროცესის კლასიკური სარჩელის დამოუკიდებელი სახე. თუმცა, პრაქტიკაში ის შესაძლებელია აღიძრას, როცა ადმინისტრაციული ორგანო მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისას წარმოშობილი დავის დასრულების მიზნით, აქტს ბათილად აცხადებს.

საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირებიდან გამომდინარე (*სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე* [ადმინისტრაციული ორგანოს მიერ] ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში), თუ ადმინისტრაციული ორგანო აქტს მაშინ ცნობს ბათილად, როცა

229 გერმანიის კანონმდებლობა განსხვავებული ტერმინოლოგიით აყალიბებს ამ პროცედურას. აღნიშნულია, რომ ასეთ აქტს სასამართლო აღიარებს უკანონოდ, თუ მის ასეთად აღიარებაზე მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტერესი (იხ. VwGO, §113 I 4).

სარჩელი ჯერ წარდგენილი არ არის, მოსარჩელეს უფლება აქვს, ეს სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს წარუდგინოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის ბათილად გამოცხადების შემდეგ, ისევე, როგორც მოსარჩელეს უფლება, აქვს სასამართლოში მიმდინარე დავაზე დავის საგნის/ინდივიდუალური აქტის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათილად გამოცხადების შემდეგ, გააგრძელოს წარმოება და სასამართლოს მხრიდან მოითხოვოს ამ აქტის ბათილად ცნობა, თუ მას აქვს ამის კანონიერი ინტერესი. კანონმდებლის აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან და სრულად შეესაბამება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პრინციპებს.

სასამართლო ბათილად ცნობს აქტს, რაც გულისხმობს მისი უკანონობის აღიარებას, რამდენადაც იკვეთება არა ბათილად ცნობა მისი კლასიკური გაგებით, რომელიც იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკვე ბათილად ცნობილი სადავო აქტის უკანონობის დადგენა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდგომ მოთხოვნას.

განვრცობითი აღიარებითი სარჩელის მიმართ, თავისი არსიდან გამომდინარე, გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს საკითხი - დასრულებულია თუ არა განვრცობით აღიარებით სარჩელზე დავის საგნის - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათილად გამოცხადებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება. გასარკვევია, თუ რას გულისხმობს სიტყვა "დასრულებულია". გარდა ამისა, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი შეხედულება, იმაზე, - კანონის ანალოგიის გამოყენებით, დაიშვება თუ არა განვრცობითი აღიარებითი სარჩელი სარჩელის აღძვრამდე არსებული იმ აქტების მიმართ, რომელთა მოქმედება უკვე დასრულებულია ასევე, ისმის კითხვა, დასაშვებია თუ არა, რომ განვრცობითი აღიარებითი სარჩელით უკვე დასრულებული ან თავიდან აცილებული რეალაქტი აღიარდეს კანონსაწინააღმდეგოდ.

მიჩნეულია, რომ განვრცობითი აღიარებითი სარჩელი განსაკუთრებული დაცვის საშუალებაა პოლიციურ და ადმინის-

ტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალში, რადგან ამ სახის აქტები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მოკლე დროში აღსრულდება და ადმინისტრციული პროცესუალური დაცვის სხვა საშუალებები არაეფექტური ხდება.

დასაშვებობისას გასათვალისწინებელია, რომ განვრცობითი აღიარებითი სარჩელი თავდაპირველ პროცესს მომავალში აგრძელებს. შესაბამისად, დასაშვებია სარჩელი, როცა სადავო ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის მთლიანად დასრულებულია. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი დასაშვებია მაშინაც, როცა აქტის მოქმედება დასრულებულია აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. სიტყვის "დასრულებულია" დეფინიცია მრავალმხრივია და შესაძლოა, ასევე გამომდინარეობდეს თვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსიდან. ადმინისტრაციული აქტის მოქმედება დასრულებულია, როცა ის უკვე აღარ ექვემდებარება აღსრულებას და, ასევე, მისი გაუქმებაც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. გასათვალისწინებელია, რომ სადავო აქტი რომლის მოქმედება დასრულებულია, აუცილებლად კანონსაწინააღმდეგო და მოსარჩელის მიმართ კანონით დადგენილი უფლებების შემზღუდველი უნდა იყოს. ასევე, შესაძლოა, დასადგენი იყოს ფარგლები სადავო აქტსა და ფაქტობრივ მოქმედებას (რეალაქტს) შორის. ანუ, უნდა გაირკვეს ინდივიდუალური აქტია გასაჩივრებული, თუ ფაქტობრივი მოქმედება. რადგან, როგორც აღვნიშნეთ, განვრცობითი აღიარებითი სარჩელი დაიშვება მხოლოდ უკვე დასრულებული, ან სხვაგვარად აღსრულებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

ადმინისტრაციული აქტის მოქმედების დასრულების სამართლებრივი საფუძვლებია, მაგალითად: აქტის გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ახალი აქტის გამოცემა, ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც აქტის მოქმედების შეწყვეტას ითვალისწინებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმება, რომლის საფუძველზეც აქტი გამოიცა, ან სხვა ღონისძიებანი, მაგ. დაკავებული პირის გათავისუფლება. ადმი-

ნისტრაციული აქტის მოქმედების დასრულების ფაქტობრივი საფუძვლებია, მაგალითად, აქტის შინაარსით გათვალისწინებული ღონისძიების ფაქტობრივი დასრულება, აქტის მოქმედების ვადის გასვლა, ვალდებულების ამოწურვა ან სხვა ფაქტობრივი ცვლილებები.

სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების შესაბამისად, დასაშვებია, რომ აღნიშნული წესი ანალოგიით გამოყენებული იქნეს რეალაქტის მიმართაც, თუ მოსარჩელე დაასაბუთებს, რომ დასრულებული რეალაქტით მის კანონიერ უფლებებს მიადგა ზიანი. თუმცა, სპეციალური სამართლებრივი ნორმის არარსებობის გამო რთულია რელაქტის მიმართ მისი ანალოგიით გამოყენება, რადგან, რეალურად, განვრცობითი აღიარებითი სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის თაობაზე წარდგენილი სარჩელების საფუძველზე წარმოიშო.

განვრცობითი აღიარებითი მოთხოვნა, როგორც დავინახეთ, მოქმედებას იწყებს მას შემდეგ, რაც სადავო ინდივიდუალური აქტის მოქმედების დასრულებით სამართლებრივი ინტერესი ეკარგება აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სარჩელით ან მავალდებულებელი სარჩელით მოთხოვნილს და, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობისას, დავა გრძელდება აღიარებითი სარჩელით განვრცობითი ამ სადავო აქტის უკანონოდ აღიარების/ცნობის მოთხოვნით. როგორც სამართლებრივ ლიტერატურაშია აღნიშნული, შესაძლოა, დასრულდეს არა მხოლოდ ინდივიდუალური აქტის მოქმედება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ფაქტობრივმა მოქმედებამაც დაკარგოს თავისი იურიდიული ძალა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფაქტობრივმა მოქმედებამ თავისი უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინა დაინტერესებულ პირზე. ამდენად, აქ ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი კარგავს თავის სამართლებრივ მნიშვნელობას და, ბუნებრივია, კანონის ანალოგიით, სასამართლო უნდა იყოს უფლებამოსილი, დასრულებული ფაქტობრივი მოქმედება უკანონოდ აღიაროს.

განსხვავებულად დგას საკითხი, როდესაც თავდაპირველი სარჩელი არის ჩვეულებრივი, ზოგადი სახის აღიარებითი სარ-

ჩელი. ამ შემთხვევაში, განვრცობითი აღიარებითი სარჩელის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ახდენს გავლენას. სხვა შემთხვევაში, ის ჩვეულებრივი აღიარებითი სარჩელია.

4.5.2. კანონიერი ინტერესი

განვრცობითი აღიარებითი სარჩელის დროსაც, სასამართლო იმ შემთხვევაში არის უფლებამოსილი, ცნოს/აღიაროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკვე ბათილად გამოცხადებული აქტი ბათილად, როდესაც მასზე არსებობს მხარის კანონიერი ინტერესი. ასეთი ინტერესი აშკარაა, როდესაც:

ა) არსებობობს იგივე მმართველობითი ღონისძიების განმეორების შესაძლებლობა (მაგ., პირს არ მისცეს ნებართვა, თბილისობის ზეიმზე გამოეტანა საკუთარი პროდუქცია. დავის განხილვამდე თბილისობის ღონისძიება ჩატარდა, მაგრამ, რამდენადაც არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ პირს მომავალ თბილისობაზეც იმავე საფუძვლით უარს ეტყვიან ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე, პირს აქვს კანონიერი ინტერესი, სასამართლომ აღიაროს უარის უკანონობა);

ბ) როდესაც ეს გამართლებულია რეაბილიტაციის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აქტის შედეგები მისი ბათილად გამოცხადების შემდეგაც გრძელდება (მაგ., დემონსტრაციის დარბევის შედეგად, დაზარალებული პირი გადის აუცილებელი მკურნალობის პროცესს საავადმყოფოში. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიუხედავად, პირს აქვს კანონიერი ინტერესი, სასამართლომ ცნოს/აღიაროს გადაწყვეტილების უკანონობა, რაც შემდეგ შეიძლება გახდეს მისი რეაბილიტაციის მოთხოვნის საფუძველი);

გ) როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათილად გამოცხადებული აქტის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანონოდ აღიარების/ცნობის მიზანია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა/ინტერესი.

დ) როდესაც ძირითად უფლებებს ადგება ზიანი

მომავალში განმეორების საფრთხის შესახებ აღიარების ინტერესის დასასაბუთებლად მხოლოდ აბსტრაქტული გარემოება არ რის საკმარისი. აქ სავალდებულოა კონკრეტული მტკიცებულებები, რომ ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს იმავე შინაარსის მოსარჩელის კანონიერი ინტერესისთვის ზიანის მიმყენებელ აქტს, მაგ., მსგავსი დემონსტრაციისას შეკრების აკრძალვის შესახებ. გამნეორების საფრთხე, გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლოა წინასწარ განჭვრეტადი იყოს, მაშინ, როდესაც ნათელია, რომ მოსარჩელე შესაბამის მოთხოვნას კვლავ წარადგენს და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იგი კვლავ უარყოფილი იქნება. მაგალითად, ადგილობრივმა ორგანომ უარი უთხრა პირს სახალხო ზეიმისას ჩვენების მოწყობაზე. მან ეს გაასაჩივრა და მოითხოვა სახალხო ზეიმზე დაშვება. ამასობაში, ზეიმი დასრულდა. შესაბამისად, პირს გაუჩნდა მომავალში უფლების აღიარების ინტერესი, რომლის მოპოვებაც მას შეუძლია განვრცობითი აღიარებითი სარჩელით.

რეაბილიტაციის ინტერესი ერთობლიობაში მოიცავს მრავალ შემთხვევას, როდესაც დასრულებული სადავო აქტის დისკრიმინაციული ჩარევა მისი მოქმედების დასრულების შემდეგაც გრძელდება. მაგ., კანონსაწინააღმდეგო გამოცდის ნეგატიური ზემოქმედება იმით კი არ სრულდება, რომ პირს ხელმეორედ დაუშვებენ გამოცდაზე, არამედ განმეორებით გასული პირის იმიჯი მის შემდგომ პროფესიულ საქმიანობაზე ახდენს ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ, როცა აქტის მოქმედება სარჩელის აღძვრამდე დასრულდა, მაშინ ყოველგვარ ინტერესს კარგავს ადმინისტრაციულ სარჩელთა რომელიმე სახით პროცესის წარმართვა. რჩება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა, მაგრამ, თავდაპირველად, აუცილებელია, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის ქმედება სასამართლოს მიერ აღიარდეს, როგორც კანონსაწინააღმდეგო. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ან ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნე-

ბა ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი.

რაც შეეხება ძირითადი უფლებებისთვის ზიანის მიყენების საკითხს, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ძირითადი უფლებებისთვის ზიანის მიყენება შესაძლოა, ასევე, მოხდეს ამა თუ იმ დასრულებული ღონისძიებით. მაგალითად, შეკრების თავისუფლების შეზღუდვა.

4.5.3. სასარჩელო უფლებამოსილება

განვრცობითი აღიარებითი სარჩელით გრძელდება თავდაპირველი სარჩელი, შესაბამისად, მათი დასაშვებობა დადგენილი წესით უნდა გაირკვეს. ამდენად, თავდაპირველ სარჩელებზე უფლებამოსილი პირი განვრცობით აღირებით სარჩელზეც უფლებამოსილია, მხოლოდ მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ დასრულებული სადავო აქტით (რეალაქტით) მის კანონიერ ინტერესს ზიანი მიადგა.

4.5.4. ხანდაზმულობის ვადა

ვადების გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს, აქტის მოქმედება დასრულდა სარჩელის აღძვრამდე, თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ. სარჩელის აღძვრის შემდეგ აქტის მოქმედების დასრულების შემთხვევაში, განვრცობით აღიარებით სარჩელზე ვადა არ მოითხოვება. რაც შეეხება სარჩელის აღძვრამდე აქტის მოქმედების დასრულებას, წინასწარი გასაჩივრების ვადა გაშვებული არ უნდა იყოს, ანუ სარჩელის აღძვრის მომენტისთვის ის გასაჩივრებადი უნდა იყოს. ამ დროს სარჩელი დაუშვებელია არა ვადის გაშვების გამო, არამედ იმის გამო, რომ წინასწარი გასაჩივრება არ მომხდარა. შესაბამისად, თუ აქტი წინასწარ გასაჩივრდა და მისი წარმოების დროს დასრულდა სადავო აქტის მოქმედება, მაშინ განვრცობითი აღიარებითი სარჩელი დასაშვებია. ვადასთან დაკავშირებით კვლავ სადისკურსიოა, ზოგადად, აღიარებით სარჩელზე ვადის საკითხი.

4.6. აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობა

სარჩელის დასაბუთებულობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ის დაკავშირებულია მატერიალურ ნორმებთან და მათი დასაბუთებულად წარმოჩენა სათანადო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ქმნის. ამასთან, ბუნებრივია, სარჩელი სათანადო მოპასუხისადმი უნდა იყოს მიმართული. აღიარებითი სარჩელის თითოეული სახის დასაბუთებულობაზე საუბრისას, იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იქნეს, ზემოაღნიშნული სარჩელის სახეებზე მსჯელობისას აღნიშნული გარემოებები.

ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი დასაბუთებულია, როცა მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული სამართლებრივი ურთიერთობა შემდგარია, არსებობს (პოზიტიური აღიარებითი სარჩელი) ან არ არსებობს (ნეგატიური აღიარებითი სარჩელი). აღიარებითი სარჩელით სადავოდ ქცეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დასაბუთებისას გაითვალისწინება, თუ რამდენად გამომდინარეობს ის შესაბამისი საჯარო სამართლებრივი ნორმიდან, ინდივიდუალური აქტიდან ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან. მისი არსებობა–არარსებობა მატერიალური ნორმების, სჯარო სამართლის, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თვისუფლებების, კონსტიტუციური პრინციპების საფუძველზე უნდა იქნეს გარკვეული. მათ შორის, ის შესაძლოა, დამოკიდებული იყოს წარმოების სწორად წარმართვაზე. მაგალითად, აღიარებითი სარჩელი არ უნდა იყოს მიმართული არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსადმი. გასათვალისწინებელია, რომ საჯარო ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მაშინაც, როდესაც, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო ურთიერთობაში შევა მოქალაქესთან. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებასთან ერთად, შესაძლოა შემოწმდეს, მაგალითად, საკითხი, რომ მესაკუთრის ნაკვეთზე გამავალი გზა საზოგადოებრივი დანიშნულების გზაა. სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას მოწმდება,ასევე, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საკითხიც.

წინასწარი დაცვის შესახებ აღიარებითი სარჩელი დასაბუ-

თებულია, თუ წარმოჩენილია, რომ მოსარჩელის მიმართ არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მომავალში შეცვლა კანონსაწინააღმდეგოა და მის კანონიერ უფლებებს ზიანი ადგება. განსხვავებულად დგება საკითხი, როდესაც ნორმა უკვე კანონიერ ძალაშია შესული. ამ შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი.

აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელი მიმართულია იმ ორგანოს წინააღმდეგ, რომელმაც ის გამოსცა, შესაბამისად, სარჩელი დასაბუთებულია, თუ სადავო აქტი არარაა. აქტის არარად აღიარების საფუძვლები მოცემულია მატერიალურ სამართალში (სზაკ-ის მუხ. 60). ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ არარა აქტი მოსარჩელის კანონიერ ინტერესს უნდა აყენებდეს ზიანს.

განვრცობითი აღიარებითი სარჩელი მიმართულია იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომელმაც დასრულებული აქტი გამოსცა. ამ სახის სარჩელი დასაბუთებულია, თუ სადავო აქტი, რომელიც სარჩელის აღძვრის შემდეგ დასრულდა, კანონსაწინააღმდეგოა და მოსარჩელეს აქვს ამის აღიარების კანონიერი ინტერესი.

4.7. სასამართლოს გადაწყვეტილება

აღიარებითი სარჩელის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს ე.წ. დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილება, რომლითაც არ ცვლის და არ ადგენს, არამედ აღიარებს გარკვეულ სამართლებრივ გარემოებებს. მაგალითად, "აღიარებული იქნეს სადავო აქტი ... არარად". აღიარებით სარჩელზე სასამართლოს გადაწყვეტილება არავითარ დავალდებულებას არ შეიცავს მოპასუხის მიმართ, იგი ატარებს ე.წ. შეტყობინებით ხასიათს. აღიარებითი სარჩელით მოპოვებული პოზიტიური შედეგი შესაძლოა მოსარჩელემ გამოიყენოს სხვა სამართლებრივი ურთიერთობის გადასაწყვეტად.

კაზუსი: დიღმის მასივში მდებარე მრავალსართულიანი ბინის მესაკუთრეს გაქირავებული აქვს სახლში არსებული ბინები. მრავალსართულიან სახლს აქვს დიდი აივნები და ღია ვერანდები, რომელთა კუთხეებშიც მტრედებს ბუდეები აქვთ გაკე-

თებული და აბინძურებენ სახლის აივნებსა და ღია ვერანდებს. შეწუხებულმა დამქირავებლებმა არაერთხელ მიმართეს სახლის მესაკუთრეს პრეტენზიებით მტრედების გამო გამოწვეული სიბინძურის თაობაზე და დაემუქრნენ ქირის საფასურის შემცირებით. აღნიშნული სახლის რამდენიმე ბინა კი საერთოდ ვერ გაქირავდა მტრედების გამო. პრეტენზიებით შეწუხებულმა სახლის მესაკუთრემ გადაწყვიტა, ღია აივნები და ვერანდები წვრილად ნაქსოვი ბადით შემოესაზღვრა და სახლის ფანჯრები ამგვარი ხერხით დაეცვა მტრედებისაგან. აღნიშნული ღონისძიებით შეშფოთებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ფრინველთა დაცვის საკითხებზე მუშაობენ, განცხადებით მიმართეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლობას ამ საკითხზე რეაგირების მიზნით. გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელმა ადგილობრივმა სამსახურმა ერთ-ერთი თანამშრომელი გააგზავნა ადგილზე ვითარების შესამოწმებლად. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა სახლის მესაკუთრეს განუმარტა, რომ მას შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობის გარეშე უფლება არ ჰქონდა, ბადით დაეფარა სახლის აივნები. იგი ვალდებული იყო, მოეხსნა უკვე გაკეთებული ბადეები. უფრო მეტიც, ბადეებს შეიძლება ხელი შეეშალა მტრედებისთვის ბუდეებთან მიფრენილიყვნენ, რაც ბუნების დაცვის პრინციპების დარღვევად მიიჩნეოდა. მეორე დღესვე სახლის მესაკუთრემ მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილობრივ ბიუროს და მოითხოვა ბადეების დამაგრების ნებართვა, რაზეც მას უარი განუცხადეს. გარემოს დაცვის ადგილობრივი ბიუროს მოსაზრებით, დაბინძურების საკითხი განსაკუთრებული სფეროა, რომლის მოგვარებაც მხოლოდ ბადეების გაკვრით შეუძლებელია. ამავდროულად, მტრედები ამ ქალაქში ჩვეულებრივი მოვლენაა და მათგან ამგვარი საშუალებებით თავის დაღწევა ძნელია. სახლის მესაკუთრეს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა ბუნებას, არამედ სახლს. კერძოდ, სახლის სიბინძურისაგან დაცვას და არა ბუნების დაცვის სფეროს. მისი მოსაზრებით, სახლის აივანზე ბადის გაკვრა საერთოდ არ საჭიროებს ნებართვას ადმინისტრაციული ორგანოსგან.

ზემოაღნიშნული კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიზანია მასსა და ადმინისტრციულ ორგანოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა. მოსარჩელეს სურს იმის აღიარება, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედება - ბადეების გაკვრა აივნებზე - არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, რამდენადაც ეს ქმედება არ ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის ნორმებს. უფლების დაცვის პროცესუალური საშუალებაა აღიარებითი სარჩელი. მოსარჩელეს გააჩნია სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენაზე სამართლებრივი ინტერესი, რამდენადაც სამართლებრივი მდგომარეობა არის სადავო და მოსარჩელის მიზანია, მისი შემდგომი მოქმედება წარმართოს სასამართლოს მიერ დადგენილი უფლებების ფარგლებში. სამართლებრივი ინტერსის მიღმა გამოკვეთილია, აგრეთვე, ეკონომიკური ხასიათის ინტერესიც. არსებული ინტერესი დაცულია სამართლებრივად, რამდენადაც ის არის მესაკუთრე და მას უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს თავისი საკუთრება. მისი, როგორც მესაკუთრის, სამართლის ნორმით დაცული უფლება წარმოადგენს თავისი ინტერესის სამართლებრივ საფუძველს.

5. სახელშეკრულებო დავები

5.1 შესავალი

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების საპროცესო-სამართლებრივი ფუნქციიდან გამომდინარე, უნდა განვსაზღვროთ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტის (უფლების დაცვის) საპროცესო-სამართლებრივი საშუალებები (სარჩელის სახეები).

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით. საჩივარი, როგორც უფლების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალება არ გამოიყენება, რამდენადაც სახელშეკრულებო

ურთიერთობა არის ორ თანასწორუფლებიან სუბიექტს შორის ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე - ადმინისტრაციული ორგანო არ შეიძლება იყოს დავის გადამწყვეტი.

ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების არჩევანის თავისუფლება. თუ ადმინისტრაციული ორგანო უპირატესობას მიანიჭებს ხელშეკრულებას, ის ვალდებულია ბოლომდე დარჩეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტი, ხოლო დავის შემთხვევაში, დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად.

სასკ-ის 25[1] მუხლი ადგენს სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტის წესებს. რამდენადაც სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, აღნიშნული მუხლი ადგენს საერთო სასამართლოების მიერ დავის განხილვის შესაბამის სამართალწარმოების წესებს.

სასკ-ის 25[1] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან,შესრულებასთანდაშეწყვეტასთანდაკავშირებული დავები განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. თუმცა, აღნიშნული მუხლი არ განმარტავს თუ როგორია ეს სამართალწარმოების წესი და რომელი სარჩელის სახე უნდა გამოვიყენოთ უფლების დასაცავად. ჩნდება კითხვა, ხომ არ გვაქვს შემთხვევა, როდესაც სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილიზე დაყრდნოვით, უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. კანონმდებლის ნების გათვალისწინებით, უნდა დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებში უფლების დაცვის საპროცესო საშუალების შესარჩევად უნდა ვიხელმძღვანელოთ ადმინისტრაციული საპროსეცო კოდექსით. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განხილვა ხდება, როდესაც საკითხი ეხება კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების

დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებში უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალებები გათვალისწინებულია სასკ-ის 22-ე-25-ე მუხლებით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის თავისებურება განაპირობებს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის აუცილებლობას.

5.2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოხატული ნების სამართლებრივი ბუნება და ფორმა.

5.2.1. სამართლებრივი ბუნება

სზაკ-ში 2005 წლის 24 ივლის შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ფარგლებში უარი ითქვა „ადმინისტრაციული გარიგების" ინსტიტუტზე და განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. გარიგების ტერმინზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ გამოხატავს ცალმხრივ ნებას. საჯარო-სამართლებრივი ნების ცალმხრივად გამოხატვის ფორმას ადგენს სზაკ-ი, ხოლო სამოქალაქო-სამართლებრივი ცალმხრივი ნება ვლინდება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ორმხრივი ნების გამოვლენის ფორმა. ადმინისტრაციული ორგანოს ნება, რომ საჯარო უფლებამოსილება განახორციელოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმით, ფორმირდება ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე - ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადება და დადება ხდება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან

გამოვლენილი ცალმხრივი ნება ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე არის საჯარო-სამართლებრივი ნების გამოვლენა და ის ასევე უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

საჯარო მმართველობა არის კანონის აღსრულების პროცესი. კანონის ნორმით განსაზღვრული მმართველობითი ღონისძიების კანონიერება მოიცავს არა მარტო საჯარო-სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებებულებების განსაზღვრას, არამედ ნორმის შეფარდების პროცესის ანუ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას. ადმინისტრაციული წარმოება არის ის ინსტრუმენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების შექმნა, ასევე დაინტერესებული მხარეების უფლების დაცვა.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება ტარდება „... ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით", რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა მოხდეს როგორც ხელშეკრულების დადების ისე გაუქმების სამართლებრივი საფუძვლების განხილვა, ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მათ შორის, ხელშეკრულების მხარის სავალდებულო მონაწილეობით და ა.შ.

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებაზე კონსტიტუციური უფლება სრულად ვრცელდება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაზე და შეწყვეტაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით გამოვლენილი ნება არის საჯარო-სამართლებრივი და ის ექვემდებარება ასეთი ნების გამოვლენის საერთო წესს - ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებას, ხოლო სამოქალაო ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების სურვილის გამოხატვა ხდება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე.

მაგ., როდესაც სახელმწიფოს (შესაბამისი უფლებამოსილი

ორგანოს) ნებაა, რომ ავტომანქანების სავალდებულო ტექდათვალიერების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს კერძო პირზე, კანონმდებლობის მოთხოვნებით შერჩეულ შპს-თან ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, რამდენადაც საკითხი ეხება საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს საჯარო უფლებამოსილების შინაარს, რომლის შესრულების მიზნით ხდება ორმხრივი ნების გამოვლენა. სახელმწიფოს მხრიდან ამ ხელშეკრულებაში ცვილებების შეტანა ან მისი გაუქმება ასევე ხდება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და ეს ნება უნდა აისახოს შესაბამის საქმიანობის სამართლებრივ ფორმაში.

5.2.2 ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი ფორმა

ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების საფუძველზე გამოვლენილი ნების სამართლებრივ ფორმებს ადგენს სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ" პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ლეგალური დეფინიცია. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების ფინალის ანუ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ ფორმებს („ადმინისტრაციული წარმოება - ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების ...აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების, ან გაუქმების მიზნით."), რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული წარმოების სამართლებრივი შედეგი შეიძლება აისახოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ან ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების ფინალი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული რეალაქტი ანუ ადმინისტრაციული

რეალაქტის განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება არ ტარდება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ კი ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმება (მოწესრიგების მიზანი) ხდება ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ხოლო ადმინისტრაციული წარმოება არ ტარდება ადმინისტრაციული რეალაქტის (მოწესრიგების სამართლებრივი ფორმა) განხორციელების მიზნით, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ" პუნქტის შინაარსი გამორიცხავს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმების მიზნით გამოცემული დოკუმენტი შეფასდეს, როგორც ადმინისტრაციული რეალაქტი ანუ უბრალო მმართველობითი საქმიანობა, რომელსაც არ აქვს მომწესრიგებელი ბუნება.

რამდენადაც ცალსახაა, რომ კანონმდებელი ადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შეიძლება გამოიცეს მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით. საჯარო-სამართლებრივი ნების ცალმხრივად გამოვლენის სხვა ფორმას ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ იცნობს.

ავტომანქანების სავალდებულო ტექდათვალიერების განხორციელების მიზნით სახელმწიფოს (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს) მიერ კერძო პირის (შპს) შერჩევა და მასთან ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, რამდენადაც აღნიშნულ კერძო სამართლის იურიდიულ პირზე ხდება საჯარო უფლებამოსილების დელეგირება. თუ კი ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ შპს არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ნება უნდა დაფიქსირდეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემულ ინდივიდულაურ ადმინისტრაციულ-

5.3 უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალებები

5.3.1 უფლების დაცვის რეპრესიული საშუალებები

იმის გათვალისწინებით, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და, ასევე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ჩნდება კითხვა, თუ რა არის დავის საგანი სახელშეკრულებო დავებში, როდესაც, ერთი მხრივ, გვაქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულება და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების შეწყვეტის ნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით.

უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივ საშუალებებს განსაზღვრავს სასკ-ის 22-ე-25-ე მუხლები. სათანადო სარჩელის სახე დგინდება მოსარჩელის მიზნის გათვალისწინებით.

თუ კი დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოხატული ცალმხრივი საჯარო-სამართლებრივი ნების კანონიერების შემოწმება, სარჩელის სახის დადგენა უნდა მოხდეს ნების გამოვლენის ფორმის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში, ავტომანქანის სავალდებულო ტექდათვალიერების განხორციელების მიზნით სახელმწიფოს (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს) მიერ მოხდა კერძო პირის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების დადება ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ შპს არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ნება ფიქსირდება ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდულაური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით, შესაბამისად სარჩელის სახეს განსაზღვრავს ნების გამოვლენის ფორმა. როდესაც კერძო პირი გამოხატავს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის ნებას, მის გამოვლენილ ნებას არ აქვს ეს საჯარო-სამართლებრივი ფორმა და, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი არ იქნება მიმართული ნების გამოვლენის აქტის ბათილად ცნობისკენ.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დასაშვებია თუ კი ის აკმაყოფილებს სასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის კრიტერიუმებს. სარჩელის დასაშვებობის წინაპირობაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფაქტობრივი არსებობა. მხარის მტიცება მის არსებობაზე არ არის საკმარისი. საქმიანობის სამართლებრივ ფორმას განსაზღვრავს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი (მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი). სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის სახე არის დასაშვები, როდესაც ის მიმართულია მოსარჩელისათვის შემზღუდველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისაკენ. სარჩელის მოთხოვნის საგანი უნდა იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. მმართველობითი ღონისძიების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ის აკმაყოფილებდეს სზაკ-ით განსაზღვრულ ლეგალური დეფინიციის ელემენტებს:

ადმინისტრაციული ორგანო

უნდა შემოწმდეს სახელშეკრულებო დავაში მართველობითი ღონისძიების განმახორციელებელი სუბიექტი არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოხატავს ხელშეკრულების შეწყვეტის ნებას. განსახილველ შემთხვევაში ავტომანქანის ტექდათვალიერების მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირი არის ადმინისტრაციული

ორგანო, რომელიც შპს-თან დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, შესაბამისად, იღებას გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

ადმინისტრაციული კანონმდებლობა

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძველს ქმნის ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმა, რომლის საფუძველზეც დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის ნებას აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც საკითხი ეხება მმართველობითი უფლებამოსილებების განხორციელებას.

მოწესრიგება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული მართველობითი ღონისძიება შეიცავს მომწესრიგებელ სამართლებრივ ბუნებას, გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულების მეორე მხარის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

პირი ან პირთა შეზღუდული წრე

ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით გამოვლენილი ნება მიმართულია კონკრეტული ადრესატისკენ და იწვევს შემზღუდველ სამართლებრივ შედეგს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოვლენილი ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა აკმაყოფიულებს სზაკ- განსაზღვეულ იასკ-ის ლეგალური დეფინიციის ელემენტებს. სარჩელი სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე არის დასაშვები.

სახელშეკრულებო დავებში ასევე შესაძლებელია

გამოყენებული იქნას სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშალება. მისი გამოყენება შესაძლებელია ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ. მხარეებმა სასამართლოსადმი მიმართვის გზით უნდა მოითხოვონ ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედების განხორციელება ან განხორციელებისაგან თავის შეკავება.

სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე უფლების არსებობა ან არარსებობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეუძლებელი ხდება უფლების დაცვა 22-ე-24-ე მუხლებით.

საჯარო მმართველობის პრაქტიკაში პრობლემურია შემთხვევა, როდესაც ხდება გადაწყვეტილების აღსრულება იას-ის გასაჩივრების ვადის გასვლამდე. ერთმანეთში ურევენ აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალას და აღსასრულებლად სავალდებულო ძალას. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მისი ადრესატის მიმართ ძალაში შედის მისი იფიციალური გაცნობით, მაგრამ რამდენადაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია მისიგასაჩივრებისშესაძლებლობადავადები,დაუშვებელიამისია აღსრულება ამ ვადის გასვლამდე. როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ აქტში მითითებულია მხარის უფლება გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში აქტში მითითებულ ვადებში და მისამართზე, დაუშვებელია ამ ვადის გასვლამდე დაიწყოს გადაწყვეტილების აღსრულება. ასეთ შემთხვევაში ორი ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს - აქტის აღსრულებ!ის და უფლების დაცვის. სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოების მართლმსაჯულების სისტემებში სასამართლოები ავტომატურად უპირატესობას ანიჭებენ უფლების დაცვის ინტერესს და აღსრულებას მიიჩნევენ უკანონოდ. იმ შემთხვევაში, როდესაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს აქტის აღსრულების ინტერესს, კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუყოვნებლივი აღსრულების მექანიზმს.

სხვა შემთხვევაში, დაუშვებელია აქტის ადრესატს შეეზღუდოს უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის ვადები.

5.3.2 უფლების დაცვის პრევენციული (დროებითი) საშუალებები

სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიების განხორციელება, რომ არ მოხდეს სადავო აქტის აღსრულება რაც აზრს დაუკარგავს დავას, რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნება აღსრულებადი. სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი საშუალება ინვევს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერაბას. მისი მიზანია აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. სახელშეკრულებო დავებშიც უფლების დაცვის დროებითი საშალების ფუნქციას ასრულებს სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლები იმის გათვალისწინებით, თუ როგორია უფლების დაცვის ძირითადი საშუალება.

6. უფლების დაცვის დროებითი საშუალება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლების სასამართლო წესით დაცვა გულისხმობს დარღვეული უფლების აღდგენას, რომელიც მიიღწევა უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალების გამოყენებით. უფლების დაცვის დროებითი საშუალებები უზრუნველყოფს განსახილვე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას ან იმგვარად შეცვლას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას აღსრულებადს გახდის. სასკ-ი გვთავაზობს უფლების დროებითი დაცვის სისტემას,რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული სარჩელის სახეებთან. თუ სარჩელის დასაშვები სახეა სარჩელი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, უფლების დროებითი დაც-

ვა ხორციელდება სასკ-ის 29-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო სასკ-ის 23-ე და 24-ე მუხლებით განსაზღვრული სარჩელებისთვის გათვალისწინებულია სასკ-ის 31-ე მუხლში მოცემული სამართლებრივი საშუალება.

6.1 სასკ-ის 29-ე მუხლით განსზღვრული უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება

სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიების განხორციელება, რომ არ მოხდეს სადავო აქტის აღსრულება, რაც აზრს დაუკარგავს დავას, რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნება აღსრულებადი.

სზაკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი საშუალება იწვევს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას. მისი მიზანია აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.

პრობლემურია იმის დადგენა, თუ დროის რომელ მონაკვეთიდან წყდება აქტის მოქმედება. სასკ-ის 29-ე მუხლის თანახმად, სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. სარჩელის მიღების ეტაპზე ხდება სარჩელის დასაშვებობის შემოწმება. თუ დასაშვებობის შემოწმებას მივიჩნევთ სარჩელის სუსპენსიური ეფექტის წინაპირობად, ეს თავიდან აგვაცილებს დაუშვებელი სარჩელით გამოწვეულ უარყოფით შედეგებებს. მეორე მხრივ, თუ სარჩელის რეგისტრაცია გახდება აქტის შეჩერების საფუძველი, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, უფლების დაცვა იყოს სწრაფი და ეფექტიანი. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ხდება სადავო, ორივე შემთხვევაში, უფლების დაცვის საშუალებას აქვს ავტომატური შედეგი და ის არ არის დამოკიდებული მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

სასკ-ის 29-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რო-

დესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

აღნიშნული საფუძვლების არსებობა არ გულისხმობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ავტომატურ არ შეჩერებას. ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდეს.

აღნიშნულ შემთხვევებში, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია, შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

მხარეს, ასევე, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების ავტომატური შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

უფლების დაცვის დროებითი საშუალება შეიძლება გამოყენებული იქნეს სარჩელის აღძვრამდეც. ამ შემთხვევაშიც, მხარის მოთხოვნაში უნდა გამოჩნდეს, რომ ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი მისი უფლების დაცვის საშუალებაა და რომ ის დასაშვები იქნებოდა.

სასამართლო გადაწყვეტილებას, სარჩელის აღძვრამდე სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ იღებს სამი დღის ვადაში და ერთი დღის ვადაში უგზავნის მხარეებს.

თუ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია, გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

შესაძლებელია უფლების დაცვის დროებითი საშუალების გამოყენება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გასაჩივრება არ იწვევს ავტომატურ შეჩერებას. სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

ახლადაღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებასთან დაკავშირებით სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

6.2 დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ

სასკ-ის 31-ე მუხლის თანახმად, განცხადების საფუძველზე, სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება. მართალია, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი უთითებს, რომ დროებითი განჩინების მიღება შესაძლებელია სარჩელის აღძვრამდე, თუმცა აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი ცხადყოფს, რომ დროებითი განჩინების მიღება შესაძლებელია სარჩელის აღძვრის შემდგომაც, მაგ., სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისთვის.[230]

სასკ-ის 31-ე მუხლის განსაზღვრული უფლების დაცვის დროებითი საშუალება არ არის უფლების დაცვის ძირითადი საშუალების ავტომატური შედეგი. სამართალწარმოება მხოლოდ განცხადების საფუძველზე ხორციელდება. პროცესუალური თვალსაზრისით, ის წარმოადგენს დამოუკიდებელ პროცესუალურ მოქმედებას. დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით შემოსული სასარჩელო განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას, მოწმდება სადავო საქმეზე დასაშვები უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება (სარჩელის სახე). თუ მოსარჩელეს შეუძლია, აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, დაუშვებელია უფლების დაცვის დროებითი საშუალების გამოყენება, რომელიც გათვალისწინებულია სასკ-ის 31-ე მუხლით, რამდენადაც სარჩელი სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე აჩერებს გასაჩივრებული აქტის მოქმედებას. დაინტერესებული მხარის უფლება, მოითხოვოს დროებითი განჩინების მიღება, გამომდი-

230 №ს-370-365 (კს-16) 12 ივლისი, 2016 ნელი

ნარეობს თავისი უფლებიდან, სარჩელი აღძრას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების მოთხოვნით. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სარჩელის შეტანა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფლებების დროებით დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად.

მას შემდეგ, რაც გაირკვევა სასარჩელო განცხადების დასაშვებობა, აუცილებელია, სასკ-ის 31-ე მუხლის ტექსტის თანახმად, და იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს აქ არის მოცემული, გაირკვეს, თუ რისი მიღწევა სურს მოსარჩელეს: სურს მას დროებითი განჩინების მიღებით არსებული მდგომარეობის შენარჩუნება (სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება), თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება (სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის II წინადადება).

განცხადების დასაშვებობის აუცილებელი წინაპირობა არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოქმედების განხორციელება, დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნა დაიშვება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უმოქმედობის შემთხვევაშიც. აუცილებელია მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების შეტანა. ადმინისტრაციულ ორგანოში მოთხოვნის დაყენების (განცხადების შეტანის) შემდეგ იხსნება გზა სასამართლოსკენ. დროებითი განჩინების გამოცემაზე მოთხოვნის უფლების აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, ასევე, დავის საგანზე სასამართლოში სარჩელის აღძვრა.

მხარის შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით არის დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის საპროცესო საშუალება. ამ საშუალებით შეუძლია ისარგებლოს პირმა, რომელსაც სურს სუბიექტური უფლების სასამართლოს მეშვეობით დაცვა. დაუშვებელია სარჩელის შეტანა სხვისი უფლებების დასაცავად. მოსარჩელეს უნდა შეეძლოს საკუთარი უფლების მითითება, რომელიც დარღვეულია ან რომელსაც ხელყოფა ემუქრება; სარჩელის აღძვრამდე დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების მიღე-

ბის მოთხოვნის შემთხვევაში, განცხადებაში ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი ის საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. როდესაც მოსარჩელის მიზანია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება, მან ნათლად უნდა წარმოაჩინოს, რომ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის ან არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

სარჩელის აღძვრის უფლების შემოწმებასთან ერთად, უნდა შემოწმდეს დროებითი განჩინების მიმართ მოსარჩელის უფლებადამცავი ინტერესი. განცხადებით მოთხოვნილი დროებითი განჩინება უნდა იყოს მოსარჩელის უფლების დროებითი დაცვის აუცილებელი საშუალება. ასეთ აუცილებლობასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მოსარჩელეს სხვა უფრო იოლი გზით შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა, ან როდესაც სარჩელის უშედეგობა ან მისი განზრახ არამიზნობრივი გამოყენება აშკარაა.

მოსარჩელის უფლებადამცავი ინტერესი არ არსებობს, თუ მოსარჩელის მიერ დასმული საკითხი ჯერ არ გამხდარა ადმინისტრაციული ორგანოს განსჯის საგანი (მაგ., პირი ითხოვს თავისი უფლების დროებით დაცვას მოსალოდნელი პრივატიზაციის თავიდან ასაცილებლად. სინამდვილეში ამ შენობის პრივატიზება ჯერ კიდევ არ გამხდარა ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგანი. მოსალოდნელ საფრთხეზე პირის ვარაუდი არ არის საკმარისი. საფრთხე უნდა იყოს რეალური).

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი უფლებადამცავი ინტერესი არ არსებობს, როდესაც ის უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით მოაწესრიგოს ეს სამართლებრივი ურთიერთობა და, შესაბამისად, თავიდან აიცილოს ეს მოსალოდნელი საშიშროება (მაგ., ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დროებითი განჩინებით აკრძალოს მოსალოდნელი გაფიცვები, რომელსაც მიზნად ისახავენ ხელ-

ფასით უკმაყოფილო მერიის თანამშრომლები, არამედ თვითონ უნდა მოაწესრიგოს ეს სამართლებრივი ურთიერთობა).

უფლებადამცავი ინტერესის გამომრიცხავი გარემოება შეიძლება იყოს, ასევე, დასახული მიზნის მიუღწევლობა, როდესაც სადავო საკითხთან დაკავშირებით უკვე მიღებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან, როდესაც შეუძლებელია არსებული მდგომარეობის დროებითი განჩინების მიღების გზით შეცვლა ან კიდევ, როდესაც არსებული მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია დროებითი განჩინების მიღების გარეშეც, ნებისმიერ დროს.

უფლებადამცავი ინტერესის გამომრიცხავი გარემოების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს თვით განმცხადებლის ქცევა. როდესაც განმცხადებელი საკუთარი უმოქმედობით, როგორიცაა უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენების საპროცესო ვადების დაუცველობა, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მტკიცებულებების წარმოუდგენლობა ან წარმოების პროცესში მონაწილეობისგან თავის არიდება, ზიანს აყენებს მის სამართლებრივ მდგომარეობას.

დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით სასამართლოში შეტანილი განცხადების მიღებისა და განხილვის ვადების მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული წესები: სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ხუთდღიანი ვადა, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 183-ე მუხლით, ასევე გამწესრიგებელი სხდომის ინსტიტუტი, რომელიც გათვალისწინებულია სასკ-ის 26 მუხლით და ემსახურება სარჩელის დასაშვებობის საკითხის გარკვევას, არ გამოიყენება დროებითი განჩინების დასაშვებობის დადგენის შემთხვევაში. დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ განცხადებას გადაწყვეტს დავის საგანთან დაკავშირებული სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანის დღესვე, მოპასუხის შეუტყობინებლად. ამ შემთხვევაში ანალოგიურად გამოიყენება სსსკ-ის 193-ე მუხლი.

დროებითი განჩინების გამოცემასთან დაკავშირებით შემოსული განცხადების დასაშვებობის შემოწმების შემდეგ,

სასამართლო განცხადების დასაბუთებულობას ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე ამოწმებს.

დავის საგანთან დაკავშირებული განცხადება, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით, ჩაითვლება დასაბუთებულად, ანუ სასამართლო დააკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას, როდესაც დადგინდება, რომ არსებობს რეალური საფრთხე, არსებული მდგომარეობის შეცვლით, ხელი შეეშალოს განმცხადებლის უფლებების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდეს. ე.ი. დროებითი განჩინება არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე გამოიცემა, როდესაც საქმე ეხება არსებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას. მაგ., შენობის პრივატიზაციის აკრძალვა, კონკურსში გამარჯვებულის სამსახურში დანიშვნის აკრძალვა, სკოლის დახურვის აკრძალვა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე და ა.შ.

განცხადება დროებითი განჩინების სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ნინასწარი მოწესრიგების მიზნით გამოცემის მოთხოვნით დასაბუთებულია, ანუ სასამართლო მიიღებს დროებით განჩინებას, თუ დადგინდება, რომ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის ან არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგ., აუქციონში, კონკურსში, მისაღებ გამოცდებზე, ლექციებზე დაშვება, ფულადი დახმარების (პენსია, სტიპენდია) გაცემა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

დაინტერესებული მხარის განცხადების დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ, რომელიც უნდა პასუხობდეს განჩინებისთვის სსსკ-ის 285-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. დროებითი განჩინების გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას.

სასამართლოს დროებითი განჩინებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. თუ სასამართლოს მიერ მიღებული დროე-

ბითი განჩინება გაუმართლებელი გამოდგება, იმის გამო, რომ დავის საგანთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა და დადასტურდება, რომ თავიდანვე არ ჰქონდა მას ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მაშინ მხარე, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც გამოიცა დროებითი განჩინება, ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ის ზარალი, რომელიც მას დროებითი განჩინების გამოცემის შედეგად მიადგა. აქედან გამომდინარე, ნათელია განსხვავება უფლების დროებითი დაცვის იმ საშუალებებს შორის, რომლებიც განსაზღვრულია სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით. დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნა შეიცავს გარკვეულ რისკს, რაც არ ახასიათებს სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის დროებით საშუალებას სარჩელის სუსპენსიური ეფექტის სახით.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია დავის საგანთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ზიანის ანაზღაურების საკითხს წყვეტენ საერთო სასამართლოები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თავი VII. აპელაცია და კასაცია ადმინისტრაციულ პროცესში

1. აპელაცია

1.1. შესავალი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტიანად აღიდგინოს უფლებები კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით კონსტიტუციის ან კანონების მიერ მინიჭებული ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მოქალაქის ეს ძირითადი უფლება გასაჩივრებაზე ფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42.1 მუხლში,[231] სადაც აღნიშნულია, რომ „ყველა ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს''. აქვე განსაზრვრულია, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. აღნიშნულ კონსტიტუციურ პრინციპს „სამართლიან სასამართლოზე'' ადამიანის „ძირითად უფლებას'' უწოდებენ.[232] აღნიშნულ უფლებას აღიარებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციაც'' (მე-6 მუხლი).

საქართველოს კანონით "საერთო სასამართლოების შესახებ", ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ დავების პირველი ინსტანციით, სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვის გზით.

სასამართლო გადაწყვეტილებთა გასაჩივრების ინსტიტუტი რომის სამართლიდან მომდინარეობს. მნიშვნელოვანია რესპუბლიკის პერიოდის პირველ ნახევარში რომის სამათალში გაბატონებული ორი სტადია in jure და in judicio პროცესი. აღსანიშნავია ის, რომ ამ პერიოდში ჩნდება გასაჩივრების პირველი მეთოდები - გადაწყვეტილების შესაცვლელად - resttitucio in in-

---

231 საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი. მიღებული 24.08.1995.

232 იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები – ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლრბანი, *ლ. იზორია; კ. კორკელია; კ. კუბლაშვილი; გ. ხუბუა.*, „მერიდიანი'', თბ., 2005, გვ. 363.

tegrum (საწყის მდგომარეობაში აღდგენა).[233]

ჩვენი წელთაღრიცხვის ბოლოს სამოქალაქო პროცესში ისეთი ინსტიტუტი წარმოიშვა, როგორიცაა აპელაცია, რომელმაც თავისი საბოლოო სახე და ფორმა მიიღო იმპერატორ იუსტინიანეს მეფობის ხანაში (527-565 წ.წ.). XIV-XV ს.ს მიჯნაზე მოხდა რომის სამართლის ნორმების რეცეფცია გერმანულ სამართალში. რომის სამართლის, იტალიური პროცესის რეცეფცია გერმანიაში დასრულდა 1495 წელს საიმპერიო სასამართლოს დაარსებით, რომელიც, ამასთანავე, ასრულებდა სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებსაც. საფრანგეთში აპელაციის ცნება გამოჩნდა XIII-ს ბოლოს. 1667 წლის ორდონანსით დამკვიდრდა კასაციის ინსტიტუტი (ფრანგული Kasser-ისგან "მსხვრევა").[234]

აპელაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს "მიმართვას".[235] იგი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების ერთ-ერთ ფორმას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ადმინისტრაციულ იუსტიციაში იგი წარმოადგენს თანამდებობის პირის მოქმედების (გადაწყვეტილების) გასაჩივრებას და დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობისთვის. სასამართლოში კი მას სულ სხვა დატვირთვა აქვს, იგი გულისხმობს ერთხელ განხილული საქმის ხელახლა არსებით განხილვას სხვა ზემდგომი სასამართლოს მიერ.[236]

"კასაციის" (cassare) ეტიმოლოგია ლათინურ ენაში იღებს სათავეს, რაც პირველადი მნიშვნელობით ანულირებას, გაუქმებას, ლიკვიდაციას, ბათილობას ნიშნავდა. სამართლის მეცნიერებაში მან თავდაპირველად შეიძინა საკასაციო ორგანოს მიერ ახალი არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე გადაწყვეტილების გაუქმების მნიშვნელობა.[237]

---

233 იხ. *გ. ქირია .,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 1998, გვ. 19.

234 იხ. *გ. ქირია.,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 1998, გვ. 19.

235 იხ. ЮРИДИЧЕСКИЙ ЕИЦИКЛОПЕДИЧЕСКТЙ СЛОВАРЬ, М, 1984. С 23; უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი *მ. ჭაბაშვილი.,* თბ, 1989, გვ. 48.

236 იხ. *კ. კერესელიძე.,* ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო და საკასაციო წარმოება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია," 2005, №3, გვ. 111.

237 იხ. *კ. ყიფიანი.,* საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული სამართლის ისტორიის მიხედვით, საკასაციო გასაჩივრების ინსტიტუტს ძველი ქართული სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით, კერძოდ, "ხელმწიფის კარის გარიგებაშიც" "სააჯო კარი" სამოსამართლო დაწესებულების ზოგად სახელად გვევლინება და ის სასამართლოს წარმოებისა და მართლმსაჯულების საერთო დაწესებულება და შენობა უნდა ყოფილიყო. "სააჯო კარი" რომელსაც ვაზირთა უპირველესი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი კვირაში ერთხელ მოსამართლეობდა, საქართველოს პირველი საფეხურის დაწესებულება კი არა, არამედ უმაღლესი სასამართლო უნდა ყოფილიყო, რომელშიც პირველი საფეხურის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა საჩივარი და "აჯა" ირჩეოდა ხოლმე.[238]

თანამედროვე კასაცია წარმოიშვა საფრანგეთში და აქ მიიღო თავისი საბოლოო სახე. მე-16 საუკუნეში უკვე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების სამეფო საბჭოსადმი სპეციალური საჩივარი (contrary étés et nullité).[239] მე-19 საუკუნეში საკასაციო სასამართლოები შეიქმნა ბელგიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, რუმინეთში, საბერძნეთში და სხვა. საკასაციო ტრიბუნალი, (ნაპოლეონის მიერ გარდაქმნილი იქნა საკასაციო სასამართლოში), რომელიც დამოუკიდებელი იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მაგრამ თვითონ არ წარმოადგენდა სასამართლო ინსტანციას.[240]

საქართველოს ორგანულმა კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ"[241] ახლებურად განსაზღვრა საქართველოს თანამედროვე სასამართლო სისტემა, რომელშიც, პირველი ინსტანციის სასამართლოსთან ერთად, სააპელაციო და საკასაციო

სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი. „მართლმსაჯულება", 2007, 2, გვ. 181.

238 იხ. *ივ. ჯავახიშვილი.*, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984, ნიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 341.

239 იხ. *თ. თოდრია.*, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში თბ., 2011, გვ. 8.

240 იხ. *თ. თოდრია.*, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში თბ., 2011, გვ. 8-9.

241 შეად. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ". 2257. საქართველოს პარლამენტი, 04/12/2009. https:/matsne.gov.ge/ka/document/view/90676.

სასამართლოებს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

1.2 სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის II ნაწილის[242] თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები საჩივრის შეტანის შესახებ, აქედან გამომდინარე, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა გასაჩივრებას სააპელაციო და საკასაციო წესით ანესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-9 კარი, იმ შეზღუდვებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დადგენილია სასკ-ს 34-ე მუხლით.[243]

სასკ-ს 34-ე მუხლის პირველი ნაწილი[244] უშვებს ადმინისტრაციულ დავებზე სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას, დავის საგნის ღირებულების მიუხედავად. სამოქალაქო დავებზე სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. საკასაციო საჩივარის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს. სსსკ-ის 365 მუხლისა და 391-ე მუხლის მე-3 ნაწილის ეს მოთხოვნები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება.

---

242 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

243 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 399.

244 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

სასკ-ს 34-ე მუხლის 1[1] ნაწილის[245] თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს საპელაციო საჩივარი:

ა) სასკ-ის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე;

გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავებზე;

დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავებზე;

ე) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე საიჯარო ურთიერთობის თაობაზე;

ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაზე;

ზ) კერძო საჩივარზე;

თ) სასკ-ის 21[23] მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ი) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავაზე;

ი)[1] კონვენციის დარღვევის ან/და სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავაზე;

კ) არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

სააპელაციო საჩივრის ობიექტია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და მაგისტრატი მოსამართლეები. წერილობითი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ პირველი

245 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 1[1] ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტები განსაზღვრულია სსსკ-ის 368-ე მუხლით. სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს საქმეს მთლიანად და დამატებით შემოსულ ყველა მასალას. თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში, მაშინ ეს უკანასკნელი საქმეს გამოითხოვს შესაბამისი სასამართლოდან.[246]

საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტაციით საქმეთა განხილვისთვის (სსსკ-ის მუხ. 372-ე[247]). ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ: მხარეებს (მოსარჩელეს და მოპასუხეს), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეს და თანამოპასუხეს), მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, პირებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.[248]

1.2.1. აპელაციის სახეები

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აპელაციის ორი სახე: სრული აპელაცია და არასრული აპელაცია. სრული აპელაცია დამახასიათებელია საფრანგეთისა და იტალიისათვის, არასრული აპელაცია კი დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათის, როგორიცაა გერმანია და ავსტრია.

246 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 300-400.

247 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 372-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

248 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 400.

„სრული“ აპელაცია წარმოადგენს საქმის გადასინჯვას მთლიანად, არა მხოლოდ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ნებისმიერი ახალი მტკიცებულების საფუძველზე. საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ, პირველ ინსტანციაში, უკვე განხილულთან ერთად, სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებაც (ახალი ფაქტობრივი მონაცემები, ახალი მოსაზრებები და ახსნა განმარტებები). მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, დაადგინოს ახალი ფაქტები (სსსკ-ის 380-ე მუხლი[249]), ამიტომ მას არ აქვს უფლება, საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში, არამედ თვითონ უნდა მიიღოს (გამოიტანოს) გადაწყვეტილება არსებითად, გამოკვლეული მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტების საფუძველზე. სრული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, არამედ თავად საქმესაც, ხელახლა განიხილავს რა მის ფაქტობრივ და სამართლებრივ მხარეებს. სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო იკვლევს საქმის ფაქტობრივ მხარეს სრული მოცულობით, ე.ი. ახორციელებს იმავე მოქმედებებს საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად, მტკიცებულებათა შესაფასებლად, რასაც პირველი ინსტანციის სასამართლო.[250]

„არასრული“ აპელაცია წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვას იმ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი იყო საქმის მონაწილეთა მიერ. არასრული აპელაციის ზოგადი წესის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში სასამართლო განხილვისას ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითება (მათი წარდგენა) არ დაიშვება, მაგრამ გარკვეული პირობების არსებობისას ახალ მტკიცებულებებზე ან გარემოებებზე მითითება დასაშვებია. ამრიგად,

---

249 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 380-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

250 იხ. *შ. ქურდაძე.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა "მერიდიანი" თბ., 2006, გვ. 12.

არასრული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო საქმეს, როგორც წესი, განიხილავს იმ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც უკვე იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი (ანუ რომლებიც გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ).[251]

არასრული აპელაციის დროს სსსკ-ის 385-ე მუხლის 1-ლი[252] ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, საქმე დააბრუნოს პირველი ისტანციის სასამართლოში ხელახლა არსებითად განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო სრული აპელაციის დროს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არსებითად, ხელახლა განიხილავს, ხოლო არასრული აპელაციის დროს ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემოწმებას.

1.2.2. ადმინისტრაციული სამართალწარმოება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

სააპელაციო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და წარდგენილი უნდა იყოს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს: 1. იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი; 2. იმ პირის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე; 4. მითითებას იმის თაობაზე, გადაწყვეტილება მთლიანადაა გასაჩივრებული თუ მისი რომელიმე ნაწილი; 5. მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი; 6. მითითებას

251 იხ. *შ. ქურდაძე.,* სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა"მერიდიანი" თბ., 2006, გვ. 10-11.

252 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 385-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს; 7. სააპელაციო საჩივარზე უნდა იყოს დართული წერილობითი მასალების ნუსხა; 8. მონაცემებს იმის შესახებ, ხომ არ სურს საპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სააპელაციო საჩივარი და, ასევე, დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილი უნდა იყოს საჩივრის შემტანი პირის, ანუ აპელანტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. თუ უფლებამოსილების განხორციელების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების განხორციელების დამადასტურებელი მინდობილობა. სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5[253] ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო საჩივრის შემტან პირს ავალებს, შეავსოს ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა თხოვნით. თუ ამ ვადაში არ იქნა ხარვეზი შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე, რომლის გაგრძელება და აღდგენა კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. გასაჩივრების ვადის დენა იწყება მხარისთვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების "გადაცემა" გულისხმობს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის უშუალოდ სასამართლოში ხელზე მიცემას, რაც მან უნდა დაადასტუროს თავისი ხელმოწერით. გადაწყვეტილების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, გასაჩივრების ვადა აითვლება გადაწყვეტილების ასლის ფოტისთვის ან კურიერისთვის ჩაბარების მომენტიდან. საქმეში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა, რომ ამ წე-

253 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

სით გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბადა ადრესატს.[254]

თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

სსსკ-ის 370-ე მუხლის[255] თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი მიდგომა თითქოს ეწინააღმდეგება სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს ან მოპასუხეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი.[256]

თუმცა, გამოთქმული მეორე საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება მეორე მხარის კანონიერი ნდობა ამ უარზე. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ მხარე, რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, კარგავს უფლებას, გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო წესით.[257]

სსსკ-ის 374-ე მუხლის[258] თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლო აწარმოებს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. უნდა შემოწმდეს, დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის წარ-

---

254 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 400.

255 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 370-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

256 იხ. *ვ. ლორია.*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, გვ. 226.

257 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 401.

258 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 374-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

დგენის 14 დღიანი ვადა, ასევე, პასუხობს თუ არა სააპელაციო საჩივრის შინაარსს და სააპელაციო საჩივრის შემტან პირს უარი ხომ არ აქვს ნათქვამი სააპელაციო გასაჩივრებაზე, საქმის მასალებს თან ერთვის თუ არა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დასაშვებობის ყველა პირობა, სააპელაციო სასამართლო მიიღებს განჩინებას "სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ". სასამართლო ნიშნავს სააპელაციო საჩივრის განხილვის დღეს", რის შესახებაც მხარეს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას დადგინდა, რომ საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებოს და ეს ხარვეზი სასამართლოში დადგენილ ვადაში არ იქნა შევსებული, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება "სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ".[259] რა დროსაც პირს მთლიანად უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

რაც შეეხება კერძო საჩივარს, სსსკ-ის 416-ე მუხლის[260] თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შესაძლებელია განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობში. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის[261] პიველი ნაწილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან (მუხ. 369-ე, 416-ე[262]) განსხვავებულად აწესრიგებს გასაჩივრების ვა-

---

259 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008,. გვ. 401.

260 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 416-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

261 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-12 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

262 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 369-416-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

დის დინების დაწყებას. გარკვეული პირობების დაცვის გათვალისწინებით, კერძოდ, პროცესის მონაწილე პირს, სასამართლო აქტით უნდა განემარტოს: გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და გასაჩივრების წესი. ამავე კოდექსის მე13-ე მუხლის მე-2 ნაწილით,[263] მხარეს უნდა გადაეცეს სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების ასლი, რომელშიც მითითებული იქნება მხარეთა მიერ სასამართლო აქტების გასაჩივრების უფლების შესახებ სასკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესის გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ ამ პირობების დაუცველობა, კერძოდ, საპროცესო ნორმით დადგენილი რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დარღვევა, თუნდაც ერთ-ერთის, არასასურველ შედეგს იწვევს, როგორც მოგებული მხარის, ისე სასამართლოსთვის, რადგან სასამართლო გასაჩივრების ვადა იზრდება ერთ წლამდე.[264] ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოტანის მომეტიდან, ასეთ შემთხვევში, მხარეს ეძლევა უფლება, სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს განმავლობაში ერთი წლის.

სსსკ-ის 371-ე მუხლის[265] თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, სააპელაციო სასამართლოს მთლიანად გადაუგზავნის საქმეს, აგრეთვე, დამატებით შემოსულ ყველა მასალას. სააპელაციო საჩივრის მიღებისას მის ასლებს სააპელაციო სასამართლო გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც შეიძლება დაუნიშნოს ვადა სააპელაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მომზადების შესახებ გამოტანი-

---

263 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

264 იხ. *მ. ვაჩაძე., ი.თოდრია., პ. ტურავა., ნ. წკეპლაძე.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2005, გვ. 53.

265 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 371-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

ლი განჩინება აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას მთლიანად ან იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართაც გამოტანილია განჩინება, და ეს უკანასკნელი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესვლამდე მის დაუყობნებლივ აღსრულებას, სააპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად აჩერებს დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების მოქმედებას. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის შუამდგომლობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ.[266]

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილული იქნეს დადგენილ ვადაში (სსსკ-ის მუხ. 376-ე[267]).

სააპელაციო სასამართლო წარმოადგეანს მეორე ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელმეორედ, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით (სსსკ-ის მუხ. 377-ე[268]). სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი, ასევე, შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით, და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამო-

---

266 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ, 2008, გვ. 402.

267 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 376-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

268 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 377-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

ტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივარი. აღნიშნული წესი რეგლამენტირებულია სსსკ-ის 377-ე მუხლში.[269] ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული.

მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც ეხება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, უარი აქვს თუ არა ნათქვამი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივრზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოიყენება ის წესები, რაც დადგენილია პირველი ინსტაციით საქმეთა განხილვისთვის. საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები, თუმცა, თუ ეს ფაქტები და მტკიცებულებები შეიძლებოდა მხარის მიერ წარდგენილი ყოფილიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არ წარადგინა არასაპატიო მიზეზით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ პროცესში ადმი-

269 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 377-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

ნისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, ინკვიზიციურობის პრიციპის საფუძველზე, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ადმინისტრაციული დავის განსახილველად საჭირო ფაქტებისა და მტკიცებულებების მოპოვება. დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაუშვებელია (სსსკ-ის მუხლი. 381-ე[270]).

სააპლაციო სასმართლოს შეუძლია, მიიღოს ახლადწარმოდგენილი მტკიცებულებები, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისთვის. ასევე, შეუძლია გააზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ. სამართალწარმოება სააპელაციო სასამართლოში იწყება ზეპირი განხილვით, რომლის დროსაც მოხსენებით გამოდის სასამართლოს ერთ-ერთი წევრი და წარმოადგენს საქმის გარემოებებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილს, ამის შემდეგ მხრეებს ეძლევათ სიტყვა თავისი შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად. შემდეგ იწყება მხარეთა მოსაზრებების მოსმენა. თუ საქმის ზეპირი განხილვისას დაშვებული იქნება ახალი მტკიცებულებები, რომელთა წარმოდგენაც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გადადებას, სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მისი მოსაზრებების წარმოსადგენად. სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეამონმოს სადავო მტკიცებულებები.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს, გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან საქმე უკან დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად: ა) თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომად-

270 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 381-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997. https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

გენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; გ) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; დ) თუ გადწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია საჯაროობის წესები; ე) თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე[1]) თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი (სსსკ-ის მუხ. 385-394).[271]

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება სსსკ-ის XXVI თავის დებულებები დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ პროცესში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე და გაგზავნილი აქვს შეტყობინება. ადმინისტრაციულ პროცესში დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების[272] საფუძველზე, ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია ადმინისტრაციული დავების განმხილველი სასამართლოს ინკვიზიციურბისა. საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევში, სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელი განუხილველად დატოვოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსში

271 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 385-394-ე მუხლebi, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

272 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-4 და მე-19 მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

მითითებული უნდა იყოს ის პირი, რომელმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი, საჩივარში დაყენებული მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი, ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ასევე, ასახული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნა, მითითებული უნდა იყოს ხარჯების განაწილების თაობაზე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

2. კასაცია

2.1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა)

2.1.1. შესავალი

ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც პროცესში მონაწილე მხარე ასაჩივრებს, არ ექვემდებარება საკასაციო წესით განხილვას. კანონმდებელი მხოლოდ მაშინ იძლევა სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას, თუ მიიჩნევს, რომ იგი საკასაციო წესით განხილვას ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების საგანს სამართლებრივი ან ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. კასაციის დასაშვებობა წარმოადგენს ეფექტურ ფილტრს, რომლის მეშვეობითაც საკასაციო სასამართლოები თავისუფლდებიან ისეთი საქმეების განხილვისგან, რომლებიც საკასციო განხილვას არ საჭიროებს და რომელიც ხელს უწყობს საკასაციო სასამართლოთა განტვირთვას უმნიშვნელო საქმეებისგან. ამიტომ საკასაციო სასამართლოები იხილავენ მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებსაც კანონმდებელი საკასაციო წესით განხილვისთვის დასაშავებად მიიჩნევს.[273]

273 იხ. *ე. ქეცბაია.*, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ჟურნალი „მართლმსაჯულება" 2007, 2 გვ. 160.

მაგალითად, გერმანული კანონმდებლობით, საკასაციო წესით გასაჩივრებადი არაა ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შემხებლობაშია რომელიმე მონაწილე პირთან. კანონმდებელმა განსაზღვრა გასაჩივრების ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც მან მიიჩნია სამართლებრივ დავად კასაციის ღირსად, ანუ, როდესაც დავას აქვს განსაკუთრებული სამართლებრივი ან ეკონომიკურ-ფინანსური მნიშვნელობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების საგნის გამო. ნამდვილი ფილტრი, რომელიც აარიდებს საკასაციო სასამართლოს კასაციის ულირს პროცესებს, ახდენს რა სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას, არის კასაციის დაშვება. აღნიშნული შემოიფარგლება მხოლოდ იმ შემთხვევებით, რომლებიც კანონმდებელმა მიიჩნია კასაციის ღირსად, გადასინჯვად საქმეებად. ძირითადად, დასაშვებობის მიზეზები უნიფიცირებულადაა მოწესრიგებული. საკასაციო სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა საქმის გადასინჯვადობის რეგულაციის მეშვეობით არ ახდენს ზეგავლენას კასაციის გადახედვის მოცულობაზე ისეთ საქმეებზე, რომელსაც კანომდებელი გადასინჯვადად მიიჩნევს.[274]

კასაციის დასაშვებობის შემოწმებისას, მხდეველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ის, რომ სამართლებრივი ნორმა ან ამ ნორმიდან გამომდინარე სამართლებრივი შეფასება უშუალოდ უკავშირდებოდეს განსახილველ საქმეს, ემსახურებოდეს განსახილველი საქმის გადაწყვეტას, საფუძვლად ედოს ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას.[275]

საკასაციო მართლმსაჯულების მიზანია, როგორც პიროვნების დარღვეული უფლებების დაცვა კონკრეტულ სადავო საკითხებთან მიმართებაში, ასევე, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარების ხელშეწყობა, ამ ამოცანების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა შესაძლე-

274 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.137..

275 იხ. *თ. ლილუაშვილი.,* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი'', 2005, გვ. 504.

ბელი ხდება, თუ არ მოხდება საკასაციო სარჩელის დასაშვებობის შეზღუდვა.[276]

საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ამოწმებს საკასაცო საჩივრის ფორმალურ წინაპირობებს და ამის შემდეგ იღებს საკასაციო საჩივარს დასაშვებობის შესამოწმებლად.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის II ნაწილის[277] თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები საჩივრის შეტანის შესახებ, აქედან გამომდინარე, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა გასაჩივრებას სააპელაციო და საკასაციო წესით აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-9 კარი, იმ შეზღუდვებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დადგენილია სასკ-ის 34-ე მუხლით.[278]

სასკ-ს 34-ე მუხლის პირველი ნაწილი[279] უშვებს ადმინისტრაციულ დავებზე სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას დავის საგნის ღირებულების მიუხედავად. სამოქალაქო დავებზე სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ხაკასაციო საჩივარის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს. სსსკ-ის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-3 ნაწილის ეს მოთხოვნე-

---

276 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 398.

277 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

278 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) დმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 399.

279 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

ბი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ ქართული სასამრთლო სისტემისგან განსხვავებით, გერმანიის სასამრთლო სისტემაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს არა საკასაციო სასამართლო, არამედ სააპელაციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც არის მიმართული საკასციო საჩივარი. [280]

მართალია, საქართველო არ განეკუთვნება ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყანათა კატეგორიას, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებებს პრეცენდენტული და სავალდებულო ძალა გააჩნია, მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც.[281]

აღსანიშნავია, რომ 2000 წლის 1 იანვარს ამოქმედდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელმაც 2005 წლიდან მოყოლებული რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. აღნიშნული შეეხო ადმინისტრაციულ პროცესში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხსაც. 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კიდვ უფრო გაიზრდება უზენაესი სასამართლოს როლი მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების პროცესში. გაფართოვდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძლები როგორც ადმინისტრაციულ პროცესში, ასევე სისხლის და სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით. თუმცა, შენარჩუნებულია ის მიდგომა, რომ უზენაესი სასამართლო მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს განიხილავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლე-

280

281 იხ. *ე. ქეცბაია.*, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოაქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება'', 2007, 2 გვ. 157.

ბრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან – **დივერგენტული კასაცია;** ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკასაციო სასამართლოში, საჩივრების წარდგენა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებზე, რომლებიც გადაისინჯება მესამე ინსტანციის მიერ, მაგალითად, ისეთი საქმეები, რომლებმაც შეიძლება განავრცოს სამართალი ან ხელი შეუწყოს სამართლის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. ეს საქმეები შეიძლება, აგრეთვე, შეიზღუდოს იმ საჩივრებამდე, რომლებშიც საქმე ეხება საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის ნორმას. აპელანტი ვალდებული უნდა იყოს, ჩამოაყალიბოს ის საფუძვლები, თუ რატომ ემსახურება საქმე აღნიშნულ მიზნებს.[282]

აპელაციისგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ ასპექტებს განიხილავს და არ აწარმოებს საქმის არსებითად განხილვას.

სააპელაციო სასამართლოში შეიძლება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა, საკასაციო სასამართლოში ეს პრიციპულად დაუშვებელია, რადგან იგი გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას ამოწმებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების პროცესუალური ინსტიტუტი რამ-

---

282 იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, გვ. 148.

დენიმე მიზანს ისახავს: მხარის ინტერესების დაცვა და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვა და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

კასაციის ძირითადი მიზანი სწორედ მხარეების კანონიერი ინტერესების დაცვა, სამართლის განვითარება და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაა.

2.1.2. საკასაციო საჩივრის ობიექტი

საკასაციო საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება. ასევე დასაშვებია ცალკეულ განჩინებათა საკასაციო წესით გასაჩივრება.

საკასაციო საჩივრის ობიექტი არის ყოველივე ის, რაც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.[283] საკასაციო საჩივრის ობიექტის ზუსტად განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თუ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სცილდება საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას, თუ კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს ისეთ საპროცესო დოკუმენტს, რომლის საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ითვალისწინებს კანონმდებლობა, საკასაციო სასამართლო არ დაუშვებს ასეთ საკასაციო საჩივარს.[284]

საკასაციო საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნეს არა მხოლოდ მთლიან გადაწყვეტილებაზე, არამედ მის ნებისმიერ შემადგენელ ნაწილზე. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

მაგალითად, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებადია მხოლოდ ძირითადი გადაწყვეტილებები და არა

---

283 იხ. *თ. ლილუაშვილი.,* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი'', 2005, გვ. 495.

284 იხ. *თ. ლილუაშვილი.,* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი'', 2005, გვ. 495.

შუალედური გადაწყვეტილებები.[285] მაშასადამე ის, საკასაციო საჩივრის ობიექტად მიიჩნევს სააპელაციო სასამრთლოს მიერ გამოტანილ საბოლოო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. ის კასაციის დასაშვებობის საკითხს ანდობს სააპელაციო სასამართლოს, რომელიც საკუთარი ინიციატივით, მხარის მოთხოვნისა და შუამდგომლობის გარეშე, განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა კასაცია. კასაციის დასაშვებობის საფუძვლები ერთნაირია როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოებისთვის. იმ შემთხვევვაში, თუ სააპელაციო სასამართლომ კასაცია დაუშვებლად მიიჩნია, მხარეს უფლება აქვს, საჩივარი შეიტანოს გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში.

2.1.3. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები და მათი შემხებლობა დავის საგანთან

საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს: შემოტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი უფლებამოსილი პირის მიერ.

ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს. მხარეებად შეიძლება ჩაითვალონ, ერთი მხრივ, პირები, რომელთაც გააჩნიათ კანონით დაცული უფლებები და მოვალეობები და, მეორე მხრივ, პირები, ორგანო, ან ორგანიზაცია, რომელიც დგას მეორე მხარის დარღვეული უფლების საპირისპიროდ.[286]

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე, თავიანთი ინტერესებით ურთიერთდაპირისპირებული მხარეები. მოსარჩელე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელმაც სარჩელი აღ-

285 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.129.

286 იხ. Kiener., Rutsch.e, Kuhn., Offentliches Verfahrensrecht, Vergal Dike,Zurich, St. Gallen, 2012, S. 134.

ძრა თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით, დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება.[287]

ადმინისტრაციულ პროცესში მოსარჩელედ გვევლინება ის დაინტერესებული პირი, რომლის კანონიერი ინტერესიც დარღვეული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ პროცესში სავალდებულო მხარედ - მოპასუხედ ყოველთვის გვევლინება ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.[288]

ადმინისტაციული კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიფიული პირები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეები შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები (მაგ. არარეგისტრირებული კავშირი).[289]

საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს და საქართველოს ადმისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის II ნაწილით[290] განსაზღვრული წესით, საქმეში ჩაბმულ მესამე პირებს. მხოლოდ ამ პირებს აქვთ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება.

მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა უფრო აფართოებს პროცესის მონაწილე სუბიექტთა წრეს, კერძოდ, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (VwGO)[291] 63-ე მუხლის

---

287 იხ. *მ. ვაჩაძე., ი.თოდრია., პ.ტურავა., ნ. წკებლაძე.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, გვ. 57.

288 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-14 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

289 შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 45-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, # 786, 26.06.1997, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/31702.

290 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

291 შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. 63-ე მუხლი, (VwGO), §63 http:/www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html.

თანახმად, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობენ: მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები და ფედერაციული სახელმწიფოს წარმომადგენელი ადმინისტრაციულ სასამართლოში ან საჯარო ინტერესების წარმომადგენელი.

კასაციის შეტანის უფლება აქვს არა პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, არამედ მხოლოდ იმას, ვის წინააღმდეგაც გამოტანილია კონკრეტული გადაწყვეტილება. ისევე, როგორც სახელმწიფო მხოლოდ იმ მოსარჩელეს აძლევს სასარჩელო მოთხოვნის წამოყენების უფლებასა და, ამ სახით, მისი სამართლებრივი პოზიციის სასამართლო გზით განხორციელების შესაძლებლობას, რომელსაც აქვს უფლების დაცვის მოთხოვნილება და რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი უფლების სასამართლოს გარეშე დაცვას, ის მხოლოდ იმ დაინტერესებულ პირს აძლევს მეორე (ან შემდგომი) ინსტანციით გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელსაც დახმარების მოთხოვნილება აქვს და აქვს, ასევე, დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი, გადაახედინოს და გააუქმებინოს სასამართლო წესით მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულის შეიძლება ვუწოდოთ „გასაჩივრების შესაძლებლობის დაცვის მოთხოვნილება".[292]

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს და გაითვალისწინოს სარჩელის დასაშვებობისთვის აუცილებელი უფლების დაცვის მოთხოვნილება, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ დასაშვები კასაციის ფარგლებში.[293]

---

292 ob. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.131.

293 May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berück-sichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.131.

2.1.4 მესამე პირების შემხებლობა დავის საგანთან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის II ნაწილით[294] განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულ მესამე პირებსაც.

საკასაციო სასამართლოში სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები (ანუ მესამე პირები სავალდებულო მოწვევით) შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს (სასკ-ის მუხლი 34[1] მუხლის მე-2 ნაწილი).

თუ საკასაციო საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა, საკასაციო სასამართლო ვერ დაუშვებს ასეთ საჩივარს.

სარჩელის დსაშვებობის ეტპზე სასამართლოს მიერ იმ ფაქტის აღმოჩენა, რომ სარჩელი შემოიტანა არასათანადო მოსარჩელემ, წარმოადგენს ადმინისტრაციული სარჩელის განხილვაზე უარის თქმის საფუძველს. თუ ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროს, სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, იგი განჩინებით შეწყვეტს საქმეს ადმინისტრაციული პროცესის ნებისიერ სტადიაზე. ადმინისტრაციული პროცესის ეს წესი განსხვავდება სამოქალაქო პროცესისგან კონკრეტულ საკითხთან მიმართებში. კერძოდ, სამოქალაქო პროცესში მოსარჩელის თანხმობით, სასამართლოს უფლება აქვს, არასათანადო მოსარჩელე შეცვალოს სათანადო მოსარჩელით საქმის განხილვის შეუწყვეტლად. იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოსარჩელე უარს იტყვის შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, სასამართლო სათანადო მოსარჩელეს ჩააბამს პროცესში მესამე პირად აუცილებელი მოწვევის წესით.[295]

---

294 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

295 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) დმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 226.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეებს წარმოადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლეთაც გააჩნიათ მხარედ არსებობის უფლებაუნარიანობა, საპროცესო უფლებაუნარიანობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.[296] ეს ცნება გულისხმობს სამართლებრივ უნარიანობას, საქმე აწარმოონ თავად ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მეშვეობით.[297]

2.1.5. საკასაციო საჩივარის შეტანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 21 დღე. ამ ვადის აღდგენა (გაგრძელება) არ შეიძლება. ვადის დენა იწყება ორივე მხარისთვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად აითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისთვის გადაგზავნის კანონით დადგენილი წესით (სსს-კ 397-ე მუხლის[298] პირველი ნაწილი). ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებიან მხარეები ან მათი წარმომადგენლები, რომლებსაც ჰქონდათ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება, მაშინ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტად განსაზღვრას, თუ საიდან, რომელი დრიდან იწყება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ათვლა და როდის სრულდება ეს ვადა.

2.2. საკასაციო საჩივრის შინაარსი

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა საკასაციო საჩივრის შინაარსი სსსკ-ის 393-ე და 396-ე მუ-

296 იხ. Walman, B., Weeissenberger P., Praxiskomentar zum Bundesgesetz uber das Verwaltungsverfahren (VwVG), SCHULTHESS VERLAG, Z RICH, 2009 s.

297 იხ. Ule, C.H., Laubunger, H.W., Verwaltungsverfahrensrecht, 3 Auflge, C. Heimans Verlag, Berlin, Boom, Munchen, 1986, S. 135.

298 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 397-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

ხლების მოთხოვნებს:

სსსკ-ის 396 მუხლი[299] განსაზღვრავს იმ მონაცემებს, რომლებსაც უნდა შიეცავდეს საკასაციო საჩივარი. ამ მონაცემების ერთობლიობა ქმნის საკასაციო საჩივრის შინაარსს.

საკასაციო საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სსსკ-ის 400-ე მუხლის[300] თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს.

სსსკ-ის 401-ე მუხლის[301] საფუძველზე საქმის განსახილველად მიღების შემდეგ საკასაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს, რომელსაც საკასაციო სასამართლო დაუნიშნავს ვადას საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად.

საკასაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტები განსაზღვრულია სსსკ-ის 396-ე მუხლით.[302] იგი უნდა შეიცავდეს: 1. იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი; 2. იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე; 4. მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული; 5. მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა

---

299 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

300 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 398-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

301 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-400 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

302 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი); 6. მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება; 7. საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას; 8. საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

სსსკ-ის 396-ე მუხლის 2-ე ნაწილით,[303] წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაიო საჩივარს უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.

აქედან გამომდინარე, საკასციო სასამართლომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეამოწმოს, რამდენად პასუხობს თვითონ საკასაციო საჩივარი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მაგალითად, საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღება, თუ მასში არაა მითითებული გადაწყვეტილების რომელ ნაწილს ასაჩივრებს კასატორი, ან კიდევ რა მოცულობით და რა საფუძვლით საჩივრდება გადაწყვეტილება (კასაციის მიზეზი), რას მოითხოვს კასატორი გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი) და ა.შ.

თუ წერილობითი ფორმით შედგენილი საკასაციო საჩივარი არ პასუხობს სსსკ-ის 396-ე მუხლის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ; რისთვისაც ნიშნავს ვადას. თუ ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული, საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

2.3. პროცესის ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი[304] სასამართლოს უფლებას ანიჭებს, მოქალაქე ქონებრივი

303 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლის 2-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

304 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

მდგომარეობის გათვალიწინებით, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისგან. ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით[305] კი გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისთვის ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება, ან/და მათი ოდენობის შემცირება. აღნიშნული ნორმები ქმნის საფუძველს, რომ სახელწიფო ბაჟის წინასწარ, რიგ შემთხვევებში, კი საერთოდ გადაუხდელობამ, მატერიალური უსახსრობის გათვალისწინებით, არ შეაფერხოს და არ დააბრკოლოს მხარე და არ წაართვას მას დარღვეული უფლების აღდგენისა და პროცესუალური საშუალებებით დაცვის შესაძლებლობა. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლოს ხარჯებისგან გათავისუფლების, გადავადების ან შემცირების შესახებ, თუ რა თქმა უნდა, მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს ბაჟის გადახდის შეუძლებლობის შესახებ.

სასამართლოს კანცელარია ამოწმებს, ერთვის თუ არა საკასაციო საჩივარს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ ერთვის, შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია თუ არა შუამდგოლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების შესახებ. სასამართლოს კანცელარია ფორმალური უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში, მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ საკასაციო საჩივარი შემოტანილია სსსკ-ის 177-ე და 178-ე[306] მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით, ან სახელწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართ-

---

305 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 48-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

306 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 177-ე და 178-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

ლე გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შეახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო გამოტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ (სსსკ-ის 396-ე მუხლის[307] მესამე ნაწილი) (საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისთვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.)[308]

2.4. საკასასაციო გასაჩივრებაზე წერილობითი უარის არარსებობა

სსსკ-ის 370-ე მუხლი[309] ამკვიდრებს დებულებას, რომლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, მხარე წერილობითი ფორმით განაცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. იგივე წესი მოქმედებს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე უარის თქმისას, რადგან სსსკ-ის 399-ე მუხლის[310] თანახმად საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში მოქმედებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისთვის.

ამრიგად, უარის თქმას საკასაციო გასაჩივრებაზე უკავშირდება სერიოზული სამართლებრივი შედეგი: თუ მიუხედავად ამისა, მხარე მაინც გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით, ამ საჩივარს საკასაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მისი დაუშვებლობის გამო. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოიხსნას ასეთი შედეგი: თუ მონინააღმდეგე მხარე,

307 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

308 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz). თბ., 2008, გვ. 297.

309 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 370-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

310 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 399-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

აუცილებელია, საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევა, რომლის განხორციელება მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია. ეს მიგვიყვანდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევამდე, თუ სასამართლო სრულიად შეცვლიდა ადმინისტრაციულ ორგანოს და, გადაწყვეტილების მომზადებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მის ადგილს დაიკავებდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის - პრეროგატივას.

სასამართლო, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობას და მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფას, ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში (ამაზე ზემოთ გვაქვს საუბარი), რამდენადაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თვითონ განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოსადმი კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება გარდა ამისა სასამართლოს არ შეუძლია თავად გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასება. მაგ., გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური მხარე, მაგრამ ის ვერ აიღებს თავის თავზე გამომცდელის ფუნქციას და ვერ შეაფასებს მოსარჩელის სპეციალურ ცოდნას.

რა შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი? ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ სასამართლო ამზადებს საქმეს გადაწყვეტილების მისაღებად. მოსარჩელის მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული

მოყალიბებას.

ნებისმიერ საქმეს, რომელიც სასამართლოში განიხილება, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგალითად, საქმეს აქვს მნიშვნელობა კასატორისთვის ან საერთოდ მხარეებისთვის მათი მოთხოვნის (დავის საგნის) გადაწყვეტის შედეგის თვალსაზრისით. საქმის გადაწყვეტას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ეკონომიკური, ზნეობრივი, მორალურ-პოლიტიკური, ისტორული თუ სხვა რაიმე მოსაზრებითაც.[314]

თუ რისთვის ან რა თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს საქმეს მნიშვნელობა, რათა დაშვებულ იქნეს ამ საქმეზე კასაცია, ამას განსაზღვრავს თვითონ კანონმდებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ ძირითად სფეროებს (მიმართულებებს), რომლებისთვისაც საქმეს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რათა ამ საქმეზე დაშვებულ იქნეს კასაცია. როგორც აღვნიშნეთ, ეს სფეროებია (მიმართულებებია): სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. თუ საქმეს სამართლის განვითარებისთვის აქვს მნიშვნელობა ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, – კასაცია დაშვებული უნდა იქნეს.[315]

ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს საყოველთაო ინტერესი სამართლის კონკრეტული ნორმის ერთგვაროვნად გაგებისთვის და ეს პრობლემა არ ყოფილა სასამართლოს განსჯადი (ან ქვემდგომი სასამართლოების ინტერპრეტაცია საჭიროებს შემდგომ შეფასებას), რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისთვის.[316]

საკასაციო სასამართლომ საქმეზე გ. გ. - ქ. თბილისის გლ-

---

314 იხ. *თ. ლილუაშვილი.*, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი", 2001, გვ. 503.

315 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4. 2005, გვ. 72-81.

316 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვეის ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4. 2005, გვ. 72-81.

დანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის გლ-
დანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სამხედრო გამწვევი
კომისიის წინააღმდეგ მიიჩნია, რომ არსებობს საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3
ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული გ. გ-ს საკასაციო სა-
ჩივრის დასაშვებობის საფუძველი, ვინაიდან საქმე მნიშვნელო-
ვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართ-
ლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნულიდან გამომდი-
ნარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-ს საკასაციო
საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30
აპრილის განჩინებაზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქ-
მის ნაწილში განსახილველად უნდა იქნეს დაშვებული და განხი-
ლული მხარეთა დასწრებით.[317]

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ საქმესთან დაკაშირებით
უზენაესი სასამართლო თავის დასაბუთებაში საფუძვლიანად არ
განმარტავს, თუ რატომ არის კონკრეტული საქმე თავისი არსით
მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი
სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

იმისათვის, რომ საკასაციო საჩივარი იყოს დასაშვები, სა-
მართლებრივ დავას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი და განსაკუ-
თრებული მნიშვნელობა. დაშვების ეს საფუძველი შესაძლებლო-
ბას აძლევს საკასაციო სასამართლოს, უზრუნველყოს სამართ-
ლებრივი უსაფრთხოება სადავო სამართლებრივ საკითხებზე
გადაწყვეტილების მიღებით და განავითაროს სამართალი. კასა-
ციის დასაშვებობამ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი ინსტანციი-
ის სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება განსაკუთრებული
მნიშვნელობის მქონე საქმეებზე, რომელთაც აქვთ რეზონანსუ-
ლი ზეგავლენა ზოგადი სამართალგამოყენების პროცესზე.[318]

ცნება „სამართლებრივი საქმე" არ უნდა იქნეს გაგებული
ისე, რომ ყველაფერი დამოკიდებულია სამართლებრივი და-
ვის მთლიან მნიშვნელობაზე, დავის საგანსა და მის შედეგზე.

317 შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.01.2013 წლის განჩინება, საქმე № ბს-722-707(2კ-12).

318 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვეის ახალი საფუძვლების განმართებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4. 2005, გვ. 72-81.

უფრო მეტად, საქმე ეხება სადავო სამართლებრივი საკითხების გარკვევას, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს გადაწყვეტილების მიღებისას. ეს უკვე გამომდინარეობს იქიდან, რომ საკასაციო სასამართლო შეზღუდულია სამართალგამოყენებით კონკრეტული კასაციის ფარგლებში. ამის წინაპირობა, უწინარეს ყოვლისა, არის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და სამართალგამოყენებას შორის არსებული ზუსტი განსხვავება.[319]

2.5.1.1. საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის

მოცემული ფორმულირება „სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის" არ გულისხმობს, რომ აუცილებელია ორივე წინაპირობის ერთდროულად დაკმაყოფილება, არამედ საკმარისია ერთ-ერთის არსებობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ კრიტერიუმების ერთმანეთისგან გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია, რამდენადაც, როდესაც საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისთვის, იგი, ასევე, მნიშვნელოვანია ერთგავროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის და პირიქით.[320]

კასაციის დაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც საკასაციო სასამართლომ შეიძლება გაარკვიოს სადავო სამართლებრივი საკითხი, ანუ, როდესაც აუცილებელია პასუხი გადაწყვეტილების შედეგის დასასაბუთებლად. საკასაციო სასამართლოს არ აქვს სამართლებრივად უმნიშვნელო საკითხების გარკვევის არც უფლება და არც შესაძლებლობა.[321]

---

319 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.138.

320 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz). თბ., 2008, გვ. 405.

321 იხ May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns,. 1997, S.141.

საკასაციო სასამართლო საქმეზე მ. გ. - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორიცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავების არსებობის საფუძვლით (07.07.11წ. განჩინება საქმე №ბს-51-50 (კ-11)). ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის

თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს — წარმატების პერსპექტივა.[322]

იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ გადასინჯვადი სამართლის ნორმების გამოყენებით, არაგადასინჯვადი სამართლის ნორმები ვერ გაამართლებს კასაციის დასაშვებობას. გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხებიც მხოლოდ იმ შემთხვევაშია გადამწყვეტი კასაციის დასაშვებად, თუ ისინი რელევანტურია გადაწყვეტილების მისაღებად.[323]

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს შეხედულებაზე და მოსამართლის შინაგან რწმენაზეა დამოკიდებული, რადგან სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად არის საქმე სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი. სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საქმე გულისხმობს სამართლებრივი პრეცენდენტის შექმნას. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს კანონის განმარტებას, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტული ურთიერთობის დასარეგულირებლად.[324]

საკმარისი არაა საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის არსებობა მხოლოდ მახრისთვის, უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოს მიერ გამოსატანი გადაწყვეტილების ნაწილი ზოგადსამართლებრივ პრინციპს უნდა მოიცავდეს, რომელიც გადასაწყვეტი საკითხის მიმართ სამართლებრივი მართლშეგნების (სამართლებრივი სიზუსტის) განმტკიცებას შეუწყობს ხელს.325

რაც შეეხება საქმის მნიშვნელობას სამართლის განვითა-

---

322 შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.01.2013 წლის განჩინება, საქმე №ბს-771-755 (კ-12)

323 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.141.

324 იხ. *ე. ქეცბაია.*, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2007, 2 გვ. 167.

325 იხ. Jauernig, *O*, Zivilprozessrecht, Vergal C.H. Beck". 2003, S. 268.

რებისთვის, აქ გადამწყვეტია ის წინაპირობა, რომ აღნიშნულ საკითხზე არ უნდა არსებობდეს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. რაც შეეხება კრიტერიუმის შინაარსსა და მასშტაბს, აქ შეიძლება მივმათოთ გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც, სამართლის განვითარებისთვის კასაცია დასაშვებია, თუ ცალკეული საქმე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს ცალკეული მატერიალური ან საპროცესო ნორმის განმარტების ზოგადი პრინციპები ან მოხდეს კანონის ხარვეზის აღმოფხვრა. შესაბამისად, სამართლის განვითარება შემთხვევათა ორ ჯგუფს მოიცავს. კერძოდ: 1. ცალკეული საქმის საფუძველზე ხდება მატერიალური ან საპროცესო ნორმის განმარტების ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან 2. აუცილებელია კანონის ხარვეზის აღმოფხვრა. პირველით მოიაზრება ის შემთხვევები, როდესაც მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ მოახდინა კანონის დებულებათა (ახლებური) განმარტება, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ ჯერ არც აღიარებულია და არც უარყოფილი. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გადასაწყვეტი სამართლებრივი საკითხი იძლეოდეს ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მეორე შემთხვევა მოიცავს ყველა იმ სამართლებრივ დავას, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა კანონის ხარვეზის აღმოფხვრა და ეს ჯერ არ მომხდარა უზენაესი სასამართლოს მიერ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იარსებებდა ხარვეზის არმოფხვრის საჭიროება და, შესაბამისად, არც კასაცია იქნებოდა დასაშვები.[326]

იმ შემთხვევაშიც, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დამოკიდებულია გასარკვევად აუცილებელი და უნარიანი სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაზე, კასაცია არ უნდა დაიშვას, თუ ამ სამართლებრივ საკითხს აკლია განსაკუთრებულობა.[327]

---

326 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვებისახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4. 2005, გვ. 75-76.

327 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 142.

დამკვიდრებული აზრის თანახმად, საქმეს არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ გდასაწყვეტია სამართლებრივი სკითთხი, რომელიც საჭიროებს გარკვევას და რომელიც შეიძლება წამოიჭრას სხვა მრავალი საქმის განხილვის დროს.[328]

საქმე მნიშვნელობას იძენს სამართლის განვითარებისთვის და საჭიროებს საკასაციო ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, თუ ცალკეული შემთხვევა სასამართლოს უბიძგებს ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები: მატერიალური ან საპროცესო კანონის ნორმათა განმარტებისთვის, ან კანონში ხარვეზის შევსებისთვის.329

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს მისი ერთგვაროვანი განმარტება. „ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შექნმა მნიშნელოვანია როგორც სასამართლოსთვის, ასევე - საზოგადოებისთვისაც".330

სასამართლო პრაქტიკას ზოგჯერ აიგივებენ პრეცედენტთან, ზოგჯერ უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებებთან, ზოგჯერ კი ნებისმიერ სასამართლოს გადაწყვეტილებებთან. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, სასამართლო პრაქტიკა, როგორც სამოსამართლეო საქმიანობის შედეგი, არის, კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, ნორმის განმარტების რეზულტატი. ეს რეზულტატი ხსნის და აღრმავებს გამოყენებული ნორმის შინაარს, აკონკრეტებს ნორმას ერთგვარ ნორმატიული ხასიათის ფორმებში - სამართლებრივი (правоположение) სასამართლო პრაქტიკა ის სამოსამართლეო საქმიანობაა, რომელსაც შედეგად მოსდევს ამ სამართლებრივი დებულებების შექმნა. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ სამოსამართლეო პრაქტიკას მიეკუთვნება არა მხოლოდ ის

---

328 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიპენბეპერი' შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4. 2005, გვ.74.

329 იხ. *კ. ყიფიანი.*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2007, 2, გვ. 185-186.

330 იხ. *თ. მამაიაშვილი.*, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2008, 1, გვ. 5.

გადაწყვეტილება, რომელიც აყალიბებს ახალ სამართლებრივ თეზისს, არამედ ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც კონკრეტიზირდება, თუნდაც, ნათელი და მკაფიო კანონის ნორმები ყოველგავრი განმარტების და ანალოგიის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან რთული იქნებოდა იმ კრიტერიუმების შემუშავება, რომლითაც სასამართლოს ერთ გადაწყვეტილებას მივაკუთვნებდით სასამართლო პრაქტიკას და მეორეს –არა.[331]

სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, შეიძლება გამოვლინდეს არსებული ნორმის შინაარსის განმარტებაში, რასაც ინგლისელები უწოდებენ "declaratory precedent" ან ნორმის ან ჩვეულების არარსებობის შემთხვევაში – ახალი ნორმის შემქმნელად, რასაც ინგლისელები უწოდებენ -"original precedent".[332]

სასამართლო პრაქტიკა ეს არის ცალკეულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას შექმნილი წესები. სასამართლო პრაქტიკის სავალდებულო ძალა არა თავად მასშია, არამედ სახელმწიფოს ნებაში, რომელსაც შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილებები აიყვანოს ან არ აიყვანოს სამართლის ფორმის რანგში.[333]

2.5.1.2. სამართლებრივი საკითხების სასამართლოსთვის ქვემდებარეობა და საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა

საქმე მნიშვნელოვანია, როდესაც მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ან სამართლის შემდგომ განვითარებას, ან სამართლის ნორმათა ერთგვაროვან გაგებას

---

331 იხ. *კ. ყიფიანი.*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2007, 2, გვ. 186.

332 იხ. *კ. ყიფიანი.*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2007, 2, გვ. 186.

333 იხ. Шершеневич Г .Ф., Общая теориа права. Том 2 , Москва, издание Бр. Башмакових 1910. С 46.

ან სამართლის შემდგომ განვითარებას.[334] აღნიშნულის პირველი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ეს სამართლებრივი საკითხი ექვემდებარებოდეს გარკვევას, საჭიროებდეს გარკვევას და იყოს მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტისთვის,[335] ანუ საქმე უნდა ეხებოდეს სამართლის ისეთ ნორმას, რომელიც ექვემდებარება გადასინჯვას. საკასაციო წესით გადასინჯვას ექვემდებარება მხოლოდ ის სამართლებრივი სკითხები, რომელიც მოიცვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, ასევე ის საკითხები, რომელზედაც სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება. მის საპირისპიროდ, ის სამართლებრივი საკითხები არ შეიძლება გახდეს საკასაციო სასამართლოს განსჯის საგანი, რომლებიც წამოიჭრებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევში. საკასაციო წესით გადასინჯვა მოიცავს სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ სამართლებრივ საკითხებს და მის მნიშვნელობას აწმყოში და არა იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს სხვაგვარ გადაწყვეტილებას „არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა".[336]

2.5.1.3. სამართლებრივი საკითხების გარკვევის საჭიროება

საქმის მნიშვნელობის განსაზღვრის მეორე მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ სამართლებრივი საკითხი საჭიროებს გარკვევას.[337] საკითხი არ საჭიროებს გარკვევას, როდესაც ის უდა-

334 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 404.

335 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი'', 4. 2005, გვ. 74-75.

336 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ, 2008, გვ. 404.

337 იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიპენბეპერი„ შ. პაპუაშვილი.*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვეის ახალი საფუძვლების განმართებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4. 2005, გვ.75.

ვოა, რამდენადაც პასუხი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამომდინრეობს კანონის ტექსტიდან. საკითხი ასევე არ საჭიროებს გარკვევას, როდესაც მასთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა, ეს უკანასკნელი შემთხვევა არ გამორიცხავს საკითხის შემდგომი გარკვევის საჭიროების წარმოშობას, როდესაც უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გახდება ფართო მეცნიერული განსჯის საგანი და მოსამართლეებისა და მეცნიერების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები უბიძგებს უზენაეს სასამართლოს საკუთარი მოსაზრებების გადამოწმებისკენ.[338]

უკვე გარკვეული სამართლებრივი საკითხი შეიძლება დადგეს ხელახალი გარკვევის აუცილებლობის წინაშე. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება სამართალი. ამ შემთხვევაში, უარსაყოფია ძველი სამართლის ნორმის საფუძველზე უკვე გადაწყვეტილი სამართლებრივი საკითხის იდენტურობა და სახეცვლილი სამართლის ნორმიდან გამომდინარე სამართლებრივი საკითხი. უკვე გადაწყვეტილი სამართლებრივი საკითხის გარკვევის აუცილებლობამ შეიძლება არ განაპირობოს სამართლებრივი ნორმის ცვლილება, მაგრამ შეცვალოს ზოგადი ფაქტობრივი ურთიერთობები, რაც განაპირობებს სამართლის განვითარების ხელახალ გარკვევას.[339] მეორე მხრივ, საკითხის გარკვევის აუცილებლობა შეიძლება არ არსებობდეს თუნდაც დასაბუთებული ეჭვის დროს, როდესაც, მაგალითად, შეზღუდულია სამართლებრივი ნორმის დროში გამოყენების სფერო. ეს განსაკუთრებით ეხება გარდამავალ დებულებებს, როდესაც მათი გამოყენება არ შეეხება დიდი რაოდენობის შემთხვევას.[340]

---

338 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 404.

339 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.140.

340 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.140.

2.5.1.3.1. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე **№ბს-157-155 (კ-17)**, სასამართლომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და განმარტა, რომ აღნიშნული საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და, ამასთან, არ არსებობს, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანმადე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, ასევე, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/ და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს — წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

2.5.1.3.2. საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე **№ბს-139-137 (კ-17)** საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გა-

დაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და, ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანმადე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს — წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არცერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

2.5.2. დივერგენტული კასაცია. საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან – **დივერგენტული კასაცია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო მართლმსაჯულების განხორციელება მიზნად ისახავს არა მარტო სამართლებრივი დავების გადაწვეტას და მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინერესების დაცვას, არამედ ერთგვროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კასაციის დასაშვებობის ეს კრიტერიუმი ყურადღრებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკას შორის შეუსაბამობაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი და იმავე სამართლის ნორმის საფუძველზე, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაში ხდება

ამ ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაცია.[341]

თუ საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტლება განსხვავდება ადრე დამკვიდრებული პრაქტიკისგან, მხედველობაშია იმავე ან სხვა სააპელაციო სასამართლოების, აგრეთვე, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.[342]

კასაციის დასაშვებობის ამ კრიტერიუმის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის არსებობა, რომელიც არ გულისხმობს საქმეზე დიდი პალატის გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობას, საკმარისია ერთი კონკრეტული ყველაზე ახალი გადაწყვეტილების არსებობა. ამ ნიშნით, კასაციის დაშვება მიზნად არ ისახავს „ურჩი" სააპელაციო სასამართლოს დასჯას, არამედ ზრდის სააპელაციო სასამართლოს როლს სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმეში. სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული გადაწყვეტილება, რომელიც ჯეროვნად არის გააზრებული და დასაბუთებული, არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. უზენაესი სასამართლო ვალდებული ხდება, სათანადოდ შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული შეხედულება, აღიაროს ის ან მეცნიერულად დაასაბუთოს საკუთარი უპირატესობა. ყოველივე ეს ბიძგს აძლევს მართლმსაჯულების პრაქტიკის სრულყოფას.[343]

კასაციის დაშვება სამართლის არაეთგვაროვანი განმარტების **(დივერგენტის)** გამო ემსახურება ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვას (ანუ ერთგვაროვანი სასამართლო პრქტიკის უზრუნველყოფას) გარკვეული სამართლებრივი ნორმების განმარტებისას.[344]

---

341 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 405.

342 იხ. *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი* `სამართლის განვითარება-სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4.(6) 2005, გვ. 72-81.

343 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 405-406.

344 იხ. *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება-სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვეის ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4.(6) 2005, გვ. 77.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის კასაცია დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი განსხვავებების დანერგვა ან მათი შემდგომი არსებობა, თუმცა გადამწყვეტია, ასევე, ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ზოგადად, სასამართლო პრაქტიკისთვის. ამ კრიტერიუმით, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ე.წ. დივერგენციასთან, ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების განსხვავებასთან ზედა ან იმავე დონის ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისგან. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი[345] ცალკე გამოყოფს დივერგენციას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, ამიტომ, ამ ქვეპუნქტში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც განსხვავებას ადგილი აქვს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის.[346]

გარდა ამისა, ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის, რომ სასამართლომ ერთ კონკრეტულ საქმეზე მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს, თუნდაც ეს სამართლებრივი შეცდომა აშკარა იყოს. თუმცა, აღიარებულია, რომ კანონის ნორმათა განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული შინაარსობრივი ან ფორმალური შეცდომა მაშინ სცდება ცალკეული შემთხვევის ფარგლებს და სერიოზულად ავნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმსაჯულების მიმართ. აღნიშნულ კრიტერიუმთან დაკავშირებით პრინციპულია ის გარემოება, რომ გადამწყვეტია არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი დავის ბედი, არამედ მისი მნიშვნელობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, რაც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია საზოგადო ინტე-

345 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

346 იხ. *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4.(6) 2005, გვ. 76.

რესებთან.[347]

ქართული სასამრთლო სისტემისგან განსხვავებით, გერმანიის სასამრთლო სისტემაში საკასაციო საჩივრის დსაშვებობას ამოწმებს არა საკასაციო სასამართლო, არამედ სააპელაციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც არის მიმართული საკასციო საჩივარი. ამ თვალსაზრისით, ქართულ სასამართლო სისტემაში დამკვიდრებული მოდელი უფრო მისაღებია.

სამართლის ნორმის განმარტება არის პროცესი და არა ერთჯერადი აქტი. საკასაციო სასამართლო ახდენს ნორმის დინამიურ განმარტებას. ყოველივე ეს ბიძგს აძლევს მართლმსაჯულების პრაქტიკის სრულყოფას.[348]

კასაციის დასაშვებობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს საკასაციო სასამართლოს, სამართლებრივი დავის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, გამოარკვიოს კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი სადავო სამართლებრივი საკითხები, რომელთაც უმაღლესი ინსტანციის სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეთ, მათ შორის, კონკრეტული საქმის მიღმა არსებულ ზოგად სამართალგამოყენებაზე. ამდენად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ანალოგიური სამართლებრივი საკითხის შემცველი საქმეა განხილვის სტადიაში საკასაციო სასამართლოსა თუ ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოში.[349]

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით, კასაციის დაშვების განმაპირობებელი გადახვევა სახეზეა შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

- ორივე გადაწყვეტილებამ უნდა ამოხსნას სამართლებრივი საკითხი;

---

347 იხ. *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" 4.(6) 2005, გვ. 76.

348 იხ. *მ. ეაჩაძე., ი. თოდრია., პ. ტურავა., ნ. წკეპლაძე.*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ., 2005, გვ. 209.

349 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.143.

- ამოხსნილი სამართლებრივი საკითხები უნდა იყოს იდენტური ორივე გადაწყვეტილებაში;
- სამართლებრივი საკითხები უნდა გამომდინარეობდეს გადასინჯვადი სამართლიდან;
- სამართლებრივი საკითხის ამოხსნა სამართლებრივად რელევანტური უნდა იყოს ორივე გადაწყვეტილებისთვის;
- პასუხები არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
- ამას უნდა დაემატოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან გადახვევის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.[350]

სამართლებრივი საკითხი სააპელაციო სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს საქმის გადასაწყვეტად, ანუ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში უნდა იყოს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან. ეს კრიტერიუმი არ არის მოცემული, როდესაც, მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ალტერნატიულად ეყრდნობა, აგრეთვე, სხვა დასაბუთებას, რომლის ფარგლებშიც საერთოდ არ ისმის ისეთი სამართლებრივი საკითხი, რომელიც გარკვევას საჭიროებს. თუ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი მაინც არ არის მოცემული, მაშინ კასატორის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა არსებობს.[351]

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი არ ითვალისწინებს, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან წინააღმდეგობასა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ეს თავისთავად გამომდინარეობს კასატორის სამართლებრივი დაცვის საჭიროებიდან და კასაციის დანიშნულებიდან. წინააღდეგ შემთხვევაში, აზრი არ ექნებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ სამართლებრივი საკითხის განხილვას, ვინაიდან აღნიშნული განხილვის შედეგი არ იქნებოდა მნიშვნე-

350 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S143.

351 იხ. *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი'', 4.(6) 2005, გვ.75.

ლოვანი საქმის გადასაწყვეტად.[352]

2.5.3. სამართალწარმოების თავისებურება ისეთ საქმეებზე, რომლებიც განხილულია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ: ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც კასატორი ასაჩივრებს კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება ეს დარღვევა.

სსსკ-ის 393-ე მუხლით,[353] სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: 1. არ გამოიყენა კნონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; 2. გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; 3. არასწორად განმარტა კანონი. აღნიშნული ნორმა მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების სამართლებრივ მხარეს, რომლის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. იგივე წესი მოქმედებს პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, მხოლოდ 393ე მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით.[354]

---

352 იხ. *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4.(6) 2005, გვ. 78.

353 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 393-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

354 იხ. *თ. თოდრია* .. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 19.

სსსკ-ის 393 მუხლის[355] 3-ე ნაწილით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველ მუხლში მითითებულ დანაწესებს უკავშირდება ფაქტობრივ გარემოებებთან შემხებლობის პრობლემატიკა, რაც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის იურისდიქციის განსაზღვრის ხერხემალს.[356]

საკასაციო საჩივარი, რომელიც ემყარება არა კანონის დარღვევას, არამედ მხოლოდ გადაწყვეტილების ფაქტობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, არაა საკასაციო საჩივარი. ამიტომ იგი დაუშვებელია, მაგრამ კანონი ასეთ საჩივარს განიხილავს, როგორც საკასაციო საჩივარს, რომელსაც აქვს ხარვეზი. საკასაციო სასამართლომ უნდა დაავალოს კასატორს, შეავსოს ეს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ეს ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.[357]

საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული საკასაციო მოთხოვნის დასაბუთებულობა, მთლიანად განპირობებულია კასაციის მიზნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემყარებოდეს კანონის დარღვევას. ასევე ნაჩვენები უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანონის დარღვევა.[358]

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება უნდა მოიცავდეს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ მხარესაც.[359] საკასაციო საჩივრის სა-

---

355 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 393-ე მუხლის, მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

356 იხ. *თ. თოდრია* ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 19.

357 იხ. *ვ. ხრუსტალი.*, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, იხ. დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004, გვ. 15.

358 იხ. *ვ. ხრუსტალი.*, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: კასაცია სამოქალაქო სამართალნარმოებაში, იხ. დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004, გვ. 15.

359 იხ. *თ. თოდრია* ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 18.

ფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონით დარღვევის გამოტანაზე მითითება. აღნიშნული დანაწესი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს კასატორის უფლების შინაარსს, რაც განპირობებულია საკასაციო ინსტანციის იურისდიქციის თავისებურებით, მისი ინსტანციურობიდან გამომდინარე.[360]

პროცესუალური დარღვევა რომ გახდეს სააპელაციო საჩივრის დსაშვებობის საფუძველი, აუცილებელია ამ დარღვევას ჰქონდეს ისეთი ხასიათი, რომ აშკარა იყოს მისი უარყოფითი ზეგავლენა საქმის განხილვის შედეგზე. პროცესუალური დარღვევის ხარისხის განსაზღვრის ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ქართველი კანონმდებელი თვითონ ახდენს იმ საპროსესო დარღვევების განსაზღვრას, რომლებიც აუცილებლად იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას; სსსკ-ის 394-ე მუხლით[361] განსაზღვრული საკასაციო საჩივრის გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები არის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონმდებლის მიერ იმპერატიულად დადგენილი ნორმა, სადაც სასამართლოს მიხედულებისთვის ადგილი არ რჩება.[362]

მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევებში აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ, ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევა.[363]

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების იმ აუცილებელ წინაპირობას, რომლითაც უზრუნველყოფილია კანონიერების დაცვის პროცესუალური პრინციპები.[364] გადაწყვეტილება ყო-

---

360 იხ. *თ. თოდრია* ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა სასაკსაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 18.

361 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 394-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

362 იხ. *მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 406.

363 იხ. *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვეის ახალი საფუძვლების განმართებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი'', 4.(6) 2005, გვ. 80.

364 იხ. *თ. თოდრია* ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა სასაკსაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 21.

ველთვის ჩაითველება კანონის დარღვევით მიღებულად და საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ:

ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;

გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;

დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;

ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;

ე[1]) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;

ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;

თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და საკმარისია ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა, რათა საკასაციო სასამართლომ გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია საფრანგეთის კანონმდებლობა, სადაც გათვალისწინებულია მსგავსი საპროცესო ნორმები. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის თანახმად, საკასაციო გასაჩივრება შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. საფრანგეთის საკასაციო

სასამართლო ამოწმებს მხოლოდ სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ეხება ფაქტს, კერძოდ არ აკონტროლებს ფაქტის შეფასების სისწორეს.[365]

ფრანგული კანონმდებლობით, სამართლის ნორმის დარღვევაში იგულისხმება კანონის დარღვევა, არაკომპეტენტურობა, უფლებამოსილებების გადამეტება, დებულებათა შეუთავსებლობა, ფორმის დაუცველობა და სამართლებრივი საფუძვლების არარსებობა. კანონის დარღვევაში იგულისხმება კანონის არასწორი გამოყენება, განმარტება და უარი კანონის გამოყენებაზე.[366]

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 132-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-3 ქვეპუნქტი[367] ითვალისწინებს კასაციის დასაშვებობას საპროცესო ხარვეზის ან დარღვევის გამო, რომელიც მოცემულია და რომელსაც შეიძლება ეფუძნებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილება. კოდექსი მოითხოვს არა მხოლოდ საპროცესო ხარვეზის არსებობას, არამედ უშუალოდ მოთხოვნის წამოყენებას. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ორიენტირებულია ნებისმიერ საპროცესო დარღვევაზე და არა მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევაზე, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლშია მოცემული.

საპროცესო დარღვევის გამო კასაციის დაშვება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპებზე დამყარებული სასამართლო პროცესის უზრუნველყოფას ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას.[368]

თუ შეუძლებელია ნორმის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის შემოწმება, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო არ გაიზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში გამოთქმულ მოსაზრებას და გააუქმებს განჩინებას. საკასაციო სასამართლოს

---

365 იხ. J. Boré L. Boré., La cassation en martiére civile. Dalloz, 2008. P. 242-248.

366 იხ. J. Boré L. Boré., La cassation en martiére civile. Dalloz, 2008. P. 258-263. ასევე, G Couchez., Procédure civile. Paris. 1998, p. 345.

367 შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 132-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-3 პუნქტი. მიღებული 21.01.1960. (VwGO), &132.

368 იხ. *ც. რაიპენბეპერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისთვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", 4.(6) 2005, გვ. 78.

უპირველესი მოვალეობაა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სამართლებრივი ნორმების სწორად განმარტებას.[369]

საკასაციო სასამართლომ არა მხოლოდ უნდა განახორციელოს საჯარო ინტერესები, არამედ პროცესის ცალკეული მონაწილეების ინტერესებისთვის იზრუნოს კანონის უზენაესობაზე, სამართლიან სასამართლოზე. უზენაეს სასამართლოს ენიჭება სააპელაციო სასამართლოზე პროცესუალური ზედამხედველობის ფუნქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესუალური ნორმების დაცვა და საპროცესო სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი გამოყენება.[370]

2.5.3.1. საპროცესო ხარვეზის/დარღვევის ცნება

საპროცესო შეცდომასა და მატერიალურ შეცდომას შორის გამიჯვნა შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში რთული იყოს. თუმცა, ყოველთვის საქმე უნდა ეხებოდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩადენილ კანონდარღვევას. საპროცესო ხარვეზი არის სააპელაციო სასამართლოს საპროცესო დებულების დარღვევა. როგორც წესი, ესაა რომელიმე საპროცესო კოდექსის დებულებები. ესა თუ ის მატერიალური კანონიც შეიძლება, გამონაკლისის სახით, შეიცავდეს ისეთ დებულებებს, რომლებიც აწესრიგებს არა მატერიალურ სამართალურთიერთობებს, არამედ სამართალწარმოების მიმდინარეობას. თუმცა, იმავდროულად, ნებისმიერი საპროცესო ნორმის დარღვევა ავტომატურად არ არის საპროცესო ხარვეზი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია ასე, როდესაც საპროცესო დებულების გამოუყენებლობამ ან არასწორმა გამოყენებამ დაახარვეზა სამართალწარმოების მიმდინარეობა.[371]

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა შეიცავს ნორმებს, რომლებიც არ ეხება გადაწყვეტილებამდე მიმავალ გზასა და ჩაბარებას, არამედ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნეს მიღებული შინაარსობრივი გადაწყვეტილება, მაშინ მათი დარღვე-

369 nb. Breton, L., arrêt de la Cour de de cassation,Toulouse, 1975, t, é, p. 6.

370 PP Pirtzner, in Schoch/ Schmidt-ABmann/Pietzner, VwGO, § 132, Rn. 83.

371 nb May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.150.

ვა არის არა საპროცესო ხარვეზი, არამედ - გადაწყვეტილების შინაარსობრივი ხარვეზი. თუმცა, საპროცესო ხარვეზი ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების შინაარსზე, რაც უკვე გამომდინარეობს იქიდან, რომ მისთვის დაშვება მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება შეიძლება ამას ეფუძნებოდეს. აქ საქმე ეხება მხოლოდ არაპირდაპირ ზეგავლენას, რომელიც ეფუძნება არასწორად განვლილ საპროცესო გზას.[372]

ბუნებრივია, კასაციის დაშვებისთვის გადამწყვეტია მხოლოდ გადასინჯვადი საპროცესო ნორმები, რადგან არაგადასინჯვადი სამართლებრივი დებულებების დარღვევა სრულიად მეორეხარისხოვანია დაშვებული კასაციის პირობებში.

სააპელაციო სასამართლოს სამართალწარმოება ხარვეზიანია, თუ განხორციელდა საპროცესო მოქმედება, რომელიც, არ უნდა განხორციელებულიყო ან არ უნდა განხორციელებულიყო ამ სახით, ან კიდევ, როდესაც არ განხორციელებულა აუცილებელი საპროცესო მოქმედება. პროცესის მონაწილის მცდარი საპროცესო მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაშია საპროცესო ხარვეზი, ანუ, სასამართლოს მიერ ჩადენილი კანონდარღვევა, როდესაც სასამართლომ ყურდღება არ მიაქცია ნაკლოვანებას, რის გამოც სამართალწარმოება სრულიად სხვა მიმართულებით წავიდა. თუ სააპელაციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრების საფუძვლის არსებობისას არაფერია დამოკიდებული გარკვეულ საპროცესო მოქმედებაზე, განუხორციელებელი ან არასწორად განხორციელებული საპროცესო მოქმედება იმ შემთხვევაშიც არ არის საპროცესო ხარვეზი, თუ საკასაციო სასამართლო მას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს თვისი გადმოსახედიდან.[373]

---

372 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S, 150.

373 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S, 150-151.

2.5.3.2. გამორიცხული საპროცესო ხარვეზი

გერმანული კანონმდებლობით, ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ უკიდურეს გამონაკლის შემთხვევებში დაუშვებს კასაციას მის მიერ დაშვებული საპროცესო ხარვეზის გამო, რადგან ის, როგორც წესი, გამომდინარეობს ჯეროვნად განხორციელებული სამართალწარმოებიდან. მეორე მხრივ კი, მონაწილეებმა შეიძლება საჩივრის მეშვეობით გაასაჩივრონ ისეთი საპროცესო ხარვეზები, რომლებმაც თავი იჩინეს მხოლოდ სამოტივაციო ნაწილში ან საქმის ზეპირი განხილვის დროს. [374]

გერმანული კანონმდებლობის თანახმად ინკვიზიციურობის პრინციპის დარღვევამაც შეიძლება განაპირობოს კასაციის დაშვება, როდესაც სასამართლომ საკმარისად არ განიხილა კონკრეტული შუამდგომლობა. განსაკუთრებულად რთულია ინკვიზიციურობის პრინციპისა და მტკიცებულებათა თავისუფლად შეფასების პრინციპის ურთიერთქმედება.[375]

2.5.3.3. მიზეზშედეგობრიობა

კანონმდებლობის მოთხოვნაა, კასაციის დასაშვებად საპროცესო ხარვეზის არსებობა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ამას. მაშასადამე, მოთხოვნაა არა ფაქტობრივი მიზეზშედეგობრიობა, არამედ საკმარისი შესაძლებლობა, რომ სასამართლო შეიძლება კანონდარღვევის გარეშე მივიდეს სრულიად სხვა შედეგამდე.[376]

ეს განპირობებულია იმით, რომ ხშირად არ დგინდება, თუ

---

374 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S, 151.

375 იხ.. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 152.

376 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 153.

როგორ გადაწყვეტილების მიღებდა სააპელაციო სასამართლო სამართალწარმოების ნორმალური მიმდინარეობისას. განსაკუთრებით, როდესაც საპროცესო ხარვეზი, როგორც ეს ხშირად ხდება, ეხება ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. ამდენად, საკმარისია, პროცესის მონაწილეებს ებიძგათ მათი შუამდგომლობებითა თუ სხვა არგუმენტებით სააპელაციო სასამართლოსთვის დამატებითი მოკვლევის ჩასატარებლად, რომელსაც, შესაძლოა, სრულიად სხვა გადაწყვეტილებამდე მივეყვანეთ. აქ უნდა ამოვიდეთ, როგორც საერთოდ საპროცესო ხარვეზის საკითხის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრებიდან, **რადგან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა სწორედ სააპელაციო და არა საკასაციო სასამართლო.** ეს უკანასკნელი უნდა ამოვიდეს, ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გასაგები მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრებიდან, მაშინაც კი, თუ არ იზიარებს მას. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ერთ-ერთ რომელიმე აბსოლუტურ საკასაციო მიზეზს, მაშინ, კანონის ძალით, მიზეზშედეგობრიობა ივარაუდება. მაშასადამე, აუცილებელი აღარაა მიზეზ-შედეგობრიობის შესაძლებლობის კონკრეტულად შემოწმება და დადგენა.[377]

2.5.4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე **№ბს-136-134 (კ-17)** საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩი-

377 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 154.

ვრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელედ საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპრეტენზიო კომისიის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და, ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, ასევე, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს — წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არცერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

2.6. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 396-ე მუხლის[378] მოთხოვნათა დაცვით. მაშასადამე, არსებობს თუ არა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ყველა წინაპირობა. თუ ეს წინაპირობები არსებობს, საკასაციო სასამართლო მიიღებს საკასაციო საჩივარს მისი დასაშვებობის შესამოწმებლად, ან თუ ასეთი წინაპირობები არ არსებობს, საკასაციო სასამართლო უარს ეტყვის კასატორს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დაუშვებელია, მაშინ ის არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში, ხოლო დაუსაბუთებელი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. საუბარია საჩივარზე „უარის თქმაზე".[379]

საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა ზეპირი განხილვის გარეშე, სსსკ-ის 391-ე მუხლის[380] საფუძველზე. დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. იგივე ვადას ითვალისწინებს სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 3[1] ნაწილი.[381]

გერმანიის ფედერალურ სასამართლოში კასაციის დაშვების შემდეგი კრიტერიუმებია განსაზღვრული: კერძოდ, სამართლებრივ დავას უნდა ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა ან ხელს უნდა უწყობდეს სამართლის შემდგომ განვითარებას ან უნდა

---

378 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

379 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeltete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.187.

380 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

381 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 3[1] ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

ემსახურებოდეს სამართალწარმოების ერთიანობის გაძლიერებას. სამართლებრივი დავა განიხილება სამართლებრივი ასპექტების კუთხით, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაადგინა გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ, სავალდებულოა მესამე ინსტანციის სასამართლოსთვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აღნიშნული გასაჩივრებულია დასაშვები და დასაბუთებული წესით.[382]

რაც შეეხება რუსეთის საკასაციო სასამართლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩვრებული გადაწყვეტილების არა მარტო სამართლებრივ მხარეს, არა მარტო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების გამოყენების სისწორეს, არამედ ფაქტობრივ მხარესაც.[383]

საინტერესოა იტალიის კანონმდებლობა, რომლის თანახმად, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გვერდის ავლით.[384] ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტის გამოყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე და ადგილი არ აქვს საპროცესო ნორმების დარღვევას.

სასკ-ის 34-ე მუხლის 4-ე ნაწილის[385] საფუძველზე, ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

თუ სასამართლო საკასაციო საჩივარს დაუშვებლად მიიჩნევს, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 %.

---

382 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGÖ) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 187.

383 იხ. Н.М. Коршунов., Ю. Л. Мареев., Гражданский просесс, М. 2004, с. 508.

384 იხ. *თ. თოდრია..,* ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 24-25.

385 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 4-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

სსსკ-ის 402 მუხლის[386] თანახმად, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ საკითხთან დაკავშირებით განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიებით.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილიც,[387] ითვალისწინებს საჩივრის შეტანით კანონიერი ძალის მოქმედების შეჩერებას (სუსპენზიური ეფექტი). კანონიერი ძალის გადადება, ამ შემთხვევაში, ხდება საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე. [388]

სსსკ-ის 402[1]-ე მუხლის[389] საფუძველზე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ, საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული

---

386 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 402-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

387 შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. (VwGO), §133. http:/www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html.

388 იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.176-177.

389 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 402[1]-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართვის მოთხოვნა უნდა დაასაბუთოს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს წარუდგინოს საქმესთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები. საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართვის შესახებ მან უნდა აცნობოს მახარეებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. სასკ-ის 34-ე მუხლის 3[1] და მე-4 ნაწილებით[390] გათვალისწინებული ვადის დინება ჩერდება.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ იღებს განჩინებას და განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც შეტყობინება უნდა გაუგზავნოს მხარეებს შესაბამისი განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივარის ფარგლებში. მას არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" პუნქტისა, კერძოდ "მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დრღვევას ემყარება".[391]

საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი, ასევე, შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, უწყებრივად ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს და აქვს თუ არა მას საერთაშორისო კომპეტენცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას შეამოწმებს

390 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 3[1] და 4-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

391 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხონა მაშინ არის დასაშვები, როდესაც იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას არ ყოფილა წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, ასევე, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა.

სასკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის[392] საფუძველზე, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები, მხოლოდ იმ გრემოებებთან დაკავშირებით, რა საფუძვლითაც დაუშვა საჩივარი საკასაციო სასამართლომ.

გერმანული კანონმდებლობით, ნებისმიერ შემთხვევაში, პროცესის ყველა მონაწილეს უნდა მიეცეს შეხედულების გამოთქმის შესაძლებლობა. ეს კი გამომდინარეობს საქმის ზეპირი მოსმენის პრინციპიდან. ამდენად, პროცესის ყველა დანარჩენ მონაწილეს უნდა მიეცეს საჩივრისა და მისი დასაბუთების გაცნობის შესაძლებლობა. მათ ეძლევათ პოზიციის გამოსახატავად გონივრული ვადა. ამ ვადის გასვლამდე საჩივარზე გადაწყვეტილება ვერ მიიღება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დაუშვებელია, დაუსაბუთებელი ან დასაბუთებული.[393]

საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის იმ ახსნა-განმარტებებზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში.[394]

საკასაციო სასამართლოში სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებან მათი-

---

392 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

393 იხ. May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systemastische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.186.

394 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 407-ე, მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

ვე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.[395]

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).[396]

საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იწყება საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც სასამართლოს მოახსენებს საქმის ვითარებას, გააცნობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარმოთქვან თავიანთი სიტყვა, გააკეთონ განცხადებები დასაბუთების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს შეუძლია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება, რის შესახებ მხარეებს წინასწარ უნდა აცნობოს.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 101-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს იმ სახის გადაწყვეტილებების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღების უფლებამოსილებას, რომლებიც არ წარმოადგენსსასამართლო გადაწყვეტილებებს. მაშასადამე, სასამართლოს მთავარი სხდომა წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამგვარად, სასამართლოს მთავარი სხდომის ჩასატარებლად უნდა არსებობდეს სერიოზული არგუმენტები, რაც უკავშირდება ხარჯებსა და დროის დიდ დანახარჯს. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია, მაშინ საკასაციო სასამართლო უშვებს კასაციას.[397]

---

395 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492.

396 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 407-ე, მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

397 შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 101-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი. მიღებული 21.01.1960. (VwGO), &101.

2.7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სავალდებულო ელემენტია. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის მოთხოვნას ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაც. მაგალითად, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, საკასაციო საჩივრის დასაბთებულობისთვის აუცილებელია იმ გარემოებეზე მითითება, საიდანაც მომდინარეობს სამართლდარღვევა, როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური თვალსაზრისით. ამასთან, ამ გარემოებეზე მითითება ზუსტად და ამომწურავად უნდა მოხდეს. დასაბუთება მიმართული უნდა იყოს იმ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ისეთი საფუძვლების წინააღმდეგ და გასაქარწყლებლად, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება.[398]

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. საკსაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: 1. კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი; 2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; 3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.[399]

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი და გულისხმობს არა მხოლოდ კანონს, არამედ სხვა კანონქვემდებარე აქტებსაც, რომლებიც კანონის რეალიზაციის მიზნითაა მიღებული შესაბამისი ორგანოების მიერ, აგრეთვე, საპროცესო სამართლის ნორმებს, რომელთა დარღვევა შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, როდესაც ასეთ და-

398 იხ. Thomas H., Reichold K., Putzo H., Hüsstege R., Zivilprozesssordnung. Kommentar, Verlag C.H. Beck, München. 2002. S. 896; ix. Lüke .W; Zivilprozessrecht. Beck, 7; Auflage. München, 1999. S. 323-324.

399 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 410-ე. მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

რღვევას შეეძლო გამოეწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემსახურებოდეს კანონის - მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის ჩვენებას, ასეთი დარღვევის არსებობის დადასტურებას.[400]

იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას ან დარღვეულია თუ არა კანონი სასამართლოს მიერ, რომელზეც იგი ამყარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, არის საკითხი, რომელიც უნდა გაირკვეს და გადაწყდეს საკასაციო საჩივრის მიღებისა და არსებითად განხილვის შედეგად. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება ხდება საკასაციო საჩივრის დაშვებისა და მისი განსახილველად მიღების შემდეგ. ამიტომ, საკასაციო საჩივრის დაშვებამდე თუნდაც ჩანდეს, რომ მასში მითითებულ კანონის დარღვევას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, საკასაციო სასამართლო ვერ ჩათვლის ამ საჩივარს დაუშვებლად, ვერ დატოვებს მას განუხილველად.[401]

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო არ არის შეზღუდული საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემოწმების ფარგლებით. მას შეუძლია და ვალდებულიცაა, შეამოწმოს კანონის დარღვევის სხვა შემთხვევებიც, თუ ადგილი ჰქონდა ასეთი სახის დარღვევებს. მნიშვნელოვანია და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა, როდესაც ეს საჩივარი ეფუძნება საპროცესო ნორმების დარღვევას. იმის გათვალისწინებით, თუ რომელი კონკრეტული საპროცესო ნორმის დარღვევას ემყარება საკასაციო საჩივარი, შეიძლება საჭირო გახდეს საქმეში არსებეული მასალების, მათ შორის მტკიცებულებების შემოწმება და შეფასება.[402]

მაგალითად, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასა-

---

400 იხ. *ვ. ხრუსტალი.*, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 57.

401 იხ. *ვ. ხრუსტალი.*, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 58.

402 იხ. *ვ. ხრუსტალი.*, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 60.

მართლოში ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. დაუშვებელია ახალი ფაქტების წარდგენა. გადაწყვეტილების გადასინჯვა ხორციელდება მხარეთა იმ ახსნა-განმარტების საფუძველზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან სხდომის ოქმშია ჩამოყალიბებული. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფაქტების დაგენისას ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევებს. საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტების წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც მათი საშუალებით ხდება პროცესუალური ნაკლის დარღვევის დასაბუთება. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც საჭიროა საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების დასაშვებობის წინაპირობის დადასტურება.[403]

ქართული კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა.[404]

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ: 1. საქმის გარემოებები საპოცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; 2. არსებობს სსს-კის 396 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა "გ" და "ე" პუნქტებისა. კერძოდ: 1. საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; 2. სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო

403 იხ. Lüke .W., Zivilprozessrecht, Beck, 7; Auflage, München, 1999. S. 314-324

404 იხ. *შ. ქურდაძე.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა "მერიდიანი" თბ., 2006, გვ. 86.

პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; 3. გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; 4. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; 5. გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; 6. გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; 7. საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსთვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ საქმე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად უკან უბრუნდება საქმის განმხილველ სასამართლოს.

სსსკ-ის 374-ე მუხლის[405] თანახმად, თუ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება დაუშვებლობის გამო საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და ამ განჩინების გასაჩივრება აღარ დაიშვება.

სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორი, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლშეფარდების აქტია, რომლის მიღების კანონით დადგენილი ფორმით ჩამოყალიბებისა და დასაბუთებულობისთვის სასამართლო ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენოს სრულად და ყოვლისმომცველად, მიმართოს კანონით დადგენილ ანალოგიის პრინციპს და სამართალი გამოიყენოს მაშინაც, როცა ის კანონებში არაა მოცემული, იხელმძღვანელოს "სამართლიანობის", "გონივრულობის", "კეთილსინდისიერების", პრინციპებიდან გამომდინარე, მისდიოს "საკუთარ შინაგან რწმენას",

405 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 374-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

სახელმწიფო და საზოგადო ინტერესს, ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრების მიზანს და სწორედ კანონმდებლობის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით მიიღოს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.[406]

3. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391[1] მუხლის[407] თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

1. საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

იშვიათ სამართლებრივ პრობლემასთან გვაქვს საქმე, როდესაც პრაქტიკულად ეს პრობლემა საერთოდ ჯერ არ დასმულა სასამართლოების წინაშე და ამ ნორმის გამოყენების პრაქტიკა არ არსებობს, ან კიდევ, როდესაც არ არსებობს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არც კანონი, არც ანალოგიური კანონი და აუცილებელია სამართლის ანალოგიის გამოყენება. სამართლის ანალოგიის გამოყენება, თავისთავად, მეტად რთული საქმეა, რადგან ამ დროს საქმე უნდა გადაწყდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნემის შესაბამისად, მაგრამ, როდესაც ამ სირთულეს ემატება თვით საქმის სირთულეც, საკასაციო პალატას შეუძლია, საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას.[408]

---

406 იხ. *თ. მამაიაშვილი* ' ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება'', 2008, 1 გვ 111-112.

407 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391[1] -ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

408 *ვ. ხრუსტალი*., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 144-145.

საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ნორმის ახლებურად განმარტების აუცილებლობა, თუ სამართლებრივი პრობლემის იშვიათობა, შეიძლება განპირობებული იყოს არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ საპროცესო სამართლებრივი საფუძვლებითაც.[409]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - სს „პ - ი" საქართველოს იუსტიციის საამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ, განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია, მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ აღძრული შუამდგომლობა დიდ პალატაზე საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ იმ მოტივით, რომ საქმე ეხება მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხს, ვერ იქნება გაზიარებული, რამდენადაც დიდი პალატისთვის საქმის გადაცემას საფუძვლად უნდა დაედოს ის გარემოება, რომ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ საფუძვლით საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა განეკუთვნება საქმის განმხილველი საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებულ, დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის მიხედვით სასამართლო თავისი შეხედულებით და არა მხარის განცხადების საფუძველზე განსაზღვრავს საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს

409 იხ. *ვ. ხრუსტალი* ., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 144-145.

მიაჩნია, რომ არ არსებობს მოცემული დავის გადაწყვეტისთვის საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391[1] მუხლის[410] პირველი ნაწილით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი[411] განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორიცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების

410 შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391[1]-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, https:/matsne.gov.ge/ka/document/view/29962.

411 შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492

საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს — წარმატების პერსპექტივა.[412]

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

დიდ პალატას გააჩნია იგივე მიზნები, რაც ზოგადად, საკასაციო სასამართლოს აქვს. ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება. თუმცა, ამ მიზნის რელიზაცია შეუძლებელი იქნებოდა ისეთ პირობებში, როდესაც ასეთი საკასაციო პალატა არ იზიარებს მეორე საკასაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას, ან კიდევ საკასაციო პალატას არ სურს შეცვალოს მის მიერ ადრე სხვა საქმესთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება, მის მიერ ადრე მიცემული კანონის (სამართლის ნორმის) განმარტება.[413]

უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის საკითხის მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის არსებობა მხოლოდ მხარისთვის, უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოს მიერ გამოსატანი გადაწყვეტილების ნაწილი ზოგად სამართლებრივ პრინციპს უნდა მოიცავდეს, რომელიც გადასაწყვეტი საკითხის მიმართ სამართლებრივი მართლშეგნების, სამართლებრივი სიზუსტის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.[414]

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

დიდ პალატას შეიძლება უამრავი საქმე გადაეცეს განსახილველად, მაგრამ იგი უნდა საჭიროებდეს საქმესთან დაკავშირე-

---

412 შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №ბს-265-257 (კ-13).

413 *ვ. ხრუსტალი*., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2004, გვ. 143.

414 Jauernig O., Zivilprozessrecht, Vergal C.H. Beck, 2003, S.268.

ბული გამოსაყენებელი ნორმის ახლებურ ინტერპრეტაციას, ახლებური განმარტების აუცილებლობას. იგულისხმება, რომ ნორმის განმარტება, რომელიც ადრე მიღებული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეცვლილი სოციალური თუ ეკონომიკური პირობების გამო, საჭიროებს ახლებურ, შეიძლება ითქვას, განსხვავებულ განმარტებას.[415] ასეთ შემთხვევში მიზანშეწონილია, საქმე განსახილველად გადაეცეს დიდ პალატას.

415 *ვ. ხრუსტალი*., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 144.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

და საპროცესო კოდექსების თანახმად, სწორედ ამ მოთხოვნისაფუძველზეა განსაზღვრული. საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ საქმის განხილვა გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს იძლევა და იგი ყოველთვის კანონის დარღვევით მიღებულად ითვლება, ვინაიდან სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობები განსხვავებული, მათთვის დამახასიათებელი ისეთი პირნციპებით მოქმედებენ, რამაც შესაძლოა, საქმეზე არსებითად სხვადასხვა გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვიოს.[96] ამასთან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მხარეებს აქვთ განსხვავებული საპროცესო უფლებები.

სამოქალაქო სამართლის პროცესში განასხვავებენ გვარეობით განსჯადობას, რომელიც თავის თავში მოიცავს საგნობრივი და ტერიტორიული განსჯადობის საკითხებს. საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში არსებობს ინსტანციური განსჯადობაც.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, დავის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესებიდან გამომდინარე, სასამართლოებს შორის დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა, არამედ, აგრეთვე, ინსტანციურ და ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა.

საქართველს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 თავი განსაზღვრავს სასამართლოსადმი ადმინისტრაციული საქმეების საგნობრივ განსჯადობას. რაც შეეხება ადმინისტრაციული საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას, იგი წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15-24-ე მუხლებით და არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

96 ს.მაჭავარიანი ს. (თ.გ.). უნყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. მართლმსაჯულება 2007 #2, გვ. 198